

თბილისის განო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

გიორგი თამაზის ძე კრავეიშვილი

საქართველოს მოწყვეტილი პუთხეების და XVII-XIX საუკუნეებში  
გადასახლებულ ქართველთა ხალხური მუსიკის შესრულების  
პროგლემები

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის

აკადემიური სარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

## დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

პროფესორი

ნატალია ზუმბაძე

თბილისი, 2018 წელი

## სარჩევი

შესაგალი	5
თავი I. ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ფიქსირებისა და შესწავლის ისტორია	10
თავი II. ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ზოგადი მიმოხილვა	35
2.1 კლარჯეთი	36
2.2 ტაო	48
2.3 შავშეთი	51
2.4 ლაზეთი (ჭანეთი)	61
2.5 მესხეთი	96
2.6 აჭარის თურქელი ნაწილი	97
2.7 ჩრდილოეთ კავკასია	103
2.8 საინგილო (პერეთი)	107
2.9 ფერეიდანი	142
თავი III. სასიმღერო მრავალხმიანობის დაბარგვის მიზეზები და ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ძირითადი ნიშან-თვისებები	148
3.1 ჩვენებურების ერთხმიანი ხალხური სიმღერის მელოდიკის ქართულობის საკითხისათვის	148
3.2 ვოკალური მრავალხმიანობის ძველად არსებობის დამადასტურებელი არგუმენტები და ხმათა შემორჩენილი სახელები	149
3.3 სიმღერის გაერთხმიანების შესაძლო მიზეზები	155

3.4 სიმღერის გაერთხმიანების გზა	159
3.5 ჩვენებულების ხალხური სასიმღერო მრავალხმიანობის დაკარგვის საგარაუდო დრო და ზოგან მრავალხმიანობის შემორჩენის საგარაუდო მიზეზები	165
3.6 მრავალხმიანი საკრავიერი მუსიკის „ქართულობის“ საკითხი	170
3.7 სხვა მუსიკალური ნიშან-თვისებები	171
3.8 ჟანრები	173
3.9 ძირითადი განსხვავებები ქალებისა და მამაკაცების მუსიკალურ ფოლკლორს შორის	177
3.10 დიალექტები	177
<b>დასკვნა</b>	<b>183</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა</b>	<b>192</b>
<b>დისკოგრაფია</b>	<b>217</b>
<b>აუდიო, სანოტო, ვიდეო და ფოტოდანართის აღწერილობა</b>	<b>219</b>
<b>გამოყენებული ექსპედიციების სია</b>	<b>267</b>
<b>გამოყენებული ფილმები და გადაცემები</b>	<b>272</b>
<b>საკუთარ ექსპედიციებში ჩაწერილი მთქმელები</b>	<b>272</b>
<b>საკუთარ ექსპედიციებში მოვლილი სოფლები</b>	<b>324</b>

# საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების და XVII-XIX საუკუნეებში გადასახლებულ ქართველთა ხალხური მუსიკის შესწავლის პრობლემები

## შესავალი

ქართული მუსიკალური ფოლკლორი მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. მისი კვლევის ისტორია ერთ საუკუნეზე მეტ ხანს ითვლის, თუმცა ჩვენებურების<sup>1</sup> მუსიკალურ ფოლკლორზე ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ თითო-ოროლა სტატია და ჩანაწერი თუ მოგვეპოვებოდა. ვფიქრობ, ამის უმთავრესი მიზეზი საქართველოს ისტორიულ მხარეებსა და მუჭაჯირებში ექსპედიციების სიმცირე იყო.

ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში 2011 წლამდე საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების მუსიკალურ ფოლკლორზე წარმოდგენა საკმაოდ მწირი იყო. ხელთ გვქონდა მარტო სარფელი ლაზების, ყიზლარსა და მოზდოკში მცხოვრები ქართლელებისა და პაირიელი აჭარლების, ასევე – კახის რაიონის ინგილოების სასიმღერო და საკრავიერი ნიმუშები. ამ თემებს ეხებოდა ეთნომუსიკოლოგების – გრიგოლ ჩხილავაძის, დიმიტრი არაყიშვილის, იოსებ ქორდანიას, ვიქტორია სამსონაძისა და პიტერ გოლდის – თითო-ოროლა სტატია და წლიური ნაშრომი, რომელიც ჩვენებურების მუსიკალურ ფოლკლორზე ზოგად წარმოდგენასაც ვერ გვიქმნიდა.

სწორედ ამიტომ 2010 წელს მუშაობა დაგიწყო დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი კუთხეების მუსიკალურ ფოლკლორზე. 2011 წელს პირველი ექსპედიციები ჩავატარე სარფში და ამ მასალას დაეფუძნა ჩემი საბაკალავრო ნაშრომი. შემდგომ კი სარფის პარალელურად, 2011-2013 წლებში, ინგილო ფილოლოგ მართა ტარტარაშვილთან (თარხნიშვილი) ერთად ექსპედიციებს ვატარებდი საინგილოში, რის საფუძველზეც შეიქმნა ჩემი 2013 წლის სამაგისტრო ნაშრომი. 2011 წლიდან მოყოლებული დღემდე ჩვენებურებთან დაკავშირებული მასალების შესწავლას ეფუძნება ჩემი საკონფერენციო მოხსენებები და პუბლიკაციები – სამეცნიერო კრებულებსა და ურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები და წერილები, ასევე – ტელე-რადიოგადაცემები.

<sup>1</sup> გსარგებლობ ახმედ ოზქან მელაშვილის ტერმინით, რომელიც აღნიშნავს საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველებს.

2014 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მოვიარე ტაო, შავშეთი და ზურაბ განილიშთან და ნაზი მემიშიშთან ერთად გაღმა ლაზეთი; 2015-2016 წლებში კი პირადი სახსრებით – კლარჯეთიც. ჩავწერე მრავალი ნიმუში და გამოვაქვეყნე სტატიები ამ კუთხეების მუსიკალური ფოლკლორის შესახებ.

თურქეთის მხარეს მოქცეულ აჭარულ სოფლებში (მარადიდისა და ხებას გარდა) არ მიმუშავია, რადგანაც ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში მათი ფოლკლორი მეტ-ნაკლებად ცნობილია. ჩემთვის პრიორიტეტი არაა აჭარული სოფლების მონახულება იყო. თურქეთის მხარეს მოქცეული აჭარული სოფლებიდან მარადიდსა და ხებას იქაური ფოლკლორის კუთხეურობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის გამო ვაწვიუ.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტია ტაოური, კლარჯული, შავშერი, ლაზური (ჭანური), ინგილოური (ჰერული)<sup>2</sup>, ვერეიდნული, თურქეთის აჭარული და ყიზლარულ-მოზდოკური ხალხური მუსიკა. კვლევის საგანს წარმოადგენს როგორც ვოკალური, ისე ინსტრუმენტული შემოქმედება.

**კვლევის მიზანია ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ანალიზი.**

კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზის სხვადასხვა მეთოდი: ისტორიული, შედარებითი, აღწერითი, კომპლექსური, სისტემური, სტრუქტურულ-ტიპოლოგიური, დიაქტონიული, სინქრონული.

**სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ამოცანებია:**

- თითოეული კუთხისა თუ დასახლების მუსიკალური ფოლკლორის ცალ-ცალკე გაშექმება;
- თითოეული ნიმუშის შესრულების გარემოსა და სოციალური ფუნქციის ჩვენება;
- საკრავების დამზადების წესისა და რეპერტუარის აღწერა;
- სასიმღერო მრავალხმიანობის დაკარგვის მიზეზების ძიება;
- ქართული ხალხური სიმღერის გაერთხმიანების გზაზე მსჯელობა;
- ფარული მრავალხმიანობის განხილვა;
- ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის საერთო ნიშან-თვისებების დადგენა;
- იმ ნიშნებისა თუ გარემოებების გამოვლენა, რომლებიც ჩვენებურების მუსიკალურ ფოლკლორზე ახდენს გავლენას.

<sup>2</sup> ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად ლაზეთისა და საინგილოს ძველ სახელწოდებებს ხშირად ვიყენებ.

ნაშრომის უმთავრეს მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს:

- ტაოური და კლარჯული მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების ფიქსირება;
- ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის დიალექტოლოგიის დღისათვის სრული სურათის წარმოჩენა;
- ჭანურ, შავშურ და პერულ მუსიკაზე აქამდე არსებული მონაცემების გამდიდრება;
- სასიმდერო მრავალხმიანობის დაკარგვის მიზეზების ძიება;
- შეხედულება მრავალხმიანი სიმდერის გაერთხმიანების გზის შესახებ.

ნაშრომის **ძირითადი საფუძველია** საკუთარი საექსპედიციო მასალა. ასევე, ვიყენებ სხვათა ჩანაწერებსა და გამოცემულ ხმოვან ნიმუშებსაც. ნოტირებული მაგალითების გარკვეული ნაწილი ჩემ მიერვეა ჩაწერილი ან გაშიფრული (ზოგჯერ – ორივე ერთად). დისერტაციაში ვეყრდნობი სხვადასხვა დარგის სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას (ძირითადად, ენათმეცნიერულს, ისტორიულსა და ეთნოლოგიურს).

**თემის აქტუალობა:** საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების ხალხური მუსიკა ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში საგანგებო კვლევის საგანი აქამდე არ ყოფილა. არადა, მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის გამო სწრაფად იცვლება საზოგადოების ტრადიციული აზროვნება და ცხოვრების წესი. ძველის დავიწყების პროცესში უდიდეს როლს თამაშობს ტექნიკური პროგრესი. ამ პირობებში სამშობლოს მოწყვეტილი ქართველების კულტურული თვითმყოფადობის შესწავლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

**პრობლემის შესწავლის დონე:** მოცემული საკითხი ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში ნაკლებად იყო შესწავლილი (უმთავრესად, სარფელი და ყიზლარ-მოზდოკელი ქართველების სიმდერები).

ნაშრომის **დირებულებას** წარმოადგენს საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების დაფიქსირება და შესწავლა. ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია სალექციო კურსებსა და სამეცნიერო კვლევაში. მას პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს, რადგან ხმოვანი დანართი მდიდარი მასალაა შემსრულებლებისთვის.

დისერტაცია დაინტერესებს როგორც სპეციალისტებს, ისე მომიჯნავე დარგების მკვლევრებსა და ფოლკლორის მოყვარულებს.

## **კვლევის ძირითადი შედეგები:**

- საქართველოს მოწყვეტილი თითოეული კუთხის მუსიკალური ფოლკლორის მთავარი ნიშან-თვისებების დადგენა;
- ჩვენებურების ფოლკლორის საერთო მუსიკალური მახასიათებლების გამოვლენა;
- საქართველოს მოწყვეტილი თითოეული კუთხის ხალხური მუსიკის დიალექტური კუთვნილების დადგენა და შესაბამისად, ქართული მუსიკალური დიალექტოლოგის დღეისათვის სრული სურათის წარმოჩენა;
- კლარჯული და მესხური მრავალხმიანი სიმღერების საფუძველზე ქართული სიმღერის გაერთხმიანების გზის გამოვლენა;
- ლაზური და შავშური მრავალხმიანი სიმღერების მომსწრეთა გარდაცვალების პერიოდის დადგენა.

**ნაშრომის სტრუქტურა:** დისერტაცია მოიცავს შესავალს, სამ თავსა და დასკვნას; ერთვის: გამოყენებული ლიტერატურის, ფილმებისა და ექსპედიციების სიები; დისკოგრაფია; აუდიო, სანოტო, ვიდეო და ფოტო დანართები, საკუთარ ექსპედიციებში ჩაწერილი მთქმელებისა და სოფლების სიები.

აუდიოდანართში წარმოდგენილია თითქმის ყველა ის ნიმუში (ვარიანტების გამოკლებით) რაც კი ხელთ მაქს. ფოტოდანართში წარმოდგენილია ყველა ის საკრავი, რომელიც გავრცელებულია ჩვენებურების მუსიკალურ ფოლკლორში. „სანოტო და ვიდეო, ისევე როგორც აუდიოდანართი ასახავს როგორც ინსტრუმენტულ და ვოკალურ მრავალხმიანობას, ისე სხვა ძირითად კანონზომიერებებს (მაგ. ფარულ მრავალხმიანობას)“.

შესავალში საუბარია კვლევის საგანზე, მიზანსა და ობიექტზე, ნაშრომის ძირითად ამოცანებზე, მეცნიერულ სიახლესა და საფუძველზე, თემის აქტუალურობასა და პრობლემის შესწავლის დონეზე, ნაშრომის ღირებულებაზე, სტრუქტურასა და კვლევის შედეგებზე.

პირველ თავში – ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ფიქსირებისა და შესწავლის ისტორია – წარმოდგენილია ნუსხა ჩვენებურებთან ჩატარებული ექსპედიციებისა და განხილულია მათი მუსიკალური ფოლკლორის შესახებ არსებული ძირითადი თუ დამხმარე ლიტერატურა, ასევე, მიმოხილულია ის რადიო-ტელევიზიები, მუზეუმები და არქივები სადაც შესაძლოა ყოფილიყო სადისერტაციო მუსიკალური მასალა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში არ აღმოჩნდა.

მეორე თავი – ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ზოგადი მიმოხილვა – მოიცავს ცხრა ქვეთავს. ნაშრომის ამ ნაწილში ცალ-ცალკეა შესწავლილი

ქართველთა თითოეული დასახლების – კლარჯების, ტაოელების, შავშების, ლაზების, ინგილოების, თურქეთის აჭარლების, ფერეიდნელებისა და ყიზლარელ-მოზდოკელი ქართლელების – ხალხური მუსიკა (სიმღერებში ხმათა რაოდენობა, შემორჩენილი ჟანრები, სასიმღერო და საკრავიერო რეპერტუარი, საკრავები და მათი დამზადების წესები). აქვე მოკლედ ვეხები მესხურ და ფერეიდნულ მუსიკასაც.

მესამე თავი „სასიმღერო მრავალხმიანობის დაკარგვის მიზეზები და ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ძირითადი ნიშან-თვისებები“ შედგება ათი ქვეთავისაგან. ნაშრომის ამ ნაწილში დიდ ადგილს იკავებს მრავალხმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები: განხილულია მრავალხმიანი ქართული სიმღერის გაერთხმიანების გზა და მრავალხმიანობის დაკარგვის შესაძლო მიზეზები; დადასტურებულია ფარული მრავალხმიანობის არა მარტო არსებობა, არამედ მისი დიდი ხვედრითი წილი. აქვე მიმოხილულია ტრადიციულ ქართულ მუსიკალურ ენასთან ადგილობრივი მრავალხმიანი საკრავიერი მუსიკის შესაბამისობის საკითხი, შემორჩენილი ჟანრები. შესწავლილი მასალის საფუძველზე, დადგენილია მუსიკალური დიალექტები და დასაბუთებულია ამა თუ იმ კუთხის ფოლკლორის ცალკე დიალექტად გამოყოფის აუცილებლობა.

დასკვნებში შეჯამებულია კვლევის ძირითადი შედეგები.

ჩემ მიერ სხვადასხვა კუთხეში მოპოვებული ნიმუშების დიდი ნაწილი დღეს ყოფაში აღარ სრულდება. მიუხედავად იმისა, რომ მათი დიდი ნაწილი ხანდაზმულ ეთნოფორთა მეხსიერებას კარგად შემოუნახავს, წარსულ დროში ხსენება გადაგწყვიტე. აწმყო დროში ვწერ მხოლოდ იმ სიმღერებსა და დასაკრავებზე, რომლებიც დღესაც ნამდვილად სრულდება, ან შესაძლოა სრულდებოდეს.

შესავალშივე უნდა აღვნიშნო: მიუხედავად იმისა, რომ ჭანებით დასახლებული სოფლები – გონიო, კვარიათი და სარფის ნაწილი და ჰერებით დასახლებული დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. სამთაწყაროს უბნები საქართველოში მდებარეობს, მათი მუსიკალური ფოლკლორი ლაზურისა და ინგილოურის განუყოფელი ნაწილია. ამიტომ მათ ხალხურ მუსიკას ჩვენებურებთან ერთად განვიხილავ.

ჩვენებურების სოფლების უმეტესობას მოვიხსენიებ ძველი ქართული სახელებით, გარდა რამდენიმე შემთხვევისა, როდესაც რამდენიმე სოფელს ურთი ქართული სახელი აქვს. ამავე დროს, ქალაქება და მის რაიონებს ყოველთვის

ოფიციალური სახელებით ვიხსენიებ, ვინაიდან მათ ეს სახელწოდებები ქალაქებად და რაიონებად ფორმირების დროს მიენიჭა.

დაბოლოს, მინდა განსაკუთრებული მაღლობით მოვიხსენიო: კახის რაიონის სოფელ დიდ ბინაში დაბადებული ფილოლოგი მართა ტარტარაშვილი (თარხნიშვილი), როგორც პერეთსა და დედოფლისწყაროს რ-ნის სოფ. სამთაწყაროში ჩატარებული ექსპედიციების ხელმძღვანელი (2011-13 წლები); სარფელი ჭანები – ნაზი მემიშიში და 2015 წელს გარდაცვლილი ზურაბ ვანილიში, რომლებთან ერთადაც 2014 წელს სარფსგაღმა (ანუ გაღმა ლაზეთში) ორი ექსპედიცია ჩავატარე; ასევე – თამაზ კრავეიშვილი – 2014-17 წლების ჭანეთის, შავშეთის, ტაოსა და კლარჯეთის ექსპედიციების სპონსორი, ფოტო-ვიდეოპერატორი და მძღოლი; ბიზნესმენი მერაბ ფაშალიშვილი, რომელთან ერთადაც თურქეთის ლაზეთში 2012 წელს რამდენჯერმე ვიყავი.

## თავი I

### ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ფიქსირებისა და შესწავლის ისტორია

ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში, როგორც ზევით აღვნიშნე, ჩვენებურების ფოლკლორის ფიქსირება-შესწავლას დიდი ხნის ისტორია არ გააჩნია. ჩემთვის საინტერესო მასალა უფრო მეტად არამუსიკოსების (უმთავრესად, ფილოლოგთა) ფიქსირებულია. ქართველებით დასახლებული რეგიონებიდან, პირველ რიგში, ვეხები უფრო მეტად ჩაწერილ და შესწავლილ რეგიონებს, შემდეგ კი სხვებს.

ძველი ქართველი თუ უცხოელი ფილოლოგები და ეთნოგრაფები სასიმღერო ტესტებს ძირითადად ხელით აფიქსირებდნენ. დღეს მართალია ტექსტებს ხმის ჩამწერი აპარატით იწერენ, თუმცა უმთავრესად სიმღერის გარეშე, ამიტომაც ჩამოვთვლი მხოლოდ იმ ექსპერიციებს, რომლებშიც ერთი მუსიკალური ნიმუში მაინც დაფიქსირდა<sup>3</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისას ვჩერდები იმ ნაშრომებზე, რომლებშიც დღეს სხვადასხვა ქვეყანაში (თურქეთი, საბერძნეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, ირანი) მცხოვრებ ქართველთა მუსიკა მეტ-ნაკლებად ვრცლად არის განხილული.

**ლაზეთი (ჭანეთი) – ხელვაჩაურის, ხოფის, არჭავის, ფინდიკლის, არდაშენისა და ფაზარის რაიონები**

1914 წელს ჭანურ სიმღერას იწერს კავკასიოლოგი ადოლფ დირი. მასალა ინახება ბერლინის ფონოგრამარქივში.

1917 წელს ხოფისა (ხუფათი) და ფინდიკლის (ვიწე/ბლეთი) მიდამოებში ფილოლოგმა იოსებ ყიფშიძემ ჩაწერა სიმღერები, რომელთა ნაწილი კომპოზიტორმა გრიგოლ კოკელაძემ 1932 წელს ნოტებზე გადაიტანა. 1984 წელს გამოცემულ კრებულში „ასი ქართული ხალხური სიმღერა“ შეტანილია ნოტირებული ნიმუშების ნაწილი. გაშიფრული მასალა დაცულია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში; თავად ყიფშიძეს დღიურების

<sup>3</sup> აქ ვერ ჩამოვთვლი ბოლო წლებში ლაზური და შავშური მუსიკალური ნიმუშების ინტერნეტში განმათავსებლებს, რადგან მათი რიცხვი საკმაოდ მრავალია.

გადარჩენილ ნაწილში არაფერი აქვს ნათქვამი სიმღერების ფონოგრაფით ჩაწერის შესახებ.

1930 წელს საბერძნეთში მცხოვრები პონტოს ბერძნებისგან ჩაწერილ იქნა მრავალი დასაკრავი თუ სიმღერა, რომელიც შემდგომ გამოიცა ორდისკიანი ალბომის სახით „Songs of Pontus, recordings of 1930“.

1936 წელს სანქტ-პეტერბურგსა და 1975 წელს თბილისში მცხოვრები ლაზებისგან რამდენიმე სიმღერა ჩაწერა ფილოლოგმა იოსებ მეგრელიძემ. მისი ჩაწერილი ლაზებიდან ნაწილი სარფში, ნაწილი აფხაზეთში, ხოლო ნაწილი კი ლაზეთში იყო დაბადებული. მოპოვებული სიმღერები ნოტებზე გადაიტანეს ეთნომუსიკოლოგებმა ოთარ ჩიჯავაძემ და კახი როსებაშვილმა. გაშიფრული მასალის ნაწილი მეგრელიძემ გამოაქვეყნა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ნომრებში. როსებაშვილის რვეული „ლაზური სიმღერები ჰასან ჰელიმიშის<sup>4</sup> შესრულებით“ ინახება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივში (შემდგომში – ქმნა), ხოლო ხმოვანი ჩანაწერები – თბილისში, გუბაზ მეგრელიძის ოჯახში. თამარ მესხი, მეგრელიძის ჩანაწერების გამოცემის შემთხვევაში, სავარაუდოდ რედაქტორი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან როსებაშვილის რვეულში გამშიფრავად ქალბატონი თამარია მოხსენიებული.

1947 წელს ბათუმში დრეკად ფირფიტებზე, სავარაუდოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რადიოკომიტეტის მიერ, ჩაწერილია რამდენიმე სიმღერა. სამწუხაროდ, მასალა დაკარგულია.

1951 წელს კომპოზიტორმა შალვა მშველიძემ სარფში დააფიქსირა სიმღერები, რომლებიც ნოტებზეც გადაიტანა და ინახება საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში.

1963 წელს გ. ჩხიგვაძის, ზურაბ თანდილავასა და სხვათა მონაწილეობით თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტისა და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კომპლექსურმა ექსპედიციამ სარფში რამდენიმე ნიმუში დააფიქსირა.

1968 წელს ეთნომუსიკოლოგ გრიგოლ ჩხიგვაძის რჩევით თურქეთს ესტუმრა ამერიკელი ეთნომუსიკოლოგი და ანთროპოლოგი (იმხანად ინდიანას უნივერსიტეტის სტუდენტი) პიტერ გოლდი, რომელმაც სხვადასხვა ხალხის (მათ

<sup>4</sup> ხოველი მხატვარი, პოეტი და მომღერალი. სიმღერების „ჰედამოლისა“ და „სარფი მოლენის“ ავტორი.

შორის, ქართველების) მუსიკალური ფოლკლორი ჩაწერა. ეს მასალა პ. გოლდმა თბილისის კონსერვატორიას 2012 წელს გადმოსცა. არქივში პირველი ათი ნიმუში ჭანურია. მათი ნაწილი სხვა ქართულ სიმღერებთან ერთად პატივცემულმა ეთნომუსიკოლოგმა 1972 წელს ორფირფიტიან ალბომად გამოსცა (Georgian folk music from Turkey);

1968 წელსვე უცნობმა ორგანიზაციამ, თურქეთში ფირფიტებზე რამდენიმე ლაზური სიმღერა ჩაწერა;

ამავე პერიოდში ბერლინში გამოვიდა ფირფიტა პონტოს ბერძნების სიმღერა-დასაკრავებით Music der Pontos-Griechen.

1970-იან წლებში გ. ჩხიგვაძემ საქართველოში მცხოვრები ჭანები რამდენჯერმე ჩაწერა. ჩხიგვაძე მუშაობდა ძირითადად სარფში, მაგრამ ყოფილა როგორც აჭარის სხვა სოფლებში (მაგალითად კვარიათში, სიმონეთში), ისე აფხაზეთშიც. იგი დადიოდა ყველგან, სადაც რამდენიმე ჭანური ოჯახი მაინც ცხოვრობდა. მის მიერ ფიქსირებული მასალებიდან ხელმისაწვდომი მხოლოდ 1973 წლის მასალა.

გ. ჩხიგვაძემ 1971 წელს შეადგინა ქართული ხალხური მუსიკის მეორე ტომი, რომელშიც 13 ლაზური სიმღერაა შესული (სამწუხაროდ, კრებული არ გამოცემულა), ხელნაწერი ინახება ქხმშლ არქივში. რამდენიმე ნიმუში შესულია 2003 წელს გამოსულ კრებულში „ქართული ხალხური მუსიკა. სამეგრელო“. სიმღერები ჩაწერილი უნდა იყოს გ. ჩხიგვაძის, ასევე ი. ყიფშიძის მიერ<sup>5</sup>;

1975 წელს სიმღერა-დასაკრავები სარფში ჩაწერა ეთნომუსიკოლოგმა კახი როსებაშვილმა. ეს ჩანაწერები ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში. როსებაშვილმა 1981 წელს კრებულში „ქართული ხალხური სიმღერები“ გამოაქვეყნა ხორუმი კავალზე;

1979 წელს თურქოლოგმა წათე ბაწაშმა, ათინელი ჭანის მევლუდ კარაგიოზის დახმარებით, იზმირსა და მის შემოგარენში მცხოვრები ლაზებისგან ჩაწერა მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები. სამწუხაროდ, მასალა დაკარგულია.

1980-იან წლებში (და არა 1960-იანში, როგორც ჩემს სამაგისტრო ნაშრომში გწერდი) ანსამბლი „ლაზეთი“ ჩაწერა აჭარის რადიომ, ძველი სიმღერების გვერდით წარმოდგენილია განათამედროვებული ნიმუშებიც (რომელთა ნაწილი ინახებოდა აჭარის სახელმწიფო არქივში).

<sup>5</sup> სარფელი ედნარ ხორავას (1949-1998) რვეულებში გვხვდება ლაზური რამდენიმე სიმღერის სანოტო ჩანაწერი. სამწუხაროდ ჩაწერის ვინაობა, გამშიფრავი და სხვა მონაცემები, მითითებული არ არის.

1982 წელს ფილოლოგმა ზურაბ თანდილავაშ რძლის, კამელია მგელაძის კასეტიდან გადმოიწერა გადმა ლაზეთში ჩაწერილი ორი სიმღერა (კამელიას ოჯახში ჩანაწერები აღარ ინახება), ხოლო 1989-90 წლებში სარფსა და გადმა ჭანეთში თავად ჩაატარა რამდენიმე ექსპედიცია.

1990-იანი წლებიდან დღემდე გადმა ლაზეთში სიმღერებს იწერენ ადგილობრივი მკვიდრები ბიროლ თოფალოდლუ, კომპიუტერული პროგრამების სპეციალისტი ისმაილ ბუჯაკლიშვი, ასევე იაპონელი ეთნოლოგი, ფილოლოგი და კომპოზიტორი გოიჩი კოჟიმა. მათ მიერ მოპოვებული მასალის დიდი ნაწილი მიუწვდომელია.

1997 წელს თურქულმა მხარემ გადაიდო ფილმი „Arhavi Belgeseli“ ანუ არქაბეს ამბები. 2009 წელს კი „Lazlar / 4000 Yillik Tarih / Belgesel“ (ლაზების 4000-წლიანი ისტორია).

1995 წლიდან სარფში იმხანად მოქმედი ანსამბლი „ჰეიამო“ და ჩასაბერი საკრავის, პილილის ოსტატი ილია აბდულიშვი ჩაწერეს: ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა (1995), ეთნომუსიკოლოგმა ნატალია ზუმბაძემ (2000), ეთნომუსიკოლოგებმა მარინა კვიუნაძემ და ნიკოლოზ უორდანიამ (2000), ოპერატორმა გივი ქსოვრელმა (2001), ეთნომუსიკოლოგმა ვიქტორია სამსონაძემ (2005), ეთნომუსიკოლოგმა ნინო კალანდაძე-მახარაძემ (2008), მურმან ქამადაძემ (2008), არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ჩაწერა (2008), 2008 წელს აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტმა ინგა ხალვაშმა „ჰეიამოსა“ და ილია აბდულიშვის შესახებ მოამზადა გადაცემა „ლაზის სიმღერა“. 2009 წელს სარფის მუსიკალური ფოლკლორის ჩასაწერად რეჟისორ სოსო (იოსებ) სტურუასთან ერთად იმოგზაურა ანსამბლმა „ქართულმა ხმებმა“ და ამავე წელს სატელევიზიო ეთერში გავიდა გადაცემა „ქართული ხმების კვალდაკვალ“.

2000-იანი წლებიდან ლაზურ მუსიკას იწერს და იკვლევს თურქი ეთნომუსიკოლოგი აბდულაზ აკატი.

2008 წელს რეჟისორმა და ჟურნალისტმა გიორგი კალანდიამ გადაიდო ფილმი „მონატრებული ლაზეთი“.

2010 წელს სარფსა და გადმა ჭანეთში ნიმუშები ჩაწერა ეთნოლოგმა გიორგი ჭეიშვილმა. მასალა ჯერჯერობით ხელმიუწვდომელია.

2010 წლის სხვადასხვა დროს ეთნომუსიკოლოგებმა ოთარ კაპანაძემ და თემია რუხაძემ ჩაწერეს ნაზი მემიშიში.

2011 წელს გიორგი ჯანელიძემ გადაიღო ფილმი „სარფის სიმღერა“, რომელშიც შესულია სარფსა და ხოფის რ-ნის სოფ. ქემალფაშაში (ნოღედი) ჩაწერილი სიმღერები.

2011 წელს სარფსა და სარფსგაღმა პოეტ იაშა (იაკობ) თანდილავას დახმარებით ხალხური მუსიკა ჩაწერა იაპონელმა ეთნოლოგმა კაე ჰისაოკამ (ასლი ინახება ქხმშლ არქივში).

2012-2013 წლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით სარფსა და სარფსგაღმა მუსიკალური ნიმუშები ჩაწერა ფილოლოგმა ნატო ახალაიამ.

2010 წელს მე და ეთნომუსიკოლოგმა თამაზ გაბისონიამ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩავწერეთ ჭანური სიმღერები.

2011, 2012, 2014, 2016 და 2017 წლებში არაერთგზის ჩავწერე საქართველოში, კერძოდ სარფში, კვარიათში, გონიოში, და ბათუმში მცხოვრებ ჭანებს.

2017 წელს ნინო რაზმაძესთან ერთად ჩავწერე პილილზე დამკვრელი ვასო კაგაბაძე.

2012 და 2017 წლებში კი ჩავწერე თბილისში მცხოვრები აფხაზეთის ჭანები.

2012 წელს ბიზნესმენ მერაბ ფაშალიშვილთან ერთად რამდენჯერმე ვიყავი გაღმა ლაზეთში, თუმცა მნიშვნელოვანი მასალის მოძიება იმხანად ვერ მოხერხდა, ვინაიდან ბატონი მერაბის სანაცნობო წრე ძირითადად ახალგაზრდა და შუახნის თაობის ადამიანებისგან შედგებოდა. მოვლილ ქალაქებსა თუ სოფლებში ეთნოფორების ძირფესვიანი ძებნის შესაძლებლობა იმხანად არ მქონდა.

2014 წელს რუსთაველის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით სარფსგაღმა ჩავატარე ორი ექსპედიცია. პირველს მეგზურობდა ზურაბ ვანილიში, მეორეს კი – ნაზი მემიშიში. მოვიარეთ ხოფის (ხუფათის), არპავის (არქაბეს), ფინდიკლის (ვიწეს), არდაშენისა (არტაშენის) და ფაზარის (ათინას) რაიონები.

ამავე წელს აფხაზეთში მცხოვრები პონტოს ბერძნები ჩაწერა Ored recording-მა.

ლაზური დასაკრავები დაფიქსირდა არალაზებისგანაც: მხედველობაში მაქს ვლადიმერ ახობაძის 1958 წლის აჭარისა და 2005 წლის ხელვაჩაურის რაიონის (ხელმძღვანელი ნატალია ზუმბაძე) ექსპედიციები. მასალა ინახება ქხმშლ და ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (ტბესც) არქივებში.

ბერლინის ფონგრამარქივისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ გამოცემულ კომპაქტდისკში „ექო წარსულიდან“ 54-ე ნომრად შეტანილია თითქოსდა ლაზური საცეკვაო, მაგრამ თავად ბუქლების ავტორების აღნიშვნით „არ არის გამორიცხული, რომ მელოდია თურქეთიდან იყოს შემოტანილი ეს ნიმუში ნოტირებულია ზიგფრიდ ნადელის მიერ“ (წურწუმია, ციგლერი: 2014:88). ვინაიდან ამ სიმდერის ერთერთი შემსრულებელი ნიკოლოზ ყაზბეგი წიგნ „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ ავტორის გიორგის შვილია (იქვე, 87), შესაძლოა მამამისს ეს მელოდია თურქეთის საქართველოში მოგზაურობისას დაეხსმახსოვრებინა.

ჭანური მუსიკალური ფოლკლორი არც თუ მცირე დოზითაა ძირითად თუ დამხმარე ლიტერატურაში განხილული.

1964 წელს გამოდის ეთნოგრაფ მუხამედ ვანილიშისა და ისტორიკოს ალი თანდილავას წიგნი „ლაზეთი“, რომელშიც საუბარია სიმდერების სოციალურ ფუნქციაზე. ჩამოთვლილია საკრავებიც, თუმცა არ არის აღწერილი მათი დამზადების წესები და რეპერტუარი.

1972 წელს გამოიცა ზ. თანდილავას „ლაზური პოეზია“. მასში საუბარია ძირითადად შრომის, საქორწინო და სამგლოვიარო პოეზიაზე. წიგნის მთავარი ღირსება მრავალი ჭანური სიმდერის სოციალური ფუნქციის განხილვაა. ავტორი ასევე ცდილობს, ყურადღება მუსიკალურ საკითხებზეც გაამახვილოს. საუბრობს უმეტესად სიმდერების ინტონაციურ მხარეზე. სამწუხაროდ, წიგნს არ ერთვის სანოტო ნიმუშები, რის გამოც ზოგიერთი მუსიკალური დაკვირვება საკამათო ან გაუგებარია (მათ თავ-თავის ადგილას განვიხილავ). ავტორს ნაოსნობა-მეთევზებასთან დაკავშირებული ნიმუშები შრომის პოეზიაში შეჰქავს (სავარაუდოდ, სიტყვიერი ტექსტების გამო), მაშინ, როცა მუსიკალური თვალსაზრისით შრომის სიმდერად მათგან მხოლოდ „ჰელესა“ უნდა განვიხილოთ, დანარჩენები კი ლირიკული სიმდერებია.

1973 წელს ფილოლოგი ჯემალ ჩხეიძე აქვეყნებს წიგნს „შრომის პოეზია ქართულ ფოლკლორში: აჭარული მასალების მიხედვით“ სადაც მსჯელობს ჭანურ სიმდერა „ელესას“ სიტყვიერ ტექსტებსა და სოციალურ ფუნქციაზე.

იმავე წელსვე გ. ჩხილვაძე წერს მოხსენებით ბარათს, რომელშიც 1973 წლის ექსპედიციაზე საუბრობს. მისი წლიური 1980 წლის ნაშრომის (ვეხები ქვევით) ძირითათო დებულებები ხსენებულ ბარათშია მოცემული. ეს გარემოება როგორც

მე, ისე ეთნომუსიკოლოგ თამარ მესხეს გვაფიქრებინებს, რომ 1974-79 წლებში ჩხილები მცირე მასალა ჩაწერა.

1975 წელს დაიწერა პ. როსებაშვილის ნაშრომი „დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ჩასაბერი საკრავები, I ნაწილი“ (ხელნაწერი დაცულია ქხმშლ არქივში). მასში მიმოხილულია პილილის დამზადების წესები. იგივე ინფორმაციაა მოცემული მის 1984 და 85 წლების ნაშრომებში.

1978 წელს გაზეთში „ოქტომბრის გზით“ ილია ესიტაშვილი აქვთნებს წერილს „ხალხური მუსიკის მოამაგე“, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ იმავე წელს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისა და თბილისის კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრის მიერ ორგანიზებულმა ექსპედიციამ (ხელ. გ. ჩხილები) სარცში ჩაწერა ახალი ჭანური ერთ და ორხმიანი სიმღერები: „ლაზისტანი“, „ელესა“, „უჩა-ფორჩა“, „ლაზური ნანა“ და ა. შ. ლაზურ სიმღერებთან ერთად შესწავლილი იქნა სხვა ნიმუშები, რომლებიც საინტერესო ყოფილა როგორც თავისი ქორეოგრაფიით, ასევე ინსტრუმენტული მუსიკით“ (ესიტაშვილი, 1978:7). ზოგიერთი, მაგალითად „უჩა-ფორჩა“ რა სიმღერაა, უცნობია, რადგან ჩხილების არქივის დიდი ნაწილი დაკარგულია, მოპოვებული მასალა კი სამწუხაროდ არც ი. ესიტაშვილთან ინახება.

1980 წელს მიეკუთვნება გ. ჩხილების შრომა „ლაზეთი და თანამედროვე ლაზური სიმღერა“ (ხელნაწერი დაცულია ქხმშლ არქივში). იგი ჭანურ მუსიკაზე შექმნილი პირველი ნაშრომია. ხელნაწერში მთავარი ადგილი მრავალხმიანობის საკითხს უჭირავს. ჩხილები მიმოიხილავს ი. ყიფშიძის მიერ 1917 წელს ჩაწერილ მასალას. ეს მიმოხილვა, ხმოვანი და გაშიფრული მასალის დიდი ნაწილის დაკარგვის მიუხედავად, ჩვენთვის ფასდაუდებელია. ავტორისგან ვიგებთ, რომ ყიფშიძის ჩაწერილი ყველა სიმღერა ერთხმიანია. ჩხილები ასევე აღწერს სარცში სიმღერების გამრავალხმიანების გზასა და პერიოდს; მოაქვს ყასიძ ბეჟანიძის ცნობა მრავალხმიანობის საკითხზე; ახასიათებს „კოლხობის“ პირველ დღესასწაულს.

სამწუხაროდ, ეს ნაშრომი ხარვეზებსაც შეიცავს: მაგალითად, ვასილ კაგაბაძის, ილია აბდულიშვილისა და ბესარიონ ხორავას მიერ შესრულებულ ორხმიან „ე ა სიეს“ ჩხილები ლაზური მრავალხმიანობის შემორჩენილ ნიმუშად მიიჩნევს, თუმცა თავადვე უჭვიც შეაქვს ამ მოსაზრებაში (ჩხილები, 1980:39). 2011 წელს ჩემს მიერ ჩაწერილმა ვასილ კაგაბაძემ (დანარჩენები ცოცხლები უკვე აღარ იყვნენ) ამ ნიმუშის გვიანდელი გამრავალხმიანება დაადასტურა. ჩხილების ნაშრომში საკმაოდ

დიდი ადგილი ეთმობა ჭანების ისტორიას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამავე დოზით არ არის განხილული ჭანური მუსიკის უანრული თუ ინტონაციური მხარეები. უცნაურია ჩეიკვაძეს აზრი დატირებაზე, რომელიც, მის მიხედვით, მხოლოდ სიმონეთელ ოსმან ხოჯიშვილს ხსომებია (იქვე38), ამ დროს ქალებისგან დატირების არაერთი ნიმუში ჩამიწერია სარფშიც და სარფსგალმაც. ჩეიკვაძე საკრავებს შორის არ იხსენიებს ქამანჩას, მაშინ, როდესაც მასზე დამკვრელები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. მეტიც, ჩეიკვაძის 1973 წლის საექსპედიციო მასალაში შესულია ორი სიმღერა ქამანჩის თანხლებით, გადმოწერილი 1968 წელს გამოცემული ფირფიტიდან.

გ ჩეიკვაძე 1980 წელსვე წაკითხულ მოხსენებაში – ლაზური ხალხური მუსიკის თანამედროვე მდგომარეობა – აღნიშნავს, რომ მუსიკალური ნიმუშები ჩაუწერია აფხაზეთშიც, კერძოდ სოხუმისა და გუდაუთის რაიონებში (ჩეიკვაძე, 1980ა:7). საინტერესოა, რომ გ. ჩეიკვაძე თავის წლიურ ნაშრომში „ლაზეთი და თანამედროვე ლაზური სიმღერა“ მხოლოდ სარფსა და მის შემოგარენზე (კვარიათი, მახო, სიმონეთი, თხილნარი და ა. შ.) წერს, რომლებშიც თითო-ოროლა ლაზური კომლი ცხოვრობდა, თუმცა მუსიკალური მასალა მხოლოდ კვარიათსა და სიმონეთში დაუფიქსირებია. თავის წლიურ სამეცნიერო ნაშრომში ლაზური მუსიკის სისტემატურად შეკრების თარიღებად მოიხსენიებს პერიოდს 1971 წლიდან 1977 წლამდე, ხოლო მოხსენებაში კი 1972-1979 წლებს. ქალბატონი ნინო ფირცხალავა (რომელიც იმხანად ბატონი გრიგოლის სტუდენტი იყო) ჩეიკვაძესთან ერთად სარფისა და სოხუმის ლაზებში 1978 წელს იმყოფებოდა და ესიგაშვილის სტატიაც ამ წელს დაიწერა. ვინაიდან 1973 წელს დაწერილ მოხსენებით ბარათში ოსმან ხოჯიშვილის დატირებასა და ყასიმ ბეჟანიძის ცნობასთან დაკავშირებით ჩეიკვაძე 1971 წელსაც ახსენებს და თან მადლობას უხდის ქორეოგრაფ ალექსანდრე ჯიჯეიშვილს სარფელებთან ექსპედიციის მოწყობისათვის, უნდა ვიფიქროთ, რომ საექსპედიციო მიზნით 1971 წელსაც იმყოფებოდა. მასალები რომ ამ წელსაც ჩაუწერია, ეს ფაქტი იმავე წელს შედგენილ კრებულში კომუნისტური სიმღერის „ჩქინ ლაზეფეს“ შეტანითაც დასტურდება. ამგვარად, ბატონი გრიგოლის საექსპედიციო საქმიანობა 1971-79 წლებს უნდა მოიცავდეს.

2005 წელს დაიწერა ვ. სამსონაძის ნაშრომი „ლაზური ხალხური სიმღერები, ნაწ. I“, რომელშიც წარმოდგენილია როგორც საკუთარი, ისე ჩეიკვაძის ექსპედიციების მასალები. ძირითადი ადგილი აქ პილილთან დაკავშირებულ საკითხებს უკავია, თუმცა, შეძლებისდაგვარად მიმოხილულია სხვა საკითხებიც.

სამსონაძეს სარფის ტრიო „პეიამოს“ წევრებისგან (ნელი ვანიძე, ლილი აბდულიშვილი, ლია შეროზია) ჩაწერილი აქვს ორი ორხმიანი სიმღერა („არავანი“ და „მექთი ქელე დუხედი“), რომლებსაც მრავალხმიანობის შემორჩენილ ნიმუშებად მიიჩნევს. 2011 წელს ჩემი კვლევის შედეგად კი გაირკვა, რომ ეს სიმღერები თურქეთის ჭანებისგან არის ნასწავლი და ანსამბლში შემდგომ გამრავალხმიანებული.

ლაზურ მუსიკალურ ფოლკლორს მცირე ადგილს უთმობს ა. ერქომაიშვილი თავის წიგნში „ანსამბლი რუსთავი ორმოცი წლისაა“. იგი აღწერს ანსამბლ „რუსთავის“ რამდენიმე გასტროლს თურქეთში. როგორც ირკვევა, ბატონი ანზორი 1995 წელს კომპლექსური ექსპედიციის წევრიც ყოფილა (ხელ. დიმიტრი დუნდუა). მაშინ ქალაქ რიზეს საოჯახო რეწვის სასწავლებელში შეუსრულებიათ თურქული სიმღერები ქამანჩისა და ზურნის თანხლებით. ავტორის მიერ აღწერილი ქამანჩა ლაზებში გავრცელებული საკრავია. გასარკვევია, ეს საკრავი და ზურნა ერთად ჰდერდა თუ ცალ-ცალკე? თუ გავითვალისწინებთ ქამანჩის ნაზ ტემპს, მას ცალკე უნდა დაეკრა. სიმღერები შეუსრულებიათ ქ. რიზეში, სადაც ძირითადად მუსულმანი სომხები და თურქულენოვანი ჭანები ცხოვრობენ. ვინაიდან ქამანჩა ჭანურ მუსიკაში საკმაოდაა გავრცელებული, უნდა ვივარაუდოთ, რომ მასზე შესრულებული ნიმუშებიც თურქულენოვანი ლაზური სიმღერები იქნებოდა. თურქულად მღერის შემთხვევები ხშირია ჩვენებურების მუსიკალურ ფოლკლორში და ამ მხრივ გამონაკლისი არც ჭანეთია.

თუ ქამანჩის შემთხვევაში ნიმუშების ლაზურობა სავარაუდოა, გუდასტვირის (თურქულად – თულუმი, ერქომაიშვილი თავის წიგნში „ტულუმად“ იხსენიებს) შემთხვევაში ავტორი ჭანურ ფოლკლორზე საუბრობს. იგი არასრულად აღწერს საკრავის ნაწილებს და, რაც მთავარია, არ ახსენებს გუდასტვირის ლაზურ სახელწოდებას. წიგნის თურქული ეპიზოდის ეთნოგრაფიული ნაწილის მთავარი ღირსება ლაზური ცეკვების აღწერაა.

აუცილებლად უნდა შევჩერდე ფილოლოგ და ისტორიკოს მიხეილ ლაბაძის მიერ 2012 წელს სარფი იმხანად მოქმედ ანსამბლ „შურიმშინეზე“ გადაღებული ამავე სახელწოდების ფილმზე, რომელიც თავისი შინაარსით ფაქტიურად მცირე ზომის წიგნია. ნამუშევარში დაშვებულია მრავალი შეცდომა. ამის შესახებ ვწერდი 2014 წლის უკრნალ მუსიკის მეორე ნომერში, თუმცა სადისერტაციო ტექსტშიც ბევრი რამ უნდა გავიმეორო. კერძოდ, მცდარია ლაბაძის მტკიცება სარფულ და კვარიათულ სიმღერებში მრავალხმიანობის შემორჩენის შესახებ, მაშინ როდესაც სინამდვილეში ეს ნიმუშები 1960-70-იანი წლების მიჯნაზე გაამრავალხმიანეს

(ამაზე ვრცლად ლაზეთის ქვეთავში ვსაუბრობ). უფრო მეტიც, 1927 წელს სარცხი დაბადებული და 1950 კვარიათში საცხოვრებლად გადასული ვასვიე მემიშიში ანსამბლის წევრებთან უნისონში მდერის. ფილმში ჭანურად წარმოდგენილი „ალილო“, სინამდვილეში მეგრულია.

რაც შეეხება ანსამბლ „შურიმშინებ“ შემოქმედებით პრინციპებს: იგი მეორეული ანსამბლია, რომლის მიზანია ძველი თუ ახალი ჭანური ნიმუშების დამუშავებული სახით შესრულება. ანსამბლის წევრები უკრავენ ფანდურსა და სალამურზე, რაც ჭანური კულტურისთვის ორგანული არ არის. მართალია, ფილოლოგმა მიხეილ ლაბაძემ საინტერესო ანსამბლი (ამჟამად დაშლილი) წარმოაჩინა, თუმცა ფილმში დაშვებული შეცდომები, რომელიც თურქულენოვან ვერსიაშიც მეორდება, ნამუშევარს გარკვეულ ჩრდილს აქენებს.

თურქეთში მცხოვრები ჭანები ბოლო წლებში ხშირად ეხებიან მუსიკალურ საკითხებს. ამის მაგალითია ი. ბუჯაკლიშის წერილი „ლაზური ცეკვები – პორონები“ (ბუჯაკლიში, 2015გ:523-531). ავტორი ტენდენციურად (ანტიქართულად) მიმოიხილავს ლაზეთში არსებული საკრავების წარმომავლობის საკითხს. სამაგიეროდ, შენიშვნები არა მაქვს მის სხვა ეთნოგრაფიულ წერილებთან დაკავშირდებით, რომლებიც ასევე ზემოთ ხსენებულ წიგნშია შესული.

საყურადღებოა, (თუმცა, ტენდენციურიც) ეთნომუსიკოლოგების – ოზგე დენიზჯისა და აბდულაჰ აკატის მოხსენებები. მათთან დაკავშირებით დღესაც მაქვს შეკითხვები, განსაკუთრებით – საკრავების წარმომავლობის საკითხში. აბდულაჰის სტატის დადგითი მხარედ მიმაჩნია ძველ შავშურ და ტაოურ გუდასტვირებზე თვლების რაოდენობის დადგენა.

**აჭარის თურქული ნაწილი, მუჭაჯირი აჭარლები და ქობულეთლები: ბორჩხის, ფაცას, ინეგოლისა და შამლის რაიონები**

თურქეთის მაჭახელაში პირველი ექსპედიცია გერმანიაში მცხოვრებ მაჭახლელს (ვინაობა უცნობია) 1975 წელს ჩაუტარებია და მასალა ბაიარ შაპინ გუნდარიძესთან ინახება. ანსამბლი მაჭახელა ჩაწერეს: იბერია მელაშვილმა (2001), ეთნოგრაფმა როინ მალაყმაძემ (2001), გუნდის დირიჟორმა გიორგი დონაძემ (2004), მომღერალმა ბაიარ შაპინ გუნდარიძემ (2006). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საქმეთა საქართველოს ეროვნულმა კომისიამ, ეთნომუსიკოლოგ ნანა ვალიშვილის მონაწილეობით (2008). მაჭახლური რეპერტუარი შესულია აგრეთვე როინ მალაყმაძის ფილმში „ლიგანის

ხეობა“ (2002). მაჭახლის ხეობა გადაიღო აჭარის ტელევიზიის გადაცემა „ერთი დღე სოფელში“ ჯგუფმა ნათია თავდგირიძის ხელმძღვანელობით. მასალა ეთერში 2017 წელს გავიდა.

მუჭაჯირი აჭარლები:

1963 წელს რეჟისორმა გიორგი ასათიანმა ჩაწერა რამდენიმე ნიმუში (მასალა ხელმიუწვდომელია).

ახმედ ოზქან მელაშვილმა საფრანგეთში მოღვაწე ილია ჯაბადართან ერთად 1965 წელს ჩაწერა ხალხური მუსიკის ნიმუშები. 1968 წელს მელაშვილის ავტორობით გამოცემული წიგნის „Gürcüstan“-ის სანოტო დანართში 1965 წელს ფიქსირებული სიმღერებია წარმოდგენილი.

მუჭაჯირებთან 1968 წელს მელაშვილთან ერთად იმყოფებოდა პ. გოლდი (ინდიანას უნივერსიტეტის ექსპედიცია). გოლდმა 1972 წელს გამოსცა ორი ფირფიტისგან შემდგარი კომპლექტი „Georgian folk music from Turkey“.

1979 წელს კინორეჟისორმა გურამ პატარაიამ გადაიღო ფილმი. ეთნომუსიკოლოგ ედიშერ გარაფანიძის აზრით პატარაიამ და გოლდმა ძირითადად ერთი და იგივე სიმღერები ჩაწერეს (გარაფანიძე, ე. 1988:40), რაც მცდარია, რადგან, ორიოდე ნიმუშის გარდა, დანარჩენი გოლდის ფირფიტიდანაა აღებული. იმხანად ფილმის ხშირი ნახვის შესაძლებლობა არ იყო და გარაფანიძის აზრის სიმცდარეც ამან განაპირობა. გარაფანიძე აგრეთვე ახსენებს ჯაბადარს (იქვე), რომელიც ხემოხსენებული ილია ჯაბადარი აღმოჩნდა.

1982 წელს პაირიელებმა ვიდეოზე გადაიდეს თავიანთი სოფელი.

1999 წელს ძველი მაყრული ჩაწერა უურნალისტმა ოთარ ფუტკარაძემ. მასალა აჭარის რადიოს ეთერით გავიდა გადაცემათა ციკლში „შორეული ახლობლები“.

2007 წელს ი. სტურუამ გადაიღო ფილმი „დასავლეთი ანატოლია. ინეგოლი.

ამავე წელს გადაცემა „დროების“ გადამღებმა ჯგუფმა გ. კალანდიას ხელმძღვანელობით მუჭაჯირ აჭარელთა სოფლებში გადაიღო რამდენიმე ნიმუში. სიუჟეტები გავიდა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში.

2015 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის, ტრაპიზონის ქარადენიზის ტექნიკური უნივერსიტეტისა და სტამბულში არსებული ქართული კულტურის სახლის ერთობლივმა ექსპედიციამ იმუშავა (ხელმ. ნინო რაზმაძე და აბდულაზ აკაბეგი).

ამავე წელს მუპაჯირთა რაიონები მოიარა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ექსპედიციამ (ხელ. ანზორ ერქომაიშვილი), რომელმაც აჭარულთან ერთად სავარაუდოდ კლარჯული მუსიკაც დააფიქსირა.

2016 წელს მუპაჯირებს ესტუმრა აჭარის ტელევიზიის გადაცემის „ერთი დღე სოფელში“ ჯგუფი ნათია თავდგირიძის ხელმძღვანელობით. გადაცემები აჭარის ტელევიზიის ეთერში 2017 წელს გავიდა.

რაც შეეხება მუპაჯირ ქობულეთლებს:

1990 წელს ზურაბ თანდილავამ დავით ხახუტაიშვილთან ერთად რამდენიმე ნიმუში დააფიქსირა.

2001 წელს ო. ფუტკარაძემ დააფიქსირა რამდენიმე ერთხმიანი ნიმუში. მასალა აჭარის რადიოს ეთერით გავიდა გადაცემათა ციკლში „შორეული ახლობლები“.

2008 წელს ფილოლოგებმა შუშანა ფუტკარაძემ და მზია ხახუტაიშვილმა ჩაწერეს რამდენიმე ნიმუში.

2009 წელს ქობულეთლებს ქუთაისის ტელეკომპანია „რიონის“ გადამდები ჯგუფი ესტუმრა ფილოლოგების: თამარ დვინიანიძის, ტარიელ ფუტკარაძისა და ავთანდილ ნიკოლეიშვილის ხელმძღვანელობით (ნაწილი მესამე. გადაცემათა ციკლიდან „საქართველო-თურქეთი: გრძელი გზა“).

2012 წელს ფაცას რაიონშივე იმუშავა ბათუმის რუსთაველის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელ. მამია ფადავა).

გოლდი ხენებულ სტატიაში მიმოიხილავს ინეგოლის რ-ნის სოფ. ჰაირიეს მუსიკალურ ფოლკლორს და სოფლის მკვიდრთ „ისტორიულ შავშელებად“ მოიხსენიებს, რის გამოც გარაფანიძემ, ჯერ კიდევ 1987 წელს ურნალ საბჭოთა ხელოვნების მექქვე ნომერში „ზოგიერთი ქართული მუსიკალური დიალექტის დადგენისათვის“ ჰაირიე შავშური მუსიკალური ფოლკლორის ნაწილად განიხილა.

გარდა გოლდის ხენებული სტატიისა, ჰაირიეს სიმღერა-დასაკრავებები სოციალური ფუნქციის თვალსაზრისით, განხილულია ნინო ოქროსცვარიძის 2012 წელს გამოქვეყნებულ წიგნშიც „ოჯახი და საოჯახო ყოფა თურქეთელ ქართველებში (ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს მოსახლეობის მაგალითზე)“.

2008 წელს ზედა მაჭახელში ჩატარებულ კომპლექსურ ექსპედიციას (რომლის წევრიც ეთნომუსიკოლოგი ნანა ვალიშვილი იყო), ეხება ქართველურ მემკვიდრეობაში როზეგა გუჯეჯიანის, გიორგი ჭეიშვილისა და სხვათა ავტორობით 2008 წელს გამოქვეყნებული სტატია „ეთნოგრაფიული ზედა მაჭახელი“. ავტორები მხოლოდ მაჭახელაში ფიქსირებული სიმღერების ხმების

რაოდენობით შემოიფარგლენ. ზედა (თურქეთში მოქცეული) და ქვედა (საქართველოში დარჩენილი) მაჭახლის მუსიკალური ფოლკლორის შედარებისას გამოირკვა, რომ სამხმიანობა მხოლოდ ხელვაჩაურის ონის სოფლებში დაფიქსირდა, ბორჩხის ტნის მაჭახლურ სოფლებში – მხოლოდ ორხმიანი ნიმუშებია. სტატიის ავტორთა სამართლიანი დასკვნით, მაჭახლური სიმღერებისთვის იმთავითვე ორხმიანობა უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ასევე ორხმიანია ინეგოლის რაიონის სოფლების, ჰაირიესა და თუფეხჩიყონადის – სიმღერებიც.

### **შავშეთი – შავშათის რაიონი, ასევე ბურსის ვილაიეთის სოფელი ბოდაზქო**

1994 წელს სიმღერები ჩაწერეს დიმიტრი გუნდუამ და ანზორ ერქომაიშვილმა.

1990-2000-იანი წლების მიჯნაზე ო. ფუტკარაძემ ჩაწერა რამდენიმე ნიმუში. მასალა გადაიცა აჭარის რადიოს ეთერით გადაცემათა ციკლში „შორეული ახლობლები“.

ამავე წლებში შავშური მუსიკა ჩაწერა ადგილობრივმა გუნდუზ ათაბეიზ (ათაბეგმა).

2005 წელს რუსთაველის უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ექსპედიციის ფარგლებში (ხელ. მ. ფადავა) მუსიკალური ნიმუშები დააფიქსირა თორნიკე ფადავამ. სამწუხაროდ მასალა დაკარგულია.

2005-06 წლებში სტურუამ გადაიღო ფილმები: „საახალწლო ჩვეულებანი“, „შავშეთ-იმერევი“, „ჩვენ მარიობა არ დაგვიშლია“ და „შავშეთურები“.

2006 წელს რეჟისორმა ნიკო წულაძემ გადაიღო ფილმი „მზიანი დამის ფერები“.

2007 წელს ტელეკომპანია იმედის გადაცემა „დროების“ გადამდებმა ჯგუფმა გ. კალანდიას ხელმძღვანელობით რამდენიმე სიმღერა ჩაწერა. მოპოვებული მასალა აჩვენეს სიუჟეტში „მარიობა“.

2006 და 2010 წლებში შავშური მუსიკალური ფოლკლორის რამდენიმე ნიმუში გადაიღო რეჟისორმა გია დიასამიძემ. ამ მასალაზე დაყრდნობითა და ჩემი მონაწილეობით მომზადდა და 2015 წელს აჭარის ტელევიზიის ეთერით გადაიცა მისი ორნაწილიანი ფილმი „იმერევი“.

2009 წელს რუსთაველის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური ინსტიტუტის ექსპედიციის ფარგლებში (ხელ. მ. ფალავა), ფილოლოგმა თინა შიომვილმა და ნარგიზ სურმავამ ჩაწერეს რამდენიმე ნიმუში.

2012 წლის აგვისტოში ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციის ფარგლებში (ხელ. ეკატერინე დადიანი და ტარიელ ვუტკარაძე) რამდენიმე ნიმუში ჩაწერა ფილოლოგმა ხატია ჯანგაძემ.

ამავე პერიოდში შავშეთს ეწვია ჯგუფი რეჟისორ ერჯან დურმუშის ხელმძღვანელობით. მასალა გამოყენებულია 2013 წელს გადაღებულ 13 სერიან ოსმალეთის ქართველების დოკუმენტური ფილმში.

2013 წელს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო ინსტიტუტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციის ფარგლებში (ხელ. ეკატერინე დადიანი და ტარიელ ვუტკარაძე) შავშური სიმღერები ჩაწერა ფილოლოგმა ეკატერინე დადიანმა.

2014 წელს რუსთაველის ფონდის დაფინანსებით სიმღერა-დასაკრავები ჩავწერა.

ამავე წელს ბურსას ვილაიეთის სოფ. ბოდაზქოიში მცხოვრები შავშებისგან სიმღერა-დასაკრავები ჩაწერა რუსთაველის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ექსპედიციამ ხელ. მ. ფალავა.

2015 წელს შავშეთს ესტუმრა აჭარის ტელევიზიის გადაცემის „ერთი დღე სოფელში“ ჯგუფი ნათია თავდგირიძის ხელმძღვანელობით. გადაცემა აჭარის ტელევიზიის ეთერით 2016 წელს გავიდა.

შავშურ მუსიკაზე დაწვრილებითი ცნობები პირველად ნიკო მარის „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურებში“ გვხვდება. ნაშრომი რუსულად 1911 წელს გამოქვეყნდა, თუმცა მხოლოდ 2012 წელს ითარგმნა. წიგნში მოცემულია ჭიბონი, მისი ნაწილების სახელები და რამდენიმე სიმღერის ტექსტი. შავშურ მუსიკასთან დაკავშირებით ასევე შეიძლება დავასახელო ფადავას, შიომვილისა და სხვათა ავტორობით 2011 წელს გამოცემული მონოგრაფია – „შავშეთი“. მონოგრაფიაში დიდი ადგილი უჭირავს სიმღერების სოციალურ ფუნქციას, თუმცა უანრები განხილულია სიტყვიერი ტექსტის მიხედვით (მაგალითად: საყოფაცხოვრებო, პატარძლის დასამოძღვრავი სიმღერები), ამგვარი დაყოფის საფუძველი კი ეთნომუსიკოლოგებს არ გაგვაჩნია. „გურჯიჯა ვაიზი“ კი შესაძლოა მოლებისა და ხოჯების შექმნილი იყოს. თ. შიომვილის მიერ 2016 წელს

გამოცემული „შავშური ფოლკლორი“ კი უმეტესწილად მონოგრაფია „შავშეთიდანაა“ ამოზრდილი.

**კლარჯეთი – ბორჩხის, ართვინის, მურდულის, ასევე მუჭაჯირების: პენდექის, გოლჯუქისა და აქიაზის რაიონები**

1970-80-იან წლებში კლარჯულ სიმღერებს იწერდნენ თავად ადგილობრივები: სელატინ ერგუნი (ჰაჯიოლლი) და სულეიმან მერთი.

1977 წელს კლარჯული ნიმუშები საგარაუდოდ ჩაწერა ადგილობრივმა საგარაუდოდ ადგილობრივმა ბაატინ იავუზმა.

1980 წელს ნიმუშები დააფიქსირა ადგილობრივმა ალი ბოლქვაძემ;

2008 წელს კლარჯეთში მუშაობდა გ. დიასამიძე.

2007 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ექსპედიციის ფარგლებში (ხელ. მამია ფადავა), რამდენიმე სიმღერა ჩაწერა თ. შიომვილმა.

2009 წელს კლარჯ მუჭაჯირებს ესტუმრა ქუთაისის ტელეკომპანია რიონის გადამდები ჯგუფი ფილოლოგების: ტარიელ ფუტკარაძისა და ავთანდილ ნიკოლეიშვილის ხელმძღვანელობით (ნაწილი მემკვეთი გადაცემათა ციკლიდან „საქართველო-თურქეთი: გრძელი გზა“).

2015-2016 წლებში ოთხჯერ ვეწვიე კლარჯეთს. 2017 წელს კი კლარჯ მუჭაჯირებთან ვიმუშავე. ექსპედიციები ჩატარდა ა(ა)იპ ფონდ „ჰეიამოს“ ფინანსებით.

კლარჯული ფოლკლორის ფუნდამენტურ შრომად უნდა ჩაითვალოს 2016 წელს ფალავას, შიომვილისა და სხვათა ავტორობით გამოქვეყნებული მონოგრაფია „კლარჯეთი“. აქაც, „შავშეთის“ მსგავსად, უანრები განხილულია სიტყვიერი ტექსტების მიხედვით (მაგალითად, საყოფაცხოვრებო, პატარძლის დასამოძღვრავი სიმღერები). თ. შიომვილის მიერ 2017 წელს გამოცემული „კლარჯული ფოლკლორი“ კი უმეტესწილად მონოგრაფია „კლარჯეთიდანაა“ ამოზრდილი.

## **ტაო – ოუსუფელის რაიონი**

1994 წლიდან მასალას კრებს ადგილობრივი რეჯებ ქეჩეჯი (ყაჭიშვილი). სამწუხაროდ მასალა ხელმისაწვდომი არ არის.

2000-იან წლებში ტაოში გ. კალანდიამ, გადაიღო ფილმი „ერთი ჭოროხის შვილები“.

2009 წელს ადგილობრივმა პასან მაკასხოდლუმ რამდენიმე სიმღერა ჩაწერა. ეს სიმღერებიც ხელმიუწვდომელია.

ამავე წელს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო ინსტიტუტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციის ფარგლებში (ხელ. ე. დადიანი და ტ. ვუტკარაძე) ე. დადიანმაც ჩაწერა ტაოური სიმღერები.

2010 წელს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიციის ფარგლებში (ხელ. მ. ფადავა), მუსიკალური მასალა დააფიქსირა ფილოლოგმა მალხაზ ჩოხარაძემ. ჯერჯერობით მასალა ხელმიუწვდომელია.

2013 წელს მასალები შეკრიბა ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორმა, ფილოლოგმა თამარ მესხიძემ. მის საფუძველზე შეიქმნა რეჟისორ თინათინ ჭაბუკიანის ფილმი „გურჯის გული“.

2014 წელს რუსთაველის ფონდის დაფინანსებით ვეწვიე ამავე კუთხეს.

2017 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ექსპედიციამ (ხელ. მ. ფადავა), ჩაწერა რამდენიმე ნიმუში.

ტაოს ფოლკლორის ზოგად მიმოხილვასა და ცეკვის შესრულების პროცესს აღწერს მ. ფადავა 2011 წელს გამოცემულ წიგნში „შავშური ჩანაწერები“.

ჩემ ხელთ არის თურქეთის საქართველოს მუსიკაზე გამოშვებული ოთხი ნაშრომი: 1927 წელს გამოცემული მუგაჰიდ ზექის Artvin vilayeti hakkında malumatı umumiye, 1929 წელს გამოქვეყნებული მაჰმუთ რაგიფის Sarki anadolu. Türküleri ve Oyunlari, 1937 წელს დაბეჭდილი ანდნან საიგინის/საიგუნის Rize, Artvin ve Kars havalisi. Türkü, saz ve oyunlari. hakkında bazı malymat და 2003 წელს გამოქვეყნებული გორჩი კოუიმას Laz şarkiları. ჯერჯერობით არ შემიძლია ხეგნებული ნაშრომების შინაარსზე მსჯელობა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ წიგნებში მოცემული სიმღერებიდან მრავალხმიანი არცერთი არ არის.

1861 წელს დაირსებულ „სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა საგანეზი“ აღმოჩნდა ია კარგარეთელის, დიმიტრი არაყიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის წერილები (ფუტკარაძე, 2017:589-593). მისივე ცნობით, სამ დიდ ყუთში მოთავსებულია სანოტო არქივი, თუმცა რა მასალაა იქ, უცნობია. სავანეს ხმოვანი არქივი არ გააჩნია.

1940-იან წლებამდე თურქეთის ქართველების ხალხურ მუსიკას იკვლევდნენ მუვაჭიდ ზექი, ადნან საიგინი/საიგუნი და მაჰმუთ რაგიფი. მათ ამ თემას 1927, 1929 და 1937 წლებში წიგნები მიუძღვნეს (ამაზე ქვემოთ). 1940-80-იან წლებში, ზემოთ მოტანილი რამდენიმე შემთხვევის გარდა, ჩემთვის უცნობია ვინმე იწერდა და იკვლევდა თუ არა ჩვენებურების ხალხურ მუსიკას.

1970-იან წლებში ამერიკაში მცხოვრები უკრაინელმა პიზანტიოლოგმა არგადი (იგორ) შევჩენკომ თურქეთში მცხოვრები ქართველებისგან ხალხური სიმღერებიც ჩაწერა (ცნობა მომაწოდა ქორეოგრაფია ომარ თანალიშმა). გარდაიცვალა კემბრიჯში (მასაჩუსეტებსის შტატი) და მისი არქივი შესაძლოა იქ ინახებოდეს.

1990-იან წლებში აჭარის რადიოს ეთერით ჩვენებურებს მრავალი გადაცემა მიუძღვნა ო. ფუტკარაძემ, გადაცემათა შავი მასალა სამწუხაროდ აღარ არსებობს. მანვე 1991 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ჩვენებურთა სიმღერა“, რომელშიც ლექსები (უნოტებოდ) და ზღაპრებია დაბეჭდილი. ნაშრომი, მიუხედავად მისი სახელწოდებისა, მასალის მუსიკალურ მხარეზე ვერანაირ ინფორმაციას ვერ გვაძლევს.

1990-იანი წლებიდან ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორი ჩაწერილი აქვთ ფილოლოგ შუშანა ფუტკარაძეს, კიბერნეტიკოს დიმიტრი დუნდუას და ურნალისტ სერვეთ ვერძაძეს. სამწუხაროდ, მათი მასალები ჩემთვის დღემდე მიუწვდომელია. ასევე მიუწვდომელია ეთნოლოგ ნუგზარ მგელაძის, ფილოლოგ მალხაზ ჩოხარაძის, ისტორიკოს და ეთნოგრაფ როინ მალაქმაძის, ისტორიკოს და ურნალისტ გიორგი კალანდიასა და ფილოლოგ თამარ ლვინიანიძის ფილმებისა თუ გადაცემების შავი მასალაც. 2006-2008 წლებში თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურთა არაერთი დასახლება მოიარა ანსამბლ „შავნაბადას“ ხელმძღვანელმა დავით ცინცაძემ, რომლის ჩაწერილი მასალაც ჯერჯერობით ასევე მიუწვდომელია.

მართალია, მოვიარე არაერთი ინგილოური, ტაოური, შავშური, ლაზური და კლარჯული სოფელი, მაგრამ ჩემ მიერ აქამდე გაწეული სამუშაოც არაა საკმარისი ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის სრული შესწავლისათვის. მოსავლელია კიდევ არაერთი როგორც ქართულენოვანი ისე თურქულ-აზერბაიჯანულენოვანი

სოფლებიც. საფუძვლიანადაა გამოსაკვლევი ირანში მცხოვრები ფერეიდნელებისა და საბერძნეთში მცხოვრები პონტოელი ბერძნების (გაბერძნებული ლაზების) მუსიკალური ფოლკლორი.

მიუხედავად იმისა, რომ დუზჯესა და რიზეს უნივერსიტეტებში არსებობს ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტები, თურქეთის მრავალ ქალაქში არსებობს ქართული კულტურის ცენტრებიც; მაგრამ, არცერთი მათგანი საექსპედიციო პრაქტიკას არ ეწევა. დიდი გასაქანი არც ფოლკლორის ცნობილ შემკრებ ქართველებს ფევზი ჩელებსა და მურატ შაჰინ ძნელაძეს აქვთ. 1988-90 წლებში თბილისის კონსერვატორიაში ქართულ ხალხურ სიმღერებს სწავლობდა სინოპელი ქართველი გიუნეშ ოზგენჩი, თუმცა მას თურქეთის ქართველების ხალხური მუსიკა დღემდე არ ჩაუწერია. ფოლკლორული მასალა თურქეთში მოღვაწე არც სხვა ქართველ მუსიკოსებს (ირინა იაშვილი, მანანა დუგლაძე, ნინო სხვიტარიძე) გააჩნიათ.

ბოლო წლებში თურქულ მედიასა თუ ინტერნეტსივრცეში ხშირად ჟღერს ჩვენებურების ხალხური მუსიკა. ჟღერს როგორც ავთენტური, ისე დამუშავებული სახით.

თურქეთის ქართველების მუსიკალური ფოლკლორის დიქტოფონითა და ნოტებით ფიქსირებაზე 1987 წლიდან აქტიურად მუშაობს ცნობილი მაჭახლელი მომღერალი ბაიარ შაჰინ გუნდარიძე.

### მოზღვებისა და ყიზლარის ქართველები

1890-იან და 1904 წლებში რუსეთში მცხოვრები ქართველების მუსიკალური ფოლკლორი ჩაწერა დ. არაყიშვილმა. ნიმუშები 1916 წელს გამოქვეყნდა გამოქვეყნდა მისივე წიგნში «Грузинское народное музыкальное творчество».

არაყიშვილი ამ სიმღერებს კახური მუსიკალური ფოლკლორის ნაწილად განიხილავდა, რაც იმხანად როგორც მუსიკალური, ისე ისტორიული და ენათმეცნიერული მასალის ნაკლებობასთან იყო დაკავშირებული, ვინაიდნ როგორც მუსიკოლოგიური, ისე ისტორიული და ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც გამარტლებულია ამ სიმღერების ქართლურად მიჩნევა.

რუსეთის ქართველების ცხოვრების გაშუქებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფილოლოგ ალექსანდრე ხახანაშვილს, გან 1888 წელს ადგილობრივებისგან ჩაწერა ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომლებიც გამოაქვეყნა გაზეთ ივერიაში.

ხახანაშვილის შემდეგ ამ თემას კავკასიოლოგი სტეფანე ჩხერიძელი შეეხო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1936 წლის მრომების მეხუთე ტომში გამოქვეყნებული მისი სტატია „ყიზლარ-მოზდოკური ქართული“ ქართულ ენათმეცნიერებაში მოზდოკისა და ყიზლარის ქართველების მეტყველების პირველი გამოკვლევაა, იგი დირექტორია მუსიკოსებისთვისაც, რადგანაც საუბარია სიმღერების სოციალურ ფუნქციაზე.

**პერეთი (საინგილო) – დედოფლისწყაროს, ბეჭაქნის, ზაქათლისა და კახის რაიონები**

1978 წელს ვახუშტი კოტეტიშვილის დავალებითა და მ. ტარტარაშვილის მონაწილეობით ჩაწერილ იქნა სიმღერები და დასაკრავები. მასალა, სამწუხაროდ, 1991 წელს ბატონი ვახუშტის ბინაში გაჩენილმა ხანძარმა გაანადგურა.

1984 წელს ნ. წულაძემ გადაიღო ფილმი „ზღვარი“.

1986 წელს პერეთს აზერბაიჯანელი ეთნომუსიკოლოგი ტაირა ქერიმოვა ეწვია. მან კახის რ-ნის არაქართულენოვან სოფ. გიულლუბში (ვარდიანსა) და სარუბაშში ჩაწერილი სიმღერების ნაწილი 1996 წელს შეიტანა თავის კომპაქტ-დისკზე „Women's love and live“. მისივე თქმით, ქართულენოვანმა პერებმა სიმღერაზე უარი თქვეს (კრავეიშვილი, 2013:67).

1987 წელს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კომპლექსურმა ექსპედიციამ (ტარტარაშვილისა და უორდანიას მონაწილეობით) ჩაწერა საავტორო და ტრადიციული ნიმუშები.

1980-იან წლებში რეჟისორმა ანზორ დოლენჯაშვილმა<sup>6</sup> დააფიქსირა ინგილოური ფოლკლორის ნიმუშები.

1999 წელს კახში გადაღებულ იქნა სპარტაკ ბაჩალიაშვილის ქორწილი.

2005 წელს გიორგი კალანდიამ გადაიღო ორნაწილიანი ფილმი „პერეთი“, ჩაწერილია ზურნა და საავტორო სიმღერები.

2005 წელსვე საგარეჯოს რაიონში კახის რაიონიდან გათხოვილი რუზან სონაშვილისგან ნინო კალანდაძე-მახარაძემ ჩაწერა აკვნის ნანა „დაღ-დაღ“.

იმავე წელს ს. სტურუამ გადაიღო ფილმი „გადმამხარელნი“, სადაც საავტორო სიმღერებია გამოქვეყნებული, ხოლო 2007 წელს გადაღებულ „გაკენისელში“ კი, ძგელი ნანაც არის შესული.

<sup>6</sup> კახის რაიონის სოფელ ქათმისხევში ქართული თეატრის დამაარსებელი და სიმღერის „არ მინახი შენ უურ ქალ“ ავტორი. ინგილოური მუსიკის ნიმუშები გამოიყენა სპექტაკლში „ალაზანს აქეთ“.

2010 წელს ადგილობრივმა მალხაზ ნუროშვილმა პანაშვიდებზე ორჯერ მოახერხა დატირების დაფიქსირება.

2011 წელს არაერთგზის ჩავწერე თბილისში მცხოვრები მართა ტარტარაშვილი (თარხნიშვილი). იგივე პიროვნება იმავე წელსვე ჩაწერეს ეთნომუსიკოლოგებმა: თეონა რუხაძემ და ნინო ჩიტაძემ.

2011-2013 წლებში მართა ტარტარაშვილთან ერთად მოვაწყვე შვიდი ექსპედიცია. ექსპედიციები მოიცავდა როგორც თავად ჰერეთს ისე დედოფლისწყაროს რ-ნის სოფ. სამთაწყაროსაც.

სამთაწყაროს 2014 წელსაც ვეწვიე, როდესაც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური შემოქმედების მიმართულების ექსპედიციის წევრი ვიყავი (ხელ. ნატალია ზუმბაძე).

2013 წელს ტელეკომპანია რუსთავი ორის გადაცემა პოსკრიპტუნის გადამდებმა ჯგუფმა მოამზადა სიუჟეტი „შორეული ჰერეთი“.

2013 წელს დედოფლისწყაროს რაიონს ეწვია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიური მიმართულების ექსპედიცია. ხელ. თ. გაბისონია და ნ. მახარაძე.

2014 წელს ამავე რაიონს ეწვია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიური კვლევის ჯგუფისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიცია. ხელ. ნ. მახარაძე.

2017 წელს ა(ა)იპ ფონდ „პეიამოს“ ხარჯებით, სამთაწყაროში მარტომ ვიმუშავე.

1979 წელს დედოფლისწყაროს კულტურის სამსახურის ყოფილი უფროსის, ნელი გობეჯიშვილის ცნობით (ჩაწერა თბილისის კონსერვატორიის ექსპედიციამ 2014 წ.) დედოფლისწყაროს ექსპედიციის ფარგლებში სამთაწყაროს ეწვია ეთნომუსიკოლოგი ოთარ ჩიჯავაძე. სამწუხაროდ მკვლევარს სოფელში არავერი ჩაუწერია.

1982-1988 წლებში ნიმუშებს იწერდა ფილოლოგი ვასილ აბაშვილი (კუზიბაბაშვილი), მაგრამ ფიქსირებულია მხოლოდ სოლომონ ბარისაშვილის საავტორო სიმღერები, რომელიც 1987 წლის ზემოხსენებულმა ექსპედიციამაც ჩაწერა.

მიუხედავად 2011 წლამდე დაფიქსირებული მუსიკალური მასალის სიმწირისა, უხვად მოგვეპოვებოდა ეთნოგრაფიული ცნობები. თავად დიმიტრი და მოსე

ჯანაშვილების, ბართლომე ხუციშვილისა თუ, უკვე შემდგომ, ეთნოგრაფ ზაქარია ედილის და არჩილ ჯანაშვილის ნაშრომებში დიდი ადგილი უჭირავს საკრავიერ მუსიკასა თუ დამღერების ფაქტებს, თუმცა, დიმიტრი და, შესაძლოა, არჩილ ჯანაშვილის გარდა, ყველა დანარჩენის აზრით ჰერეთში ადგილობრივი სიმღერა-დასაკრავები გამქრალია, საკრავებიდან კი ძირითადი აქცენტი ნალარა-ზურნაზეა გადატანილი. ალფონს ფონ-პლოტტო<sup>7</sup> საქორწინო რიტუალში ამ საკრავების დიდ როლს, ჯერ კიდევ 1870 წელს აღნიშნავდა. მისი ცნობით ინგილოები აზერბაიჯანულად მღერიან და სტატიაში მოტანილი ყოველი ლექსი, ზღაპარი და ანეკდოტი აზერბაიჯანულ ენაზეა ჩაწერილი (Фонъ-Плотто:29, 62). ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა თავის წიგნში „კავკასია“ (რომელიც კავკასიაში ყოფნისას 1858-59 წლებში დაწერა) აღწერს, რა ქალაქ ნუხში ნახახ ცეკვას, აღნიშნავს ორი ზურნისა და ორი დოლის თანხლებას, თუმცა ზურნას, რატომდაც, ქართულ ინსტრუმენტად მიიჩნევს (დიუმა, 1964:248-249).

1958 და 1960 წლებში ჰერეთს ფოლკლორის ცნობილი მოამაგე გიორგი სალუქვაძე ეწვია და „ინგილო-ფერეიდნული ცეკვა „შიკრობა““ დადგა. იგი, თავის წერილში – „ჩემი ტრფიალი ინგილოების მიმართ“, აღნიშნავდა ქორეოგრაფიული და მუსიკალური ფოლკლორის თითქმის მთლიანად დაკარგვას (ჭანიშვილი ალავიძე, 2014:87-88). ამგვარი დასკვნის გამოტანის საფუძველს როგორც გ. სალუქვაძეს, ისე სხვა ავტორებს აძლევდათ ის გარემოება, რომ თავად ადგილობრივი მოსახლეობა მცირე ჰანგებს მუსიკად არ თვლიდა (ასეა დღემდე). ფოლკლორული მასალის მოძიება სალუქვაძეს ისე გასჭირვებია, თავისი ცეკვისთვის მუსიკა თავად შეუთხავს, ხოლო ფერეიდანზე მასალები კი არსებული ლიტერატურული წყაროებიდან და კინოსურათებიდან ამოკრეფილი მასალებიდან აუღია. ირაკლი კანდელაკი პირველი რეჟისორი იყო, რომელმაც 1940-იან წლებში ჰერეთში ფილმი გადაიღო. მისი ორნაწილიანი ფილმი „საინგილო“ (1945) კომუნისტური იდეოლოგიით გაუდენთილი, თუმცა მნიშვნელოვანი ფილმია. ფილმში გამოყენებული მუსიკა (მათ შორის საგარმონოც) დავით თორაძის უნდა იყოს. სამწუხაროდ არც პატივცემულ რეჟისორს და არც კომპოზიტორს ჰერული მუსიკა არ ჩაუწერიათ.

<sup>7</sup> 1869 წელს ჩამოყალიბებული ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის წევრი. (პაპუაშვილი, 2008:13).

1917 წელს ოოდესაც უურნალ განათლებაში დაიწერა მოსე ჯანაშვილის სტატია „ქართველები და ქართული ენა. V. მუსიკა“. მ. ჯანაშვილის პერული წარმომავლობისა და პერეთში ხანგძლივად მუშაობის გამო საუბარი ინგილოურ მუსიკაზე უნდა ყოფილიყო, თუმცა ავტორი მხოლოდ ზოგადქართული მუსიკის ირგვლივ იმხანად არსებული ცნობების მიმოხილვით კმაყოფილდება და პერულ მუსიკაზე არაფერს ამბობს.

განსაკუთრებით უნდა გამოვყო ივანე ჯავახიშვილის წიგნი „მეურნეობის სხვადასხვა დარგი და ზოგიერთი ყოფითი რეალია“, რომელშიც ასახულია 1935 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად მოპოვებული მასალები. ჯავახიშვილი აღწერს პერეთში გავრცელებული თითოეული საკრავის დამზადების წესსა და შესასრულებელი ჰანგების სახელწოდებებს. საკრავების ნაწილებისა თუ ჰანგის სახელწოდებები მიუთითებს მათ არაქართულ წარმომავლობაზე.

ინგილოურ მუსიკაზე მუსიკოლოგი ვაჟა გვახარია შეეხო, მან 1962 წელს გამოცემულ წიგნში - „ქართული მუსიკალურ სისტემათა განვითარება“ - პერული მუსიკა ცალკე დიალექტად გამოყო, და აღნიშნა, რომ პერულ მუსიკას აზერბაიჯანული მუსიკის კვალი ატყვია, თუმცა შესაბამისი მასალა არ წარმოუდგენია.

პერეთის მუსიკალურ ფოლკლორს ი. უორდანიაც შეეხო. 1988 წელს გამართულ ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული ფოლკლორის საკორდინაციო საბჭოს ოცდამეშვიდე სამეცნიერო კონფერენციაზე მან წაიკითხა მოხსენება „ინგილოური მუსიკალური ფოლკლორის პირველი დაზვერვის შედეგები“ (თეზისები გამოქვეყნებულია). ანგარიში 1987 წლის ექსპედიციას ეძღვნება. მოპოვებული მასალის სიმწირემ პატივცემულ ეთნომუსიკოლოგს გამოატანინა მცდარი დასკვნა, რომლის მიხედვითაც კახის რ-ნის სოფ. ალიბეგლოში (ქათმისხევში) ჯერ კიდევ 1920-30-იან წლებში შენარჩუნებული იყო მრავალხმიანი სიმდერები. ნიმუში კი, რომელსაც იგი დაეყრდნო, სინამდვილეში პერული არც ყოფილა და საქართველოდან იყო ნასწავლი. როგორც 2011 წელს, 1987 წლის ექსპედიციის წევრმა მ. ტარტარაშვილმა მითხრა, შემადგენლობაში ჩაწერის პროცესის გასაკონტროლებლად მილიციელი სპეციალურად ჩასვეს. ალბათ, ამიტომაც დაფიქსირდა ტრადიციული რეპერტუარის მხოლოდ მცირე ნაწილი.

ინგილოურ (ისევე როგორც ლაზურ) ნანას შეეხო ნინო მახარაძე თავის სადოქტორო დისერტაციაში და პერული მუსიკა ცალკე დიალექტად გამოყო.

## **ფერეიდანი – ფერეიდნუშაპრის რაიონი**

1968 წელს რამდენიმე ფერეიდნული სიმღერა ბაბინებზე ჩაწერა ირანისტმა ზურაბ შარაშენიძემ. სამწუხაროდ მისი ოჯახის და მასალის ადგილსამყოფელი ჩემთვის დღემდე უცნობია;

1969 და 1972 წლებში მასალა ჩაწერა ირანისტმა მაგალი თოდუამ, სამწუხაროდ, ბაბინები დაკარგულია;

2007 წელს ფერეიდანს ესტუმრა ეთნოგრაფი ინა ინარიძე;

2008-2012 წლებში არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელ. მ. ბერიძე). დაავიქსირა რამდენიმე ფერეიდნული ნიმუში.

2012 წელს თბილისში, ანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქოს უნივერსიტეტში მოწვეული ფერეიდნელებისგან ჩავწერე რამდენიმე სიმღერა. ამავე წელს სატელეფონო საუბრები მქონდა თბილისსა და ქახეთში მცხოვრებ ფერეიდნელებთან.

ირაკლი კანდელაკის ფილმ „ფერეიდანში“ (1944), გ. პატარაიას ფილმში „შორია გურჯისტანამდე“ (1970) სამწუხაროდ ფერეიდნული მუსიკა არ ჩაუწერიათ. ფერეიდნული მუსიკა ფიქსირებული არ აქვს არც ირანში მოღვაწე ცნობილ კომპოზიტორ თენგიზ შავლოხაშვილს. სიმღერა-დასაკრავები შესაძლოა აღმოჩდეს ისტორიკოს საიდ მულიანის (მულიაშვილის) მიერ 2000-იანი წლებიდან შეკრებილ მასალებში. ფერეიდანში ექსპედიცია ჩატარებული უნდა პქონდეს ირანელ ეთნოლოგ ბაბაკ რეზვანსაც, თუმცა მასზე ერთადერთი სტატიის გარდა სხვა რამ ჩემთვის უცნობია.

ირანის ქართველებზე არსებული ლიტერატურიდან ჩემთვის ცნობილია რეზვანის სტატია The Islamization and Ethnogenesis of the Fereydani Georgians რომელშიც მიიჩნევს, რომ, რელიგიური ფაქტორის გამო, გაქრა ფერეიდნული ფოლკლორი. საკრავების ჩამონათვალი და სიმღერების შესრულების დრო და სოციალური ფუნქცია მოცემულია ირანისტების: ზურაბ შარაშენიძის, მაგალი თოდუასა და ეთნოგრაფ თამილა ცაგარეიშვილის წიგნებში.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ირანისტ ჯემშიდ გიუნაშვილის თხოვნით ლექსებს, მუსიკალური მხარის დაუფიქსირებლად თავად ადგილობრივები იწერდნენ. ამ მასალით 2003 წელს შეიკრა წიგნი „ფერეიდნელის ოროგელა“.

2011 წლიდან დღემდე მაქს კონტაქტი როგორც ეთნომუსიკოლოგიის მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან, უნივერსიტეტებთან, მუზეუმებთან და არქივებთან, ასევე კულტურის ხოგიერთი მოდვაწის ოჯახთან. არაერთხელ მიგმართე საქართველოში არსებულ ყველა რადიოსა და ტელევიზიას, შეძლებისდაგვარად შევეხმიანე უკვე დახურული ტელევიზიებისა თუ რადიოების თანამშრომლებსაც; აგრეთვე მივწერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონებსა და დედოფლიწყაროს რაიონში არსებულ არქივებსა და კულტურის ცენტრებს, მაგრამ შედეგი უმეტესწილად უარყოფითია. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ლაზურ მუსიკაზე მდიდარი ხმოვანი მასალა მოიპოვება, თუმცა ეს მხოლოდ საზღვარგარეთ სხვადასხვა დროს გამოცემული ჩანაწერებია. ერთადერთი უწყება, რომელიც წლების მანძილზე ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშებით ამდიდრებს თავის არქივს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტია.

1949 წლამდე აფხაზეთში ლაზური სოფლები არსებობდა (ჟდენტი, 1938:XI-XII), ამიტომაც მივმართე აფხაზეთიდან დევნილ მუსიკოსებს, თუმცა მათი ცნობით არქივები განადგურებული ყოფილა (კრავეიშვილი, 2013:12-13). სავარაუდოდ ჩეიკვაძისა და მეგრელიძის გარდა ჭანები არავის ჩაუწერია. ლაზურ მუსიკას აფხაზეთის სცენაზე იშვიათად ასრულებდნენ<sup>8</sup>.

აჭარაში მცხოვრებ მუსიკოსებისა და ქორეოგრაფების უმეტესობას ჭანებისა და თურქეთის ქართველების სიმღერა-დასაკრავები ფიქსირებული არ აქვთ. ამგვარი რამ არც 1937-67 წლებში ბათუმში არსებულ ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლს გაუკეთებია. ლაზური ნიმუშები შესაძლოა იყოს კომპოზიტორ იური თავბერიძის არქივში (რომელიც „განათლებისა და კულტურის მუზეუმში“ უნდა იყოს დაცული).

1921 წლის ყარსის ხელშეკრულების შემდეგ 1938 წლამდე ჩვენებურებთან მისვლა-მოსვლის უფლება მხოლოდ საზღვართან მცხოვრებ ქართველებს შეეძლოთ, რომელთაც მუსიკალური განათლება არ პქონდათ და შესაბამისად, მუსიკალური ნიმუშებს ვერც ჩაწერდნენ.

სარფელ ეთნოფორთა გადმოცემით (ჩავწერ 2012, 2014 წწ.) საზღვრის ჩაკეტვის შემდგომ გაღმა დარჩენილ თანამემამულებთან კონტაქტი მხოლოდ

<sup>8</sup> ლაზური სიმღერა შეუსრულებია აფხაზურ-ქართულ გუნდს პლატონ ფანცულაიას ხელმძღვანელობით (ქეცბა, 2016:113).

ყანაში ნადობისას (შაირობით) და დატირებისას ხმამაღალი შეკიფლებით ხდებოდა, ვინაიდან საზღვარზე უმეტესად თურქები და რუსები იდგნენ და ეგონათ რომ ორივე მხარე მხოლოდ თავიანთოვის მდეროდა.

და ბოლოს, ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ამსახველი ნაშრომებიდან უნდა დაგასახელო თ. კაპანაძისა და თ. რუხაძის დისერტაციები, თუმცა, მათთან წარმოდგენილი მასალა ძირითადად ჩემი და სხვა მკვლევარების მიერ არის მოპოვებული.

## თავი II

### ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ზოგადი მიმოხილვა

ნაშრომის ამ თავში ვეხები როგორც საქართველოს ისტორიული კუთხეების (კლარჯეთი, ტაო, შავშეთი, ლაზეთი, ჰერეთი და აჭარის მცირე ნაწილი) მკვიდრ, ისე აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან XVII-XIX საუკუნეებში გადასახლებულ ქართველთა ხალხურ მუსიკას.

როგორც ცნობილია, საქართველოს ისტორიას მუდმივად სდევდა დაპყრობითი პოლიტიკა. იგი განსაკუთრებით გააქტიურდა XV-XVI საუკუნეებიდან, როცა თურქეთმა მიიტაცა აჭარა, მესხეთი, ლაზეთი, შავშეთი და ტაო-კლარჯეთი, სპარსეთმა კი - ჰერეთი. ტერიტორიების დაპყრობას, მოსახლეობის ამოწვევასა და გამაპმადიანებას ახლდა ქართველების მასიური გადასახლება ირანში, რუსეთსა და თურქეთში.

მიუხედავად ქართველების თურქეთში ხანგძლივი ცხოვრებისა, ჩემი ექსპერიციისას ლაზეთში, ტაოსა თუ სხვაგან შეგვხვედრია არაერთი მოხუცი, რომელსაც სკოლაში წასვლამდე თურქული საერთოდ არ სცოდნია (ენათმეცნიერთა თქმით ანალოგიური სიტუაცია ყოფილა ფერეიდანშიც). შეა ხნის ეთნოფორების ნაწილმა სკოლამდეც იცოდა თურქული, თუმცა ცუდად. დღევანდელი ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა კი ქართული ცუდად, ან სრულიად არ იცის.

ქართველები ხშირად თურქულ ან აზერბაიჯანულ ენაზე მდერიან და ეთნოფორების უმრავლესობას ეს სიმღერები ქართული არ პგონია. როგორც აღმოჩნდა, იგივე მელოდიები ქართული ტექსტებითაც სრულდება და ასეთ შემთხვევაში სიმღერები უკვე ქართულად მიაჩნიათ. ცხადია, ეთნოფორთა უმეტესობისათვის სიმღერის თურქულად მიჩნევის მთავარი საზომი მისი სიტყვიერი ტექსტია; არადა, ასეთი სიმღერების მუსიკალური ანალიზი ააშკარავებს, ეს, უბრალოდ, თურქულ და აზერბაიჯანულ ენებზე შესრულებული ქართული სიმღერებია. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამგვარი ნიმუშები უმთავრესად რაიმე რიტუალს (უმეტესად, საქორწინოს, შრომის) უკავშირდება და სხვა დროს არ სრულდება. სიმღერების ტექსტების თარგმნა, როგორც ჩანს, ისტორიულმა ძნელბედობამ განაპირობა - საოკუპაციო ჯარების სიახლოვის პირობებში ქართველები მშობლიურ ენაზე მდერას შესაძლო სისხლისდვრის თავიდან

ასარიდებლად გაურბოდნენ. თურქულ-აზერბაიჯანულ და ბერძნულ ენაზე შესრულებული ნიმუშების ქართულ წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს ზოგიერთი ნიმუშის ორენობრიობაც. თურქულ და აზერბაიჯანულენოვანი ქართველებით დასახლებული სოფლების უმეტესობაში საქმე ისევ ქართული მუსიკის მქონე ნიმუშებთან გვაქვს.

ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის განხილვას ვიწყებ იმ კუთხეებით, რომლებზეც ბოლო დრომდე თითქმის არანაირი მასალა არ მოიპოვებოდა. ასეთი მხარეებია კლარჯეთი და ტაო.

## 2.1 კლარჯეთი

კლარჯეთი მოიცავს მდინარე ჭოროხის ქვედა დინების აუზს. იგი ესაზღვრება აჭარას, ლაზეთს, შავშეთსა და ტაოს. ამ კუთხეში შედის მურდულის და ართვინის რაიონები, ასევე ბორჩხის რ-ნის ნაწილი<sup>9</sup>. ართვინის რაიონში სოფ. ქართლა ერთადერთი მექართულე სოფელია, მურდულისა და ბორჩხის რ-ნის სოფლების თითქმის 100%-ი კი ქართულენოვანი. ართვინის სოფ. ომანაში კი (თურქულად ორმანლი) ქართული მხოლოდ რამდენიმე ოჯახმა იცის, მათ შორის ადგილობრივი სიმღერებისა თუ დასაკრავების ჩამწერმა ხოჯა სულეიმან მერთმა. კლარჯი, უმთავრესად მურდულელი მუპაჯირები (1870-1910-იანი წლები). კომპაქტურად ცხოვრობენ პენდექისა და გოლჯუქის რაიონებში. მათ დიდ ნაწილს წინაპართა სოფელი დღემდე არ უნახავს. აღსანიშნავია, რომ წინაპართა სოფლებისგან ხსენებური რაიონები 1000-1200 კილომეტრითაა დაშორებული. აჭარისა და კლარჯეთის ნაწილს ზოგჯერ ლიგანის, ლიგანის ან ნიგალის ხეობასაც უწოდებენ.

კლარჯულ ოჯახებში მრავალი აუდიოკასეტა ინახებოდა. მურდულში კასეტების უმრავლესობა სელატინ ჰაჯიოღლიმ ჩამწერა, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ისინი დაკარგული, ანდა მგელი სიმღერები წაშლილი აღმოჩნდა. მოხუცები ჩემთან საუბარში (2015-2017 წ.) ხშირად ჩიოდნენ, რომ ახალი თაობა არ ინტერესდებოდა ძველი სიმღერებით. მიუხედავად ამისა, ალი ბოლქვაძის, ბაატინ იავუზის, შულეიმან მერთისა და სელატინ ერგუნ ჰაჯიოღლის კასეტების არც თუ ისე მცირე რაოდენობა მოვაგროვე. ამ კასეტებზე ძირითადად საშაირო სიმღერა „სოდლე რუმიანადანა“ (მითხარი, რა დარდები გაქვს) და აკორდეონზე

<sup>9</sup> ბორჩხის რაიონში გარდა კლარჯულისა, შედის, ასევე, აჭარული (მაჭახელი და ხება-მარადიდის მხარე) და ლაზური სოფლებიც (ჩხალას ხეობა).

შესრულებული მუსიკაა წარმოდგენილი. აუდიოკასეტები უმეტესად კლარჯეთის ისტორიულ ტერიტორიაზე, მურღულის ხეობასა და ართვინის რ-ნის სოფ. ომანაში აღმოჩნდა. მუჭაჯირებთან კი (გოლჯუქის რ-ნის სოფ. მურღული) ჯერჯერობით ორიოდე დესთანის ჩანაწერია.

კლარჯული სიმღერები ერთ და ორხმიანია. ორხმიანი სიმღერებისთვის დამახასიათებელია სეკუნდური პარალელიზმი, რომელიც შესრულების თითქმის მთელ პროცესს გასდევს. მართალია, პარალელური სეკუნდების წყალობით იქმნება ორხმიანობა, მაგრამ მას საერთო არა აქვს ქართულ მრავალხმიანობასთან. საინტერესოა რომ საქმე ყოველთვის მხოლოდ დიდი სეკუნდების პარალელიზმთან გვაქვს. როდესაც ამგვარ მოვლენას (ანუ პარალელურ სეკუნდებს) პირველად წავაწყდი, ეს დიდი ხნის შეუძლერებლობას დავაბრალე (მეგონა, უნისონში ზუსტად ვერ მდეროდნენ), მაგრამ შემდგომმა შემთხვევამ და, რაც მთავარია, ძველი კასეტების გაცნობამ დამარტინუნა, რომ სეკუნდები სრულებითაც არ იყო შემთხვევითი მოვლენა. კლარჯების ნაწილი ამ სიმღერებს ერთხმიან ნიმუშებად მიიჩნევს, მაგრამ ფაქტია, ორხმიანობა აშკარაა. განსაკუთრებით პოპულარულია ჰანგი „სოილე რუმდანადანა“. იგი გვხვდება როგორც ჩემ, ისე ძველ ჩანაწერებში ყველაზე მეტად სეკუნდებით (აუდიოდანართი, №1; სანოტო დანართი, №1) სწორედ ეს ნიმუში გამოირჩევა. ერთ-ერთი შემსრულებელი სხვებს ტექსტს წინასწარ კარნახობს. ადსანიშნავია, რომ სეკუნდებში მდერა 1910-იან წლებში კლარჯეთის სოფლებიდან 1000-1200 კმ-ით დაშორებულ პენდექისა და გოლჯუქის რაიონებში მუჭაჯირად წასული კლარჯებისთვისაც არაა უცხო (აუდიოდანართი, №2). როგორც ჩანს 1910-იან წლებში<sup>10</sup> კლარჯეთის ისტორიულ ტერიტორიაზე ამგვარი ნიმუშები უკვე გავრცელებული იყო.

კლარჯული ორხმიანი სიმღერები, ჩემი აზრით, ქართული მრავალხმიანი სიმღერის გაერთხმიანების გზაა, თუმცა ამაზე 3.4 პარაგრაფში ვსაუბრობ.

კლარჯული სიმღერები ჟანრულად დარიბია. გავრცელებული იყო საშაირო ნიმუშები, გვხვდებოდა დესთანებიც (სევდიანი ლირიკული სიმღერები). შევჩერდები რამდენიმე საყოველთაოდ გავრცელებული ნიმუშის შინაარსზე. ასეთია,

<sup>10</sup> მართალია, მუჭაჯირმა კლარჯებმა სოფლები ჯერ კიდევ 1870-80-იანი წლების მიჯნაზე დააარსეს, თუმცა, 1910-იან წლებში, როგორც ჩანს, არსებულმა დასახლებებმა მუჭაჯირთა ახალი ნაკადის სახით სერიოზული შევსება მიიღო და მუჭაჯირობა მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისას დასრულდა. ამიტომაც ორხმიანი სიმღერების განხილვისას ამოსავალ წერტილად მიჩნეული მაქვს არა 1870-იანი, არამედ 1910-იანი წლები.

მაგალითად, „ლაზოდლის დესტანი“ (აუდიოდანართი, №3), გამოთქმული შემდეგ ამბავთან დაკავშირებით: ლაზოდლის თავისი სიძისთვის ცხენი უჩუქებია, დილას წასულა სიძე ახორში და ცხენი მოკვდომია (ჩავწერ 2015 წ.). კიდევ ერთ მსგავს ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს „სიმღერა ვირზე“ (აუდიოდანართი, №4), რომელშიც მოთხოვთ კარგი ვირის არდანუჩში (ისტორიული არტანუჯი) პოვნის შესაძლებლობაზე.

მურდულელები „დესტანს“ სიმღერას არ უწოდებენ. მათ მიაჩნიათ, რომ იგი ერთმა კაცმა უნდა თქვას. სხვა ნიმუშები კი მურდულელებისთვის სიმღერებია (ჩავწერ 2015 წ.). მუჭაჯირი მურდულელები ყველა ნიმუშს სიმღერას უწოდებენ, თუმცა მაინც მიჯნავენ ცნებებს „დესტანსა“ და „თურქუს“ (დანარჩენ სიმღერას) (ჩავწერ 2017 წ.).

აღმოსავლეთმცოდნე ქეთევან ლორთქიფანიძე დესტანს ასე ახასიათებს: „დესტანი პოეტური ნაწარმოებია, რომელიც გადაჭარბებული მგრძნობელობით გადმოგვცემს რაიმე გმირობას ან, ძირითადად, ტრაგიკულად დამთავრებული სიყვარულის ისტორიას“ ... „დესტანები მოგვითხოვენ ტრაგიკულ ამბავს, რომელიც შეემთხვევა მთელ მხარეს ან ცალკეულ ოჯახს. ისინი სრულდება გრძელი სევდიანი მელოდიის თანხლებით“ (ლორთქიფანიძე, 2015:582). ჩემ ხელთ არსებული კლარჯული (და ლაზური) დესტანების უმრავლესობა, სწორედ ასეთი ხასიათისაა.

რაც შეეხება „სოდე რუმდანადანა“ს, იგი შაირია, სრულდებოდა როგორც ყანაში, ისე ქორწილში (პატარძალს უმდეროდნენ) და ნებისმიერ სხვა ადგილას. იგი იმდერებოდა როგორც ქართულ, ისე თურქულ ენებზე. შესრულების ფორმა ძირითადად ორპირული იყო, თითო მხარეს 3-5 კაცი ან 3-5 ქალი იმდერებდა (ჩავწერ 2015-16 წწ.).

მართალია, არსებობდა სიძის სახლში მაყრიონის შესვლისას საოქმელი სიმღერა „გელინო“ (პატარა რძალი) (აუდიოდანართი, №5), მაგრამ მურდულისწყლის ხეობაში იგი „სოდე რუმდანადანაში“ იმდერებოდა. მურდულის ხეობიდან წასულ მუჭაჯირებში კი „გელინო“ (აუდიოდანართი, №6) ცალკე მუსიკალური ნიმუშია, ბორჩხის რ-ნის ერთ ნაწილში ფიქსირებულის (აუდიოდანართი, №7) მსგავსად. ბორჩხის გელინო მუსიკალურად თითქმის იდენტურია აჭარაში ფიქსირებული ვარიანტისა. სიმღერის თქმის შემდეგ თოვიდან (კლარჯულად „ფიშტო“, „ლივერი“) ისროდნენ. ქორწილსა და ყანაში შესრულებული „სოდე რუმდანადანა“ მუსიკალურად იდენტური ყოფილა. უწინ

ქორწილი 2-3 დღე გრძელდებოდა, პატარძალიც ეტლით (კლარჯულად ხარის არაბით) მოჰყავდათ, ახლა კი ქალაქში, რესტორანში იკრიბებიან და 4-5 საათში იშლებიან. აღარც ძველი პანგები ჟდერს (ჩავწერ 2015-17 წწ.). ამაში თავადაც დავრწმუნდი 2015 წლის 17 მაისს, როცა მურდულის სასტუმროში მყოფს მექორწილეების ჩართული მუსიკა თავისუფლად მესმოდა. ეთნოფორთა თქმით ქალაქში გამართული ქორწილი ეკონომიკურია (ჩავწერ 2017 წ.).

მათივე ცნობით უწინ რძალი, მით უმეტეს პატარძალი, დედამთილ-მამამთილს უბატონოდ ხმას ვერ გასცემდა (ჩავწერ 2015-16 წწ.). დღეს ეს სიტუაციაც შეცვლილია და ამას ეხმიანება ერთ-ერთი სიმღერა (აუდიოდანართი, №8).

კლარჯების მთავარი სამეურნეო კულტურა დღეს თხილია და თხილის კრეფისას კი მუსიკას ადგილი არ აქვს. ადრე თხილზე უფრო მეტად გავრცელებული იყო პური და სიმინდი, სწორედ ასეთი ნადური სამუშაოს დროს ბიჭები და გოგოები „სოდე რუმდანანას“ სიმღერით ერთმანეთს გაეშაირებოდნენ (ჩავწერ 2015-17 წწ.). რაც შეეხება წმინდა შრომის სიმღერებს, ისინი გამქრალია. მართალია ხის მოჭრისას სათქმელი სიმღერა აღარ იციან, მაგრამ გაკივლება შემორჩენილია. არსებობდა მონადირეთა მიერ თხის მოკვლის შემთხვევაში სათქმელი სიმღერა, რომლის ფუნქციაც დანარჩენებისთვის ამბის შეტყობინება იყო (გუჯეჯიანი, 2017:159), თუმცა მისი ტექსტობრივი და მუსიკალური მხარე, უცნობია.

მურდულისწყლის ხეობასა და მისგან წასულ მუჭაჯირებში იმდერებოდა საქორწინო სუფრული სიმღერა „ჰედამოლა“, „ჰერდამოლა“ („ჰედამო“, „ჰელესა“) (აუდიოდანართი, №9), რომელიც სრულდება სასურველი სურსათ-სანოვაგის მოთხოვნის დროს. ზოგჯერ სიძის მოსვლას და ნიმუშის ბოლოს, კი ლივერის (რევოლვერის) მოტანასაც ითხოვენ (ჩავწერ 2015-17 წწ.). სიმღერა სრულდება როგორც თურქულ, ისე ქართულ ენებზე. ზოგიერთი ცნობით იგი დედოფლის („დოდოფლის“), ზოგიერთის კი სიძის (უფრო სიძის) სახლში სრულდება და მას დედოფლის მაყრები მდერიან. დოდოფლის მაყრები ამას პატარძლის დათმობის „სანაცვლოდ“ სიძისგან რაიმე სარგებლის მიღების გამო აკეთებენ (ჩავწერ 2015-17 წწ.).

სასურველი სურსათ-სანოვაგის მოთხოვნისას მაყრები ზოგჯერ ისეთ ხილს მოითხოვდნენ, რისი პოვნაც იმ დროში ძნელი იქნებოდა (მაგალითად ზამთარში ლელვი) (ჩავწერ 2015-17 წწ.). მუჭამედ თურან მელეგოლლის თქმით, „ჰედამოს“ მღეროდნენ ყანაშიც, ოღონდ არა უშუალოდ ნადური სამუშაოების დროს, არამედ შესვენებისას, სასურველი საჭმლის მოთხოვნის დროს (ჩავწერ 2015 წ.).

სამწუხაროდ, დღეს აღარც ეს ნიმუში სრულდება. საინტერესოა, რომ ბორჩების ნაწილში „პეიამო“, „პეიამოლას“ ნაცვლად იმდერებდნენ „ელესა მამული/მამალი ქოსა“ (აუდიოდანართი, №10). სიტყვა მამლის ხსენება ნაყოფიერებასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს უნდა უკავშირდებოდეს (ფალავა, შიომვილი და სხვ. 2016:419).

ამგვარ ნიმუშებს, ქალები ყანაში „პურის ჭრის“ მოთავების დროსაც იმდერებდნენ (აუდიოდანართი, №11), ზოგიერთი ცნობით „პურის ჭრის“ შემდეგ ყანაში საჭმელად დასხდებოდნენ (ჩავწერე 2015 წ.). ყოველ შემთხვევაში, ეს ნიმუში ძირითადად ქორწილში სრულდებოდა, როდესაც „მაყრობას ირჯებოდნენ“. ორ დღეს ბიჭის მხარის ქორწილი იყო, მესამე დღეს კი – გოგოსი. „პეიამო“, „ელესა მამული ქოსას“ ქორწილის დამთავრებისას ამბობდნენ, ვინაიდან მაყარს ხშირად გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი (ჩავწერე 2015-17 წწ.). თუმცა არსებობს სხვაგვარი ცნობაც: ბაატინ სალიოდლის (თავდგირიძე) თქმით, „დოდოფლის“ მოსვლამდე მახარობელი მოვიდოდა, დაჯდებოდა და მოითხოვდა სიმდერით საჭმელს, საჭმელთან ერთად შეეძლო მოეთხოვა სიძე, ლივერი და ა. შ“. ზოგიერთი ცნობით, კი მახარობელი სურსათ-სანოვაგეს ქორწილის ბოლოს, წასვლისას მოითხოვდა (ჩავწერე 2015-17 წწ.).

პარუნ ქაიას (ნაოდარიშვილი) ცნობით, „ელესა მამული ქოსა მაჭახლელებისგანაა“ (ჩავწერე 2016 წ.). ამ ნიმუშის მაჭახლური წარმომავლობის შემთხვევაში იგი აუცილებლად დაფიქსირდებოდა, როგორც გადმა მაჭახლელების რეპერტუარში, ისე მაჭახელის ჩვენს ფარგლებში მოქცეულ ნაწილსა და მუჭაჯირ მაჭახლელებთან (პაირიები). აქვე ყურადსაღებია რესულ მემოდლის ნათქვამი: „ეს ნიმუში ხებაში არ სცოდნიათ მე ერთხელ რომ დავიყვირე (ანუ დავიძახე) ძალიან მოეწონათ“ (ჩავწერე 2016 წ.). სოფელი ხება, რომელიც დღეს ბორჩების რაიონში მდებარეობს, მარადიდს ესაზღვრება და აჭარული სოფელია.

„პეიამოლას“ გარდა მუჭაჯირი კლარჯები მდეროდნენ სიმდერას „მაშალა, მაშალა“ (აუდიოდანართი, №12). იგი სრულდებოდა ქორწილში ხარის ან მოზვერის გამოყვანისა და მისი ერთ ადგილზე დაბმის დროს. ხშირად ახსენებდნენ მისი სხეულის ნაწილების სახელებს.

პუსეინ მეპროდლის თქმით (ჩავწერე 2016 წ.), ქორწილში „ნანინანი პოი-პოიც“ იმდერებოდა. სამწუხაროდ, მისი მუსიკალური მხარე ჩემთვის უცნობია (შესაძლოა, ლაზეორუმი იყოს, ან „გოპოპო“, ან სხვა), სამაგიეროდ ცნობილია „ვოდელიას“

მუსიკალური მხარე (აუდიოდანართი, №13), იგი აჭარული „ტირნი პორირამას“ მსგავსია.

ქესტელის ონის სოფ. ხატილაში ქორწილის დროს „დავლ გამოიყვანდენ, ჩამოთლიდენ“ „ოპოვ, ვოპოვ...“ ისე იფერხულებდენ იშტე-და“ (ფალავა, 2016:371). დაული იგივე დოლია, თუკი კლარჯეთში დარჩენილთაობის ქორწილის მთავარი ატრიბუტი აკორდეონი იყო და დავლი დიდ იშვიათობას წარმოადგენდა (ჩავწერე 2015-16 წ.). ზემოხსენებულ სოფელსა და გოლჯუქის ონის სოფ. ნუზჰეთიეში დოლი ანუ დაული გამხდარა, თუმცა აღიარებდნენ რომ ესეც მოგვიანებით იყო შემოსული (ჩავწერე 2017 წ.).

სრულდებოდა ახალი წლის სიმღერა „ვენი გელდი ილბაში“, „ილბაში დურ ილბაში“ (მოვიდა ახალი წელი) (აუდიოდანართი, №14). ახალი წელი 13 იანვრის დამეს და 14 იანვარს ტარდებოდა. ამ დროს, ზოგჯერ 3-4 დღით ადრეც, სოფელში შეიკრიბებოდა რამდენიმე ბიჭი, ერთ ან ორ მათგანს გოგოს ტანსაცმელს გადააცმევდნენ, და ჩვენებურების თქმით, „ტყვილი გოგო გახდებოდა“. მას დაიჭერდნენ, რომ არ გაქცეულიყო და რბილად ცემდნენ. თან გაიმურებოდნენ, ნიღბებს მოირგებდნენ, კარდაკარ დადიოდნენ და საჩუქარს ითხოვდნენ. ზოგჯერ თვითონ ჩამოთვლიდნენ, თუ რისი აღება სურდათ, ზოგჯერ კი სახლის პატრონი ეკითხებოდა, შემდეგ კი ჩაუგდებდა ყველაფერს (ძირითადად საჭმელს). ზოგჯერ ქათამსაც იპარავდნენ და დამე გააკეთებდნენ საჭმელს. ილბაშობაზე აკორდეონზე დაუკრავდნენ და ისამებდნენ, დაამდერებდნენ (ჩავწერე 2015-17 წ.).

ამ ფანრის სიმღერის სიტყვიერი ტექსტი ეთნოლოგ როზეტა გუჯეჯიანს სოფ. ებრიკასა და მურდულისწყლის ხეობაში აქვს ჩაწერილი „გურიელა“, „გვირიელა“, „კვირიელა“-ს სახით და მას საგალობელს უწოდებს. ამ დროს ფერხულიც სცოდნიათ, კაცები „დუზხორომს“, ახალგაზრდები კი დელიხორომს“ ისამებდნენ (გუჯეჯიანი, 2015:94, 96-97).

გუჯეჯიანის მითითებით, ტაო-კლარჯეთის საახალწლო რიტუალი ძალიან ახლოსაა საქართველოს სხვა მხარეების, განსაკუთრებით, სვანეთის მასალასთან (ტაო-კლარჯული „გურიელა“ და სვანური „კვირიოლა“, „ლიკურიელ“ (გუჯეჯიანი, 2015:100). „გვიქრობთ, რომ ნიგალის ხეობაში დადასტურებული სიმღერა „გურიელა“, „გვირიელა“ საეკლესიო „კირიელეისონის“ ადგილობრივი ხალხური ნაირსახეობაა, მსგავსად სვანეთის, სამეგრელოსა და გურიის ყოფაში არსებული სიმღერების: „კირიალესა“, „კრიალესო“ (გუჯეჯიანი, 2015:102)

სამწუხაროდ, ქ-ნ როზეგის, ეს ნიმუშები დიქტოფონის გარეშე აქვს ჩაწერილი, შესაბამისად მის მიერ მოპოვებული გურიელა/გვირიელა/კვირიელას მუსიკალური მხარე ჩემთვის უცნობია, თუმცა სიტყვიერი ტექსტების იდენტურობა მაფიქტებინებს „გურიელა“/„გვირიელასა“ და „ვენი გელდი ილბაშის“ იგივეობას. სამწუხაროდ ილბაშის მუსიკალური მხარის დაკავშირება თუნდაც სფანურ მასალასთან, ამგვარი კავშირების მოძებნა რთულია. აქვე უნდა ვთქვა, ეთნოლოგის მიერ მოხმობილი ტერმინები („გურიელა“, „გვირიელა“, „კვირიოლა“) ბორჩხასა და მურდულში ვერ დავადასტურე.

საახალწლო სიმღერის სოციალური ფუნქციის შედარება საშობაო რიტუალთან არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან თავადვე მოჰყავს ზ. ჭიჭინაძის ცნობა 1840 წლამდე მურდულელების ფარული ქრისტიანობის შესახებ. მისივე სიტყვით, „ალილოს“ თქმა 1870-იან წლებამდე სცოდნიათ, მათ პატარა ბიჭები ასრულებდნენ (ჭიჭინაძე, 1915:16-19 ციტირებულია გუჯეჯიანი, 2015:103). ჩემი აზრით, ეს ნიმუში მეცხრამეტე საუკუნეში კი არ გაქრა, არამედ ტრანსფორმირდა და საახალწლო სიმღერად იქცა. ეს ექვს არ უნდა იწვევდეს, რადგანაც რიტუალმა ალილოს მრავალი ელემენტი (ნიღბები, კარდაკარ ჩამოვლა, მილოცვა, სურსათის მოთხოვნა) შეინარჩუნა. ბერიკაობასა და ალილოს ელემენტების არსებობაზე რ. გუჯეჯიანიც მიუთითებს (გუჯეჯიანი, 2017:136).

ილბაშისმაგვარ რიტუალს ასრულებდნენ გოლჯუქის რ-ნის სოფ. ნუზპეთიეში. ისინი მუსულმანური ერთოვიანი მარხვის, რამაზანის ბოლო დღეებში, შუალამეს დაულითა და სიმღერით დაივლიდნენ სოფელს, ხალხს ააყენებდნენ და ტკბილეულს, სიმინდს, ფულს მოითხოვდნენ (აუდიოდანართი, №15).

რაც შეეხება ამინდის, კლარჯულად ტაროსის მართვის ნიმუშებს, იგი თითქმის დაკარგულია. ხალხი, ხოჯასთან ერთად დელეში წავიდოდა, ქვას ჩამოკიდებდა, თოჯინას გააკეთებდა, სოფელ-სოფელ იარებოდა და მოაგროვებდა სიმინდს, ყველს და სხვა სურსათს. ხოჯა არაბულად, თურქულად, ან იშვიათად ქართულად დუას წაიკითხავდა ხალხიც დაიძახებდა ამინ და ამით მორჩებოდა რიტუალი (ჩავწერ 2015-17 წლის).

ფიქსირებულია კარაქის მალე შედღვებისა (აუდიოდანართი, №16) და თიაქარის (აუდიოდანართი, №17) შელოცვები.

ასევე შემორჩენილია აკვნის ნახები (აუდიოდანართი, №18-19). როგორც აღნიშნავენ, ძირითადად ბავშვები დაუმდერებდა არა დედა, არამედ ბებია - დედა ამ დროს ყანაში სამუშაოზე იყო გასული, თუმცა ზოგჯერ ისიც დააძინებდაო.

უფროსების თვალწინ ბაგშვს ვერ მოვუნანავებდითო (ჩავწერე 2015-16 წწ.). ჩემ საექსპედიციო პრაქტიკაში მქონდა შემთხვევა (თხილაზორში), როდესაც ქალმა, შექურ აიდინმა თავის მამამთილზე აღნიშნა, ის მოუნანავებდა და დედამთილი კი მაშინ მუშაობდათ (ჩავწერე 2017 წ.).

კლარჯეთში დაგაფიქსირე ქართული მუსიკალური ფოლკლორისთვის, საგარაუდოდ, აქამდე უცნობი ნიმუში „მოი რზეო“ (აუდიოდანართი, №20) პატარა ბაგშვს რძით კვებავენ და ადრე რძე თუ გაუშრებოდათ, მაშინ დედა კარის ზღურბლზე დაჯდებოდა და ძახილით რძის კვლავ ჩადგომას ითხოვდა.

შემორჩენილია ხმით (აუდიოდანართი, №21) და წართქმით (აუდიოდანართი, №22) შესასრულებელი დატირება. ფილოლოგები მამია ფალავა და მერი ცინცაძე აღნიშნავენ, „ხმით ტირიან გოგგები, ბაბოი“ (ფალავა, ცინცაძე, 2009:253). სიტყვა „ბაბოი“ მამას ნიშნავს, გაუგებარია აქ კაცების ტირილიც იგულისხმება თუ არა. მიუხედავად იმისა, რომ მიცვალებულს ერთ დღე-დღამეში კრძალავენ დუვა თურმე სამ დღეს იკითხება. შემდეგ ლოცვას მეორმოცე და ორმოცდამეთორმეტე დღეს ასრულებენ (ჩავწერე 2017 წ.).

საისტორიო თემატიკის ამსახველი სიმღერები დავიწყებულია, თუმცა შემორჩენილია თამარის კულტი. მუჭაჯირებმა კი მის შესახებაც თითქმის არავერი იციან. ზოგიერთ სიმღერაში ნახსენები ყოფილა თამარა, მაგრამ ვინ და რა კონტექსტი, უცნობია (ჩავწერე 2017 წ.).

საკრავებიდან ძირითადად აკორდეონი (სურათი, №1) იყო გავრცელებული. ზოგიერთი მას „აკორდს“, „გარმონს“ და „მუზიკასაც“ უწოდებს, თუმცა ყველა სოფელში არ ჰქონდათ (ჩავწერე 2015-17 წწ.). კლარჯები აკორდეონზე ანუ აკორდზე დამკვრელს „აკორდეონჯის“ ან „მუზიკაჯის“ უწოდებენ (ჩავწერე 2015-17 წწ.). ამ საკრავის თანხლებით შესასრულებელი სიმღერა კლარჯულ მუსიკალურ ფოლკლორს თითქმის არ გააჩნია. გამონაკლისია ბორჩხის რ-ნის სოფ. ბაგინში ფიქსირებული „გელინო“ (აუდიოდანართი, №23). „გელინოს“ ქალები მდეროდნენ, მაგრამ თანხლებას აკორდეონით კაცი უწევდა. ზოგი ეთნოფორის მიხედვით, აკორდეონის თანხლებით შეიძლებოდა „ჯილველოსა“ და „ილბაშის“ მღერაც. სხვა შემთხვევაში დაკვრა და სიმღერა ცალ-ცალკე იყო (ჩავწერე 2015 წ.).

კლარჯული დასაკრავების სახელწოდებებია: „ქოჩეგი“, „დუზხორომი“, „დელიხორომი“, „პატარძლის ყაიდე“, „გურჯი ხორომი“, „ართვინბარი“ (ანუ „ათაბარი“) „ჯილველო“ და ა. შ. კლარჯების განმარტებით, „დუზი“ სწორ, ვაკე ადგილს ნიშნავს, ხოლო „დუზხორომს“ კი სწორად შესრულებული ხორომი

უწოდეს. სიტყვა „დელი“ კი გიქს, „უჭიროს ნიშნავს, „დელიხორომი“ კი სწრაფ ტემპი შესასრულებელი ცეკვაა (ჩავწერ 2015 წ.). მუჭაჯირი კლარჯები კი „ვოპოპოს“/„ვაპაპაის“ (ვიდეოდანართი, №1) „დელიხორომს“ უწოდებენ და იგი ფრიადად გავრცელებული. ძველი კლარჯული რეპერტუარიდან ახალგაზრდებმა მხოლოდ „ვოპოპო“ და „ჯილველო“ იციან და ასრულებენ.

საინტერესოა სიტყვა „ბარის“ განმარტება, ყადემ გორმიშის თქმით, „როდესაც ცეკვავ ნახევარწრეს (ანუ წრე ბოლომდე არაა შეკრული), მაგას „ბარს“ ვეტყვით და თუ წრე ბოლომდე შეიკრა, - მაშინ „ფერხულს“ (ჩავწერ 2016 წ.). იგივე მოგვითხრობს: „ზორ უწინ „ერმენბარი“ ყოფილა. „ათაბარის“ ძველი სახელი ართვინბარია. „ართვინბარი“ „ათაბარად“ (ანუ ათათურქის ბარად) ათათურქის ართვინში ყოფნისას დაურქმევიათ, ვინაიდან ეს ნიმუში ათათურქს მოსწონებია და ასე უთხოვია (ჩავწერ 2016 წ.).

კლარჯეთში არსებული საკრავიერი მუსიკიდან ასევე საინტერესოა შამილისადმი მიძღვნილი ნიმუში. იგივე ეთნოფორი გადმოგვცემს: „შამილი რომ დაიჭირეს, რუსეთის მეფე ეკატერინემ ჩამოხრჩობა მიუსაჯა. შამილმა ბოლო სურვილი ჩაიფიქრა და ბრძანა, ჩემი ცხენი მომიყვანეთო, ხალხი გაოცდა, ეს რა სულელი ყოფილაო, მაგრამ ცხენი მაინც მიუყვანეს. ცეკვას, თავისი ცეკვით ხალხიც აიყოლია და ამასობაში უცებ ცხენზე შეჯდა და გაიქცა. შამილთან დაკავშირებულ ნიმუშს აკორდეონზე უკრავდნენ, თუმცა, მგონი, თურქულენოვანი სიმღერაც არსებობდა“ (ჩავწერ 2016 წ.).

აკორდეონზე აქდერებული კლარჯული დასაკრავები ხშირად „ქართული მრავალხმიანობის“<sup>11</sup> ჩარჩოებში ვერ ჯდება (სანოტო დანართი, №2). თუმცა „ქართული მრავალხმიანობის“ ხვედრითი წილი არც ისე მცირეა (აუდიოდანართი, №24). ერთ-ერთი ნიმუში, რომელშიც ეს უკანასკნელი ჟდერს, საყურადღებოა კვარტული კადანსით (აუდიოდანართი, №25). აღსანიშნავია ისიც, რომ კლარჯული სიმღერებისგან განსხვავებით აკორდეონისთვის უცხოა სეპუნდური პარალელიზმი, ამავე დროს სიმღერებისგან განსხვავებით აკორდეონზე შემორჩენილია „ქართული მრავალხმიანობა“.

აკორდეონის გარდა გვხვდებოდა კავალი, და გუდასტვირიც, თუმცა მთხოველების თქმით, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი არ იყო ადგილობრივებში გავრცელებული და მასზე უფრო კლარჯულ სოფლებში მცხოვრები ლაზები

<sup>11</sup> ვგულისხმობ ქართული ხალხური მუსიკისთვის დამახასიათებელ მრავალხმიანობას.

უკრავდნენ (ჩავწერე 2015-17 წწ.). ჩემ მიერ მოვლილი სოფლებიდან მხოლოდ ართვინის რ-ნის სოფ. ქართლაში დავადასტურე მისი ადგილობრიობა. საკრავის ქართული სახელი „ტიკი“ იყო. ქართლას მცხოვრებლები ძველ გუდასტვირზე თვლების რაოდენობას ასე ხსნიდნენ: „ერთზე ხუთი, მეორეზე კი ოთხი ზევით და ერთი ქვევით“ (ჩავწერე 2016 წ.). სამწუხაროდ, ეს ფრაზა ეთნოფორებს ვერაფრით ვერ ავახსნევინე. „ტიკის“ შესახებ ყველაზე სრულყოფილი ინფორმაცია 2016 წელს მომაწოდა მუფტმა ქაზიმ ერუილიშმა, რომლის მამაც, და თვითონაც, უკრავდა ამ საკრაგზე. მისი ცნობით, „ტიკის“ ტყავი ბატქანისგან კეთდებოდა – „ცხვრის თმებს მოაშორებდნენ, ცხელ წყალში ჩადებდნენ, მარტო ტყავი ექნებოდა, სული არ გამოუშვასო. ზოგ იარებ დუუყრუებდნენ, ერთიც ჩასაბერი, ერთიც ნავის დასაბმელი იერ გააგდებდნენ, იმის მემრე ნავ შედევდნენ. „ტიკს“ ზაფხულშიც გააკეთებდნენ და ილბაშობაზეც. წიპოლებს თლიდნენ გამოზაფხულზე, ანუ ხეში წყალი ახალი შესული როცაა“. ქართლას მცხოვრებთა თქმით, ნავში ჩადებულ დედნებს წიპოლა ეწოდებათ (ჩავწერე 2016 წ.). თვლების რაოდენობა ზემოხსენებული მუფტის თქმით იყო 3/5-ზე<sup>12</sup>, ანუ როგორც ძველ ქართულ გუდასტვირზე. საკრავი არსებობდა მუჭაჯირ კლარჯებთანაც, კერძოდ აქიაზის რ-ნის სოფ. რეშადიეში, თუმცა არ იყო გავრცელებული. მას „ჭიპონს“ და „ჭიპოლას“ უწოდებდნენ (ჩავწერე 2017 წ.). ნეჯათ ეროლის ცნობით სიტყვა „ჭიპონი“ ტიტლი-ტიტლის ძახილის გამო დაურქმევით (ჩავწერე 2017 წ.).

ისმის კითხვა, აკორდეონამდე კლარჯეთში რომელი საკრავი უნდა ყოფილიყო გავრცელებული? ეს კითხვა მით უფრო აქტუალურია, რადგანაც ალოგიკური იქნებოდა კლარჯეთში საკრავის არარსებობა. ვინაიდან ტაოში, შავშეთსა და ლაზეთში ძირითადი საკრავი გუდასტვირია, ვთვლი, რომ კლარჯეთშიც აკორდეონის გამოჩენამდე ძირითადი საკრავი გუდასტვირი უნდა ყოფილიყო.

კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში იხსენიება დოლი და ზურნა „დაულ-ზურნა“, როგორც სამგლოვიარო პროცესის გამომხატველი საკრავები (ფალავა, შიომვილი და სხვ. 2016:428-429). აქ მოტანილი ტექსტებიც „სოილე რუმიანადანას“ ნაწილია. ართვინის რ-ნის სოფ. ქართლას მცხოვრებთა თქმით, ზურნას ფოშები (ანუ ბოშები) უკრავდნენ (ჩავწერე 2016 წ.). რაც შეეხება საკრავების ფიქსირებას, მხოლოდ აკორდეონი და კავალია ჩაწერილი.

<sup>12</sup> 1/5, 3/5, 5/5 აღნიშნავს გუდასტვირის ორივე სალამურზე (ცალ-ცალკე) არსებული თვლების რაოდენობას.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო აბდულაზიზ ოზაიდინი (ცეცხლაძე). მასაც რესულ მემორანულის მსგავსად კავალზე დაკვრა მწყემსობაში უსწავლია, თუმცა სპეციალური მწყემსური ჰანგები არ იცოდა და „დუზხორომს“, „დელიხორომსა“ (ვიდეოდანართი, №2) და სხვა ჰანგებს ასრულებდა. მისივე ცნობით, კავალი დიდგულას ხისგან მზადდებოდა. საკრავის დამზადების კონკრეტული დრო არ არსებობს. ადგილობრივთა თქმით, საკრავი კარგი ხმისთვის დაკვრის წინ აუცილებლად წყლით უნდა დაესველებინათ (ჩავწერე 2016 წ.).

არსებობდა ბავშვთა მიერ დამზადებული საკრავებიც:

შველაზე გავრცელებული ყოფილა კავალი, რომელსაც „ქავალას“, სავარაუდო „ჭიპილსაც“ უწოდებდნენ. მისი ხე დიდგულად (თუმცა კამიშიდან და სიმინდის ტაროდანაც კეთდება) ხე ზამთარში უნდა მოიჭრას, საკრავის გამოთლის დრო კი არ არის განსაზღვრული, ოდონდ ხეში წყალი ახალი ჩამდგარი არ უნდა იყოს (ჩავწერე 2016 წ.). ურალ ბაირამოდლის (ფუტკარაძე) ცნობით, კავალი ორი სახისა იყო: გრძელი შიშედან და მოკლე დემირიდან (ჩავწერე 2016 წ.). „შიშესა“ და „დემირის“ მნიშვნელობის გარკვევა, ჯერჯერობით შეუძლებელი აღმოჩნდა. მოკლე კავალს 3-5 თვალი, გრძელს კი 6-8 თვალი ჰქონდა (ჩავწერე 2016 წ.).

არსებობდა საბავშვო ზურნაც. იგი ზაფხულში ეკლისგან ან პურის თავთავისგან კეთდებოდა და 3-5 თვალი ჰქონდა ართვინის რ-ნის სოფ. ქართლას მკვიდრნი კი მას წიპოლას უწოდებენ. საკრავს ჯერ ტყავს (ბლის იყო) გააძრობდნენ, შემდეგ უკან ჩამოაცვამდნენ და ენასაც გაუკეთებდნენ (ჩავწერე 2016-17 წწ.). წიპოლა არის როგორც გუდასტვირის სალამური, ისე ცალკე საკრავიც.

“ბავშვები რომ ვაკეთებდით, ფლუბს ვუზახით, მეორეც იყო კიდე, ქერი რო გეიზებებოდა, მოაჭრიდით, აქედან ერთი ატკეცილიო და იმას ვუხახით „მუზიკას“. „მუზიკა“ სასტვენია, ნახვრებებსაც გააკეთებდი და ჩუუბერავდი“ 2015 წელს მიამბო თიქრეთ გენჩმა (მუთიძემ).

აკმედ ბაირაქის ცნობით, სასტვენს „მუზიკა“ ეწოდება, იგი კამპარისგან ანუ დიდგულასგან კეთდებოდა. საკრავი ორსალამურიანი იყო, ერთზე სამი და მეორეზე კი ხუთი თვალი ჰქონდა (ჩავწერე 2016 წ.) ალი ბაირაქმა ნადირობისას ჩიტის მოსატყუებელი საკრავის არსებობა გაიხსენა, რომელსაც საგარაუდოდ დუდუკს უწოდებდნენ. ალისვე თქმით დუდუკი ავჯების (მონადირეების) საკუთრება ყოფილა. მონადირის დაკვრისას ჩიტის მოეწონებოდა სასტვენის ხმა და გამოეპასუხებოდა (ჩავწერე იქვე).

ლუტფისა და აზიზ ჰადიდ გოლმეზ პემიმოლლებისგან ჩაწერილი ცნობით, „ჩხირიდან კეთდება ჭიბონი. იგი კამპარისგანაა. თულუმს<sup>13</sup> ხომ ორი თანე (ორი ცალი – გ. კ.) კავალი აქვს და ჭიბონზე ერთი თანეა, მაგრამ ორი თანეს გაკეთებაც შეიძლება“ (ჩავწერე 2016 წ.). აქ საჭიროა პარალელი გავავლოთ აქმედ ბაირაქის ცნობასთან ორი სალამურის ერთ საკრავად არსებობის შესახებ (ჩავწერე 2016 წ.). იგი მრავალდეროიანი სალამურის საბავშვო ვარიანტად უნდა ჩაითვალოს.

სამწუხაროდ, საბავშვო საკრავებისა და მისი დამზადების პროცესის ნახვა, ჯერჯერობით ვერ შევძელი.

საბავშვო სიმღერებიდან კი მუჭაჯირ კლარჯებში დაგაფიქსირე „წიი წიი წიპოლია/წიქორია“ (ვიდეოდანართი, №3). ბავშვები ერთმანეთის მაჯაში მოკიდებდნენ ფრჩხილებს და ხელს ზევით ასწევდნენ. არის საკვებთან დაკავშირებული საბავშვო ჰანგიც (აუდიოდანართი, №26), რომლებსაც უფროსები ბავშვებს უმღერებდნენ.

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხო კირნათ-მარადიდის თემას. გარაფანიძე მაჭახლური მუსიკალური ფოლკლორის მსგავსად მარადიდულსაც აჭარულის ნაწილად მიიჩნევდა (გარაფანიძე, გ. 2011:90). ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგის ცენტრის მიერ 2014 წელს გამოცემულ კრებულში (ტომი VIII) მარადიდის ზეპირსიტყვიერი ფოლკლორი კლარჯულ ფოლკლორშია შეტანილი. ჩემი 2014 წლის შავშეთის და 2015-2016 წლების კლარჯეთის ექსპედიციების დროს ეთნოფორებს არაერთხელ განუხევავებიათ თავი კირნათ-მარადიდისა და მაჭახლის მოსახლეობისგან.

მეცნიერთა განსხვავებული აზრის გამო 2015 წელს ვესტუმრე ბორჩხის რ-ნის სოფ. მარადიდს (მარადიდის თურქულ ნაწილს). შეკრებილი ხალხის საკმაო რაოდენობის მიუხედავად სიმღერების ჩაწერა თითქმის ვერ მოხერხდა. ძირითადად დაგაფიქსირე „ჯილველო“ და „გელინო“ (აუდიოდანართი, №27), მაგრამ მიმღერეს „დოდოფლის სიმღერის“ ბანის ფრაგმენტი (აუდიოდანართი, №28), რომელიც აჭარული სიმღერის ბანია. ამ სიმღერების აჭარულობას თავად მარადიდლების ცნობა ამყარებს „ადრე მაჭახლელებივით ჩვენც ვმდეროდით, მურდულის და შავშეთის ყაიდეები (ჰანგები – გ. კ.) გადაცვლილია“ (გადასხვავერებული – გ. კ.). „გელინო“ ერთ ხმაში თქვეს და „ჯილველო“ ცალფად შესრულდა. საინტერესოა,

<sup>13</sup> გუდასტვირის თურქული სახელწოდება.

რომ კონსერვატორიის 2005 წლის ექსპედიციის მასალებშიც ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. მარადიდსა და კირნათშიც, „გელინოს“, ისევე როგორც „ჯილველოს“, რატომდაც ერთ ხმაზე ამბობდნენ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ თურქეთის საქართველოს ყველა კუთხის ქართველი „ჯილველოს“ თავის სიმღერად მიიჩნევს.

## 2.2 ტაო

2014 წელს ჩემ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით მუსიკალურად ყველაზე გაღარიბებულ კუთხედ ტაო უნდა ჩავთვალოთ. იგი იუსუფელის რაიონს მოიცავს და მდებარეობს მდინარე ჭოროხის შუა დინების აუზში. ტაო ესაზღვრება კლარჯეთსა და, სავარაუდოდ, სამცხე-ჯავახეთის თურქულ ნაწილს. „გურჯული“ ენა ტაოს მხოლოდ სამმა სოფელმა შემოინახა. უფრო მეტიც, ამ სოფლებში მცხოვრებ ბავშვებს, სამწუხაროდ, ქართულად საუბარი ან უჭირთ, ან არ იციან. ამის მიზეზი ბოლო 20-30 წლის მანძილზე მოსახლეობის მხოლოდ ზაფხულობით ჩასვლაა. ქობაქი და ბალხი ზამთარში მთლიანად იცლება, პატარა ხევეკში კი მოსახლეობის ნახევარიდა რჩება (ჩავწერე 2014 წ.).

ტაოური სიმღერა ერთხმიანია. სიმღერების უმეტესობა თურქულად სრულდება, მაგრამ, სხვა კუთხეების მსგავსად, აქაც მათი ქართული წარმომავლობის სასარგებლოდ მეტყველებს ბანის მისადაგების შესაძლებლობა. ასეთი ექსპერიმენტი განახორციელა ტაოელმა ონურ სარიკაიამ, როცა ერთ სიმღერაში ბიძამისს, იზირ სარიკაიას, ბანი უთხრა (აუდიოდანართი, №29). ონურმა ქართული მრავალხმიანი სიმღერები ახმედ მელაშვილის ხელმძღვანელობით არსებული ანსამბლის, „კაფდალის“ წევრობის დროს შეისწავლა (ჩავწერე 2014 წ.). დანარჩენი ტაოელები ამ სიმღერას, სხვა ნიმუშების მსგავსად, ერთ ხმაში მდერიან (აუდიოდანართი, №30).

ტაოური სიმღერები ჟანრულად უკიდურესად მწირია. ასეთივეა მ. ფალავასაც დასკვნაც (ფალავა, 2011:289-290) ძირითადად, მოვახერხე სახუმარო, სააკვნე და შრომის სიმღერების ფიქსირება. სახუმაროდან გავრცელებულია „ჰაიდვა, წევდეთ“ (აუდიოდანართი, №31), „თაროზე ყველი მაქვა“ (აუდიოდანართი, №32), „გოგოვ, გოგოვ“ (აუდიოდანართი, №33) და ა. შ.) სიმღერა „ჰაიდვა წევდეთ“ გამოუთქამს ერთ დედაკაცს, რომელსაც ბევრი საქმე ჰქონია (ჩავწერე 2014 წ.). შრომის სიმღერებიდან ფიქსირებულია ტყიდან ხის მორების გადმოტანის დროს შესასრულებელი „ელესა“ (აუდიოდანართი, №34). მთხოვთ გადმოცემით, როდესაც ხეს გამოსწევდნენ ჰალუით (სავარაუდოდ, თოკით) ერთი დაიყვირებდა

„ელესა“, მას გუნდი გამოეპასუხებოდა (ჩავწერე 2014 წ.). თუმცა არის უფრო სასიმღერო ტიპის ვარიანტებიც (აუდიოდანართი, №35). ჩემ შეკითხვაზე – თუ რას მღეროდნენ ყანაში სხვა დროს, მასუხეობდნენ, ნებისმიერ რაიმეს, ხშირად – ერთსა და იმავე მელოდიაზე, უფრო თურქულად; დასვენების დროს „ტიკი“ იფერხულებდნენ. იგივე სიტუაცია იყო ქსოვის დროსაც. (ჩავწერე 2014 წ.).

რაც შეეხება მევლუდ იაზიჯის ცნობას ბალახის (მოლის) მოთიბვის დროს სიმღერის არსებობის შესახებ, ეს ნაკლებ სარწმუნოა, მით უფრო, რომ შესრულებული ნიმუშიც ლირიკულია (აუდიოდანართი, №36). შემორჩენილია აკვნის ნაწებიც (აუდიოდანართი, №37).

დატირება მხოლოდ ერთხელ დავაფიქსირე (აუდიოდანართი, №38). მიცვალებულს ძირითადად ყურანს უკითხავენ (აუდიოდანართი, №39), თუმცა ონურ სარიკაიას ცნობით დატირება სამი დღე გრძელდება (ჩავწერე 2014 წ.). ყვავილით დაავადებულ ბავშვთან ხმამაღლა საუბარი არ შეიძლება, რაც შეეხება მუსიკალურ ქმედებას, მას ხოჯა გამოულოცავს (ჩავწერე 2014 წ.).

სევდიანია იაილას (იალადების) სიმღერა (აუდიოდანართი, №40-41) იგი ძირითადად თურქულ ენაზე სრულდებოდა, თუმცა დავაფიქსირე ქართულ ენაზეც. მთხოვობელების გადმოცემით იაილაში სულ ქალებს უმუშავიათ, კაცები „ყურბეთში“ (სამუშაოზე) წასულან, ქალები „მოღალულან“ და უთქვამთ, დროზე გავაკეთოთ საქმე და ჩამოვიდეთ, თორემ მგელი შეგვჭამსო (ჩავწერე 2014 წ.).

ახალი წელიწადის ამსახველი სიმღერა არის „ახალწელიწადი დღეში ვირი ჩავქოლე ჭალაში“, თუმცა ეთნოფორთა თქმით, ამას სხვა დროსაც მღეროდნენ (ჩავწერე 2014 წ.). სამწუხაროდ, მხოლოდ ამ ფრაზის ჩაწერა შევძელი.

ზოგიერთი ტაოელი იხსენებს „გელინოსაც“, თუმცა მის ადგილობრივ წარმომავლობაში ეჭვი შეაქვს (ჩავწერე 2014 წ.). სამაგიეროდ ტიკზე არსებობს პატარძლის სიძის სახლში მისაყვანი მგზავრულ-მაყრული ჰანგი (აუდიოდანართი, №42).

სხვა უანრის სიმღერები შემორჩენილი არ არის, მაგრამ გ. კალანდიას ჩაწერილი აქვს გუდასტვირზე თამარ მეფის სადიდებელი ჰანგი (ვიდეოდანართი, №4). იგი ყველა განსაკუთრებულ ზეიმზე იკვრება.

საკრავებიდან გავრცელებულია გუდასტვირი, ტაოურად „ტიკი“. „ტიკი“ ტაოელთა თქმით გასიებულს ნიშნავს და ამიტომაც დაერქვა საკრავს (ჩავწერე 2014 წ.). ფაღავას „მოგზაურის დღიურში“ „ტიკი“ ასევე „ტიკიგუდას“ სახელწოდებითაა მოხსენიებული (ფაღავა, 2011:296-297). საცეკვაო მუსიკა, მაგ. მაგ.

„ჯილგელო“, „მამაკაცების ფერხული“, „თითრამა“ და სხვ.. გუდასტვირზე სრულდება (ჩავწერე 2014 წ.). დღევანდელ ტიპზე ორივე მხარეს ხუთი თვალია ამოქრილი, ა. აკატის ცნობით, იუსუფელის ქართულ დასახლებაში თვალთა რაოდენობა 1/5, ხოლო არაქართულ დასახლებებში 3/5 იყო (აკატი, 2015:367). ვინაიდან, ჩემი აზრით, თვლების ტოლი რაოდენობა ხელს უწყობს ჰანგის გაერთხმიანებას, ამიტომ ვვიქრობ, ძველ ტიპზე შესრულებული ჰანგები უფრო მეტად ორხმიანი და ქართული იქნებოდა. რადგან დღეს მექართულები გუდასტვირს ლაზებისგან ყიდულობენ (ჩავწერე 2014 წ.), ლაზურ გუდასტვირში კი, ძველი ტაოურისგან განსხვავებით, თვლების რაოდენობა ტოლია (5/5), ადვილად დასაშვებია, რომ ტაოური დასაკრავები, რომლებშიც ჯერ კიდევ შემორჩენილია ქართული მრავალხმიანობა (აუდიოდანართი, №43), ლაზურის გავლენას განიცდიდეს.

ტაოელები გუდასტვირის ნაწილს ნავს, მასში ჩადებულ სალამურებს კი წინწილას უწოდებენ (ჩავწერე 2014 წ.). თუმცა საკრავის დამზადების ტრადიცია თითქმის დაკარგულია, მხოლოდ პატარა ხევეკში აქვს 3-4 კაცს (უმთავრესად, ახალგაზრდებს) ლაზებისგან ნაყიდი და ხშირად ახლადშექმნილ ტაოურ ნიმუშებს ასრულებენ. ცეკვას ფერხულს უწოდებენ.

ვინაიდან დღეს ტაოს მექართულები სოფლებში გუდასტვირებს ჭანებისგან ყიდულობენ, შესაძლებელია, მასზე ტაოში ჩემ მიერ 2014 წელს ფიქსირებული ტერმინოლოგიის ნაწილის ადგილობრიობა ეჭვს იწვევდეს. „ნავი“ ასევე ფიქსირებულია ჭანეთშიც, „ლულუკი“ კი თურქული სიტყვაა. ნამდვილად ტაოური ტერმინებია „ტიკი“ (ლაზეთში გუდას უწოდებენ) და „წინწილა“.

ტაოელები ცეკვავენ „ფერხულს“, „ხორონს“, „თითრამას“, „ჩიფთე ხორონს“, „ჭანის“, „ართვინ ბარს“, „ათაბარს“, „ჰემშინს“ (ფალავა, 2011:297). დავძენ რომ „ჭანი“, „ართვინბარი“, „ათაბარი“ და „ჰემშინი“ არაა ტაოური ჰანგები, „ჰემშინი“ და „ჭანი“ ლაზურია, ართვინბარ/ათაბარი კი კლარჯული.

ტაოურ ხორუმს მ. ფალავა ამგვარად აფასებს: „ხორუმიაო ეს ცეკვა, - გვიმტკიცებენ მასპინძლები... მიჭირს დავიჯერო, რომ ეს ხორუმია. სხვადასხვა ცეკვის ნარევთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე ერთიან ცეკვასთან; არც მუსიკად მთლად ქართული საცეკვაო“ (ფალავა, 2011:296). ეს აზრი პროფესორს გუდასტვირზე ერთხმიანობის დომინირებასა და არაქართული მელიზმატიკის ხანგრძლივი მოსმენის გამო უნდა დაბადებოდა.

„წინწილა“, ტაოელთა გაგებით, არის სალამური, როგორც ცალკე (თურქულად „Kaval“), ისე - ტიპში ჩადებული (ანუ დედნები). ორივე შემთხვევაში სიტყვას ჩასაბერის მნიშვნელობა აქვს. გუდასტვირში ჩადებული „წინწილა“ კაპლის ხისგან მზადდება. თავად გუდა კი თხისგან, რადგან ცხვრის ტყავი ჰაერს ატარებს (ჩავწერ 2014 წ.).

ტრადიციულად, ტიპზე სამდერი ჰანგებიც იყო (უფრო თურქულენოვანი) და საფერხულოც (ჩავწერ 2014 წ.). რაც შეეხება სალამურს, მასზე დამკვრელის პოვნა ვერ მოხერხდა.

სამწუხაროდ, 2014 წელს მე და 2013 წელს თ. მესხიძემ (რეჯისორ თინათინ ჭაბუკიანთან ერთად) მხოლოდ გუდასტვირის ფიქსირება შევძელით. ინტერნეტ-რესურსებში კი გუდასტვირთან ერთად დოლი და ზურნაც ფიგურირებს, თუმცა ტაოელთა თქმით, ეს უკანასკნელი „მეთურქულე“ სოფლებშია გავრცელებული.

მათვე ახსენეს სიტყვა „უშტურ“. იგი თურმე სტვირს ნიშნავს და მეცხვარეებისთვის ყოფილა განკუთვნილი (ჩავწერ 2014 წ.). სამწუხაროდ, არ შემიძლია თქმა, რა განსხვავებაა უშტურსა და წინწილას შორის, რადგან არცერთი მათგანი არ შემხვედრია. შეიძლება ამ შემთხვევაში „წინწილა“ და „უშტურ“ სინონიმებადაც კი იყოს ქცეული.

ტაოს მეთურქულე სოფლებში „ტიკთან“ ერთად გავრცელებულია დაულ-ზურნაც (ვიდეოდანართი, №5), რომლებზე შესრულებული დასაკრავებიც მკვეთრად „აღმოსავლური“, „აზიურია“<sup>14</sup>.

## 2.3 შავშეთი

იგი მოიცავს შავშათის რაიონს და მდებარეობს აჭარისა და სამცხის გასწვრივ, ასევე ემეზობლება კლარჯეთს.

შავშურ მუსიკაზე, ტაოურისა და კლარჯულისგან განსხვავებით, სამაგისტრო დიპლომისთვის შედარებით მეტი მასალა მქონდა. წიგნებიდან ამოკრეფილ ინფორმაციას თან ერთვოდა ჩემ მიერ სოციალური ქსელით გამოკითხული ეთნოფორები, დანართის სახით კი წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დარგის მეცნიერთა მიერ ფიქსირებული და ინტერნეტრესურსებით მოპოვებული მუსიკალური მასალა. ინეგოლის რ-ნის სოფ. ჰაირიე, რომელიც გარაფანიძის მიხედვით, შავშურ სოფლად მიგვაჩნდა, სინამდვილეში აჭარული (მაჭახლური)

<sup>14</sup> ამ ტერმინებში ვგულისხმობ თურქულ-აზერბაიჯანულ-საარსულ მუსიკას.

ყოფილა. ვინაიდან, ჩემ ხელთ არსებული ნამდვილი შავშური სიმდერები ერთხმიანი იყო, შავშური მუსიკა ცალკე დიალექტია გამოვყავი (კრავეიშვილი, 2013:41-45). 2014 წელს კი ჩემ მიერ მოპოვებულმა მასალაში მხოლოდ დაადასტურა ამ მოსაზრების მართებულობა, და შავშეთის მუსიკალური ფოლკლორის შესახებ უფრო მეტი გახდა ცნობილი.

ფილოლოგ შუშანა ფუტკარაძისგან 2013 წელს შევიტყვე, რომ აჭარის მაღალმთიანეთში შავშეთიდან, კერძოდ იმერხევის ხეობიდან გათხოვილი ქალები 1960-70-იან წლებში ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. დავინტერესდი, ვინმეს თუ პქონდა ჩაწერილი მათგან ფოლკლორული მასალა. სამწუხაროდ, ასეთი ჯერჯერობით არაფერი ჩანს. შესაძლოა, ისინი არც არავის ჩაუწერია, რადგან: ა) ცხოვრობდნენ უშუალოდ თურქეთის საზღვართან მდებარე სოფლებში, სადაც გადაადგილება ძალიან ძნელი იყო; ბ) ცხადია, კომპაქტურად არ სახლობდნენ, შესაბამისად, მათი ქვებნა საკმაოდ რთული იყო; გ) რელიგიური ფაქტორის გამო ქალები ნაკლებად კონტაქტობდნენ უცხოებთან; დ) ვინაიდან იმერხევიდან იყვნენ (იგი 1921 წელს თურქეთს გადაეცა), რეპრესიების შიშით ხშირად საკუთარ წარმომავლობას არ ამხელდნენ.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში არათუ აჭარაში გათხოვილ იმერხევლებს, არამედ ადგილზე დარჩენილებსაც არ იწერდნენ. ამაზე მეტყველებს ბაზგირეთელი მუსტაფა უზუნის ცნობა, რომლის მიხედვითაც ბაზგირეთლებმა 50 წლის წინ გაიგეს ხმის ჩამწერი აპარატის შესახებ (ჩავწერ 2014 წ.). თუკი ამ სოფელს იმერხევის ცენტრად წარმოვიდგენთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ განსხვავებულ მდგომარეობაში არც სხვა სოფლები იქნებოდნენ.

ტექსტში ხშირად ვხმარობ ტერმინს „იმერხეველები, იმერხევი“, ვინაიდან შავშეთში იმერხევის ხეობა ერთადერთი ქართულენოვანი კუნძულია.

შავშური სიმდერა დღეს ერთხმიანია, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა მოგზაურ დიმიტრი ბაქრაძის მიერ აღწერილი, აჭარაში 1874 წელს მოსმენილი შავშური ნიმუში: „საუბრის დროს ქართული მაყრული მომესმა... ზენდიდელი ბეგი თურმე შავშეთელი ბეგის ქალზე ქორწინდებოდა და შავშეთიდან მას სიმდერით მოაცილებდა კარგა მოზრდილი მაყრიონი“... „სიმდერა, რომელსაც ამ დროს ასრულებენ - მაყრული, მისი სიტყვები და კილო, თვით ქორწინების ზეიმი - სამ დღეს ქორწილი, - ყველაფერი ეს წმინდა ქართულია და იგი შემონახულია არა მარტო აჭარაში, არამედ ყველგან ამ მხარის მუსლიმანებში“ (ბაქრაძე, 1987:58). ვფიქრობ, „მის კილოში“ მოგზაური მრავალხმიანობას უნდა

გულისხმობდეს. სამწუხაროდ, ბაქრაძე ქობულეთ-აჭარის გარდა არსად ყოფილა, ვინაიდან ფაშისტან სხვა მხარეების მოვლის ნებართვა არ ჰქონდა (ბაქრაძე, 1987:67).

მუსტაფა უზუნ გამეშიძის ცნობით (ჩაგრე 2014 წ.), მის ბავშვობასა და ახალგაზრდობაში (1960-70-იანი წლები) „მაჭახლურ სიმღერებზე იმერხევლები იცინოდნენ როგორ მდერითო, რადგანაც მათი აზრით, ერთხმიანი სიმღერაა ლამაზი“. ცნობისთვის შავშეთის (იმერხევის) რამდენიმე სოფლის, მათ შორის ბაზგირეთის იაილებსაც (იალაღები), მაჭახლელების იაილები ესაზღვრება. იმერხევის მოსაზღვრე შუახევის ონის სოფ. ლომანაურში დაბადებული ფილოლოგი შუშანა ფუტკარაძე ჩემთან პირად საუბარში დაუდასტურებია ბავშვობასა და ახალგაზრდობაში (1950-60-იანი წლები) იმერხეული მრავალხმიანი სიმღერის მოსმენის ფაქტი. მისი თქმით, როცა აჭარაში შუამთობა იმართებოდა, იმერხევლებიც ატარებდნენ მსგავს ლონისძიებას (სავარაუდოდ, მარიობას). საზღვრის გადმა-გამოდმა მცხოვრებ აჭარლებსა და იმერხევლებს ერთიმეორის სიმღერები კარგად ესმოდათ. ქალბატონ შუშანას იმერხეული მრავალხმიანი ნიმუშები გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩაუწერია კიდეც (კრაგეიშვილი, 2013:55), თუმცა შემდგომ ეს ფაქტი მან თავადვე უარყო. ასე რომ, მის მიერ საზღვრის გაღმიდან მოსმენილი სიმღერების მრავალხმიანობა ეჭვს იწვევს. 1950-60-იან წლებში იმერხეველთა ახალგაზრდა თაობაში მრავალხმიანობა ჯერ კიდევ რომ ყოფილიყო შემორჩენილი, მაშინ 2014 წელს მის ფიქსირებას მეც მოვახერხებდი. მეტიც, მრავალხმიანობა ვერც 1994 წელს გაზეთ „ფენიქსის“ რედაქციის ექსპედიციამ დაფიქსირა (ხელ. დ. დუნდუა), რომელიც იმერხევს ანზორ ერქომაიშვილთან ერთად ეწვია (პირადი საუბრები 2012-13 წ.). ერთხმიანია ასევე იმავე წელს ართვინში გადაღებული და youtube.com-ზე განთავსებული ვიდეოები, რომელთა ნაწილიც შავშური უნდა იყოს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს სამაგისტრო ნაშრომში მოხმობილი, პუბლიცისტ ივანე ჯაიანის 1895 წლით დათარიღებული ცნობა (კრაგეიშვილი, 2013:53), რომელშიც საუბარია შავშური სიმღერის გაქრობაზე, სინამდვილეში კლარჯულ სიმღერას ეხება, და არა შავშურს (ჯაიანის ცნობას დეტალურად 3.5 პარაგრაფში განვიხილავ).

1988 წელს გარაფანიძე წერს „იმერხეული მუსიკალური მასალა, სამწუხაროდ, ფიქსირებული არაა, თუმცა შუახევის ონის სოფ. ოლადაურში (საიდანაც იმერხევი საკმაოდ ახლოსაა) მოხუცებისგან გამიგია, რომ იმერხევში კარგად მღერიან და მათი სიმღერები ძალიან ჰგავს ოლადაურელებისას“ (გარაფანიძე, გ. 1988:40).

რუსების მართებული აზრით იმერხეული სიმდერები რომ ერთხმიანი ყოფილიყო, შუახეველი მოხუცები მათი კუთხისა და იმერხევის ნიმუშების მსგავსებაზე სავარაუდოდ არ ისაუბრებდნენ“ (რუსები, 2013:138). 1921 წლიდან აჭარასა და შავშეთს შორის არსებული საზღვარის გამო მიმოსვლა საკმაოდ გაძნელდა, ხოლო 1937 წელს კი საზღვარი ჩაიკეტა, გარაფანიძის ოლადაურელი ინფორმატორები 1900-იან წლებში უნდა დაბადებულიყვნენ. სიმდერები კი უფროს თაობას უნდა ემლერა, ვინაიდან შავშეთში 2014 წელს ჩემ მიერ გამოკითხულ ეთნოფორთა თქმით მრავალხმიანობა 1940-იანი წლების შემდეგ მაინც, აღარ იყო. თუკი 1874 წელს მაყრულის „ქართულობაზე“ ვიფიქრებოდა და ამას შევუპირისპირებო უზუნის ცნობას იმერხევლებისგან მრავალხმიანი სიმდერის დაცინვის შესახებ, ვნახავთ, რომ ერთი საუკუნის მანძილზე შავშთა მუსიკალური სმენა საგრძნობლად დეგრადირებულა.

განსაკუთრებით ბევრია ლირიკული და სახუმარო ნიმუში. ქორწილთან დაკავშირებული სიმდერები სრულდება უმეტესად აკორდეონის თანხლებით (ადრე „ჭიბონი“ ახლდა) თურქულ ენაზე და მხოლოდ რამდენიმე ქართული სტროფით (ჩავწერ 2014 წ.). თუკი ტაოსა და კლარჯეთში (არაფერს ვამბობ ლაზეთზე) ყანაში ერთმანეთის გაშაირება მაინც ხდებოდა, შავშეთში არა მარტო უარყოფდნენ ყანაში მუშაობის დროს ზოგადად მღერის ფაქტს, არამედ იქ სიმდერის თქმის შესაძლებლობა, ვერც კი წარმოედგინათ. შრომის სიმდერები ნაწილს მართლაც სმენია, ოდონდ მაჭახლელებისგან (ჩავწერ 2014 წ.).

საბედნიეროდ, ქართულ ენაზე მოხერხდა, აკვნის ნანების დაფიქსირება (აუდიოდანართი, №44). ჩავწერ, ასევე ბავშვის გამოსაღვიძებელი/გამოსაფხილებელი (აუდიოდანართი, №45) ჰანგი, რომელიც სრულდება მაშინ, როცა ყმაწვილი მოთენთილი იღვიძებს. ამ დროს, რომ არ იტიროს, ხელში აიყვანენ, ახტუნავებენ და აცეკვებენ (ასამებენ).

სიძის სახლში მაყრიონის შესვლისას აკორდეონის (ადრე „ჭიბონის“) თანხლებით ან მის გარეშე თურქულ ენაზე სრულდება სიმდერა „გელინ ბურუმ“ (მობრძანდი, პატარძალო) (აუდიოდანართი, №46). ამას მოჰყვებოდა ინსტრუმენტული მგზავრული-მაყრული „გზის ყაიდეს“ ანუ „იოლ ყაიდეს“ (გზის ჰანგი) სახელწოდებით (ასევე უწოდებენ „ჯეზაირსაც“). ზოგს, „იოლ ყაიდე“ და „დოდოფალი მოყავან“ ერთი და იგივე ჰგონია (ჩავწერ 2014 წ.), მაგრამ „იოლ ყაიდე“ (აუდიოდანართი, №47) სინამდვილეში განსხვავებული ჰანგია. მხოლოდ ამის შემდეგ ამბობენ, „დოდოფალი მოყავან“ (აუდიოდანართი, №48). ეს სიმდერა სიძის (სასიძოს) ეზოში მაყრიონის შესვლისას იმდერება.

რაც შეეხება პატარძლისა და მისი ახლობლების ტირილს, ის შავშეთში მოტივის გარეშე ყოფილა. მ. უზუნის ცნობით (ჩავწერე 2014 წ.), „გზის ყაიდე“ ადრე ომის სიმღერა იყო.

როდესაც მაყრები სუფრაზე დასხდებიან, სრულდება საქორწინო – სუფრული (სურსათ-სანოვაგის მოსათხოვი) სიმღერა „მოლა, მოლა“ (აუდიოდანართი, №49). „მოლა“ ამ შემთხვევაში ახალდაქორწინებულის მამაა. სიმღერაში ჩამოთვლიდნენ, რისი მოტანაც სურდათ, მაგალითად, ზაფხულში ყინულს და ზამთარში ბალსაც მოითხოვდნენ. ნიმუში, უმეტესწილად, თურქულ ენაზე სრულდება. ეს სიმღერა აკორდეონის თანხლებით არ იმღერება, მაგრამ „ჭიბონის“ თანხლებით შესაძლებელი იყო მისი შესრულება (ჩავწერე 2014 წ.). ფალავას, შიომვილისა და სხვათა ავტორობით გამოცემულ წიგნში – „შავშეთი“ – მოცემულია ასეთი სტრიქონიც „ვოსა, ვოსა, ვოდელია ნანინა, (ფალავა, შიომვილი და სხვ. 2011:127). ეს ფრაზა იმერხეულ ნიმუშებში არ დასტურდება, თუმცა, შესაძლოა გვხვდებოდეს მაჭახელში, რომელსაც მონოგრაფიის ავტორები განიხილავენ არა აჭარის, არამედ შავშეთის ნაწილად.

საქორწინო თემატიკასთან დაკავშირებით საინტერესოა ლირიკული სიმღერა „უბის სერზე“ (აუდიოდანართი, №50). იგი მოგვითხრობს შექვარებული გოგოს სხვაზე გათხოვების შესახებ სოფ. დაბიდან უბეში. გოგო იმდენად დადარდიანებულა, რომ ყანაში ნადგომი თოხიანი კაცები თოვიანები ეგონა (სხვა ცნობით, თოვიანი მაყრები პგონებია თოხიანები – საფლავი უნდა გამითხარონ) (ჩავწერე 2014 წ.).

მეჭიბონეს, ქორწილის გარდა, იწვევდნენ ყანაშიც – დაღლილი ხალხის გასახალისებლად. ქოხის წველის (აუდიოდანართი, №51) გარდა, შრომის სხვა სიმღერები, როგორც უკვე აღვნიშნე, არ ფიქსირდება, თუმცა საინტერესოა მთხობელებისგან დასახელებული იაილების სიმღერა (აუდიოდანართი, №52), რომელსაც იაილებში (იალადებში) წასვლის დროს მღეროდნენ. ამ ნიმუშის ტაოური ვარიანტის ჩაწერა მაფიქრებინებს (განმეორებით იხილე აუდიოდანართი, №40), რომ არც შავშური ვერსია იყო წმინდა შრომის სიმღერა და შრომის-მგზავრულ ნიმუშთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

შავშეთში გამქრალია სამკურნალო ნიმუშები, თუმცა ყვავილიან ბაგშვს რძეს მიართმევდნენ. ამავე დროს მუავეს, მწარეს, ლობიოს არ აკეთებდნენ, ნემსსაც არ ხმარობდნენ (ჩავწერე 2014 წ.).

თითქმის აღარ გვხვდება ისტორიული თემატიკის ამსახველი ნიმუშები. ერთი თურქულენოვანი ნიმუშის დაფიქსირება შევძელი მხოლოდ თამარ მევეზე (აუდიოდანართი, №53), თუმცა სხვა რამდენიმე ეთნოფორმაც დაადასტურა ასეთი სიმღერის არსებობა. (ჩავწერე 2014 წ.). ნაჯი ალთუნმა აღნიშნა: „თამარაზე სიმღერა ქართულად სადღაც ზაქიეთისკენ (იმერხევის სოფელია – გ. პ.) მაქვს გაგონილიო“ (ჩავწერე 2014 წ.). 53-ე დანართად მოტანილ ნიმუშზე ბაზგირეთელმა ისმაილ აიდინმა (ცვარიძე) მითხვა, „ეს სიმღერა თამარაზე კი არ არის, არამედ დოდოფალზე, რომელსაც მოყვანისა (მოყვანის დროს – გ. პ.) გერდეგში შეყრიან და დილას სიძე გარდაიცვლება და დოდოფალი ამაზე მდერისო“ (აუდიოდანართი, №54). საინტერესოა უზუნის ცნობაც, რომლის მიხედვითაც ართვინში არსებობს ცეკვა „თამარა“, მას იმერხევის სოფლებში „შემორბენილავს“ (აუდიოდანართი, №55) უწოდებენ. ჩემ მიერ თამარაზე ფიქსირებული ერთადერთი სიმღერაც კი მუსიკალურად ლირიკულის უანრში შეიძლება გავაერთიანოთ, რადგან ამ მელოდიაზე მრავალი ლირიკული სიმღერა იმდერება. ჭიჭინაძეს მოაქვს სამი ფაფათელი დის მიერ ფაფათის მთის ციხის აშენების გალექსილი ამბავი (ჭიჭინაძე, 1913:266-267) რომლის მუსიკალური მხარეც, უცნობია.

ჩაწერილია როგორც წართქმით (აუდიოდანართი, №56) ისე ხმით (აუდიოდანართი, №57) ნატირალი. ტირილს, ისევე, როგორც ჩვენებურებით დასახლებულ სხვა კუთხეებში, შავშეთშიც, მხოლოდ ქალები ასრულებენ. ნიკო მარი, კი ქალებთან ერთად მამაკაცების მოთქმასაც ახსენებს (მარი, 2012:166). გაუგებარია, თუ მამაკაცის მოთქმაში რა იგულისხმება, მხოლოდ ცრემლი (რასაც დღესაც ვხვდებით და არა მარტო შავშეთში), თუ სიტყვიერი ტექსტიც, რომელიც უკვე დაკარგულია?

ბაზგირეთში ჩავწერე სამგლოვიარო სიმღერა (აუდიოდანართი, №58). იგი დატირება არ არის. როგორც ეთნომუსიკოლოგმა ქეთევან ბაიაშვილმა მითხვა, ამ სიმღერით ადამიანი წინასწარ გრძნობს ადსასრულს.

საკულტო სიმღერებიდან შემორჩენილია „ნაზარი“ (აუდიოდანართი, №59). ნაზარობა იგივე ლაზარობაა, იმ განსხვავებით, რომ მას ასრულებენ ბავშვები და, გარდა ამისა, სიტყვიერი ტექსტი ან თურქულია, ან თურქულ-ქართული. ნაზარობის გარდა, სრულდება წმინდა ქართულენოვანი ნიმუშები „ბზევ გამო“ (აუდიოდანართი, №60); ან პირიქით, „გამოი ნისლო“ (აუდიოდანართი, №61). საინტერესოა ამავე რიტუალთან დაკავშირებული გამონათქვამი: „აქედან წაი

ნისლო, მე კვერცხი არ მიჰამიაო“ (ჩავწერე 2014 წ.). იმასაც ამბობენ, „კვამლი თუ შენსკენ წამოვიდა, კვერცხი ბევრი გიპარავსო“ (ჩავწერე 2014 წ.).

არის სუკის შელოცვაც (აუდიოდანართი, №62).

ახალი წლის დადგომისას ბავშვები ჩავიდოდნენ ყანაში და უფალს შელოცვით ბარაქიანობას შესთხოვდნენ (აუდიოდანართი, №63).

ბარაქიანობას უკავშირდება ბერიკაობის დღესასწაული, რომელიც შავშეთშიცაა შემორჩენილი. ბერიკაობას ბერობანას უწოდებენ და მის მუსიკალურ თანხლებად აკორდეონი გამოიყენება.

6. მარის მიერ ხსენებული ყაჩაღური სიმღერების არსებობა (მარი, 2012:52) ვერ დავადასტურე. იმერხევლების მტკიცებით, ყაჩაღობა მათ მხარეში არ იყო გავრცელებული, ამ საქმეს უფრო ბორჩხისა და მაჭახელის ხალხი მისდევდათ.

იმერხევის ახალგაზრდობაში დღეს გავრცელებული სიმღერების სიტყვიერი ტექსტების უმეტესობა ახალია. ესენია:

- აკორდეონის თანხლებით შესრულებული „ხელგაშლილა“ (აუდიოდანართი, №64). ზოგის თქმით, იგი ინსტრუმენტული სახით არსებობდა, ზოგს კი ახლადშექმნილად მიაჩნია (ჩავწერე 2014 წ.).
- „ჰამშალახო“ (აუდიოდანართი, №65) საქართველოდან შემოსულ სიმღერად მიაჩნიათ. ეს ნიმუში დაფიქსირებულია ხელვაჩაურის რაიონში მდებარე მაჭახლურ სოფლებშიც (აუდიოდანართი, №66-67). მაჭახლელი მთქმელების სიტყვით, სიმღერის პირველწყარო „ფადიკოა“, ოღონდ ტექსტია შემდგომ შეცვლილი. ამ სიმღერის სანოტო ვერსია გარაფანიდეს მოჰყავს იური თაგბერიძის 1973 წლის ხელნაწერიდან „აჭარული ხალხური სიმღერები“ (გარაფანიძე, ე. 2011:194), ამგვარად „ჰამშალახოს“ აჭარიდან შავშეთში გავრცელება, შესაძლებელი იყო.
- რაც შეეხბა სიმღერას ბაზგირეთზე (აუდიოდანართი, №68), მისი სიტყვიერი ტექსტი ახალია, მელოდია კი - ძველი. უზუნის ცნობით, იმერხევლებმა ეს მელოდია პირველი მსოფლიო ომის წინ იმერხევიდან არაბეთში წასულ ჯარზე გამოთქვეს (ჩავწერე 2014 წ.). „დაბა და დევრიეთის“ ტექსტი იმდენად პოპულარული გამოდგა, რომ სხვა სოფლებში გადააკეთეს კიდეც (აუდიოდანართი, №69). ნიმუშის „არაბეთთან“ (ალბათ არაბეთის გაერთიანებული საამიროები იგულისხმება) დაკავშირება საფუძველსმოკლებული უნდა იყოს. ლექსის ავტორები ერთი ვერსიით ბაზგირეთლებს იმერ და იმედა ზუმბაძეებს, მეორე ვერსიით კი ჯაფერ თორუნი (გამეშიძე) უნდა იყოს.

- „გჰლოჯან“ (აუდიოდანართი, №70) პირველად თურქულ ენაზე სოფ. დიობანში გამოთქმულა, იმავე ეთნოფორის ვარაუდით, ამ სიმღერის რიტმი ქურთებიდან უნდა იქნა შემოსული, პირველად მას „ჰამშალახოზე“ ცეკვავდნენო (ჩავწერე 2014 წ.). „ელია, გოგო, ელიასაც“ (აუდიოდანართი, №71) ასევე საქმაოდ ძველ სიმღერად თვლიან. (ჩავწერე 2014 წ.).
- სიმღერის „მაწონი შევაყენე“ (აუდიოდანართი, №72) ტექსტი ახალი გამოთქმულია ბაზგირეთელი იმედა ზუმბაძის მიერ. (ჩავწერე 2014 წ.).

საინტერესოა სხვა სიმღერების სიტყვიერი ტექსტების შექმნის ისტორიაც: მაგალითად, მუსა ჩიმენის (ფალიაშვილი) თქმით, „გარდუგავილი დუუყრია“ (აუდიოდანართი, №73) მის ნათესავზე ერთ თვალჭირულ მასწავლებელს გამოუთქმას (ჩავწერე 2014 წ.). უზუნის ცნობით, „მთაზე მიმყავს ორი ხბო“ (აუდიოდანართი, №74) ბელტიეთელ აჟმედ ზაზალაძეს უმღერია, რომელსაც ერთი იმერხეველი გოგო ჰყვარებია (ჩავწერე 2014 წ.). ეს ტექსტები შემდგომ გავრცელდა მთელ იმერხევში. იმავე ეთნოფორის თქმით, „სახლ უქნედან საშეშე“ ერთმა კაცმა გამოთქმა სოფ. ხევწრულიდან (ჩავწერე 2014 წ.). როდესაც ნიმუშების აგტორებზე ესაუბრობ, მხედველობაშია მხოლოდ სიტყვიერი ტექსტები, რომლის ჰანგებიც წმინდა ხალხურია. ეს ნიმუშებიც იმავე მელოდიებზე იმდერება, როგორც დანარჩენი ნიმუშები.

უზუნის გარაუდი გჰლოჯანის რიტმის ქურთული წარმომაგლობის შესახებ (ჩავწერე 2014 წ.) საეჭვოა, რადგან თუნდაც სამწილადობა ფრიადაა დამახასიათებელი ქართული ხალხური მუსიკისთვის.

შავშური სიმღერების დიდი ნაწილი ხშირად აკორდეონის (სურათი, №2) თანხლებით სრულდება (ადგილობრივები მას „მუზიკას“ უწოდებენ). სამწუხაროდ, ამ საკრავზე შესრულებული მუსიკა ქართული ხალხური მრავალხმიანობის ნორმებში ვერ ჯდება (სანოტო დანართი, №3). მასში იშვიათადაა ქართული მუსიკისთვის დამახასიათებელი კადანსი (I-VII-I) – (აუდიოდანართი, №75). ხანშიშესული ეთნოფორების ცნობით, აკორდეონამდე გარმონი იყო, პატარა ბავშვი ჯერ გარმონზე იწყებდა დაკვრას და „მუზიკაზე“ შემდეგ გადადიოდა (ჩავწერე 2014 წ.). ზოთსელმა ნურეტინ დემირმა (ბექაძე), ჩემი თხოვნით, თავისივე დაკრული 2014 წელს ჩაწერა (ვიდეოდანართი, №6), რომლის მიხედვით არც გარმონზე დასაკრავები ასახავდა ქართულ ხალხურ მრავალხმიანობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ინსტრუმენტები ბევრ სოფელში საერთოდ არც ჰქონდათ. ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ ყველა ეს ჰანგი „ჭიბოზზე“ იკვრებოდა (ჩავწერე 2014

წ.). მე კი მხოლოდ ორი ახალგაზრდა მეჭიბონე ჩავწერე, რომლებსაც საკრავი ლაზებისგან პქონდათ შეძენილი. „ჭიბონზე“ აქლერებულ ჰანგებში ხშირია არაქართული მელიზმები და მრავალხმიანობა არ არის გაბმული, არამედ ფრაგმენტულია, მიუხედავად იმისა თუ ორხმიანობა რა სიხშირით უდერს (აუდიოდანართი, №76). მრავალხმიანობის ფრაგმენტულობა ტაოს მსგავსად შავშეთშიც შესაძლოა ჰანური მუსიკის გავლენით აიხსნას, ვინაიდან ჰანგებისგან ნაყიდი დღეგანდელი გუდასტვირისგან განსხვავებით ძველ შავშურ ჭიბონზე თვლების რაოდენობა იყო 1/5 ან 3/5. თვლების თანაბარი რაოდენობა კი ხელს უწყობს ჰანგის გაერთხმიანებას.

იმერხევლები „ჭიბონზე“ დამკვრელს „ჭიბონჯის“ უწოდებენ, აკორდეონზე/„მუზიკაზე“ დამკვრელს კი „აკორდეონჯის“, ზოგჯერ – „მუზიკაჯის“ (ჩავწერ 2014 წ.), თუმცა, ამ სიტყვას იმერხევლები, ჩვეულებრივ, უფრო ფართო გაგებით, მუსიკოსის მნიშვნელობით ხმარობენ. „ჭიბონს“ ნიკო მარი „ჭიბოსაც“ უწოდებს, რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომში მოხმობილ ტერმინ „გუდას“ (კრავეშვილი, 2013:63), იგი შავშეთში არ დადასტურდა.

6. მართან ეს საკრავი „ჭიბოს“ სახელითაა ცნობილი. მისი თქმით „ტბეთში ქართულად აღარ ლაპარაკობენ, თუმცა საკრავების ნაწილების სახელები ქართულია, სატუჩეს – „ლირდიტს“ ან „ლერდეტს“ უწოდებენ, ბოლოს – „ქარახსი“, ხის შუალედს, ტიკსა და ბოლოს შორის „ნაუ“ (სპ. ის ლერწამი ან ქართული ნავი, აქ დარის მნიშვნელობით), „ნაუ“-ში ჩადებულია ორი ლერწამი, რომელსაც დუდუკს ეძახიან. ხერელებს „ნაუ“-ზე უწოდებენ თურქულად კუ, თვითონ გუდას კი ქართულად [ჰქვია] – „ტიკი“ (მარი, 2012:140). თუმცა მარი შავშეთის არაქართულენოვან სოფლებში „ჭიბონის“ ზურნით შეცვლის ფაქტს მწუხარებით აღნიშნავს (იქვე:114-115). სიტყვა „ტიკი“ შავშეთში არ შემხვედრია.

„ჭიბონს“ ქართულენოვან სოფლებში რამდენიმე ათეული წლის წინ „მუზიკა“ ჩაენაცვლა (ჩავწერ 2014 წ.). ძველი შავშური „ჭიბონის“ თვლების რაოდენობა ძირითადად 3/5 იყო, შესაბამისად, მასზე დაბრული ჰანგებიც ქართულად უნდა გაქდერებულიყო. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ „მუზიკაზე“ თავდაპირველად გადატანილი მუსიკაც (დაახლოებით 40-50 წლის წინანდელი) უფრო „ქართული“ იქნებოდა.

რაც შეეხება შავშეთის არაქართულენოვან სოფლებს, იქ „ჭიბონთან“ ერთად (ვიდეოდანართი, №7) გაგრცელებულია ზურნასა და დოლზე (დაულზე) დასაკრავები (ვიდეოდანართი, №8). საინტერესოა, რომ ტბეთელებს, რომელთა

სოფლის ოფიციალური სახელი ჯევიზლია (საიდანაც ეს მეშვიდე ვიდეოა), თავი ტიბეტიდან მოსული თურქები პგონიათ და სახელწოდება ტბეთსაც ზოგჯერ ტიბეტთან აკავშირებენ (ჩოხარაძე, 2015:216).

შავშეთის ქართულენოვან სოფლებში გავრცელებული ცეკვებია „შემორბენილაი“, „დართულაი“, „გაზრომილაი“, „ბაზგირულაი“ და სხვ. ისინი დღეს უმეტესად „მუზიკაზე“ სრულდება, აღრე კი „ჭიბონზე“ იკვრებოდა (ჩავწერ 2014 წ.). რაც შეეხება კავალს (ვიდეოდანართი, №9) დიდად გავრცელებული არ უნდა იყოს.

იმერხევში მრავალხმიანი აზროვნების დეგრადაცია ბოლო ერთ საუკუნის მანძილზე რომ უნდა მომხდარიყო, ამას ცხადყოფს:

- ბაქრაძისა და უზუნის ცნობების შედარება;
- შავშური „ჭიბონის“ ლაზურით ჩანაცვლება, სადაც თვლების რაოდენობა ტოლია, და შესაბამისად, ერთხმიანობის ხვედრითი წილი უფრო დიდია;
- აკორდეონზე აქლერებული ნიმუშებში, ქართული მრავალხმიანი მუსიკისთვის უცხო მოვლენების, პირველ რიგში, ბანის დამკვიდრებაში.

იმერხევლები საბავშვო საკრავსაც ამზადებდნენ. მას „ტუტულავ“ უწოდებდნენ. იგი მზადდებოდა ხეში წყლის ახალი ჩადგმის დროს. დამზადების წესი შავშეთშიც იგივეა (გამოთლა, ტყავის გაძრობა, შემდეგ ტყავის ჩამოცმა) (ჩავწერ 2014 წ.). სამაგისტრო ნაშრომში მოვიყვანე ისა ალთუნის (წითელაძე) მიერ საბავშვო სასტვენის დამზადების აღწერა: „სამი სანტიმეტრის ზომით დანით შემოხაზავ, დანის ტარს გაუსვამ კანი მოქმება, მერე ხელით შემოატრიალებ. კანი გამოვა ტოტიდან, მერე პატარა ადგილს ამოჭრი, გამოღებულ კანს უკან დააყენებ და ჩაბერავ, დაუსტვენს“. მისი თქმით, ამას აკეთებენ როგორც მშობლები, ისე ბავშვებიც (კრავეიშვილი, 2013:63). წითელაძე მას dükük-ს უწოდებს. სავარაუდოდ, dükük და ტუტულავ ერთი და იგივეა.

ბავშვთა მიერ სათქმელი ნიმუშები თითქმის არ არის შემორჩენილი. დავაფიქსირე „ტიტლიტ-ტიტლინ“ (აუდიოდანართი, №77) – აიწონა-დაიწონაზე შესასრულებელი ინტონირება.

## 2.4 ლაზეთი (ჭანეთი)

ჭანეთი გადაჭიმულია ჭოროხის ხეობიდან ქალაქ გირესუნის ჩათვლით. იგი ესაზღვრება როგორც ისტორიული საქართველოს სხვა კუთხეებს (აჭარა, კლარჯეთი), ისე ბიზანტიის ისტორიულ იმპერიასაც. ვინაიდან ლაზეთის ტერიტორია საკმაოდ ვრცელია, ჩამოვთვლი იმ რაიონებს, რომელთა ნაწილში მაინც ლაპარაკობენ ლაზურად. ესენია: ხელვაჩაურის, ხოფის (ხუფათი), ბორჩხის, არჭავის (არჭაბე), ფინდიკლის (ვიწერდეთი), არდაშენის (არტაშენი), ფაზარისა (ათინა) და ჩამლიჭემშინის (ვიჟა) რაიონები.

ჭანური სიმღერები ერთხმიანია. ორ და სამ ხმაზე სიმღერების შესრულების ფაქტები მხოლოდ სარფის ქართულ ნაწილშია დაფიქსირებული (აუდიოდანართი, №78) და ეს ნიმუშები მუსიკის მასწავლებლების მიერ 1960-70-იანი წლების მიჯნაზე არის გამრავალხმიანებული გ. ჩხიგვაძე სარფის სიმღერების გამრავალხმიანების საწყისად 1950-იან წლებს მიიჩნევს (ჩხიგვაძე, 1980ა:7), მაგრამ იმხანად ადგილი მხოლოდ ერთეულ შემთხვევებს ექნებოდა, რადგანაც, როგორც არსებული ჩანაწერებით, ისე ჩემ მიერ 2012-14 წლებში ჩაწერილ ეთნოფორთა დიდი ნაწილის თქმით, 1960-იან წლებში, ჭანური სიმღერა ჯერ კიდევ ერთხმიანი იყო.

გამრავალხმიანებულ ნიმუშებს ჯერ ანსამბლი „ლაზეთი“, შემდგომ ქალთა ტრიო „ჰედამო“, ამჯერად კი ახალგაზრდების ანსამბლი „კოლხა“ და პატარების ანსამბლი „ჰეიინა“ (ლილი აბდულიშვის ხელმძღვანელობით) და „ლაზი მარგალიტები“ (ლია შეროზიას ხელმძღვანელობით). ქალბატონი ლილი სიმღერებს თავადაც ქმნის. გაღმა ლაზეთში კი სიმღერების სასცენო შესრულება ცნობილი მომღერლის, ქაზიმ ქოიუნჯუსა (კონჯარია) და საესტრადო ჯგუფ „ზუდაში ბერეფე“-თი (მზის შვილები), 1990-იან წლებში დაიწყო. ქაზიმის წყალობითაა მშობლიური ჰანგები პოპულარული დღევანდელ ჭან ახალგაზრდებში (ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ გ. კალანდიას ფილმი „ლაზეთის ბულბული“). სარფში კი ლაზური სიმღერების საესტრადო შესრულების მებაირახტრედ, ჯერ ანსამბლი „ლაზეთი“ (1970-80-იანი წლები), შემდეგ კი „შურიმშინე“ (2010-12) მოგვევლინა.

ფიქსირებულია ლაზური სიმღერის მრავალხმიანობის ამსახველი ზეპირი ცნობებიც. ჩხიგვაძე ასახელებს ხოველი ყასიმ ბეჟანიძის ცნობას ხოვაში, ლხინში შესრულებულ ორხმიან სიმღერებში გაჩერებული ბანის შესახებ (ჩხიგვაძე, 1973:4-5) და ასკვნის, რომ ბანი ბულდონული იყო (იქვე:5). ამ ცნობას მხარს უმაგრებს ცნობილი ჰოეტის, მხატვრისა და მომღერლის ხოველი ლაზის ჰასან

პელიმიშის/ხასან ხელიმიშის (1907-1976) ქალიშვილის ნარიმეს (ნარიმას) ცნობაც. მისი თქმით ორხმიან სიმღერებს მამამისზე უფროსები ჯერ კიდევ მღეროდნენ. ბანი, ნარიმას სიტყვებით უფრო თავისუფალი ყოფილა ვიდრე გაჭიმული და ხასანსაც მოხუცებთან ერთად შეუსრულებია ასეთი სიმღერები (კრავეიშვილი, 2011:52). ჩემი აზრით პელიმიშს ამ სიმღერების დამწყები უნდა ემღერა, ვინაიდან ხასანის მონაწილეობით შესრულებილი ჭანური სიმღერები ერთხმიანია (ი. მეგრელიძის 1936 და 1975 წლების მასალა).

თურქოლოგ წათე ბაწაშსაც თავდაპირველად ხ. პელიმიშისგან სმენია ჭანური მრავალხმიანი სიმღერის არსებობის შესახებ, შემდეგ კი ქალაქ იზმითში 1979 წელს ათინელი ჭანის მევლუდ ქარაგიოზის დახმარებით ჩაუწერია კიდეც. ეს მასალა გ. ჩხიგვაძესა და ვ. გვახარიას მისცა (ჩავწერე 2011 წ.), თუმცა ჩხიგვაძე 1980 წლის შრომაში ამ მასალას არც ახსენებს. ჩანაწერები და გაშიფრული ნოტები კი დაკარგულია.

ფილოლოგ იაკობ თანდილავას თქმით, არსებობს 1920-იანი წლების ჩანაწერები (კასეტაზე), სადაც რამდენიმე სამხმიანი სიმღერაა ჩაწერილი (ბანი, მგონი, გაჭიმული იყოთ მითხვა 2012 წელს). ბატონი იაკობი უნისონს ერთხმიანობად, მაგრამ ოქტავებს – მრავალხმიანობად აღიქვამს, ამგვარად ი. თანდილავას ცნობა გადამოწმებას საჭიროებს.

2011 წელს არქაბელმა ჭანებმა რომლებიც ანსამბლ „შურიმშინეს“ ჩასაწერად სარფში იყვნენ მისულნი, მომაწოდეს ცნობები თურქეთის მაჭახელაში შემორჩენილი ქართული და ლაზური სიმღერების მრავალხმიანი ვერსიების შესახებ. მასზე საქართველოს მხრიდან 1990-იან წლებში დოკუმეტური ფილმიც ყოფილა გადაღებული. არქაბელი ჭანები იმასაც ამბობდნენ, რომ ბაიარ შაჰინსაც აქვს ასეთი ფილმებიო. სამწუხაროდ, ამის გადამოწმების საშუალება დღემდე არ მომცემია.

კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი 1951 წელს გ. ჩხიგვაძესთან ერთად დასწრებია საქართველოს საპატიოარქოში იმუამინდელი პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის მიერ თურქეთის ჭანების მიღებას. ლაზებს თრ ხმაში, მართალია, თურქული მოქცევით, მაგრამ მაინც ქართულ სტილში შეუსრულებია ჭანური სიმღერები. ჩხიგვაძეს მათვის უთქვამს „არ არის ეგ მრავალხმიანობა“. პატივცემული კომპოზიტორი კი არ დათანხმებია პატივცემულ ეთნომუსიკოლოგს და დღემდეც ამ აზრზე არის. რაც შეეხება შემსრულებელთა ასაკს, ისინი 60 წელზე ნაკლების არ იქნებოდნენ (კრავეიშვილი, 2011:53). როდესაც 2016 წელს ხ.

მამისაშვილს გავახსენებინე ეს თემა, ჩემდა მოულოდნელად, დაამატა, „ის ლაზური სიმღერები პარალელური კვარტებით და კვინტებით სრულდებოდა“. მრავალხმიანობის „დაწუნების“ საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია და მას მესამე თავში ვეხები. აღსანიშნავია, რომ ჩხიკვაძეს 1951 წლის ეპიზოდთან დაკავშირებით არაფერი უწერია, რაც „КГВ“-ს ფაქტორით შესაძლოა აიხსნას.

რაც შეეხება ლილი აბდულიშვილის ცნობას, მამამისის მიერ (ილია აბდულიშვილ 1922-2010) ბაბუამისთან, ოსმან აბდულიშვილთან (1863-1948) ერთად შესრულებულ სიმღერებს, სადაც გაბმულ ბანს ილია ამბობდა (ჩაგწერე 2011 წ.), ეს ან მის უდავოდ დიდ მუსიკალურ ალბოს უნდა მივაწეროთ, ანდა ბანი საგანგებოდ უნდა პქონოდა ნასწავლი, ვინაიდან ტრადიციული ჭანური სიმღერის მრავალხმიანობის შემორჩენის შემთხვევაში გ. ჩხიკვაძეს 1970-იან წლებში მათი ფიქსაცია არ გაუჭირდებოდა.

იმ ფაქტმა, რომ ეთნოფორთა ნაწილმა მიუთითა ბურდონულ მრავალხმიანობაზე, დამაინტერესა თუ რამდენად ვლინდებოდა ბურდონი მეგრულ, გურულ და ქობულეთურ ხალხურ სიმღერებში, ვინაიდან ეს მხარეები საუკუნეების წინ ლაზიკის სამეფოში შედიოდა. მიუხედავად იმისა რომ სიმღერათა უმრავლესობა მთლიანად ბურდონულ მრავალხმიანობაზე არ არის აგებული, ბურდონის როლი მაინც თვალსაჩინოა. ბურდონი ჩონგურის პარტიაშიც გვხვდება.

ლაზეთის ერთიანი სამეფოს არსებობის დროს შესაძლოა სამეგრელოშიც ბურდონული მრავალხმიანობა ყოფილიყო გავრცელებული და შემდგომ განეცადა პოლიფონიზების პროცესი. ჭანებს, კი რომლებიც საერთოქართული სივრცისგან იზოლირებული აღმოჩნდენ, ბურდონული ფორმის კონსერვაცია მოეხდინათ.

ასეა თუ ისე, ვოკალური მრავალხმიანობის მხოლოდ ერთი, ასე თუ ისე რეალური (ისიც სავარაუდო ლაზური) მაგალითი გამაჩინია. სიმღერა ჟღერს ფილმში „Arhavi Belgeseli“ (არქავის ამბები). სიმღერაში ჯერ პარალელური კვარტებია, შემდეგ პარალელური კვინტები, შემდეგ ისევ კვარტები, შემდეგ კი ისევ კვინტები (ვიდეოდანართი, №10). ნიმუში შედგება ორი კუპლეტისაგან და მეორე კუპლეტი მუსიკალურად ზუსტად იმეორებს პირველს. მიუხედავად მოცემული ფრაგმენტის მეორე კუპლეტის ზუსტი განმეორებისა, რასაც თითქოს ორგანიზებული მრავალხმიანობისკენ გადააქვს სასწორი, მე ჯერჯერობით დანამდვილებით არ შემიძლია ვთქვა, ეს იყო თუ არა ორგანიზებული ტიპის მრავალხმიანობა. შეიძლება ეს იყოს გაუაზრებელი „სხვადასხვახმიანობა“. ნ. ვალიშვილი 2011 წელს ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა მეორე კონფერენციაზე ამ ნიმუშის მოსმენის

შემდეგ ჩემთან საუბარში აღნიშნავდა, რომ ქართულ გარემოშიც კი მამაკაცმა და ქალმა რეგისტრული და დიაპაზონის განსხვავების გამო შეიძლება ერთი და იგივე მელოდია ქართული ყურისთვის უცხო ინტერვალურ თანაფარდობაში, მათ შორის კვარტებსა და კვინტებშიც იმდერონ (კრავეიშვილი, 2011:54).

ლაზური ვოკალური მრავალხმიანობის სხვა ნიმუში ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. მრავალხმიანობის ფიქსირების მცირე ალბათობა შესაძლოა არსებობდეს როგორც მაღალმთიან სოფლებში, ისე მუჰაჯირად წასულ ჭანებსა და კ. წ. პონტოელ ბერძნებში.

ვინაიდან დროდადრო მომიწევს „პონტოელი ბერძნების“ საკითხის წამოწევაც, სჯობს აქვე ვისაუბრო მათი წარმომავლობის შესახებ, რომელზეც ორი მოსაზრება არსებობს:

წ. ბაწაში, როგორც პირად საუბარში, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში მათ გაბერძნებულ ლაზებად განიხილავს. იგი 1993-2004 წლებში თურქეთში საქართველოს კონსული იყო და ამ ხალხთან უშუალო შეხება ჰქონდა. პონტოელებს ასევე ჭანებად განიხილავს გიორგი ანდრიაძეც. როდესაც ტრაპიზონის იმპერია დაცა (1461 წელი) ოსმალებმა ლაზები აიძულეს არჩევანი გაეკეთებინათ. ვინც ქრისტიანობა არჩია, ბერძენად უნდა ჩაწერილიყო (იხ. ბაწაში, 1988; ბაწაში, 2015). ამ ხალხს ლაზებად მოიხსენიებს ფილოლოგი არნოლდ ჩიქობავაც (ჩიქობავა, 1936:7). თუმცა ზოგიერთი მათ ბერძნებად მიიჩნევს (იხილეთ კორომილა, 2008). 1920-იანი წლებიდან მოყოლებული პონტოელ ბერძენთა უდიდესი ნაწილი საბერძნეთში მკვიდრობს, საქართველოში კი 1990-იან წლებამდე წალკაში ცხოვრობდნენ.

პონტოელების ვინაობის გარკვევის საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს მუსიკალურ ჭრილში, ვინაიდან, ჩემი დაკვირვებით, პონტოელ ბერძენთა და თურქეთში მცხოვრებ ჭანთა მუსიკალური კულტურა და შემოქმედება დიდ მსგავსებას ამჟღავნებს. პონტოელ ბერძნებთან სოლოდ შესასრულებელ სიმღერებში ფარული მრავალხმიანობა<sup>15</sup> საკმაოდ ხშირია (აუდიოდანართი, №79-80). მეტიც, გუდასტვირზე, რომელსაც „ცაბოუნას“ („tsabouna“) უწოდებენ, ქართული მრავალხმიანობა ჟღერს (გიდეოდანართი, №11). აქედან გამომდინარე, გემხრობი პონტოელების ქართულ (ლაზურ) წარმომავლობას.

<sup>15</sup> ამ ცნებაზე დაწვრილებით 3.2 ქვეთავში ვსაუბრობ.

ჭანეთში ხემშილები/ხემშინებიც ცხოვრობენ. ჩემი მიერ გამოკითხული არაერთი ლაზის აზრით, ისინი მუსლიმანი სომხები არიან (ჩავწერე 2011-12, 14 წლი). მართალია, წ. ბაწაში მათ ჯერ გასომხებულ, შემდეგ კი გამუსლიმანებულ ლაზებად მიიჩნევს, თუმცა ხემშინებში არმქნოიდური ტიპის არსებობასაც აღიარებს (ბაწაში, 2015ა:71). ფაქტია, რომ გუდასტვირზე ხემშინები ლაზურ მუსიკას უკრავენ (ამ საკითხს კვლავ შევეხები).

თურქეთში მცხოვრებ ჭანებს თავიანთ წარმომავლობაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ: ბევრს თავისი თავი შუა აზიდან მოსული თურქი ჰგონია; ნაწილის აზრით, ცალკე ეროვნებაა, არც თურქი და არც ქართველი; და მხოლოდ მცირე ნაწილი აღიარებს ქართულ წარმომავლობას (ჩავწერეთ მე, ნაზი მემიშიშმა და ზურაბ განილიშმა 2014 წ.). არადა, ვერსად გავაქცევით იმ ფაქტს, რომ გუდასტვირზე, რომელსაც თვითონ ლაზები „გუდას“ უწოდებენ (ჩავწერეთ მე და ნ. მემიშიშმა 2014 წ.), ქართული მრავალხმიანობა უდერს (აუდიოდანართი, №81; სანოტო დანართი, №4) და ჭანური მუსიკის ქართულობა დღესაც კი მხოლოდ გუდასტვირზე შესრულებული ჰანგებით არ შემოიფარგლება. აქედან გამომდინარე, ლაზების მხრიდან „პონტოელი ბერძნების“ ჭანებად არ აღიარება არც უნდა გვიკვირდეს. ლაზი მასწავლებლებისა და კულტურის მოღვაწეების მიერ, პირად საუბრებში დაფიქსირებული ანტიქართული პოზიციებისა და მათი მუსიკის ქართულთან ყოველგვარი კავშირის უარყოფის მიუხედავად, მათივე ნამდერში ფარული მრავალხმიანობა მაინც უდერდა (აუდიოდანართი, №82).

ლაზი ეთნომუსიკოლოგის გიოქპან ალთინბაშის „თურქული სიმღერისა და ცეკვის გენდერული კონტექსტი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს რეგიონში“ მაგალითებად მოტანილი იყო სტილზებული ნიმუშები. მხოლოდ ერთი ნიმუში (ქამანჩის თანხლებით შესრულებული სიმღერა) იყო ლაზური, მიუხედავად იმისა, რომ სიმღერა თურქულად სრულდებოდა. ცნობილია, რომ „შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროში“ ჭანეთი იგულისხმება, მაშ რატომ არ იქნა ნაჩვენები ჭანური გუდასტვირი და ზოგადად ჭანურად შესრულებული სიმღერები? როდესაც ამ თემებზე კითხვები დავუსვი, მან ლაზეთის მხარის ვითომდა ეთნიკური სიჭრელე მოიმიზება, თუმცა ანგარიში არ გაუწია პონტოელი ბერძნებისა და ხემშინების შესაძლო ჭანურ წარმომავლობას. ალთინბაშს ყურადღება არც რიზესა და ტრაპიზონის მიდამოებში თურქულენოვანი ჭანების არსებობისთვის მიუქცევია და, რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, მოხსენების სათაურიდან გამომდინარე, აღმოსავლეთშავიზღვისპირეთის მოსახლეობა

თურქებად, მათი მუსიკალური ფოლკლორი კი თურქულად იწოდება. ლაზებს და ქართველებს არა, მაგრამ ტრაპიზონიდან საბერძნეთში გადასახლებულებს (ანუ „პონტოელ ბერძნებს“), თურქებად ა. აკატიც მიიჩნევს (აკატი, 2017:44).

თურქი ეთნომუსიკოლოგი ოზგე დენიზჯი მოხსენებაში „შავი ზღვის რეგიონის მუსიკის ცვალებადობა და პოპულარობა თურქეთში – კავკასიურ მუსიკალურ კულტურებთან რეგიონალური ინტერფერენცია, სოციალური და ბაზარზე ორიენტირებული იდენტურობის დისკურსები“ ეხება თურქეთში შავიზღვისპირეთის მუსიკალური კულტურის პოპულარიზაციის ისტორიას. ავტორი თავის მოხსენებაში ლაზეთს ხშირად სამართლიანად იხსენიებს, თუმცა ერთმანეთისგან მიჯნავს ჭანურ და ქართულ ხალხურ მუსიკალურ კულტურას. ავტორმა 2015 წელს პირდაპირ მითხრა: „ვიცი, რომ თქვენ, მეგრელებს და ლაზებს ქართველებად განიხილავთ, მაგრამ ჩვენთან საკითხი სხვაგვარად დგასო“. მიუხედავად ამისა, 2010 წელს გამოცემულ მის წიგნში „Gürcüler Tarih Dil Kültür Ve Müzik“ მეგრელები ქართველებად ჰყავს მოხსენიებული. რაც შეეხება წიგნს, მისასალმებელია ავტორის დაინტერესება ქართული მუსიკით, თუმცა ნაშრომი მეტად ეკლექტურია და ამას თურქული ენის არმცოდნე მუსიკოსიც კი შეამჩნევს. წიგნში არ არის მოტანილი საქართველოს ფარგლებში დარჩენილი ყველა კუთხის მუსიკალური ფოლკლორი, არ არის ინფორმაცია ქართული მუსიკალური ფოლკლორის მრავალ ნიმუშზე, ხალხურ სიმღერასთან ერთად მოტანილია ზოგიერთი ქართველი კომპოზიტორის ბიოგრაფია და ა. შ. მართალია, თავის წიგნში სამეგრელოც აქვს შეტანილი, მაგრამ 2015 წელს წაკითხულ მოხსენებაში მეგრელ-ლაზები და ქართველები ცალ-ცალკე ერებად წარმოაჩინა.

აქედან გამომდინარე არ გამოვრიცხავ რომ თურქულ ეთნომუსიკოლოგიაში ადგილი ჰქონდეს არამარტო ლაზური, არამედ საქართველოს სხვა მოწყვეტილი კუთხეების მუსიკალური ფოლკლორის დამახინჯება-მითვისების ფაქტებს.

დღევანდელ საქართველოში ჭანებით კომპაქტურად დასახლებული ერთადერთი სოფელი (უფრო სწორად, სოფლის ნახევარი) სარფია, თუმცა მის გარდა არც თუ მცირე რაოდენობით ასევე ცხოვრობენ კვარიათსა და გონიოში. კვარიათში 1944 წლამდე ხემშინები ცხოვრობდნენ. მათი ციმბირსა და შეა აზიაში გასახლების დროს ლაზები (უმთავრესად სარფელები) და აჭარლები ჩამოასახლეს. 1951 წლიდან კი კვარიათში აჭარლების რიცხვმა საგრძნობლად იმატა (ჩავწერე 2012, 2014, 2017 წწ.). ვფიქრობ, ამიტომაც კვარიათში ჭანური სიმღერები მხოლოდ

ბაგშვის დაძინებისას და მიცვალებულის დატირებისას სრულდება. აკვნის ნანისგან განსხვავებით ლაზური დატირების გამოყენების არეალი კვარიათში, აჭარლების დომინირების გამო შეზღუდული უნდა ყოფილიყო. ანაკლიაში, სიმონეთში, სუფსაში, ბათუმსა და სხვა ადგილებში მცხოვრებ ჭანებში ლაზური მუსიკა არც კი ისმოდა (ჩავწერე 2012, 2015-17 წწ.), თუმცა აფხაზეთის ლაზებმა და კვარიათელებმა ჭანური მეტყველება დღემდე შეინარჩუნეს.

განმეორებით დაგსძენ, რომ ჭანები დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ აფხაზეთშიც. ისინი იქ ხოფისა და არქავის (არქაბეს) რაიონებიდან დასახლდნენ (ედენტი, 1938:XI-XII). 1949 წელს მათი უმეტესობა გაასახლეს, რის შედეგადაც წათე ბაწაშის თქმით, დიდი ნაწილი აღარ დაბრუნებულა. აფხაზეთში მხოლოდ ლაზების მცირე ნაწილი ცხოვრობდა და ისიც დაისაქსა, ნაწილი დარჩა, ნაწილი რუსეთში წავიდა (სოჭი, კრასნოდარი) მცირე ნაწილმა კი თბილისსა და ლაზეთს მიაშურა (ჩავწერე 2011-12 და 2017 წწ.). ირკვევა, რომ აფხაზეთის ჭანებს საუბარი თავისუფლად შეეძლოთ, მაგრამ სიმღერა – ნაკლებად. სიმღერების ჩაწერა ჩხილების აფხაზეთში აფხაზეთის ლაზებისგან იმიტომ გასჭირვებია, რომ მათ ნაწილს არც ემღერა, ან სიმღერა დავიწყებული პქონდა (1980ა:7).

თურქული პოლიტიკის მესვეურები დამორჩილებულ მხარეებში უცხოტომელთა ჩასახლებასაც არ ერიდებოდნენ. ფილოლოგ ედუარდ ჭანტურიას თქმით გონიოსა და კახაბრის მიდამოებში ჩასახლეს ქურთები, მათთან ერთად კი თურქული ტომები: ეშაირები, ჰიმშილები“. რიზესა და მაფაცრეს (მეფური) მიდამოებში დაასახლეს გამუსულმანებული ბერძნები და სხვ. ამავე დროს, თვით ლაზი მოსახლეობის დიდ ნაწილს ოსმალეთის შორეულ მხარეებში ასახლებდნენ (ჭანტურია, 2006:139-140). ჰიმშილები ალბათ ლაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხემშინები იგულისხმება. გამუსლიმანებული ბერძნებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ გონიოში ქურთებისა თუ თურქების ჩასახლება ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან ე. წ. გონიოელი ლაზების უმეტესობა შიდასასაუბრო ენად თურქულს იყენებს.

ჩემ მიერ 2015 და 2017 წლებში ჩაწერილი გონიელების ნაამბობიდან ირკვევა, რომ 1944 წლამდე მოსახლეობის უმეტესობას ქურთები და ხემშინები შეადგენდნენ, რომლებიც ლაზობას იბრალებდნენ. მათ შთამომავლობას გონიელები „დარქმული ლაზების“ სახელით იხსენიებენ. აჭარლები კი 1944 წლიდან მომრავლებულან.

გონიოში მცხოვრებ ჭანებად მოიაზრებიან შემდეგი გვარები: აბდულიშები (ნაწილი აბულაძედ იწერება), თანალიშები, კაკაბაძეები, ნიუარაძეები, ბაკურიძეები, საგარაუდო შანიძეები. ნიუარაძეების (ერზრუმოდლების), შანიძეებისა

(შერიფოდლების) და ბაკურიძეების (ბექაროდლების) წარმომავლობა ბურუსით არის მოცული. ისინი, სხვა გონიოელთა თუ სარფელთა ცნობით (2012, 2014, 2015, 2017 წწ.) თურქები ან ქურთები არიან და ლაზი მხოლოდ დედა ან ბებია ჰყავდათ. მათ არაქართულ წარმომავლობას მხარს უჭერს თურქულის, როგორც შიდა სასაუბრო ენის გამოყენების ფაქტი. გონიოში თურქული იმდენად იყო გავრცელებული, რომ არამარტო დარქმეული, არამედ ნამდვილი ჭანების უმეტესობამაც თურქული ენა უფრო იცოდა, ვიდრე მშობლიური (ჩავწერ 2015, 2017 წწ.). გონიელებისვე თქმით ლაზების მცირე ნაწილი სახლში საუბრობდა ჭანურად, სოფელში თურქულად და სკოლაში კი ქართულად. გონიოში ჭანურის მცოდნეთა რიცხვი საკმაოდ მცირეა. როგორც ჩემმა ექსპედიციებმა აჩვენა, სრულყოფილად საუბარი შეუძლია მათ, ვისი ორივე მშობელი ლაზეთიდან იყო გადმოსული.

1980-იანი წლებიდან სარფიდან გონიოში კიდევ რამდენიმე ოჯახი ჩასახლდა, მაგრამ ისინი არ მომინახულებია, რადგანაც საკუთრივ გონიოში დაბადებული ხალხი მაინტერესებდა.

ტაოს, კლარჯეთისა და შავშეთისგან განსხვავებით, ლაზური მუსიკის შესახებ დღევანდლამდეც არც თუ ისე მწირი მასალა მოგვეპოვებოდა. განსაკუთრებით სრული იყო ჭანური ზეპირსიტყვიურების თუ სიმღერების ჟანრული მიმოხილვის სურათი; თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბოლოდროინდელმა ეთნომუსიკოლოგიურმა ექსპედიციებმა ბევრი რამ დააზუსტა და აქამდე ჩემთვის უცნობი მრავალი ნიმუში გამოავლინა (განსაკუთრებით, საკრავიური მუსიკის დარგში).

დისერტაციაში განსახილველი კუთხეებიდან ჭანეთი ერთადერთია, რომელმაც, „ელესას“ გარდა, ყანის თოხნის „ჰედამო“ შემოინახა.

ჭანური მუსიკა, ისევე როგორც პოეზია, ჟანრულად მწირია. პოეზიის თემა ფილოლოგებს ზურაბ თანდილავასა და ომარ მემიშიშს, თავიანთ ნაშრომებში თითქმის ამომწურავად აქვთ გაშუქებული.

ჭანეთში ყანურ კოლექტიურ სამუშაოს „ნოდერი“ (ნადი) ან „მეჯი“ ეწოდება. „ნოდერი“ ქალების ნადია, რომლის ძირითადი ფუნქციაც ხვნა-თესვაა, ხოლო „მეჯი“ კი – კაცებისა. მამაკაცების ნადი მძიმე სამუშაოებისთვის (სახლის მშენებლობა, გზის დაგება, დიდი ხეების გადმოტანა, ნავის ნაპირზე გამოცურება ან ზღვაში შეცურება) იკრიბება, თუმცა გასაკეთებელი საქმის მიხედვით, შესაძლოა ქალები და მამაკაცები ერთადაც მუშაობდნენ (ბუჯაკლიში, 2015გ:607).

„„ნოდერთან“ არის დაკავშირებული ხალხური სიმღერების შესრულების ტრადიციაც. სიმღერები ისეთივე მრავალფეროვნებით გამოირჩევა, როგორითაც თვით ნადის კულტურა“ (მემიშიში, 2015:569). ციტატაში აშკარად სიმღერების სიტყვიერ ტექსტზეა საუბარი, ვინაიდან ლაზური ნადური სიმღერები ნაკლებად მრავალფეროვანია.

ლაზეთში გავრცელებული ნადური სიმღერაა „ჰედამო“ (აუდიოდანართი, №83). „ჰედამო“, ანუ „ჰემო“. „იგი ხასიათდება შრომის რიტმთან კარგად შეხამებული მელოდიითა და ფოლკლორული სინკრეტიზმის აშკარა ნიშნებით, რაც მის არქაულობაზე მიუთითებს. ეს სიმღერა ემყარება მუსიკალურ ფრაზას - უსიტყვო, კომპლექსური ბგერების რიტმულ ამოძახილს: „ჰედამო, ჰედამო, ჰედამოლი ჰედამო“ < ანდა „ჰე, ჰე, ჰედამო, დამო, ჰემო, ჰედამო““ (მემიშიში, 2015:569)). ორივე ვარიანტი სხვადასხვა მელოდიაზე იმღერება; მუსიკალური ფრაზით შეიძლება შევადაროთ ქართულ შრომის სიმღერას „ნადური თოხნის დროს“, რომელიც ასევე არქაულია, ანალოგიური სამკალი ლექს-სიმღერას - „პოპუნა““ (თანდილავა ზ., 1972:23) ვსვამ კითხვას, რა მუსიკალური კანონზომიერება იგულისხმება ციტატაში „ეს სიმღერა ემყარება მუსიკალურ ფრაზას - უსიტყვო, კომპლექსური ბგერების რიტმულ ამოძახილს“ (იქვე).

სარფელ ფილოლოგებს ომარ მემიშიშსა და ზურაბ თანდილავას, სურთ ლაზური „ჰედამო“ ინტონაციურად შეუდარონ ქართულ შრომის სიმღერას „ნადური თოხნის დროს“ (მემიშიში, 2015:569; თანდილავა ზ., 1972:23) და მოჟყავთ მიხეილ ჩიქოვანთან ფიქსირებული სიმღერის „ნადური თოხნის დროს“ სიტყვიერი ტექსტი. სამწუხაროდ, მელოდია არც თავად ჩიქოვანის წიგნშია (ჩიქოვანი, 1956:239). ვინაიდან ჩემთვის ეს ყველაფერი ბუნდოვანი იყო (სანოტო მაგალითების არარსებობის გამო), ამიტომაც, სანოტო კრებულებში დავიწყე ძებნა.

ნიმუში სათაურით „ნადური თოხნის დროს“ გამოქვეყნებული არ არის. გამოცემულთა შორის არის „სიმღერა თოხნის დროს“ (კარგარეთელი, 1899:3; ჩხიკვაძე, 1960:106-108; გობრონიძე, 1978:98-101) „მუშური თოხნის დროს“ (Аракчиев, 1916:100, 113-114); „პოპუნას“ სახელით კი ერთი ნიმუშია (არაყიშვილი, 1909:7).

ჭანურ „ჰედამოსა“ და დასახელებულ სიმღერებში მუსიკალური კავშირი რომც მეპოვა, მაინც არ იქნებოდა საკმარისი, რადგან „ჰედამოს“ მრავალი ვარიანტი არსებობს. თანდილავა, როგორც ჩანს, მხოლოდ ჩიქოვანის წიგნსა და საკუთარ

სმენით შთაბეჭდილებას დაეყრდნო, რაც არ არის გამართლებული. მისი ეს მოსაზრებაც, სამწუხაროდ, გაზიარებულ იქნა მემიშიშის მიერ (მემიშიში, 2015:569).

„ჰედამოს“ პირველი ვარიანტის შემსრულებლები მეტწილად მამაკაცები არიან, მეორე ვარიანტისა კი – ქალები. თუ ნადში ქალებიც მონაწილეობენ და კაცებიც, მაშინ უველა ერთ ჰანგზე მღერის“ (იქვე:569). გაუგებარია, თუ რა იგულისხმება. ჩვენ ხელთ არსებულ ჩანაწერებში, მუსიკალური ვარიანტების მიხედვით შემსრულებელთა სქესის მიხედვით დაყოფის საფუძველი არ გამაჩნია.

ნადური სიმღერაა, აგრეთვე, „ჰეიინა“ (აუდიოდანართი, №84). „მისი მელოდია ბევრად განსხვავდება „ჰედამოს“ მელოდიისგან და არც უსიტყვო ფრაზებით არის წარმოდგენილი. „ჰეიინას“ ორი პირი ასრულებს. როგორც მკვლევარმა ზურაბ თანდილავამ მიანიშნა, იგი წარმოშობით შრომის სიმღერა არ არის“ (იქვე:571). „ჰეიინა“, რომელიც ჩაის კრეფის დროს იმღერებოდა, მართლაც განსხვავდება „ჰედამოს“ მუსიკალური ვარიანტებისგან, ორი ადამიანი შაირობს, თუმცა სიმღერის პროცესში შემსრულებელთა მეტი რაოდენობა ფიქსირდება (სიტყვები „ჰედამო“, „ჰედამოლი“ და „ჰეიინა“ გლოსოლალიებია).

თანდილავა, კიდევ ერთ საკამათო მოსაზრებას აყენებს. იგი წერს: „არაა იშვიათი, როცა ნადში სიმღერა სრულდება ლაზური „ჰანანი“ (იავნანას)-ს მელოდიაზე. ამ შემთხვევაშიც შესრულების წესი ჰეიინასებურია“ (თანდილავა ზ., 1972:47). „იავნანა“ სამკურნალო სიმღერაა და არა დასაძინებელი (ჭანეთში ბავშვის სამკურნალო ნიმუში, სამწუხაროდ, გამოვლენილი არ არის). რაც შეეხება „ჰანანის“ მელოდიაზე შესრულებულ ნადურ სიმღერებს, ნაკლებ დამაჯერებელი მგონია. ლაზური სიმღერა ხშირად მართლაც ერთსა და იმავე მელოდიაზე იმღერება, მაგრამ აკენის ნანის მელოდიის ნადურში გამოყენება გვიქრობ შრომის ტემპს შეანელებდა და შედეგიც უარყოფითი იქნებოდა.

„ხის გადატანის მამითადში ადამიანები თუ სამუშაოს ნაყოფიერად ვერ ასრულებდნენ, ამდენი შრომა ამაო რომ არ ყოფილიყო, პრობლემის გადაჭრის გზას ეძებდნენ. მონაწილეთა განმხნევების, მათი ქმედითუნარიანობის ამაღლების ერთადერთი საშუალება გუდასტვირი იყო. მეგუდასტვირე მოდიოდა, გადასატან ხეზე ჯდებოდა, გუდასტვირს ჩაპერავდა და დაკგრას იწყებდა... ნადის აღტაცებული მონაწილეები სიტყვებს (Helessa yalessa heiiamoli yassa hissa) იმეორებდნენ. აღტაცება პიკს აღწევდა და hooy-ის ძახილით ხეს სწევდნენ. ლაზეთის ზოგიერთ მხარეში ამ მოვალეობას მეგუდასტვირეს მაგივრად მექემენჩე ასრულებდა“ (იქვე:609). „ჰელესას“ გუდასტვირზე („გუდაზე“) შესრულებული

ვარიანტ ჩემთვის ცნობილია (აუდიოდანართი, №85), მაგრამ ქამანჩაზე შესრულებული – არა. მართალია, სპეციალური რეპერტუარი არ არსებობდა, მაგრამ თავად ჭანების გადმოცემით, გუდასტვირის დაკვრა შრომას უფრო მეტ ტემპს აძლევდა და ხალხს დაღლას ავიწყებდა (ჩავწერეთ მე და ზურაბ ვანილიშმა 2014 წ.). ლაზური ხალხური მუსიკის შემკრების ბ. თოვალოვლუს ცნობით, როდესაც „გუდაზე“ დამკვრელი დაიღლებოდა, რომ არ გაქცეულიყო, ხეზე დასვამდნენ, შეკრავდნენ და ასე ასრულებინებდნენ მასზე დაკისრებულ ფუნქციას (ჩავწერეთ მე და ზ. ვანილიშმა 2014 წ.).

ვანური სამუშაოები და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, ამჟამად ფაქტობრივად გამქრალია. აღარც ქორწილები სრულდება ტრადიციულად და აღარც დესთანები ითქმება (ბუჯაკლიში, 2015:515; აბაშიში, 2015:563; ბუჯაკლიში, 2015გ:610). როგორც ჭანი ავტორები აღნიშნავენ, სამწუხაროდ, 1970-იან წლებში ჩაის კულტურის შემოყვანამ, ლაზეთში, შრომის სიმდერები გააქრო, მაგრამ ყოფაში საქორწინო სიმდერების ნაწილი დღემდე კლერს.

მემიშიში, თანდილავას მსგავსად, მეთევზეობა-ნაოსნობის ამსახველ ტექსტებს შრომის ლექს-სიმდერებში აერთიანებენ (მემიშიში, 2015:571), ეს ნიმუშები მუსიკალურად („ჰელესას“ გარდა), ლირიკულ ჟანრს მიეკუთვნება და არ განსხვავდება დანარჩენი ჭანური ლირიკული სიმდერებისგან. რაც შეეხება „ჰელესას“, იგი როგორც თავისი ფუქციით (როგორც ტყიდან ხის მორების გადმოტანის, ისე ზღვიდან ნავის ამოყვანის დროს), მუსიკალურადაც, მოტორული რიტმის წყალობით, მართლაც შრომის სიმდერას წარმოადგენს. ჭანების ძირითადი საქმიანობა ხომ მიწათმოქმედებასთან ერთად, მეთევზეობაა. ამით გამოირჩევიან ისინი დანარჩენი ქართველებისგან. ლაზების მეთევზეობისადმი მიდრეკილებას აღნიშნავს მეჩვიდმეტე საუკუნის მოგზაური ევლია ჩელები და ერთი ლექსიც მოჰყავს (ჩელები, 1971:91-92).

სიმდერა „ჰელესა“ და მისი გენეზისის პრობლემა ვრცლად განიხილა თანდილავამ და დაადგინა, რომ ლაზეთია ამ სიმდერის სამშობლო. დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში იგი ლაზეთიდან გავრცელდა (მემიშიში, 2015:573). „აჭარასა და გურიაში დამკვიდრების შემდეგ „ჰელესა“ ადგილობრივი მრავალხმიანობის ტრადიციებზე გადამუშავდა და მას უკვე სამ და ოთხ ხმაზეც მღერიან“ (თანდილავა ზ, 1972:107). თანდილავასა (1929-1995) და მემიშიშის (1939) დროს სიმდერები, ცხადია, ერთხმიანი იყო, მაგრამ უცნობია, თუ როდის გავრცელდა „ჰელესა“ საქართველოს სხვა კუთხეებში (თუ ეს სიმართლეს

შეეფერება). იქნებ გურია-აჭარაში გავრცელების დროს ჭანური სიმღერა, მათ შორის, „ჰელესა“, ჯერ კიდევ მრავალხმიანი იყო? ლაზური „ჰელესას“ გავრცელების შემთხვევაში დასაშვებია ორი ვარიანტი: 1) ლაზური „ჰელესა“ ერთხმიანი იყო; 2) აჭარული ვარიანტების მსგავსად, ლაზური ვარიანტის მხოლოდ შესავალი იყო ერთხმიანი, დანარჩენი კი – მრავალხმიანი. ამგვარად, მოსაზრება ლაზეთიდან აჭარაში გავრცელების დროს „ჰელესას“ „ადგილობრივი მრავალხმიანობის ტრადიციებზე გადამუშავების“ შესახებ, შესაძლოა, რეალობას არ შეესაბამებოდეს.

ჩემ ხელთ არსებული მასალის მიხედვით „ჰედამო“ სარფშიცა და ხოფაშიც თოხნის სიმღერაა (აუდიოდანართი, №86), დანარჩენ ლაზეთში კი „ჰელესას“ (აუდიოდანართი, №87) ნაწილი. იმ რაიონებში კი, სადაც „ჰედამო“ „ჰელესას“ ნაწილია, თოხნის სიმღერის გახსენება უჭირთ (ჩავწერეთ მე და ვანილიშმა 2014 წ.). სარფში გავრცელებული „ჰელესას“ ვარიანტი, შესაძლოა, ჰელიმიშის დამუშავებული იყოს, ვინაიდან სარფსგაღმა ამავე სახელწოდების მქონე ნიმუშები მოლიანად, ან სანახევროდ გადაძახილებზეა აგებული („ჰელესა – იალესა“) (ჩავწერეთ მე, ვანილიშმა და მემიშიშმა 2014 წ.). ამას გარდა ჰელიმიშის ვარიანტის დიაპაზონი დეციმა (აუდიოდანართი, №88), რაც უწვევლოა ჭანური სიმღერისთვის, ვინაიდან ლაზურ და ზოგადად ჩვენებურების სხვა კუთხეების ნიმუშების დიაპაზონი სეპტიმას არ სცილდება. „ჰელესა“ სრულდებოდა სოლისტისა და გუნდის მონაცემებით. ერთი ამბობდა „ჰელესას“ დანარჩენები „ადლესსას“ და მოქაჩავდნენ თოკს და მერე რომ უკვე დააყენებდნენ გზაზე „ჰედამოლი იასსას“ იტყოდნენ - აღნიშნავენ მთხოობელები (ჩავწერეთ მე, ვანილიშმა და მემიშიშმა 2014 წ.).

სარფში გავრცელებული „ჰელესას“ სიძველეზე ჯ. ჩხეიძე შემდეგს აღნიშნავს: „„ჰელესას“ ლაზური ვარიანტი თავიდან ბოლომდე ერთფეროვანია და აჭარისწყლის ხეობის ვარიანტის მსგავსი ცვალებადი შრომის პროცესიდან გამომდინარე ტონ-რიტმი არ ახასიათებს. მუსიკალური მასალაც (ლექსი) სულ სხვა სიუჟეტურ ხაზს მიყვება და დაძაბული მძიმე შრომის პროცესში შესასრულებელი შრომის სიმღერის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ლექსის შინაარსში არ ჩანს მენავეობა-მებადურობის საკმაოდ მძიმე შრომის სულიერი განწყობილება და განცდები“ (ჩხეიძე, 1973:143). „ამრიგად, თუ ლაზურ მასალებს მივიჩნევთ სარწმუნოდ, რომ „ჰელესა“ ძველთაგანვე წყლიდან ნავისა და ბადის გამოთრევის დროს სრულდებოდა, ვერ ვიტყვით, რომ ასეთ მძიმე სამუშაოსთან

დაკაგშირებული სულიერი განცდების გადმოცემა მომხდარიყო ასეთი მსუბუქი უანრის ლექსით“ და ასკვნის, რომ „ჰელესას“ მოტანილი ვარიანტი ლაზური ხალხური სიტყვიერების შედარებით ახალი ნიმუშია და გამოძახილია (ანარეკლია) იმ ძველი „ჰელესასი“, რომელიც ადრე ალბათ მარტო მენავეობა-მეთევზეობასთან დაკაგშირებით სრულდებოდა. ახალ ვარიანტში მსუბუქი სატრფიალო უანრის ლექსის ჩართვამ იგი გადააქცია ისეთ სიმღერად, რომლის შესრულება ყოფითი გასართობების დროსაც იქნებოდა შესაძლებელი“ (იქვე:143-144).

შრომის ინდივიდუალური ლაზური სიმღერები სამწუხაროდ არ ჩანს.

მეთევზეობისადმი მიძღვნილი ნიმუშებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქაფშიაში ბირაფა“ (ხამსას სიმღერა) (აუდიოდანართი, №89), რომელიც 2014 წელს ვანილიშთან ერთად ჩავწერე ხოვის რ-ნის სოფ. მაკრიალში. მსგავსი ნიმუშის სიტყვიერი ტექსტი და განმარტება მოტანილი აქვს უმით ოსმანალაოდლუს თავის წიგნში „ლაზი ვორე“: პატარა ხამსია ბადეში მოხვდა და დედას შესჩივლა, დედამ კი უპასუხა - ნუ გეშინიაო, შემდეგ ხამსია ჩიოდა ნაგში ატანაზე, სახლში მიზიდვაზე, შეწვაზე, ჭამაზე და დედა კი ყოველთვის ერთსა და იმავეს ეუბნებოდა. მაგრამ, როდესაც ხამსიამ უთხრა ბექმეზი (ტკბილეული) მიირთვესო, განწირულმა დედამ მხოლოდ მაშინ შემოსძახა - ახლა კი ყველაფერი გათავდაო (ოსმანალაოდლუ, 2014:47-48). თურმე, მარილიანი ხამსიას მირთმევის შემდეგ ბევრ წყალს თუ დალევ, თევზი კუჭში კარგად გრძნობს თავს და ცურავს, მაგრამ საკმარისია ბექმეზი დააყოლო, რომ მასზე გაიმარჯვებ (იქვე:48).

აღსანიშნავია, შიშმან ილმაზის ცნობა, რომლის მიხედვითაც ტრაპიზონში თევზჭერის დროსაც კი ცეკვავდნენ (ჩავწერეთ მე და ვანილიშმა 2014 წ.). უფრო სავარაუდოა, რომ დაჭერილი თევზის ირგვლივ ეცემავთ.

ჭანების კიდევ ერთი გატაცება მიმინოთი ნადირობაა. იგი დესთანის სახით ხალხური სიმღერების თემადაც ქცეულა (აუდიოდანართი, №90).

სამწუხაროდ, საისტორიო თემატიკის მქონე სიმღერები არ არის შემორჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ ჭანები თამარ მეფეს დღემდე დიდ პატივს სცემენ, მასზე სიმღერები არ არსებობს. პატრიოტული თემატიკა გვხვდება მხოლოდ ლირიკულ სიმღერებში (მაგ. „ყაზახეთიში დესთანი“ (აუდიოდანართი, №91), რომელიც ყაზახეთში 1951 წლის გადასახლებას ეძღვნება; „ასქერიშა მობდით“ ანუ ჯარიდან ჩამოვედი (ჩხიკვაძე, 1971:358-360) და. ა. შ.). იქნება ეს მეთევზეობისადმი („ჰელესას“ გარდა) თუ პატრიოტული თემატიკისადმი მიძღვნილი ნიმუშები, მუსიკალურად

ისინი მაინც ლირიკული ჟანრის ნაწილი არიან. დესთანია მაგალითად „ანდდა მზოღაშა მეულუ“ (დღეს ზღვაში გავდივარ) (აუდიოდანართი, №92).

საერთოდაც ჭანური ფოლკლორი გამოირჩევა სევდიანი ლირიკული სიმღერების (დესთანების) სიჭარბით. გავიმეორებ, ქ. ლორთქიფანიძის განმარტებას, რომლის მიხედვითაც „დესთანი პოეტური ნაწარმოებია, რომელიც გადაჭარბებული მგრძნობელობით გადმოგვცემს რაიმე გმირობას ან, ძირითადად, ტრაგიკულად დამთავრებული სიყვარულის ისტორიას ... დესთანები მოგვითხობენ ტრაგიკულ ამბავს, რომელიც შეემთხვევა მთელ მხარეს ან ცალკეულ ოჯახს. ისინი სრულდება გრძელი სევდიანი მელოდიის თანხლებით“ (ლორთქიფანიძე, 2015:582). დესთანს უნდა გულისხმობდეს XIX საუკუნის I ნახევრის მოგზაური კ. კოხი, როდესაც ლაზებს ტრუბადურებივით მოსიარულებს უწოდებს (მამაცაშვილი, 1981:198). იგი ასევე ხაზს უსვამს ლაზების მიდრეკილებას სიმღერისა და დაკვრისადმი (იქვე).

მუსიკის გონიოელი მასწავლებელი მანანა სანაძე ცნობილი ხალხური სიმღერის „ე ა სიეს“ ავტორად მის ჭან ბებიას, ხავა იამაქოდლის, მიიჩნევს, რაზეც ტელეგადაცემებშიც საუბრობს. სინამდვილეში ხავას ავტორობას ეჭვქვეშ აყენებს ორი გარემოება: 1) „ე ა სიეს“ მელოდია და ტექსტი მრავალი სიმღერისთვისაა დამახასიათებელი; 2) მანანას ბიძას, ახმედ სანაძეს, დედამისისგან არათუ სიმღერების შექმნის, არამედ, უბრალოდ, მღერის ფაქტიც კი არ გაუგია (ჩავწერ 2017 წ.).

ლაზური „დესთანები“ სრულდება როგორც საკრავის გარეშე, ისე ქამანჩის თანხლებით (აუდიოდანართი, №93). „გუდაზე“ შესრულების შემთხვევაში საკრავის მჭახე ხმის გამო დესთანს თავისი ხასიათი ეკარგება. ალბათ, ამიტომაცაა რომ ამ საკრავზე დესთანები ნაკლებად სრულდება. დესთანია ასევე სარფელი ოთარ ბაქრაძის ვარაუდით შრომის ნიმუშად მოაზრებული „ეჩი ემფულა ეჩი“ (კრავეიშვილი, 2011:82) სინამდვილეში „ენცვი ემფულა ენცვია“ და სიტყვიერ ტექსტში ცხოველის ხეენების მიუხედავად ნიმუში ლირიკულია.

საინტერესოა, რამდენად ემსგავსება ლაზური მუსიკა მეგრულს?

ჭანურში, მეგრულის მსგავსად თვალშისაცემია სევდიანი ლირიკული სიმღერების სიჭარბე. ისინი სრულდება როგორც უსაკრავოდ, ისე ქამანჩისა (ლაზეთი) და ჩონგურის (სამეგრელო) თანხლებით (აუდიოდანართი, №94). ეს საკრავები კოლხურ ლირიკულ სიმღერებს კიდევ უფრო მეტ სევდას ანიჭებს.

ლაზურ ლირიკულ სიმღერებთან ახლოს დგას აკვის ნაწები (აუდიოდანართი, №95).

გადმა ლაზეთში ტრადიციული ნაის გახსენება უჭირთ, თუმცა მოხერხდა რამდენიმე ნიმუშის ფიქსირება. აღსანიშნავია, რომ ხოვის ონის სოფ. მაკრიალში მე და ზ. ვანილიშმა პირველად ჩავწერეთ აკვის ნანა აკვანის რწევის იმიტაციით (აუდიოდანართი, №96). საქართველოში მცხოვრებმა ლაზებმა კი ჩემთვის აქამდე უცნობი ნიმუში „ოკანწულეს ვამელა“ (საქანელადან არ ჩამოვარდე) (აუდიოდანართი, №97) ჩამაწერინეს – ბავშვს ჰამაკში არწევ და ასე უმდერი, რომ დაიძინოსო – განმარტავდნენ სარფელები. ზოგიერთის ცნობით ეს ცალკე ნიმუშია, სხვა ცნობებით კი ნაის ნაწილია ან საერთოდ არც იმდერება (ჩავწერე 2014 წ.). ჩემი აზრით, ეს ბავშვის დაძინებასთან დაკავშირებული, მაგრამ მაინც ცალკე მუსიკალური ნიმუშია. თავისი საცეკვაო ხასიათით იგი ვერ ჯდება აკვის ნაწებში და მელოდიურადაც საკმაოდ განსხვავებულია.

ლაზური ფოლკლორი მდიდარია ბავშვთა მიერ სათქმელი ნიმუშებით, თუმცა, აქ მხოლოდ იმ მაგალითებზე ვსაუბრობ, რომლის ინტონაციური მხარეც ჩემთვის ნაცნობია.

„ფისი მიაუ ბეკატუ“ (ფისუნია კატა) (აუდიოდანართი, №98) – ბავშვს ხელებს სახეზე მოაკიდებინებდნენ და ჩამოუსვამდნენ ორივე ლოფაზე. ლექსის დამთავრების შემდეგ კი უდიტინებდნენ (ჩავწერე 2011, 2016 წწ.). შესაძლოა კატის მოფერების დროსაც სრულდებოდეს.

„კიკილიკი“ (ყიყლიყო) – (აუდიოდანართი, №99). ეს კიკილიკი ვითომ მამას ეხმაურება და სად ხარ დამალულიო? ეკალბარდშიო, რა გაცვიაო? წითელი ქალამანიო, ვინ ჩაგაცვაო? ბებიამო, ვინ გიყიდაო? ბაბუამო და ა. შ. ეს ნიმუში აიწონა-დაიწონაზე სრულდებოდა (ჩავწერე 2014 წ.).

სამკურნალო სიმღერები ფიქსირებული არ არის, მაგრამ ნაზი მემიშის ბიძამისის მემედ ნარაკიძისგან ახსოვს, რომ პილილი ბატონებიანი ბავშვის წინ აუცილებლად უნდა ახმიანებულიყო (ჩავწერეთ მე და თამაზ გაბისონიამ 2010 წ.). პილილს მჭახე ხმა აქვს, ასე რომ, მონათხრობში უფრო კავალი უნდა ვიგულისხმოთ, თუმცა არცერთი მათგანი გავრცელებული არ არის. სხვებს კი „ბატონების“ დროს რაიმე მუსიკალური ქმედება საერთოდ არ ახსოვთ.

საკულტო სიმღერებიდან შემორჩენილია კალენდარული ნიმუში „წანაღანი“ („ახალი წელი“). „ახალი წლის დამეს ბავშები მალულად აკაკუნებენ სახლის კარზე და ჩაიმღერებენ: „ახალი წლის დამეს გააღეთ ფანჯრები, ვინც ჩვენ

არაფერს მოგვცემს, მას მალე გარდაუცვალოს ქმარიო“. შემდეგ თოკზე მიმაგრებულ აბგას (ჩანთას) კარიდან ან ფანჯრიდან შიგნით შეაგდებენ, სახლის ქალები ამ ჩანთებში ხილს ჩააწყობენ. ამბობენ, რომ ის ქალები, რომლებიც ბავშვებისთვის სასურველ ხილს ჩააწყობენ, მათ თავიანთი ქმრები ძალიან უყვართ“ (სარი, 2015:757-758). სამწუხაროდ ამ ნიმუშის მუსიკალური მხარე ჩემთვის უცნობია. ნარიმას ცნობით, მამამისის პ. პელიმიშის ბავშვობის დროს ხოვაში იმდერებოდა წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი სიმღერაც (კრავეოშვილი, 2011:105). რაც შეეხება 2011 და 2012 წელს ჩემს მიერ ოჩამჩირელი ნაზი სარაჭმედოდლისგან ფიქსირებულ სიმღერას „მჭიმა მჭიმს“ (ანუ წვიმა წვიმს), იგი სახუმარო სიმღერაა და არა ამინდის გასაავდრებელი.

ტირილს ლაზები: „მგარა, მგარინი“-ს უწოდებენ. „კორეცხალა მგარინი“ არის „დათვლით ანუ მოთვლით ტირილი“, „სერსითე მგარინი“ – ხმით ტირილი, „ჩელამურეთე მგარინი“ კი ცრემლით ტირილი (თანდილავა ზ., 1972:40, 137).

თანდილავას აზრით, დათვლით და ხმით ტირილი ემსგავსება ერთმანეთს: „ორივე ხმამადლა ტირილს გულისხმობს. განსხვავება კი ისაა, რომ ხმით ტირილის დროს მუსიკა, ხოლო დათვლით ტირილის დროს ტექსტია წამყვანი. ხმით ტირილის ძალა იმაშია, რომ მისი სამგლოვიარო მელოდია გულს უწუებს და დამსწრეთ ტირილს ჰგვრის. ამიტომ კარგი ხმით მატირალი დიდ პატივს იმსახურებს. ხმით ტირილი ხშირ შემთხვევაში იმდენად მუსიკალურია, რომ ეს გაბმული მელოდია სიმღერას მოგაგონებთ და იგი განსაკუთრებით საინტერესო ხდება მუსიკალური ფოლკლორის თვალსაზრისით, რაც შეეხება მოთვლით ტირილს, მოტირალის მიზანი აქ სულთან ლაპარაკი და მისი სააქაოცხოვრებასთან დაკავშირებული ამბების საჯაროდ გადმოცემა წარმოადგენს (შენ ამდენი ქონება ვის დაუტოვე მამაჩემო და ა. შ.) მოტირალი დიდ ადგილს უთმობს გარდაცვლილი ოჯახის წევრებისა და ახლობლების განცდებისა და მდგომარეობის გადმოცემას“. (თანდილავა ზ., 1972:137-141). საშა ხორავას ცნობით გლოვის დროს „კორცხალა“ გულისხმობდა ადამიანის ბიოგრაფიის მიმდევრობით, სიმღერით მოყოლას (ჩავწერ 2011 წ.).

ჩემ მიერ სარფსა და გადმა ლაზეთში სხვადასხვა დროს ჩაწერილი ეთნოფორები მიუთითებენ, რომ ტირილში ერთი დასტირის სიტყვებით, სხვები გაჩერებულები არიან, მერე სხვა იტირებს და დანარჩენები გაჩერდებიან (ჩავწერ 2012, 2014 წწ.). ტირილის სხვადასხვა სახეობები, რაზეც თანდილავა მიუთითებს (თანდილავა ზ., 1972:137-141), დღევანდელ ლაზეთში, საგარაუდოდ, არ ჩანს.

მთხოვბელები გერ განასხვავებუნ „კორეცხალა და სერსიოჟ მგარინს“ ერთმანეთისგან (ჩავწერე 2016 წ.), თუმცა ასიე კაკაბაძე ტირილს სავარაუდო „კორეცხალათი“ იწყებს (აუდიოდანართი, №100) და შემდეგ გადადის „სერსიოჟ“ ანუ ხმით ტირილზე. სამაგიეროდ ამათგან მკვეთრად განასხვავებუნ „ჩელამურეთი“ (ცრემლით) ტირილს, რომელიც, გავიმურებ რომ უსიტყვოა და საქმე გვაქვს აღგზნებულ დეკლამაციასთან.

„ქორწილამდე ერთი ან რამდენიმე დღით ადრე გოგოს ამხანაგები იკრიბებიან, მხიარულობენ; ახალგაზრდა გოგონები მდერიან და პორონს ცეკვავენ“ (ბუჯაკლიში, 2015დ:591). ქორწილისათვის მზადება ვაჟის სახლში რამდენიმე დღით ადრე იწყება... მამაკაცები პორონს ცეკვავენ, მდერიან ბალადებს. გონებამახვილურად ესიტყვებიან ერთმანეთს (იქვე:592). როგორია ამ „ბალადის“ მუსიკალური სახე და საერთოდ, პირდაპირი მნიშვნელობითაა ეს ტერმინი ნახმარი თუ არა, უცნობია.

ყურადღებას იპყრობს სიმღერა „თირამოლა“ (მეორე ვარიანტით „ჰეიამოლა“) (აუდიოდანართი, №101). იგი თავისი გენეზისით ზღვაოსნობასთან ყოფილა დაკავშირებული, თუმცა ბოლო დროს ქორწილს ახლავს (თანდილავა, 1972). იგი სურსათ-სანოვაგის მოსათხოვი სიმღერაა, რომელსაც ასრულებენ როგორც კაცები, ისე ქალები. შესაძლებელია შესრულდეს საკრავითაც. ქალები სუფრას გაშლიდნენ და სიძეს გამოცდიდნენ. მას მოხარულ მამალს დაუდებდნენ და უნდა მოეპარა. მაყრები ზურგს უკან მოდიოდნენ სიმღერა „თირამოლათი“ და სანამ სიმღერით ერთობოდნენ, სიძე უცებ სტაცებდა ხელს მამალს. საინტერესოა, რომ სიმღერა არის როგორც თურქულენოვანი, ისე შერეული – თურქულ-ჭანური (ჩავწერე მე 2011 წ., ასევე მემიშიშმა და ვანილიშმა 2014 წ.).

ვ. ჩევიძე საქორწინო რიტუალში სიმღერა „ჰელესასაც“ განიხილავს. მისი თქმით „როცა დედოფლის მაყრიონი მიუახლოვდებოდა ნეფის ოჯახს, გაჩერდებოდა, მოითხოვდა საჩუქარს, იტყოდა „მოლა“ (ღუზა) ჩავუშვითო და დაიწყებდა „ელესას“ სიმღერას. მაყრიონი მანამ არ მოიცვლიდა ეზოდან ფეხს, სანამ საჩუქარს (ამ შემთხვევაში საკლავს) არ მიიღებდა“ (ჩევიძე 1973:139-140). ისიცაა აღსანიშნავი, რომ როსებაშვილის რვეულში „ლაზური სიმღერები. ჰასან ჰელიმიშის შესრულებით“ პირველი სიმღერის სათაურია „თირამოლა-ჰელესა“, ნიმუში ჰელიმიშის „ჰელესაა“. როგორც ჩანს, ზოგჯერ „თირამოლას“ მაგიურ ეს სიმღერა სრულდებოდა, თუმცა რატომ, ჯერჯერობით გაუგებარია. ჩევიძე დასძენს: „სარფში „ჰელესა“ ერთგუნდოგანია, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა

მხარეებში“ (ჩხეიძე, 1973:142). ცხადია, აქ მეცნიერი უზუსტობას უშვებს, რადგან სიმღერა ტრადიციულად ორგუნდოვანია არამარტო ლაზურ, არამედ სხვა კუთხეების ფოლკლორშიც. რაც შეეხება ქორწილის მზარეულის, მასპინძლისა და სიძისადმი წარმოთქმულ ლექსებს შორის მისამღერად „ჰელესა იალესა ჰერამლი იასა ისა ჰეის“ განმეორებას (ბუჯაკლიში, 2015დ:594-595), ამას წესით ადგილი ცეკვის დროს უნდა ჰქონდა.

„წულო ბოზო“ (ქალწულო) (აუდიოდანართი, №102), ისევე როგორც „ჭუტა ნუსა“ (პატარა რძალი) (აუდიოდანართი, №103) იმდერებოდა ქორწილში პატარძლის გამოყვანის დროს.

ქორწილის დღეს დილით სასიძოს მხრიდან ხალხმრავალი ჯგუფი საპატარძლოს ოჯახისკენ მიემართება. გზად გუდასტვირზე უკრავენ, ცეკვავენ, ახალგაზრდა ბიჭები ყვირიან (გამაიოხუ)“ (ბუჯაკლიში, 2015დ:592). პატარძლის გამოსაყვანი ნიმუშების (აუდიოდანართი, №104) ფიქსირება მე და ნაზი მემიშიშმა მოვახერხეთ.

ბუჯაკლიშის თქმით „ქორწილის დამის პორონის მსგავს მრავალფეროვან გასართობებს შორისაა პოეტების პაექტობა. თითო-თითო, ორ-ორი ან სამ-სამი ადამიანისგან შემდგარი ქალთა და მამაკაცთა გუნდები ორსტროფიანი ლექსებით ეპაექტებიან ერთმანეთს. შაირობის ჩვეულება, ქემენჩეს თანხლებით პაექტობა, რომელიმეს დამარცხებამდე გრძელდება. ზოგჯერ შეიძლება ეს პორონის ნაცვლადაც ჩატარდეს“ (იქვე:596). მისი აზრით „თანამედროვე ქორწილებში ზემოხსენებულ რიტუალებს იშვიათად ან საერთოდ არ ვხვდებით. შესაძლოა, გადავაწყდეთ უფრო განსხვავებულ რიტუალებსაც. ამ ჩვეულებებიდან და რიტუალებიდან ზოგიერთი რამ სოფლებში დღესაც სრულდება. ისე 70-იანი წლების შემდგომ კი ბევრი ფოლკლორული ნიმუში დავიწყებას მიეცა“ (იქვე:598).

რაც შეეხება სიმღერას „აქეთ ჭანდაშ ოხორი“ (აქაა წვეულების სახლი) (აუდიოდანართი, №105), სიტყვიერი ტექსტი ნაზი მემიშიშს თურქეთის ჭანების ნაწერებში უნახავს. იქ ერთი კუპლეტი ყოფილა და ლაზური კულტურის გავლენით მელოდია თვითონვე გაუკეთებია ჩავწერე 2014 წწ.).

სანამ ცეკვებზე გადავიდოდე, აუცილებელია სიმღერების იმ ფორმების აღნიშვნა, რასაც ქ. ლორთქიფანიძე განიხილავს:

„„მანიები ძირითადად ქემენჩეს, გუდასტვირისა და ქავალის (სალამური) თანხლებით, პორონის ცეკვისას ან მოსაუბრეთა შორის დამდერებული, თურქუს ფორმით სრულდება.

„ათმა“ (ლაზ. გებიიაფა): მღერიან ქემენჩესა და გუდასტვირის თანხლებით, ქორწილებში პორონის ცეკვისას, ნადის დროს. შემსრულებლები თრ ჯგუფად იყოფიან. ერთი ჯგუფი იმპროვიზაციულად სტროფს თხზავს. მეორე ჯგუფი კი ამ გამოთქმულ სტროფს იმეორებს.

ათმა შეპასუხება: ესეც იმპროვიზაციას ეფუძნება. დიდად აფასებენ იმ პირებს, რომელთაც პასუხის გაცემა სხარტად, წინასწარი მომზადების გარეშე შეუძლიათ. თრ ჯგუფს შორის მიმდინარე ეს წარმოდგენა-პაექრობა ეფუძნება ორი ადამიანის ოსტატობას.

ათმას მთავარი დანიშნულება დამსწრეთა გართობა და დროის სასიამოვნო გატარებაა. აქ დამარცხება ტრაგედიად არ აღიქმება.

წინასწარ არავინ იცის, თუ როგორ დამთავრდება პაექრობა. ეს ნაწილობრივ დამოკიდებულია მსმენელთა შეძახილებსა და აპლოდისმენტებზე. საბოლოოდ, შედეგისდა მიუხედავად, ორივე მხარე მაინც კმაყოფილი რჩება (ლორთქიფანიძე, 2015:583-584).

გებიიაფას დროს დასაშვებია ბილწიტყვაობაც. თუმცა, აკრძალულია მეტოქისა და მისი ოჯახის დირსების შემლახველი სიტყვების გამოყენება. ესაა უმნიშვნელოვანესი წესი“ (იქვე:584).

სამწუხაროდ, სტატიაში განმარტებული არ არის „თურქუს ფორმა“. ათმა შეპასუხებას, თავად შევსწრებივარ, როდესაც 2014 წელს არპავის რ-ნის სოფ. სიდერეს მკვიდრი ილპან გურქანისა (კასაბიში) და სარფელ ნაზი მემიშიშს შორის, თუმცა ეს არა დესთანი, არამედ შაირი იყო (აუდიოდანართი, №106).

ჭანურ ცეკვებზე უაღრესად მნიშვნელოვანია ისმაილ ბუჯაკლიშის სტატია „ლაზური ხალხური ცეკვები - პორონები“. სიტყვა „პორონი“ მისი თქმით თურქელია (ბუჯაკლიში, 2015ბ:523). იგი აღნიშნავს, რომ, რიზედან გირესუნის ჩათვლით, ცეკვის თანხლებად ქემენჩეს იყენებენ, ჩაიელიდან აღმოსავლეთისკენ კი (მაგ. ხოფა, ფაზარი) – გუდასტვირს (იქვე:524). ეს მოსაზრება მცდარია, რადგან ვიწესა და არტაშენის რაიონებშიც (ანუ ხოფიდან ჩაიელამდე ფარგლებში) ჩაგვიწერია ქამანჩაზე საცეკვაო ნიმუშები, ისევე როგორც ინტერნეტრესურსებში არის რიზეს „პორონიც“ გუდასტვირის თანხლებით. გვხვდება ომერ ასანის ცნობაც ხოფაში ზურნის დაკვრის შესახებ (ციტირებულია იქვე:524), მაგრამ მასზე მოგვიანებით შევჩერდები.

საინტერესოა, რა კრიტერიუმებით განასხვავებს ისმაილ ბუჯაკლიში ჭანების მიერ ხმარებულსა და შავიზღისპირეთის ქამანჩას ერთმანეთისგან, როდესაც

აღნიშნავს მათ შორის განსხვავებას, როგორც მელოდიის, ისე დაკვრის ფორმისა და აგებულების თვალსაზრისით (იქვე:525). მეორეც, ლაზებიც შავი ზღვის არეალში ცხოვრობენ და ამიტომ დაკონკრეტება აუცილებელია. ალბათ, ქამანჩის „შავიზღვისპირულ“ ვარიანტში ჩვეულებრივს, მრგვალმუცლიან თოხესიმიან საკრავს გულიხმობს.

ბუჯაკლიში ახსენებს ბათუმი–ხოფა–ჩხალას სამკუთხედში შესრულებული „ჰორონების“ განსხვავებულობას სხვა ჰორონებთან (იქვე:527). საინტერესოა, ამ სამკუთხედში აჭარაც იგულისხმება თუ არა? ბათუმის ხსენებისას მხედველობაში აჭარული „ჭიბონი“ უნდა ჰქონდეს, რადგან სარფის ქართულ ნაწილში გუდასტვირი დიდი ხანია, რაც აღარ გამოიყენება. ჩხალას ხეობა ბორჩხის რაიონში შედის და თუ სამკუთხედის სახით წარმოვიდგენთ, მაშინ ჩხალადან ბათუმისკენ მიმავალი გზა აუცილებლად აჭარულ სოფლებზე გადის.

„დღეს რიზესა და ტრაპიზონში ჰორონების შესრულება გუდასტვირის თანხლების გარეშე მხოლოდ რელიგიური ფაქტორიდან გამომდინარეობს“ (იქვე:528). როგორც ზევით აღვნიშნე, ინტერნეტსივრცეუში „გუდას“ თანხლებით შემხვედრია რიზეს „ჰორონები“, ამგვარად ავტორის მსჯელობა საფუძველს მოკლებულად მიმაჩნია.

სტატიაში დიდი ადგილი უჭირავს ცეკვების სახელწოდებებს. „„ჰორონის“ სახელწოდებად გვხვდება ინდივიდუალური, ნათესაური ჯგუფების და გეოგრაფიული სახელები (იქვე:529), მაგალითად „ფააჩქული“, „წარიშკა“ და ა.შ. „ცეკვა ხანდახან ერთ სათხე მეტს გრძელდება, წრეზე მოცემავენი ხშირად იღლებიან, დაღლილებს ახლები ცვლიან, არ იცვლება მხოლოდ „ტულუმზე“ (ავტორი ასე წერს – გ. პ.) დამკვრელი, რომელსაც ფულს უდებენ „ტულუმის“ ჯიბეში (ერქომაიშვილი, 2009:368).

ჭანურ მუსიკაში გვხვდება შემდეგი საკრავები: ჩასაბერები – პილილი, კავალი, გუდასტვირი და ხემიანი ქამანჩა.

ერთხმიანი ჩასაბერი საკრავებია პილილი და კავალი.

პილილი (სურათი, №3) სარფში გავრცელებული ინსტრუმენტია. პილილის (ვიდეოდანართი, №12) ორი სახეობა არსებობს, სწორი და ბოლოგაფართოებული. მისი ოსტატის, ილია აბდულიშვის (1922-2010) თქმით, საკრავი მზადდება დიდგულის, ბამბუკის, ტყემლის ან თხილისგან. ამჟამად პოპულარული უფრო ბამბუკია, ვინაიდან დამზადება აღვილია. საკრავი შემოდგომაზე მზადდება (საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიო, ქათეგან მუმლაძის გადაცემა „სარფში ნაპოვნი საკრავი“

14.04.1988). მის თავს აბდულიში „წიპილს“ უწოდებდა, როსებაშვილს კი „წიგილის“ სახელით აქვს მოხსენიებული (როსებაშვილი, 1975:30). აბდულიში აღნიშნავდა, რომ წიპილი ახლა ბამბუქისაა, მაგრამ, ადრე ბამბუკის სარფში არარსებობის გამო ბაბუამისი წიპილს დიდგულასგან აკეთებდა. „დიდგულა გახმებოდა, ფუჭდებოდა, ბამბუკი კი მაგარია, ვჭრიდი და ქარში ვაშრობდი. წიპილის გაკეთება ძალიან ძნელია. საკრავს ზოგჯერ ერთ საათში, ზოგჯერ კი ერთ დღეში ვაკეთებ“ (ქ. მუმლაძის გადაცემა).

ეთნოლოგ გიორგი გარაფანიძის თქმით წიპილს ათლილი აქვს ენა, რომლის საშუალებითაც ჩაბერვის დროს ირჩევა საკრავის ლულაში მოთავსებული ჰაერის სვეტი. ღერო ტყემლის ან დიდგულას ხისაგან დამზადებული 25-30 სანტიმეტრი სიგრძის მილია, რომელზეც 5-7 ნახვრეტია გაკეთებული. პილილის სასურველ კლერადობას საკრავის სიგრძე განსაზღვრავს (გარაფანიძე, გ. 2008:75).

კონსტრუქციითა და აგუსტიკური თვისებებით იგი არ არის პრიმიტიული საკრავი. პირიქით, იგი ჩასაბერი საკრავის მაღალგანვითარებული ფორმაა, მიუხედავად იმისა, რომ გუდასტვირის ერთ-ერთი მთქმელის ლულას წარმოადგენს (როსებაშვილი, 1975:30). პილილის ლულას ქვედა მხრიდან – ზედა ორ თვალს შეათვალი არა აქვს. ეს გარემოება კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ამ საკრავის სიახლოვეს გუდასტვირთან (იქვე). აბდულიშის თქმით, პილილზე შესასრულებელი ყველა მელოდია საჭიბონეა და ხალხი მას ძველად ჭიბონზე ასრულებდა (სამსონაძე, 2005), თუმცა როსებაშვილის თქმით პილილის „რეპერტუარი და მასზე ინტენირება რადიკალურად განსხვავდება ჭიბონისაგან“ (როსებაშვილი, 1975:31). აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სარფსგალმა მცხოვრები ლაზების უმეტესობა „ჭიბონს“ „გუდას“ უწოდებს და სიტყვა „ჭიბონი“ მათვის უცნობი ტერმინია (ჩავწერეთ მე და მემიშიშმა 2014 წ.).

ამგვარად 1975 წელს როსებაშვილი პილილს გუდასტვირის ნაწილად მიიჩნევდა (იქვე:30), მაგრამ 1988 წელს პირველი არხის რადიოს ჟურნალისტ ქეთევან მუმლაძესთან ინტერვიუში აცხადებს „დღევანდლამდე, პილილის მსგავსი საკრავი საქართველოს არცერთ რეგიონში ფიქსირებული არ არის. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არის ლაზური საკრავი. რაც შეეხება მის უძველესობას, ესეც უდავოა. მართალია, მას აქვს ენა, რომელიც არ არის დამახასიათებელი და არ არის უძველესი წარმოშობისა, მაგრამ, ნიშანდობლივია, რომ კოლხეთის დაბლობზე არის გავრცელებული, იგივე ქობულეთის აჭარაში, და არაოფიციალური ცნობებით, სამეგრელოშიც, გ. ი. საერთოდ კოლხეთის

დაბლობზეა ხის საყვირი. პილილი მასზე მცირე ზომისაა, მაგრამ ფორმით ემსგავსება. ეს საკრავი იმეორებს ამჟამად აჭარაში გავრცელებულ ზურნად წოდებულ, მე ვფიქრობ, ყოფილ საყვირს“ (მუმლაძის ხელნაცვლი გადაცემა).

პილილის ხმა მჭახეა. მასზე იკვრება როგორც ინსტრუმენტული პანგები, ისე სიმღერებიც (აუდიოდანართი, №107).

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ი. აბდულიშვილვის პილილი, კავალთან და გუდასტვირთან ერთად, ბაბუამისს, ხოფელ ოსმან აბდულიშვილი (1863-1948) უსწავლებია, მაგრამ, იგი ძირმველი ლაზური ინსტრუმენტი არ უნდა იყოს, ვინაიდან:

- თურქეთის ლაზებისთვის, მათ შორის მუსიკის შემკრებთათვის, ეს საკრავი ან სრულიად უცნობია, ანდა მხოლოდ ილია აბდულიშვი ახსენდებათ, მაშინ, როდესაც სხვა საკრავები („გუდა“, ქამანჩა) ლამის თითქმის ყველა ჭანურ სოფელში ფიქსირდება;
- არც ბატონი ილიას თხრობიდან, არც ჩხიკვაძის ნაშრომებიდან და არც ჩემ მიერ გამოკითხული ეთნოფორებიდან პილილზე ილია აბდულიშვის გარდა თვით სარფში სხვა დამკვრელი (თუ არ ჩავთვლით აბდულიშვის მოსწავლეებს) არ ფიქსირდება. ჩხიკვაძე იმასაც მიუთითებს, რომ ბოლო პერიოდამდე ამ საკრავს თავად ლაზებიც კი არ იცნობდნენ (ჩხიკვაძე, 1980:46).
- საკრავების დამზადება-დაკვრა ძირითადი ხელობა არც ილიას ბაბუისთვის უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მოხუც სარფელთა მეხსიერებაში ოსმანი რკინის დამუშავების ოსტატი და სამეურნეო იარაღების მკეთებელი იყო, მის მიერ გაკეთებული საკრავები კი არც უნახავთ (ჩავწერ 2015, 2017 წწ.). ოსმანი, რომელიც სარფელთა თქმით ხოფიდან იყო გამოქვეყული და თავი სარფს შეაფარა. ზურაბ ვანილიშვილის თქმით სარფელებს ოსმანის ხელობა ისე მოსწონებიათ, რომ მისი ჩასიძება გადაწყვიტეს (ჩავწერ 2014-2015 წ.). აქედან გამომდინარე, მას შეეძლო პილილი თავადაც შეექმნა;
- უფროსი თაობის ოსტატებმა აკნი ვანიძემ და ნოდარ კაკაბაძემ მხოლოდ ბოლო 25-30 წლის წინ დაიწყეს პილილის გაკეთება და მათაც ილია აბდულიშვისგან უნდა ესწავლათ (ჩავწერ 2011, 17 წწ.);
- პილილის ბოლოგაფართოებული სახეობა, რომელიც აბდულიშვის წმინდა ლაზური ეგონა, სინამდვილეში როგორც უცხოელმა ეთნომუსიკოლოგებმა აუსხვეს (უცხოელებს, რომელთა ვინაობაც არ დააკონკრეტა, ასე უწოდა) ზურნა ყოფილა,

„ბოლო გადაუჭერი და ლაზური მაშინ იქნებათ“ („აჭარის ტელევიზია“ ინგა ხალვაშის საავტორო გადაცემა „სცენა“, 2008).

- აბდულიშვილი, ისევა, როგორც კავალი, საქონლის მწყემსვის დროს უსწავლია, არადა ჭანეთში, თურქების შემოსვლის შემდეგ მაინც, საქონლის მწყემსებად და მასთან დაკავშირებული საკრავების დამკვრელებად უფრო მეტად ხემშინები (მუსლიმანი სომხები) გვევლინებიან, რაშიც არაერთხელ დავრწმუნებულვარ გაღმა ჭანეთში ექსპედიციებისას. სარფსგაღმა ლაზები კავალს ხემშინების საკრავს უწოდებენ და მიუთითებენ, რომ ლაზები მაინცდამაინც არ ეტანებოდნენ (ჩავწერეთ მე, მემიშიშმა და ვანილიშმა 2014 წ.), პილილი კი, უმუტეს შემთხვევაში, არც სმენიათ, ვინც კი იცოდა, ის აბდულიშვილისახელებდა (იგივე ჩამწერები);
- სარფელების ვარაუდი პილილის ოდესალაც შესაძლო არსებობის, შემდგომ გაქრობისა და ოსმან აბდულიშვილის მიერ მისი აღორძინების შესახებ (ჩავწერე 2015, 2017 წწ.) საფუძველს მოკლებულია. მაშინ როდესაც ლაზურ გუდასტვირზე ერთხმიანობის ხევდრითი წილი იზრდება, ამ ფონზე არალოგიკურია ერთხმიანი საკრავის დაკარგვა;
- დავუბრუნდეთ იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც პილილი გუდასტვირის ნაწილია. როგორც მუმლაძის ხეგებულ გადაცემაშია ნათქვამი, ილიას ბაბუის გაკეთებულ პილილს 5 თვალი ჰქონდა; ამ დროს ცნობილია, რომ გუდასტვირის ერთი დედანი აუცილებლად ხუთოვლიანია, ანუ პილილი გუდასტვირის ერთ-ერთი დედნისაგან გაკეთებული შეიძლება იყოს. აქ საუბარია სწორ პილილზე, მაგრამ ხომ არსებობს პილილის მეორე სახეობა, ბოლოგაფართოებული პილილი? აუცილებლად უნდა მოვიხმო ციტატა ომერ ასანის წიგნიდან „პონტოს კულტურა“. „ამბობენ, რომ ძველად ხოფაში უკრავდნენ გუდასტვირსა და ზურნას, მაგრამ ეს იკრძალებოდა რელიგიური თვალსაზრისით“ (ციტირებულია ბუჯაკლიში, 2015ბ.524). თუ ილიას ბაბუის ხოფელობასაც გავითვალისწინებთ, ადვილი შესაძლებელია, ბოლოგაფართოებული პილილი ზურნისგან გაკეთებულიყო;
- რაც შეეხება საკრავზე შესრულებული ნიმუშების მუსიკალურ მხარეს: ფაქტია, როგორც ბოლოგაფართოებულ, ისე სწორ პილილზე შესრულებულ ინსტრუმენტული თუ სასიმღერო ჰანგები უფრო მკვეთრად „აზიური“ იერის (მელიზმები, გადიდებული სეკუნდა) მქონეა, ვიდრე სიმღერის შემთხვევაში.

როგორც ჩანს, პილილი ძირმველი ჭანური საკრავი არ უნდა იყოს, თუმცა ის კი ნათელია, რომ დღეს ეს საკრავი სარფის მუსიკალური ფოლკლორის ნაწილად და სახედ აღიქმება.

აქვე უნდა მოვიტანო აბდულიშვილის ქ. მუმლაძისთვის ნათქვამიც: „გასულ წელს კოლხობაზე ჩამოსული იყო თურქეთიდან ლაზი კაცი, მე დამაინტერესა, ვკითხე და მითხრა, ასეთი ჩვენც გვაქვს, ჩვენც ვუკრავთ და ეს საკრავი მხოლოდ ლაზებშიაო“ (ხსენებული გადაცემა, 1988). მეცნიერული თვალსაზრისით, სანდო არ არის ერთი კაცის ცნობებზე დაყრდნობა, მით უმეტეს, რომ თურქეთის ლაზებში არც ჩვენი ექსპედიციებისას და არც სხვა მასალის გაცნობისას პილილი არ შეგვხვედრია (განსხვავებით კავალზე შესრულებული თითო-ოროლა ნიმუშისაგან). შესაძლოა ილიას ხსენებულმა ჭანმა ილიას პილილი და გაღმა ლაზეთში არსებული კავალი ერთნაირი აგებულებისა და ერთნაირი თვლების გამო ერთი და იმავე საკრავებად მიეჩნია. ბაწაში ჩემთან საუბარში 2011 წელს ამბობდა, რომ მამამისი პილილს ამზადებდა, თუმცა აქაც ალბათ კავალი უნდა ვიგულისხმოთ. აკატის ცნობით პილილი არც თურქეთში გვხვდება (პირადი საუბარი 2016 წ.).

პილილი ნაწილობრივ აჭარაშია გავცელებული (გარაფანიძე, გ. 2008:75) შეიძლება აქ სოფ. სარფს გულისხმობდეს. კოველ შემთხვევაში, აჭარულ ფოლკლორში ასეთი საკრავი არ დასტურდება.

კავალი/ქავალი (სურათი, №4) კამპარისგან, ანუ დიდგულასგან კეთდებოდა. ფოთლების ახალი ამოყრის დროს, გამწვანების პერიოდში ტყავი კარგად ძვრებოდა და დიდგულას გული კარგად გამოდიოდა. კავალს დაახლოებით 5, 7 თვალი უნდა ჰქონდეს. ამ საკრავს უფრო მეტად ხემშინები იყენებენ, ვინაიდან იგი ჩობანების ანუ მწყემსების საკრავს წარმოადგენს (ჩავწერე მე 2011 წ. და მემიშიშმა 2014 წ.). ამის მიუხედავად, როგორც ჩანს, ლაზური დესთანებიც იკვრება (აუდიოდანართი, №108).

მართალია, ლაზურ ფოლკლორში ზურნაზე დასაკრავები ჯერჯერობით არ შეგვხვედრია, მაგრამ ამ ინსტრუმენტის არსებობაზე ჭანური ზეპირსიტყვიერება მიუთითებს (მემიშიში, 2015:573; თანდილავა, 1972:110). საინტერესოა, ლაზური გამოთქმაც: „გოგოს თავის ნებაზე თუ მიუშვებ, მედოლეს, ან მეზურნეს გაჟყვებაო“ (აბაშიში, 2015:560). ზურნისგან განსხვავებით, დოლზე დასაკრავები გვხვდება (ჩხიკვაძის ჩანაწერებში), თუმცა ნიმუშთა ნაწილი უთანხლებოა, ნაწილზე კი აჭარული სიმღერებია წარმოდგენილი.

ახლა მრავალხმიან საკრავებს: ქამანჩას, „გუდასა“ და „ოსტვინონს“ გეხები.

გუდასტვირს, როგორც არაერთგზის აღვნიშნე, ლაზურად „გუდა“ (სურათი, №5) ეწოდება. გუდასტვირის სალამურები „ნაკ“-ში იდება (ჩავწერეთ მე და მემიშიშმა 2014 წ.). იგი ჩიმჩირის ან კამიშისაა (ჩიმჩირი – ბზა, თანდილავა ა., 2013:835; კამიში – ბამბუკი, იქვე:356). ჩასაბერს „შორონი“ ან „დუდულა“ ჰქვია და სავარაუდოდ, ჩიმჩირისგან მზადდება. გუდასტვირის დედნები კამპარასგან (დიდგულა) კეთდება და „ოპინაშე“ ჰქვია (ჩავწერეთ მე და მემიშიშმა 2014 წ.). ოპინაშე არა, მაგრამ „ოპირინაშე“ თანდილავასთან სალამურად არის განმარტებული (თანდილავა, 2013:648). „შორონი“ ბაწაშის თქმით სულიერს, ხოლო დუდულა კი ფილოლოგ ნათია ფონიავას თქმით (პირადი საუბრები 2016 წ.) – თავიანს (დუდი – თავი) ნიშნავს. უცნაურია რომ ოპინაშეს ბაწაში ხემის და საპენტელას მნიშვნელობით განმარტავს (ჩავწერე 2016 წ.). გუდის ტანს გუდა ეწოდება (ჩავწერეთ მე და მემიშიშმა 2014 წ.). იგი ქეთის ანუ თხისგან მზადდება, თუმცა შეიძლება ბატქნისგან გაკეთებაც. ბატყანი, ანუ შურონი 7-8 თვისა უნდა იყოს. გუდასტვირის შესამოსელი სილამაზის მიზნით კეთდება. საერთოდაც ამ მორთულობის ქვეშ ლაზურიც „გუდაც“ ისეთივე თეთრია, როგორც, სხვა კუთხეების გუდასტვირები. „გუდა“ ადრე მორთულობის გარეშე იყო (ჩავწერეთ მე და მემიშიშმა 2014 წ.).

ზამთარში გუდის გამოშრობა ხდება შემდეგნაირად: ბატყანის ტყავს ნაცარს აყრიან, შემდეგ თმებს აცლიან და დამზადების პროცესიც იწყება. გუდას ჩრდილში აშრობენ, მზე არ მიეცხუნოს (ჩავწერეთ მე და მემიშიშმა 2014 წ.). „თულუმი შედგება თხის ტყავის გუდისა და მის ძირში ჩამაგრებული ლერწმის ორი სტვირისგან, რეზონანსის მოსამატებლად სტვირების ბოლოზე დამაგრებულია ცხოველის რქა“ (Gold, 1972:3-4).

აჭარის მსგავსად ლაზეთშიც სცოდნიათ საბაგშვო გუდასტვირების კეთება, ამ შემთხვევაშიც ძირითადი მასალა თხისაა, რომელიც 1 წლისა უნდა იყოს (ჩავწერეთ მე და ვანილიშმა 2014 წ.).

ჭანებში გუდასტვირი ერთადერთი საკრავია, რომელმაც ჩვენებურების ფოლკლორში დღემდე შეინარჩუნა ქართული მრავალხმიანობა (აუდიოდანართი, №109). იგი შენარჩუნებულია, არა მარტო მუსლიმან ლაზებში, არამედ ქრისტიან „პონტოელ ბერძნებშიც“ (აუდიოდანართი, №110-111).

ძალზე საყურადღებოა გოლდის დაგვირგება: „თურქეთის აზიურ ნაწილში გუდასტვირზე მხოლოდ ლაზები და ქართველები უკრავენ. თრაკიელი თურქებისა და ბალკანელებისგან განსხვავებით, რომლებიც გაიდაზე უკრავენ, კაგასიაში

თულუმი სტრუქტურულად უნიკალური ინსტრუმენტია. ბალკანეთსა და დასავლეთ ევროპაში გუდასტვირზე მხოლოდ ბურდონულ მრავალხმიანობას ასრულებენ, თულუმზე კი შესაძლებელია ორი დამოუკიდებელი, მობილური ბგერათრიგის „შესრულება“ (Gold, 1972:4). იქვე აგრძელებს, რომ „თულუმის ერთ სტვირზე სრულდება მელოდია, ხოლო მეორეზე ხდება ორი ბგერის – ტონიკისა და დადაბლებული მეშვიდე საფეხურის სწრაფი მონაცემებია, რაც ქმნის მელოდიურ-პერკუსიულ ეფექტს. ზოგჯერ მეორე ხმა მელოდიასთან უნისონში ჟღერს“ (იქვე:4).

გოლდი გუდასტვირზე დაკვრის პროცესს შემდეგნაირად აღწერს „თულუმი ძირითადად გამოიყენება, როგორც ცეკვის ან სიმღერის თანმხლები საკრავი. ინსტრუმენტალისტი/ვოკალისტი გუდას ჰაერით ავსებს, სიმღერის დროს სტვირს ლოფაზე იდებს, რათა ჰაერი გუდიდან არ გაეპაროს. ამგვარად, გუდაში რჩება მთელი სტროფის აკომპანირებისათვის საჭირო რაოდენობის ჰაერი, ხელახლი ჩაბერვის გარეშე. შედეგად, ვიდებთ ერთგვარ სამხმიან ვოკალურ ნაწარმოებს: მომღერალი მღერის და, ჰარალელურად, თულუმის ერთ სტვირზე მელოდიის ვარიანტს ასრულებს, მეორეზე კი – კონტრაპუნქტს“ (იქვე).

მართალია, ლაზურ და, შესაბამისად, პონტოს ბერძნული გუდასტვირის ბანში უმეტესად I და VII საფეხურები ჟღერს (ვიდეოდანართი, №13), მაგრამ მოგვეპოვება მაგალითები, როდესაც ბანი სამ ანდა ოთხ საფეხურსაც მოიცავს. ამ დროს ზედა ხმა აუდერებს მხოლოდ ორ ბგერას, ანუ ბანი და ზედა ხმა პოზიციებს იცვლიან (აუდიოდანართი, №112).

რაც შეეხება გაიდას. ზოგადად საბერძნეთში არსებობს გუდასტვირის ორი სახეობა: ეს არის „Gayda“/„Gaida“ (გაიდა), რომელიც საბერძნეთის გარდა გავრცელებულია ევროპის სხვა ქვეყნებშიც და პონტოს ბერძნების „Tsabouna“ („ცაბოუნა“). „Gaida“-ს (სურათი, №6) აქვს გრძელი საბანე ლულა, იგი მხოლოდ ერთ ბგერას გადმოსცემს. მისი ფუნქცია დასაკრავების საყრდენი ტონის ორი ოქტავით ქვევით აღებაა (ვიდეოდანართი, №14-15). ეს საკრავი, საბერძნეთის გარდა, გავრცელებულია შოტლანდიაში, ბულგარეთში. ამ საკრავზე აუდერებული დასაკრავების კილო მაჟორი ან მინორია. „Gayda“ ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში (მათ შორის არც ლაზებთან) არც გვხვდება, განსხვავებით „Tsabouna“-საგან, რომელიც ქართული ტიპის საკრავია (ვიდეოდანართი, №16) და მასზე არა ზოგადად ბერძნები, არამედ „ე. წ. პონტოელი ბერძნები“ უკრავენ. მეც მასზე შევჩერდები.

ჭანურ „გუდაზე“ დღეს თვლების რაოდენობა ორივე მხარეს ხუთია ანუ 5/5-ზე, მაგრამ როგორ იყო უწინ? პონტოური გუდასტვირის, ანუ „ცაბოუნას“ მიხედვით შეიძლება აღდგეს ლაზური გუდასტვირის ძველი სახე. თუკი ჭანურ გუდასტვირზე თვლების რაოდენობა 5/5-ია. პონტოურ გუდასტვირზე თვლების რაოდენობა არის როგორც 5/5, ისევე 1/5 და 3/5 (სურათი, №7).

უაღრესად ლირებულია კლარჯი ემრულა ქესქინქურთის ცნობა. მისი მამა ჰუსეინი, რომელიც ცნობილი მეაკორდეონე იყო, უკრავდა ასევე კავალსა/ყავალსა და გუდასტვირზეც. „თულუმს 5/5 თვალი პქონდა, მაგრამ ლაზური თუ გინდოდა, ერთ თერეფზი (ანუ ერთ მხარეს) 2-3 თვალს „გააგდებდნენ“ ანუ გასანთლავდნენ – გადმოგვცემს ემრულა (ჩავწერე 2016 წ.).

თუ მხედველობაში მივიღებთ პონტოს ბერძნების, ანუ გაბერძნებული ტრაპიზონელი ლაზების გუდასტვირებს (1/5 და 3/5), და ამას დავუმატებთ იმასაც, რომ პონტოელი ბერძნების ზოგიერთ დასაკრავზი მრავალხმიანობა უფრო დომინირებს, ვიდრე ლაზურ ნიმუშებზი, ეს აშკარას ხდის იმ ფაქტს, რომ ძველი ჭანური გუდასტვირის თვლები უნდა ყოფილიყო ან 1/5, ან 3/5. როგორც ჩანს, მრავალხმიანობის დეგრადაციის დროს მოხდა გუდასტვირზე თვლების რაოდენობის გატოლება, მაგრამ ზოგჯერ მაინც ხდებოდა თვლების ამოქოლვა, ანუ 5/5-იან გუდასტვირზე მიიღებოდა 3/5-ი რაოდენობა. თვლების ამოქოლვა იყო გარდამავალი პერიოდი 3/5-იდან 5/5-ზე გადასვლისა. თვლების დატოლებამ მრავალხმიანობის ხვედრითი წილის შემცირება გამოიწვია. აქედან გამომდინარე, პონტოს ბერძნებმა შეინარჩუნეს ძველი ლაზური გუდასტვირი. შესაძლებელია შენარჩუნებული იყოს ვოკალური მრავალხმიანობაც. მათი დიდი ნაწილი 1920-იანი წლებიდან საბერძნეთში ცხოვრობს, ხოლო ვინც დარჩა, გამუსლიმანდა.

ჭანურ გუდასტვირზე უკრავენ ხემშინებიც. გავიმეორებ, რომ ისინი ან მუსულმანი სომხები არიან, ან გასომხებული ლაზები, თუმცა ლაზებთან ერთად ცხოვრობენ და ლაზურ მუსიკას ასრულებენ (ვიდეოდანართი, №17).

თუკი „გუდაზე“ დასაკრავები, არაქართული მელიზმატიკისა და ერთხმიანობის დომინირების მიუხედავად, ქართული ხალხური მრავალხმიანი მუსიკის კანონზომიერებებს უფუძნება, ამავეს ვერ ვიტყვით ქამანჩაზე, რომლის პანგებიც პარალელური კვარტების დაღმავალი მოძრაობით ჩვენი მუსიკის ნორმებს საკმაოდ შორდება (აუდიოდანართი, №113; სანოტო დანართი, №5). პარალელური კვარტების სიჭარბე განსაკუთრებით, საკადანსო საქცევებშია თვალშისაცემი. პარალელური კვარტების სიჭარბეს საკრავის კვარტებით აწყობა უნდა იწვევდეს. აღსანიშნავია,

რომ ზოგიერთ თუშურ დასაკრავში გარმონზე ზედა ხმებში პარალელური კვარტების ქლერის ფაქტები (აუდიოდანართი, №114-115), მართალია, ეს არ არის იმდენად ხშირი, როგორც ქამანჩაზე შესრულებულ ლაზურ ნიმუშებში, მაგრამ მაინც ყურადსალებია.

ქამანჩა (სურათი, №8) რამდენიმე ხისგან მზადდება. საკრავის წინა ნაწილი ნაძვისაა, დანარჩენი კი – მუხის, თუთის ან კედრის. სიმები, საზის სიმების მსგავსად ფოლადისაა. სიმებს, სავარაუდოდ, „დოქტუსდაფა“ ან „თელეფე“ ჰქვია (ჩავწერეთ მე და ვანილიშმა 2014 წ.). ბაწაშის ცნობით (ჩავწერე 2016 წ.) „დოქტუსდაფაც“ და „თელეფეც“ თურქული სიტყვებია, „დოქტუსდაფა“ – მოსაჭერს, „თელეფე“ კი მავთულს ნიშნავს. ხემი ცხენის ძუისაა. მოქლონებს ეძახიან „ბურგის“, „უჯის“ (ყური), ან „აიაღის“ (ჩავწერეთ მე და ვანილიშმა 2014 წ.). „აიაღიც“ თურქულია და ლაზურად გეწიფუს, გედგუს ნიშნავს (გედგუ – დადგმა (დიუმეზილი, 2009:302; დადგმა, დაბიჯება, თანდილავა ა., 2013:732). ჯორაკს უწოდებენ „გურუნს“, ლაზურად ჰქვია „ვირ“. სიმების დამჭერს „სემერს“ უწოდებენ და მისი ქართული შესატყვისია უნაგირი სიმების ქვევით ყალიშმი, ანუ საყელოა (კრავატი) მოთავსებული. კელესებურ სითხეს, რაზეც ხემის ძუას უსვამენ, კევის ფისი ჰქვია, საკრავის სიმებზე მას არ გაუსვამენ, მხოლოდ ხემზე ხმარობენ. თავად გასასმელს ლაზურად „გოლოსვაშე“ ეწოდება (ჩავწერეთ მე და მემიშმა 2014 წ.). გოლოსვაშე არა მაგრამ გოლოსვინუ განმარტებულია, როგორც ჩამოსმა (თანდილავა ა., 2013:152). საკრავს დიდი ნახვრებები ხმის გამოცემისთვის აქვს (ჩავწერეთ მე და მემიშმა 2014 წ.).

აკატი ქამანჩის აღწერას ამგვარად იძლევა: „რეგიონში დასახლებული ბერძნულენოვანი მოსახლეები და საბერძნეთში მცხოვრები ხალხი შავიზღვისპირეთიდან, ქამანჩას, ასევე, უწოდებენ ლირას. შავი ზღვის ქამანჩას სამი სიმი აქვს. დღეს სიმები კეთდება მეტალისგან, თუმცა წარსულში ზედა 2 სიმი ნაწლავისგან მზადდებოდა. შეა სიმი ნაწლავისაა, ხოლო მაღალი წარმოადგენს ოქროს ძაფს (Cihanoğlu, 2004:242; ციტირებულია აკატი, 2015:364). ზედა ორ სიმს ასევე უწოდებდნენ წმინდა სიმებს“ (აკატი, 2015:364).

იშვიათად, ზოგ აღგილებში ქამანჩას შეიძლება ოთხი სიმიც ჰქონდეს, „მაგრამ ხალხს ამ დამატებითი სიმისათვის ახალი სახელი არ შეურქმევია. როგორც გხედავთ, სამსიმიან ქამანჩას ერთი ტონიკა აქვს, ხოლო ოთხსიმიანი ქამანჩა ორი ტონიკის მისაღებადაა დამზადებული და, შესაბამისად, შემსრულებელს შეუძლია ერთ ქამანჩაზე ორი სხვადასხვა ტონიკა გამოიყენოს. შავი ზღვის ქამანჩაზე

მჯდომარე და მდგომარე პოზიციებში უკრავენ. სწორ დაბლობზე მასზე დაკვრა შესაძლებელია სიარულის დროსაც“ (აკატი, 2015:365).

გაუგებარია თუ როგორია ეს ოთხსიმიანი საკრავი; მას მხოლოდ ერთი სიმი აქვს დამატებული თუ იგი მრგვალი მუცლის მქონეა? ასევე გაუგებარია ორგონიკიანობის საკითხიც. საერთოდ სიფრთხილე გვმართებს ქამანჩის დამზადების ტექნიკასა და ნაწილების სახელწოდებებზე, იმ მონაკვეთებში, სადაც ავტორი არსად არ ამბობს, თუ რომელ ტომებში გავრცელებული ქამანჩა აქვს მხედველობაში.

ქამანჩის გამკეთებელს კარგი სმენა უნდა ჰქონდეს. ხე ფოთლების გამოსვლამდე უნდა მოიჭრას. ხის მასალა უწყლო უნდა იყოს, რამდენადაც გახმება მოჭრილი ხე, იმდენად უფრო კარგია. მასალა მშრალ ადგილზე უნდა ინახებოდეს (ჩავწერეთ მე და ვანილიშმა 2014 წ.).

შიშმან ილმაზის ცნობით, ქამანჩას პატარა, სკოლამდებლი ასაკის ბავშვებისთვისაც კი აკეთებდნენ. ასეთ საკრავზე მხოლოდ მარტივი ჰანგის დაკვრა შეიძლებოდა. ქამანჩას ბავშვობიდანვე უკრავდნენ (ჩავწერეთ მე და ვანილიშმა 2014 წ.). ემინ ოზერი იგონებს - „ქორწილებში მხრებზე დამისვამდნენ, ვუკრავდი და ფულს მაწეპებდნენ შუბლზეო“. მისივე მოგონებით, სიმინდის დეროზე ძაფებს გააბამდნენ და პირით დაუკრავდნენ. ამ დეროს ნამდვილი ხმა კი არ ჰქონდა, ეს სათამაშო იყო (ჩავწერეთ მე და ვანილიშმა 2014 წ.).

საინტერესოა ქამანჩის ჭანური სახელწოდება. სარფელი ლაზები მას დღეს „ჭილილს“ უწოდებენ (ჩავწერე 2011 წ.). ეს ტერმინი, ისევე როგორც ქამანჩის ნებისმიერი ლაზური შესატყვისი უცნობია თურქეთში მცხოვრები ჭანებისთვის, ამ დროს ახსოვთ გუდასტვირისა და მისი ნაწილების ლაზური სახელები. უფრო მეტიც, ჭილილი არც ძველ ლიტერატურაში გვხვდება, მის მაგივრად ნახსენებია „ქემენჩე“ (დიუმეზილი, 2009; თანდილავა, 1972; ვანილიშმი, 1964). ქემალ ნარაკიძის ცნობით, მამამისი, ქამანჩაზე დამკვრელი (ლაზურად ქემენჩეჯი) სარფელი მემედ ნარაკიძე ამ საკრავს ლაზურად „ქემენჩეს“ უძახდა, „ჭილილს“ არა. (ჩავწერე 2016 წ.). ზოგიერთი ეთნოფორი მას ქემანედ მოიხსენიებს, მაგრამ არც ქემანეა ჭანური სიტყვა. მართალია, წ. ბაწაშის ბიძები (წარმოშობით არჭავის რაიონიდან) ქამანჩას, ლაზურადაც „ქემენჩედ“ იხსენიებდნენ, თუმცა ზოგჯერ „ჭილილსაც“ ახსენებდნენ (ჩავწერე 2016 წ.). როგორც ჩანს, ქამანჩას „ჭილილი“ ბოლო ხანებში დაურქვა, და ისიც საქართველოში მცხოვრები ჭანებისგან.

აქ მივადექი მთავარ სათქმელს. არის თუ არა ქამანჩა ქართული საკრავი? მისი წყობა (კვარტებისგან შემდგარი) და მასზე შესრულებული ორხმიანობა (ვიდეოდანართი, №18) ქართული ხალხური მუსიკალური კულტურისთვის უცხოა. აღსანიშნავია ისიც, რომ ლაზების გარდა ეს საკრავი საქართველოს არც ერთ სხვა კუთხეში არ დასტურდება.

გასარკვევია ინსტრუმენტის ლაზეთში მოხვედრის გზა და დრო. ფაქტია, გაბერძნებული ჭანებიც ამ საკრავზე უკრავენ (აუდიოდანართი, №116). მეცხრამეტე საუკუნის მოგზაურის კარლ კოხის მიერ ნახსენები „ციტრა“ და „გიტარა“ (მამაცაშვილი, 1981:198, 199) ქამანჩა უნდა იყოს, რადგან სიმებიანი საკრავებიდან ლაზეთში მხოლოდ ეს ინსტრუმენტია გავრცელებული.

1910-20-იანი წლებით უნდა თარიღდებოდეს სურათი, რომელზეც ჰ. ჰელიმიში ქამანჩაზე უკრავს. ამ სურათითა და დიუმეზილის მასალით მტკიცდება, რომ გასული საუკუნის დასაწყისში ეს საკრავი უკვე გვხვდებოდა, თუმცა მისი გავრცელების მიახლოებითი თარიღის დადგენა, ჯერჯერობით არ შემიძლია. რაც შეეხება მის წარმომავლობას, ვინაიდან თურქულ მუსიკაში ეს საკრავი არ ფიქსირდება, საფიქრებელია რომ იგი ან საბერძნეთიდან (ბიზანტიის იმპერიიდან) იყოს შემოსული, ანდა როგორც პირად საუბარში წ. ბაწაში ვარაუდობს, ლაზური ქამანჩა ბერძნული ლირისა და ქართული ჭიანურის ნაზავს წარმოადგენდეს.

აქვე უნდა ვუპასუხოთ კითხვას, არის თუ არა ჭანეთში გავრცელებული ქამანჩა მსოფლიოში ცნობილი ქამანჩისნაირი? საზოგადოდ ქამანჩას ორი ნაირსახეობა გააჩნია. ესენია: „აღმოსავლური ქამანჩა“ (რომელიც გავრცელებულია თურქეთში, აზერბაიჯანსა და სხვა რეგიონებში) და ე. წ. „ლაზური ქამანჩა“. ბერძნები მას „პონტოურ ლირას“ უწოდებენ, რადგანაც მასზე პონტოელი ბერძნებიც უკრავენ (ვიდეოდანართი, №19). ჩემ ხელთ არსებული მასალის მიხედვით თურქები ამ საკრავზე არ უკრავენ.

ლაზური მოდელი მნიშვნელოვნად განსხვავდება საკუთრივ „აღმოსავლური“ ქამანჩისაგან. თუ ლაზური ჭილილი არის ბრტყელი, მოგრძო ფორმის მუცლითა და მოკლე ტარით, თურქულს გრძელი ტარი და მრგვალი მუცელი გააჩნია; თუ ჭანურს სწორი ჯორაკი აქვს, აღმოსავლურს ეს მომრგვალებული სახით გააჩნია. თუ ჭანური ქამანჩა სამსიმიანია, თურქული 3-4 სიმიანია. განსხვავება, შესაბამისად, ეღერადობაშიც გამოიხატება. ქამანჩის „აზიური“ ვარიანტი უფრო სოლო საკრავია (მასზე მუდამებს უკრავენ), ხოლო ლაზური (იგივე პონტოური) კი სათანხლებო (კრავეიშვილი, 2011:127).

ინტერნებში განთავსებული ვიდეოებზე დაყრდნობით ვფიქრობდი, რომ ლაზურის ჯორაკი სწორი იყო, რითაც იქმნებოდა სამივე სიმის ერთად აქლერების შესაძლებლობა; თუმცა 2014 წლის ექსპედიციებმა გამოავლინა, რომ ლაზურსაც, სხვა ქამანჩების მსგავსად თაღოვანი ჯორაკი გააჩნია, რის გამოც ერთდროულად (ვიოლინოს მსგავსად) მხოლოდ ორი სიმის აქლერებაა შესაძლებელი.

თავად სიტყვა „ჭილილი“ ჭანურია და მეტყველებაში ფართოდ გამოიყენება. სიტყვის განმარტება ასეთია – დარღი არ გქონდესო. სარფელები იხსენებდნენ, როდესაც რაიმე არ გამოგვივიდოდა, უფროსები გვეტყოდნენ, არ იდარღოთო, ამ დროს სიტყვა ჭილილს ახსენებდნენ და თან მკერდზე ხელს გაისვამდნენო (ჩავწერ 2016 წ.).

საბაკალავრო დიპლომში მქონდა აფხაზური აფხარცას, ასევე ჭიანურისა და ქამანჩის შედარება დამზადების წესებისა თუ ფუნქციის მიხედვით (კრაგეიშვილი, 2011:133-134). ეს საკრავები ერთმანეთს მართლაც ჰგავს, უფრო მეტიც, წ. ბაწაშის აზრით, ჭანური ქამანჩა „აღმოსავლური ქამანჩისა“ და ქართული „ჭუნირის“ ნაზავს უნდა წარმოადგენდეს. საყურადღებო ვარაუდია, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ლაზეთის მოსაზღვრე კუთხეებში (თუნდაც აჭარაში) ჭიანური არ გვხვდება. არაყიშვილმა დააფიქსირა გურული ჭიანურის წყობა, მაგრამ ეს საკრავი არც გურიაშია გავრცელებული.

ბუჯაკლიში ლაზეთში გავრცელებული საკრავების წარმომავლობას ასე მიმოიხილავს „ქემენჩესა და გუდასტვირის წარმოშობის საკითხი ბევრისთვისაა ინტერესის საგანი. მიუხედავად უამრავი განსხვავებული თვალსაზრისისა, შეუძლებელია რომელიმეს სარწმუნოდ მიჩნევა, რამდენადაც ეს თვალსაზრისები ურთიერთსაწინააღდევო და სუბიექტური ნაციონალური არგუმენტებით საზრდოობენ და მათი მეცნიერულობა ეჭვს ბადებს. გუდასტვირი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ანალოგიების სახით გვხვდება, მსგავსად შოტლანდიულების „gayda“-სა და ფრანგების „cornemuse“-სი. ნაციონალური თვალსაზრისი ამტკიცებს, რომ გუდასტვირი თურქული ხალხური საკრავია. მნელია განსაზღვრა იმისა, თუ როდის და რა გზით შემოვიდა ანატოლიაში ფრანგული „fochette“ და ინგლისური „kit“ სახელწოდების სიმიანი საკრავის მონათესავე შაგიზღვისპირეთის ქემენჩე. ამასთანავე, საფუძველს არაა მოკლებული ამ ინსტრუმენტის ადგილობრივი წარმომავლობის შესაძლებლობაც“ (ბუჯაკლიში, 2015ბ:525).

ავტორი ყურადღებას არ აქცევს იმ ფაქტს, რომ შოტლანდიულების „gayda (gaida)“ და ფრანგების „cornemuse“ (ვიდეოდანართი, №20) ძალიან განსხვავდება

ჭანური და ზოგადად ქართული გუდასტვირისგან. ავტორს არც სურს, მუსიკალურად გაანალიზოს სხვადასხვა ქვეყნის და, თუნდაც, ჭანური დასაკრავები. თავისთავად საფუძველს მოკლებულია ლაზეთში გავრცელებული გუდასტვირის თურქულ ხალხურ საკრავად გამოცხადება, მით უფრო, რომ მასზე შესრულებულმა ჰანგებმა ქართული მრავალხმიანობა დღემდე შეინარჩუნა და თანაც, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს რეგიონის გარდა, გუდასტვირზე თურქეთის სხვა ნაწილში, ა. აკატის ცნობით, არც უკრავენ.

აკატის მოხსენებაში განხილულია ქამანჩა და გუდასტვირი. „თურქეთის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი“ კი ლაზეთია, მაგრამ ამ ტერმინს ეთნომუსიკოლოგი თითქმის არ იყენებს. მოხსენება მთელ რიგ სხვა საკამათო ადგილებსაც შეიცავს. ჩემი დაკვირვებით ამგვარი ადგილები წარმომავლობისა და ეროვნულობის საკითხს უკავშირდება. ასე მაგალითად, როდესაც ავტორი საუბრობს თურქეთის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კულტურაზე, მხედველობაში, უმეტესწილად, სწორედ ლაზური კულტურა აქვს (აკატი, 2015:363-376), თუმცა სიტყვა ლაზს გაქვრით ახსენებს და ისიც – ქართველისგან განცალკევებულად. როგორც ბაწაში აღნიშნავს დღევანდელ თურქეთში ოფიციალურად ადარავინ იყენებს ლაზებთან დაკავშირებულ ტერმინს, ნაცვლად კი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთს ახსენებს. როგორც ჩანს, ზოგადი ტერმინების შემოღებით თურქები ეროვნული კვალის გადაფარვას ცდილობენ (ბაწაში, 2015:40).

აკატი აღნიშნავს: „ყველაზე მნიშვნელოვანი ხალხები, ვინც დღევანდელ კულტურაზე პირდაპირი გავლენა იქონია, არიან ყივჩადები, სხვადასხვა წარმოშობის თურქული თემები, რომაელები (ბერძნები, გაქრისტიანებული ადგილობრივი თემები, ორთოდოქსი და არა-მუსულმანი თურქები), ლაზები, ქართველები და სომხები. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გავრცელებული საკრავები ამ კულტურულ ურთიერთგავლენას ასახავენ. მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივად ამ რეგიონში არც თუ ისე ბევრი ინსტრუმენტი გვხვდება, თითოეული მათგანი ზომის, წყობის, სტილისა და ტექნიკური ორიენტაციის თვალსაზრისით, გვიჩვენებს რეგიონული ადგილმდებარეობით გამოწვეულ უდიდეს მრავალფეროვნებას, რაც ამ მრავალფეროვნების მიზეზების კვლევის აუცილებლობას განაპირობებს. ამ რეგიონის მონაცემებს მე 2002 წლიდან კკრებდი. საექსპედიციო ჩანაწერების თანახმად, გამოვავლინე 24 მუსიკალური განსხვავება. ასევე, თუ გავითვალისწინებთ იმ ტერიტორიებსაც, სადაც საველე სამუშაოები არ ჩამიტარებია, შესაბამისად, განსხვავებათა რაოდენობა უფრო გაიზრდება. როგორც

ზემოთაც ადგნიშნე, ეს თემების განსახლებასთან არის დაკავშირებული. ამ ზოგადი ინფორმაციის შემდეგ, რეგიონის ორ მნიშვნელოვან მრავალხმიან საკრაგზე, ქამანჩასა და თულუმზე შევჩერდები. ვფიქრობ, უფრო მომგებიანი იქნება ამ საკრაგზების განსხვავებულად გამოყენების საკითხის განხილვა მათი ადგილმდებარეობის მიხედვითა და იმის გათვალისწინებით, თუ რა გავლენას ახდენს ეს განსხვავებულობა მათ მრავალხმიანობაზე“ (აკატი, 2015:363-364). სამწუხაროდ, ამ „24 განსხვავებაზე“ ავტორი არაფერს უთითებს. რაც შეეხება ეთნიკურ ჯგუფთა შერევას, ეს გამორიცხული არ არის, მაგრამ დასახელებულ ტერიტორიაზე დომინანტურ ჯგუფს ყოველთვის ქართველობა შეადგენდა. რაც შეეხება ბერძნებს, პონტოელების ქართველობაზე უკვე ვისაუბრე. სომხებში, საფიქრებელია მკვლევარს პემშინები ჰყავდეს მხედველობაში, მაგრამ სმენითი ანალიზიც ცხადყოფს, ხემშინების მიერ გუდასტვირზე ლაზური მუსიკის დაკვრას. რაც შეეხება არამუსლიმან თურქებს, გაქრისტიანებულ ადგილობრივ თემებსა და ყივჩაღებს, გაუგებარია, თუ კონკრეტულად რომელ ტომებს გულისხმობს და მკვლევრის მიერ დასახელებული ტერიტორიის რა ნაწილში ბინადრობენ ისინი. მით უფრო გაუგებარია, თუ რა მუსიკალურ გავლენებზე საუბარი. რაც შეეხება მუსიკალურ განსხვავებებს მრავალხმიანობის კუთხით, სამწუხაროდ, ავტორი ამაზე აღარ საუბრობს. ზოგჯერ ისიც გაუგებარია, თუ რომელი სახეობის (სამ თუ ოთხსიმიანი) ქამანჩა აქვს მხედველობაში. სტატიაში არსად არ არის ნახსენები თულუმის ლაზური, ისევე როგორც შავშური და ტაოური სახელწოდებები.

საქართველოს მასშტაბით გუდასტვირის ორივე მხარეს მოცემული თვლების ოდენობა ასე წარმოგვიდგება: აჭარულ ჭიბონზე 3/5, ქართლურ და რაჭულ გუდასტვირზე 3/6, სტვირზე 1/5, ლაზურ გუდაზე კი 5/5 (ისევე, როგორც მესხურზე). მაშასადამე, გუდასტვირზე თვლების ორივე მხარეს თანაბარი რაოდენობა ქართული ტრადიციისათვის დამახასიათებელი არ არის. ჩემი სმენითი დაკვირვებით, თვლების ტოლი რაოდენობა ხელს უწყობს მასზე შესასრულებელი ჰანგის გაერთხმიანებას.

ჭანებთან დადასტურებულია მრავალდეროიანი სალამურის არსებობის ფაქტი, რომელსაც „ოსტვინონი“ ეწოდება: მის შესახებ ცნობებს ეთნომუსიკოლოგ ვალენტინა სტეშენკო-კუპტინასთან ვხვდებით. მას მოაქვს ისკანდერ ციტაშის ცნობა თურქეთში მცხოვრები ჭანების მუსიკალურ შემოქმედებაში შვიდ და თორმეტდეროიანი სალამურის არსებობის შესახებ, რომელსაც ციტაში

„ოსტვინონს“ უწოდებს (სტერენკო-კუპტინა, 1936:36, 183), თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ მას არ ჰქონდა ლაზეთში ექსპედიციის ჩატარების საშუალება (იქვე:36).

მრავალდერიან სალამურზე 2011 წელს მეც შევძლი გარკვეული ცნობის მოპოვება. ნარიმეს თქმით მამამისს, ხასან ხელიმიშს გადასახლებაში ჰქონია ეს საკრავი. „იგი ხის სამი ლეროსაგან შედგებოდა და ზედიზედ ორხმიანობა გამოჰყავდაო. საკრავის დიაპაზონი შეზღუდული იყო, მასზე მამამისი, ლაზურის გარდა ქართულსაც უკრავდა. როდესაც ლარჭემის ტემბრი მოვასმენინე, მან იგი ოსტვინონის ტემბრს“ 70%-ით მიამგვანა“ (კრავეიშვილი, 2011:126).

ამის შემდეგ სიტუაცია არ შეცვლილა, თუ არ ჩავთვლი მუიტინ მემიშოდლის დადასტურებას არქაბელ ლაზებში მრავალდერიანი სალამურის არსებობის შესახებ (ჩავწერეთ მე და მემიშიშმა 2014 წ.). სამწუხაროდ საკრავების ნაწილებისა და საერთოდ საკრავის სახელი არც მუიტინმა და არც ნარიმამ არ იციან. როგორც დოქტორანტი ნინო რაზმაძე თავის რეფერატში აღნიშნავს, ჩემი ცნობების საფუძველზე შესაძლოა საქმე გვქონდეს არა პანის ფლეიტასთან, არამედ სტვირების გაერთიანებასთან.

კოხი, „გიტარასა“ და „ციტრასთან“ ერთად, „ჯიმჯიმის“ მსგავსს ინსტრუმენტსაც აღნიშნავს. იგი წერს: „საინტერესო იყო ჯიმჯიმის მსგავსი „ინსტრუმენტის“ აკომპანიმენტიც, რომელიც შიგადაშიგ გაისმოდა, ხოლო კონცერტის მომღერალს ორი ხის კოვზი უკავია მარცხენა ხელის თითებს შუა და მარჯვენა ხელით სხვადასხვანაირად აქდერებს მათ“ (მამაცაშვილი, 1981:199). შესაძლოა, ორი ვარიანტის დაშვება: 1) ხის კოვზებში თანამედროვე დოლის ჯოხები, „ჯიმჯიმის მსგავს საკრავში“ კი დოლი იგულისხმებოდეს, რადგან ლაზურ მუსიკალურ ფოლკლორში გავრცელებული ინსტრუმენტიდან მოყვანილ ციტატაში ხსენებული ყველაზე ახლოს დოლთანაა; 2) „ჯიმჯიმი“ შესაძლოა იდიოფონი იყოს, იდიოფონები კი ქართულ, მათ შორის ლაზურ ფოლკლორში, აღარ გვხვდება (შილაკაძე, 2007:110).

ბავშვები, ძირითადად ბიჭები, საბავშვო საკრავებს აკეთებდნენ. მათგან ყველაზე პოპულარული ოსტვინალე იყო. ჩემ მიერ 2011-12 წლებში სარფსა და კვარიათში შეკრებილი მასალის მიხედვით ოსტვინალე სასტვენია, რომელზეც ძირითადად ერთი ბგერა უდერს; იგი უმთავრესად გაზაფხულზე კეთდება (თუმცა შეიძლება ზაფხულსა და შემოდგომაზეც დამზადდეს). „ხე იყო, ტყავს დანით დავნაყავდით და ხეში წყლის ჩადგომის დროს – გაზაფხულზე, მაშინ გაკეთებდით“. იგი თუთისგან, მთხაგაკალიდან (გარეული კაკალი), თხილიდან და

თხემლიდან (თხმელიდან) კეთდებოდა. გარდა გასართობი ფუნქციისა, ზოგჯერ საკომუნიკაციო მნიშვნელობაც ჰქონდა. ხანმიშესულები იხსენებენ: „როდესაც ძროხებს ვაძლვებდით, ერთმანეთს ოსტვინალეთი გადავძახებდითო“ (კრავეიშვილი, 2013:31). ამ სახელწოდებას სტვირის მნიშვნელობით ჯერ კიდევ მ. ვანილიში ხმარობდა (კრავეიშვილი 2011:116). ამ ეტაპზე შეკრებილი მასალიდან ჩანს, რომ ვანილიში ოსტვინალები სწორედ ამ საბავშვო სასტვენს გულისხმობდა.

ბოლუზანი (ბოლუზანა) დიდი ბუკია. ომარ მემიშიშის ცნობით (ჩავწერე 2012 წ.), ბოლუზანას მთხაკაკალისგან (თხის კაკალი, გარეული კაკალი) აკეთებდნენ. „კანი ძალიან ადვილად ძვრება, კონუსისებურად გააკეთებდნენ, ჩადებდნენ პილილს და ძალიან მაღალი ხმა გამოდიოდა (ბოლოგაფართოებული პილილი ბოლუზანას ტიპისაა, ოღონდ ბოლუზანა უფრო გრძელია და ნახვრეტების უქონლობის გამო მხოლოდ ერთ ბგერას გამოსცემს, რადგან ნახვრეტები არა აქვს). მთხაკაკალს ტყავი ადვილად ძვრება. იმის ტყავზე წვრილად შემოვხაზავდით დანით, მერე ამ ტყავს გავაძრობდით და როგორიც დღეს საყვირებია, იმ ფორმას ვაძლევდით. წინ ვიწროა, ბოლოში კი თანდათან ფართოვდება და ამ ბოლუზანას დასაწყისში ვუკეთებდით წიპილს. ხმა დიდდებოდა, დიდდებოდა თანდათან და შორს ისმოდა. გაზაფხულზე, როცა მცენარე შეიდგამს წვენს, ტყავი კარგად ძვრება. ძველად ციხის ქონგურებზე დადგებოდა ერთი ყარაული, დიდ, გრძელ საკრავს ჩაბერავდა და ძლიერ ხმას გამოსცემდა, რომელიც შორს ისმოდა, ეს მტრის მოახლოების ნიშანი იყო. ხალხი მიატოვებდა ყველაფერს და ამ ციხე-გალავანში შემოდიოდა, რომ თავი გადაერჩინა. ცხადია, ჩვენ მიერ გაკეთებული საკრავი იმ საკრავის (საგარაუდოდ ბუკის) მსგავსი იყო. თუმცა, გაცილებით პატარა“ (კრავეიშვილი, 2013:31). ხოდარ კაკაბაძის თქმით, ბოლუზანა და ოჭანდინონი ერთი და იგივეა, „ოღონდ ბოლუზანას ბავშვები ვაკეთებდით. ოჭანდინონი (სახმობი) კი უფრო დიდია. ოჭანდინონით ხალხს უხმობდნენ (ომში, ქორწილში, თავშეეყრაში). ეს ომიანობის პერიოდში იყო. ტექნიკა რომ შემოვიდა, ამის შემდეგ ადარავის გაუკეთებია“ (კრავეიშვილი, 2013:31-32).

არდაშენის რ-ნის სოფ. აიდერეში შევიძინე „სიფსიი“ (სურათი, №9). მასზე უსტვენენ ჩიტების გამოსაყვანად, მის ენას ბაძავენ ნადირობის დროს (ჩავწერეთ მე და მემიშიშმა 2014 წ.). „სიფსიი“ დიდგულასგან კეთდება. მასზე რამდენიმე ბგერის აჟღერებაა შესაძლებელი (ვიდეოდანართი, №21).

ზემოთგანხილული მხარეების, ასევე, აჭარისა და მესხეთის გარდა, თურქეთის საქართველოს სხვა ადგილებში (კოლა-არტანი, არტანუჯი, ყარსი, ერზრუმი,

ლორე) ქართული ენა მთლიანად დავიწყებულია. ოოგორც ექვთიმე თაყაიშვილი 1902 წლის ექსპედიციისას აღნიშნავდა: „ქართულად ლაპარაკობდნენ მხოლოდ სოფელ ველში, ხოლო ერუშეთში მარტო მოხუცებულებს ესმოდათ ქართული. ოლთისის ოკრუგში, ფანასკერტში, ანზავში, მიაკომში ქართული ესმოდათ მხოლოდ მოხუცებს და უფრო ქალებს, ვიდრე მამაკაცებს“ (თაყაიშვილი, 1991:222).

## 2.5 მესხეთი

მესხეთის დიდი ნაწილი საქართველოს შემადგენლობაშია. მის ფარგლებს გარეთ ამჟამად ფოცხოვის ნაწილია, რომლის მუსიკალური მასალა ჩემთვის უცნობია. საქართველოში მცხოვრები მესხების მუსიკალურ ფოლკლორს გაკვრით გეხები, რადგან მთელ მესხეთზე ოსმალეთის იმპერიის ბატონობამ (1828 წლამდე) დიდი ქვალი დატოვა.

მესხეთში ფიქსირებულია სააკვნე, საფერხულო, საისტორიო, შრომის ინდივიდუალური და სუფრული სიმღერები. მიუხედავად მუსლიმანური რელიგიის ზეგავლენისა, მესხეთმა მრავალი სუფრული სიმღერა შეინარჩუნა. საკულტო („ჭონა“), და საისტორიო („შავლეგო“) თემატიკის ამსახველი ნიმუშებიც. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს სიმღერები თითო-ოროლა ვარიანტითაა წარმოდგენილი. საქართველოს მოწყვეტილი სხვა კუთხეების მუსიკალურ ფოლკლორთან შედარებით უფრო მეტადაა შემონახული ზემოხსენებული ჟანრები. აღარავერს ვამბობ სუფრულ სიმღერებზე, რომლებიც მხოლოდ ქორწილის სუფრაზე სრულდებოდა, სხვა სუფრულებზე თაორულებს მდეროდნენ (მაღრაძე, 1987:23).

ისიც საყურადღებოა, რომ სუფრულ სიმღერებში არ სახელდება სურსათ-სანოვაგის მოსათხოვი ნიმუში, სამაგიეროდ, შემორჩენილია მთელი რიგი სუფრულების შესრულების წესები. უფრო მეტიც, არსებობს სუფრის გახსნამდე, სუფრის გახსნისას და დახურვისას შესასრულებელი სიმღერები.

რამ განაპირობა მესხეთში მრავალი სუფრული სიმღერის შენარჩუნება? ასევე რატომ არის სხვა ჩვენებურებთან შედარებით უფრო წარმოდგენილი საისტორიო და საკულტო თემატიკის ამსახველი ნიმუშები? ამის მთავარი მიზეზი, ვფიქრობ, 1828 წელს მესხეთის დედასამშობლოში დაბრუნება, ანუ ისლამური სივრციდან გამოსვლაა. ამგვარად, მესხეთმა ყველაზე ადრე დააღწია თავი ისლამს.

ჩვენებურების სხვა კუთხეების მუსიკალურ ფოლკლორთან მესხურის შედარებისას გვხვდება რამდენიმე პარადოქსიც, სახელდობრ:

- მაშინ, როდესაც ლაზურ გუდასტვირზე დღემდე ქართული მრავალხმიანობა ჟღერს, მესხურზე მისი ნიშანწყალიც კი არ იგრძნობა;
  - სიმღერები გაერთხმიანდა მესხეთის საქართველოში დაბრუნების შემდეგ; ეს ყველაფერი მესხეთის ეთნიკური აჭრელებით (თურქების, თარაქამებისა და, შემდგომ, სომხების ჩამოსახლებით) უნდა აიხსნას.
- მესხური სიმღერების მრავალხმიანობის საკითხზე მესამე თავში ვსაუბრობ.

## 2.6 აჭარის თურქული ნაწილი

აჭარულ მუსიკაზე საუბრისას მხედველობაში მაქვს თურქეთში მცხოვრები აჭარლები. ესაა მაჭახლის თურქული ნაწილი და ხება-მარადიდის მხარე. თურქეთის აჭარა ესაზღვრება შავშეთსა და კლარჯეთს და შედის ბორჩხის რაიონში. მუჭაჯირი აჭარლები კი თითქმის მთელ თურქეთში არიან მიმოფანტული, თუმცა ხელთ, ძირითადად, ინეგოლის ორიოდე სოფლის მასალა მაქვს.

ჩემ ხელთ არსებული ნიმუშები წარმოდგენილია შრომის („თოხნის სიმღერა“, „ვოისა“, „ჰელესა“) საქორწინო (მაყრული – დედოფლის მოყვანისას), სატრფიალო („ბახმაროს მთაზე“), საცეკვაო („ფათიკო“ – ნაყოფიერება-შვილიერების პულტანაა დაკავშირებული), „ჩაგუნა“, „რაშაორერა“, „ვორსა და ვარადა“), საფერხულო („ვაჟაპაი“, „ვოდელია“), საისტორიო ტექსტზე („ენვერ ფაშა“), სალხინო („ლობიოს სიმღერა“), სახუმარო („ვოდელია ნანინა“, „შვიდკაცა“, „ეფრატური“) და ა.შ. ნიმუშებით.

რაც შეეხება საკრავიერ მუსიკას, სიმღერა „ბახმაროს მთაზე“ წარმოდგენილია აკორდეონის თანხლებით (აუდიოდანართი, №117).

თურქეთში მცხოვრები აჭარლების სიმღერები უკანასკნელ წლებამდე მხოლოდ ორხმიანი იყო, დღეს კი აჭარელი მუჭაჯირების ფოლკლორში მათი გაერთხმიანება თვალშისაცემია, თუმცა ორხმიანობის ფიქსირება დღემდეა შესაძლებელი (აუდიოდანართი, №118).

ჰაირიელებს, რომელთა მამებისგანაც 1965-68 წლებში ტრადიციული ორხმიანი ნიმუშები დაფიქსირდა, ორ ხმაში მდერა უკვე, როგორც ჩანს 1982 წელსაც კი უჭირდათ (იგულისხმება ადგილობრივების მიერ გადაღებული მასალა). არა მარტო „დოდოფლის სიმღერა“ არამედ „ვოისაც“ კი უმეტესად ზედა ხმის გარეშე იყო. მრავალხმიანობის ჩაწერა, ბუნებრივია, რომ ჰაირიელისა და თუფეხიყონადში კიდევ უფრო გართულდა 2015 წელს. ყველა სიმღერაში („მაყრულის“ გარდა) ახსოვთ უმეტესად დამწყები, პირველი ხმა, დოდოფლის სიმღერაში კი ახსოვთ ბანიცა და

მელოდიაც, თუმცა მელოდიის თქმა უჭირთ, ან სოლისტი დაწყების შემთხვევაში მალე ბანზე გადადის. ჰაირიელებისა და თუფეხჩიურნალელების უმეტესობა ლექსის დავიწყების გამო მელოდიას არც მღერის და მხოლოდ ბანი უდერს (აუდიოდანართი, №119). საერთოდ კი სიმღერის გაერთხმიანების შემთხვევაში უფრო ლოგიკურია მელოდიის შენარჩუნება, თუმცა აჭარული სიმღერის ბანი იმდენად მელოდიზებულია, ცალკე შესრულების შემთხვევაში უცხო მსმენელს შეიძლება მელოდიადაც კი მოეწვენოს.

რაზმაძისა და აკატის მიერ ტრადიციული მრავალხმიანობის მერვე საერთაშორისო სიმპოზიუმზე წაკითხულ მოხსენებაში „ინეგოლის (თურქეთი) ქართველების წარსული და თანამედროვე მუსიკალური ყოფა“ აღნიშნულია, რომ „დედოფლის სიმღერის დღეს შესრულების ორი ვერსია არსებობს. როდესაც მათ ჩვეულებრივი ეთნოფორები ასრულებენ უმეტესად ბანი უდერს, მელოდია კი ფრაგმენტულად ან არ სრულდება. მეორე შემთხვევაში – მათ ტრადიციების შენახვით დაინტერესებული ადგილობრივი ახალგაზრდა მუსიკოსების მიერ“. 2007 წელს სტურუამ თუფეხჩიურნალში ნიმუშების უმეტესობა მოხუცებისგან ორ ხმაზე თავისუფლად ჩაწერა (აუდიოდანართი, №120). მართალია, „ბახმაროს მთაზე“, „შავი ზღვის პირზე“ შესრულებისას ბანს, ყოველ ჯერზე არასწორად მდეროდნენ და ხშირად უნისონში გადადიოდნენ (აუდიოდანართი, №121), მაგრამ 2007 წელს ჩაწერილი სიმღერების უმეტესობა მაინც ტრადიციული ორხმიანი ნიმუშები იყო.

სიმღერების გაქრობის საფრთხეზე, ჯერ კიდევ გოლდი მიუთითებს და დასძენს, რომ „მხოლოდ მოხუცების წყალობითაა შემორჩენილი „დედოფლის სიმღერა“ და „ვოსა ვორერა“ (Gold, 1972:3). როგორც 2015 წლის ექსპედიციის მასალები მეტყველებს, „ვოსა ვორერა“ უკვე გამქრალია (ისევე როგორც „ვაჭვის სიმღერა“, „ალიფაშა“, „ევრიდა მასპინძელსა“, „ნანინა“). გოლდი აღნიშნავს: „საგუნდო მუსიკა, ურთდროულად არის საკმაოდ დემოკრატიული, იმ მხრივ, რომ ნებისმიერ კარგ მომღერალს შეუძლია აჟყვეს ბანის პარტიას და, ამასთანავე, მხატვრული თვალსაზრისით, მომთხოვნი, ვინაიდან მხოლოდ ცალკეულ პირს შეიძლება ჰქონდეს სოლო პარტიის შესრულების კვალიფიკაცია“ (იქვე3). დღეს კი ძნელია სოლისტის პარტიის მცოდნის ნახვა.

რაც შეეხება საკრავებს, იბერია მელაშვილის ცნობით აკორდეონი მუჭაჯირ ქართველებში (მაგ. ჰაირიელი) დაახლოებით ბოლო 45-50 წლის წინ შევიდა უფრო ადრე იყო ხელის გარმონიკა – პატარა „წიყ-წიყო“. ყველაზე ძველი საკრავი კი ჰაირიელი (ხეირიელი) „ჭიბონი“ იყო, თუმცა მასზე დაგვრელი აღარავინ დარჩაო

(ჩავწერ 2012 წ.). საჭიბონე დასაკრავების ფიქსირება მხოლოდ 1965 წელს, ა. მელაშვილმა და ი. ჯაბადარმა მოახერხეს.

საისტორიო თემატიკის ამსახველი სიმღერებიდან გოლდსა და მელაშვილს ჩაწერილი აქვთ „ალიფაშა“ (აუდიოდანართი, №122). „ეს ვერსია მხოლოდ ფრაგმენტია და მომღერლებმა არ იციან ამ ამბის დეტალები“ (Gold, 1972:5). ალიფაშას თემა მხოლოდ საწყის სტრიქონშია მოცემული, ხოლო შემდეგ კი მართლაც სრულიად სხვა შინაარსის ტექსტი მოსდევს (იქვე). სამწუხაროდ, დღეს ამ სიმღერის გახსენება უკვე შეუძლებელია, როგორც ჩანს, 50 წლის წინაც იგი უკვე ფრაგმენტულია ახსოვდათ.

პიტერ გოლდი საუბრობს რა სიძის სახლში დედოფლის მიუვანის დროს, გზად შესასრულებელ „დოდოფლის სიმღერაზე“, წერს: „საქორწილო რიტუალის პოპულარობიდან გამომდინარე, პაირიეში მას ახალგაზრდა თაობა დღესაც მდერის. ამ სიმღერის ბანი ყველაზე რთულია პაირიეს მთელს ოპერტუარში. ის ვითარდება მთელი სტროფის განმავლობაში და გუნდების მიერ ანტიფონურად სრულდება. თუ ორი სოლისტიდან ერთ-ერთი არ მოიძებნა, გუნდები სიმღერას მაინც შეასრულებენ, ვინაიდან ბანის სოლო პარტია მელოდიის ადეკვატურია“ (Gold, 1972:5). დღეს კი მხოლოდ ბანის პარტია იმღერება.

საქორწილოა, ასევე, სიმღერა „ვინ მოგიტანა“ (აუდიოდანართი, №123). იგი წარმოადგენს პატარძლის დიალოგს მეგობრებთან (გაბისონია, მესხი 2005:104). „ნიმუში ხშირად სრულდება ერთი სოლისტისა და გუნდის მიერ რესპონსორულად. შეიძლება შესრულდეს მხოლოდ სოლისტის მიერაც. ბევრი სხვა სიმღერის მსგავსად, მას საცეკვაოდაც იყენებენ. მამაკაცებიც ასრულებენ ამ სიმღერის ერთ გერსისას (ისე, ქალთა სიმღერად ითვლება) და მას უხამს სტროფებს უმატებენ“ (Gold, 1972:6). რაზმადისა და აკატის აღნიშვნით ეს სიმღერა ტრადიციულ რეპერტუარს არ მიეკუთვნება. მათ მოაქვთ პაირიელი შევქეთ აქცეულის ცნობა, რომლის მიხედვითაც შევქეთს „ვინ მოგიტანა“ ინეგოლში, შავშეთიდან დასახლებული მომღერლებისგან შეუსწავლია და სოფლად პოპულარული მას შემდეგ გამხდარა (აქცეული ჩაწერა როგორც 2015, ისე 1968 წლის ექსპედიციამ). ვფიქრობ, მამაკაცთა უნისონური გუნდის არსებობა თუნდაც პიტერ გოლდის ჩანაწერებში, სიმღერის შაგმებისგან გავრცელებით უნდა აიხსნას. რაც შეეხება სიმღერის დროს ენის დაბმას, ნინო რაზმადის თქმით სპეციალურად იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს სოლისტი ენაბლუა ან სიცივისგან აკანკალებს (პირადი საუბარი 2017 წ.).

საქორწინო სუფრაზე აუცილებლად ითქმებოდა სურსათ-სანოვაგის მოსათხოვი საქორწინო სუფრული „ევრიდა მასპინძელსა“, რომელიც ფრიად გავრცელებული აჭარული სიმღერაა. უნდა ითქვას, რომ სურსათ-სანოვაგის მოსათხოვი ნიმუშებიდან აჭარული ვარიანტი ერთადერთია, სადაც თურქულენოვანი ტექსტი არ შემხვედრია. თურქულენოვანი ტექსტის არარსებობა, ვფიქრობ, აჭარულ მუსიკაში მრავალხმიანობის შენარჩუნებით უნდა აიხსნას.

ქორწილს ქართულ სიმღერებთან ერთად მუსულმანური მუსიკაც ახლდა. საქორწინო მანქანაში ქალის შესვლის დროს კითხულობდნენ ყურანის ლოცვებს. მანქანას წინ დაქირავებული მუსიკოსები მიუმდვებოდნენ (ოქროსცვარიძე, 2012:177).

საცეკვაო სიმღერებია „ნანინა“, „ვოსა ვორერა“, „ნარდანინა“, „ჰარიანანი“ და „ტირინი ჰორირამა“. „ნარდანინა“. გოლდის თქმით „„ნარდანინა, ნინაინა“ მნიშვნელობის არმქონე სიტყვებია, რომლებიც ხშირადაა როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა სიმღერებში. მეორე მხრივ, სიტყვები “ვოსა” “ვორერა”, მხოლოდ მამაკაცთა სიმღერებში გვხვდება. ისევე როგორც “ვინ მოგიტანა”, ეს სიმღერაც სრულდება რესპონსორულად, წამყვანი მდერის ტექსტს და გუნდი პასუხობს: „ნარდანინა ნინაინა“. ეს სიმღერა ფართოდაა გავრცელებული მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში; აჭარაში ის ცნობილია, როგორც განდაგანა“ (Gold, 1972:6).

შრომის სიმღერებიდან ფიქსირებულ „ფაჭვის სიმღერას“ „ასრულებდნენ სიმინდის ყანაში მარგვლის დროს.

არსებობდა ამინდის მართვის ზოგადქართული რიტუალი და მისი თანხმლები სიმღერა (ფუტკარაძე, 1993:81), რომლის მუსიკალური მხარეც ჩვენთვის უცნობია.

ფიქსირებულია, ასევე, დატირებებიც. „მოკლე ფრაზებიანი სტროფები და მელოდიის დაფმავალი ხაზი დამახასიათებელია ქართული ტირილებისთვის“ (Gold, 1972:6).

ქალთა რეპერტუარზე საუბრისას გოლდი აღნიშნავს: „ჰაირიები ქალებს ცალკე მუსიკალური ტრადიცია აქვთ. მამაკაცთა სიმღერებისგან განსხვავებით, მათი გუნდური სიმღერები მრავალხმიანი არ არის. ქალთა რეპერტუარი შედგება a capella საცეკვაო სიმღერებისგან, ზოგი სიმღერა აკორდეონის აკომპანემენტით სრულდება, არის ასევე განსაკუთრებული სოციალური დანიშნულების სიმღერები, მაგალითად – ტირილები (იქვე:6). მართლაც, ჩვენ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ქალების მიერ შესრულებული ორხმიანი ნიმუშები. გოლდისა და მელაშვილის მიერ ერთობლივად ჩაწერილ ნიმუშებში მხოლოდ ერთი ქალი მდერის. 2015 წლის ექსპედიციაში კი დაფიქსირებულია ქალების მიერ უნისონურად შესრულებული

სიმღერებიც (აუდიოდანართი, №124). მიუხედავად ამისა, გოლდის დასკვნა ქალთა სიმღერების ერთხმიანობის შესახებ დამაჯერებელი არ უნდა იყოს, რადგან მხოლოდ ერთი ქალბატონი ჰყავს ჩაწერილი. 2015 წელს ორ ხმაში სიმღერა მამაკაცებსაც კი უჭირდათ.

2015 წელს მოხერხდა ნაერების ფიქსირებაც (აუდიოდანართი, №125), თუმცა, მათი უმეტესობა თურქულენოვანი იყო.

დღეისთვის პაირიეში ადარ იმღერება: „ვოსა ვორერა“, „ნანინა“, „ვაჭვის სიმღერა“, „ევრიდა მასპინძელსა“, „ალიფაშა“. მართალია 2015 წელს დაფიქსირდა ორიოდე ისეთი სიმღერა (მაგალითად „ბახმაროს მთაზე“) რაც ძველ მასალებში არ ფიგურირებს, მაგრამ ასეთი ძალიან ცოტაა.

ცეკვა ქორწილის განუყოფელი ნაწილია. სამწუხაროდ, დასაკრავები ძირითადად ევროპული ტიპისაა, თუმცა, სახელები კი ქართული შერჩენიათ. „ძველად ვუკრევდი მუზიკას. ყეიდები ვიცოდი: ყოლსამა, ცეკვაი, ხორუმი, ყარაბადი, ნარდანინაც ვიცოდი, მარა ის ყეიდი ჩენი არ იყო, ქუედა აჭარლებისა იყო (ფუტკარაძე, 1993:56).

1960-იან წლებში ფიქსირებული მასალის მიხედვით, თუკი სასიმღერო მრავალხმიანობა ჯერ კიდევ კარგად იყო დაცული, ამას ნაწილობრივ უკვე ვეღარ ვიტყოდით საკრავიერ მუსიკაზე. იმხანად უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა აკორდეონი (აუდიოდანართი, №126), თუმცა, 1965 წელს ჩაწერილია საჭიბონე დასაკრავებიც, რომელთა ნაწილი მთლიანად თავსდება ქართული ხალხური მუსიკისთვის დამახასიათებელ ჩარჩოებში (აუდიოდანართი, №127), ნაწილში კი მეშვიდე საფეხურის ნაცვლად მექქვე საფეხური ჟღერს (აუდიოდანართი, №128). 2015 წლების ექსპედიციებში კი დაფიქსირდა მხოლოდ აკორდეონი, „ჭიბონის“ გაქრობით კი ქართული კვალი კიდევ უფრო მეტად წაიშალა. თუმცა აკატისა და რაზმაძის მოხსენების მიხედვით, ადგილობრივ მოსახლეობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია „ჭიბონის“ ხსოვნა. მისმა რეპერტუარმა პატარა გარმონზე კი გადაინაცვლა, მაგრამ ზოგიერთი დასაკრავის სახელწოდებაშიც ჩანს, რომ იგი „ჭიბონის“ რეპერტუარიდანაა, მაგ. „თულუმის ყოლსარმა“.

საბავშვო სტვირებს, ძირითადად, მშობლები აკეთებდნენ ბავშვებისათვის. სასურველი მასალაა გაზაფხულზე ვარდის ან ასკილის ნედლი ტოტი. მასზე კეთდებოდა რამდენიმე სახმო ნახვრეტი. როგორც აღნიშნეს, იგი ჯერ კიდევ თრი ათეული წლის წინ თითოეული ბავშვის სათამაშოების განუყოფელი ატრიბუტი იყო (რაზმაძისა და აკატის მოხსენება).

რამდენიმე ჩანაწერი მომეპოვება ფაცას რაიონიდანაც. ფაცასა და მის სოფლებში ქობულეთიდან წასული მუჭაჯირები ცხოვრობენ. ჩაწერილი მასალის მიხედვით, ფოლკლორი ნაკლებადაა შემორჩენილი. საკრავებიდან კი პოპულარულია საზი, რომელსაც „ბაღლამას“ უწოდებენ (აუდიოდანართი, №129). იგივე საკრავს ახსენებს მ. ფაღავაც (ფაღავა, 2016:29). როგორც ჩანს, ეს ბაღლამა ფაცელ (ქობულეთელ) მუჭაჯირებში გარკვეული პოპულარობით სარგებლობს. ჩემ ხელთ არსებული ნიმუშები მხოლოდ ცალფა და უნისონური შესრულებითაა წარმოდგენილი.

მსურს შევაჩერო ყურადღება შამლის რაიონის სოფელ არმუთალანზე. სოფელი ორ უბნად იყოვა – „სელიმიე“ შავშების, კერძოდ, წიწვეთლების დასახლებაა, ხოლო „ოსმანიე“ კი – ბორჩხელების, ანუ კლარჯების (ფაღავა, 2016:419-422). ჩოხარაძე კი „სელიმიეს“, სამეტყველო დიალექტის გამო არა შავშეთის წიწვეთის, არამედ კლარჯეთის წითურეთიდან წამოსულად თვლის (ჩოხარაძე, 2016:68). ყოველშემთხვევაში არმუთალანში აუცილებლად უნდა იყოს კლარჯული (შესაძლოა, შავშურიც) მუსიკალური ფოლკლორი. ამ სოფელში აკორდეონზე დასაკრავები და ორიოდე სიმღერა 1968 წელს გოლდმა ჩაწერა. აკორდეონზე დასაკრავებში ქართული კვალის გამორჩევა საკმაოდ ძნელია (აუდიოდანართი, №130). აქვე ჩაწერილია ორი სიმღერა „თიირინი ჰორირამა“ (აუდიოდანართი, №131) და „მე შენთვინ ჩამოვედი“ (აუდიოდანართი, №132). „თიირინი ჰორირამა“ აჭარულის გაერთხმიანებული ვარიანტია. ეს სიმღერა არ არის არც შავშეთისთვის და არც კლარჯეთისთვის დამახასიათებელი. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ არმუთალანში ფიქსირებული შვიდი დასაკრავიდან პირველს „ჩერქეზული“, მეორეს კი „ლაზური“ ეწოდება, ეს (მუსიკალურ მახასიათებლებთან ერთად) კიდევ უფრო ართულებს ფიქსირებული ნიმუშების დიალექტური კუთვნილების საკითხს.

P. S. ვინაიდან თურქეთის მაჭახელისა და პიტერ გოლდის მასალები ეთნომუსიკოლოგებისთვის ისედაც ხელმისაწვდომია, საკმაოდ დიდი დანართვის, კიდევ უფრო გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად ჰაირიედან და მაჭახელიდან მხოლოდ რამდენიმე ჩანაწერი გამოვიყენე.

## 2.7 ჩრდილოეთ კავკასია

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველები ცხოვრობდნენ რუსეთში, კერძოდ, მოზღვისა და ყიზლარის რაიონის (გ. წ. თერგის ოლქის) ორ სოფელში: ალექსანდრონევსკაიასა (სასოფლო) და შელკოვსკაიაში (სარაფანი). ისინი ლეკიანობის დროს კახეთიდან, ხევიდან, ქართლიდან და იმერეთიდან წასულთა შთამომავლები იყვნენ (გიგინეიშვილი, თოფურია და სხვ., 1961:166). მასობრივი გადასახლება 1720-იან წლებში, 1795 წლის შემდგომ და შამილის პერიოდში მოხდა. პირველი გადასახლებისას ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსეს რუსეთში თან გაჰყვა მისი ამალის უდიდესი ნაწილი (იქვე). დღეს მოზღვი ჩრდილოეთ ოსეთის, ხოლო შელკოვსკაია კი ჩეჩენეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში შედის. ქართველები ასევე ცხოვრობენ სოჭის რ-ნის სოფ. პლასტუნკაშიც, თუმცა სათანადო მასალის უქონლობის გამო, დისერტაციაში მათზე ვერ ვისაუბრებ.

მოზღვისა და ყიზლარის ქართველების მუსიკალურ ფოლკლორში შემორჩენილი იყო ქართული მრავალხმიანი სიმღერები. დიმიტრი არაყიშვილმა ისინი ჩაწერა 1890-იან წლებში მოზღვის ზეპირად და 1904 წელს ყიზლარის ოლქის (რ-ნის) სოფ. შელკოვსკაიაში (რომელსაც ქართველები სარაფანს უწოდებდნენ) – ფონოგრაფით. მოზღვისა და ყიზლარში ფიქსირებული ყველა ნიმუში მეცნიერმა თავადვე გაშიფრა და გამოაქვეყნა 1916 წლის ნაშრომში „Грузинское народное музыкальное творчество“. სამწუხაროდ, ლილვაკები, რომლებზეც ეს მასალა ჩაწერილი, დაკარგულად ითვლება (ასლანიშვილი, 1950:7; ასლანიშვილი, 1970:4). არაოფიციალური ცნობით არაყიშვილის მთლიანი არქივი პეტერბურგში, პუშკინის სახლში უნდა ყოფილიყო დაცული, თუმცა მუსიკოლოგების, ნინო კალანდაძე-მახარაძისა და დინარა არაყიშვილის არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, მასალის მოძიება ვერ მოხერხდა. ამგვარად, ხმოვანი ჩანაწერების უქონლობის გამო, იძულებული ვარ ანალიზისას მხოლოდ არაყიშვილის მიერვე გაშიფრულ სანოტო ნიმუშებს დავეყრდნო.

მოზღველი ქართველების სიმღერები წარმოდგენილია სამი ერთხმიანი და ერთი ორხმიანი ნიმუშით („ნანა“; „ურმული“; „კურდლელი“ და „ალილო“), ყიზლარის ქართველებისა კი - ერთ-, ორ- და სამხმიანი სიმღერებით. არაყიშვილის ცნობით მოსახლეობა ფონოგრაფსა და ჩანაწერის მოსმენის პროცესს მეტად გაკვირვებული შეხვდა (Аракчиев, 1916:123). ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მანამდე ისინი ფონოგრაფით არავის ჩაუწერია. ამ სოფელში არაყიშვილს დაუფიქსირებია სიმღერები: „თეთრო ქალო“; „ავთანდილი“; „თუშო, ვანო,

შავლებო“; „მელის სიმღერა“; „სათამაშო“; „სუფრული“; „ფერხული-მაყრული“ და „ალილო“.

როგორც ჩანს, ყიზლარის ქართველები რუსულ მუსიკასაც ასრულებდნენ. საკრავიერი ჰანგები ჩაწერილი არ არის, მაგრამ პოპულარული ყოფილა დაირა (Бубен) და „მუზიკა“ (გარმონი) (Аракчиев, 1916:124; ხახანაშვილი, 1888:3).

სათითაოდ განვიხილოთ მოზღვოკელი ქართველებისგან ჩაწერილი ნიმუშები.

„ნანა“ (სანოტო დანართი, №6) სამწილადობითა და სინკოპებით ამ ჟანრის სხვა ქართულ ნიმუშებს ჰგავს.

„ურმული“ (სანოტო დანართი, №7) ჩვენთვის ცნობილ „ურმულებს“ შორის გამოირჩევა მცირე დიაპაზონით. არ ჩანს მისი „ორტონიკურობა“. ეს ნიშანთვისებები უნდა აიხსნას მოცემული ნიმუშის ფრაგმენტულობით, მით უფრო, რომ თავად ჩამწერის შენიშვნით „ურმული“ მის შემსრულებელ მოხუც ქალბატონს ცელად ახსოვდა (იქვე).

„კურდდელი“ (სანოტო დანართი, №8) – ამ ნიმუშის ქართულობა საეჭვოა. არაყიშვილი თვითონ აღნიშნავს, რომ იგი კაზაკების სიმღერებს გვაგონებს (იქვე), თუმცა სიტყვიერი ტექსტი იაკობ გოგებაშვილის დედაენაში შეტანილ „კურდდელის სიზმარს“ წარმოადგენს (Аракчиев, 1916:51).

„ალილო“ (სანოტო დანართი, №9) საქართველოში ჩაწერილი საშობაო სიმღერებისგან განსხვავდება იმით, რომ ორხმიანია. არსად გვხვდება უნისონური ან კვინტური კადანსები.

სიმღერაში შენარჩუნებულია ამ ჟანრის ნიმუშებისთვის დამახასიათებელი ორპირულობა, ცვალებადი მეტრი, კუპლეტური ტექსტი და მისი შინაარსი (დღესასწაულის თარიღის გამოცხადება, ოჯახის დალოცვა). ტექსტის ბოლო მონაკვეთი „ნურც არა იხარებს მტერი თქვენი, ნურც არა გაუხარია“ ჩვენთვის ნაცნობი „ალილოების“ ტექსტებში არა ჩანს, იგი უფრო „სუფრულებისთვის“ არის ნიშანდობლივი (ისევე როგორც „ალილოს“ მოდულაციური გეგმა), პირველი მოქმედის მონაკვეთები ყოველთვის ემთხვევა ბანის მეშვიდე საფეხურს, მეორე მოქმედისა კი - ცენტრალურ ტონს.

არაყიშვილის ნაშრომის სქოლიოში მითითებულის თანახმად, ამ ნიმუშის ყველა ხმა 1897 წელს ერთ მოხუცს უმღერია. მეცნიერი სინანულით აღნიშნავს, რომ იგი იყო უკანასკნელი, ვისაც ეს სიმღერა ახსოვდა (იქვე:116). თავის ერთ-ერთ ადრინდელ წერილში ამ „ალილოს“ შემსრულებლად არაყიშვილს მამამისი ჰყავს მოხსენიებული, ნიმუშის მუსიკალურ მხარეზე კი მკვლევარი წერს: „ალილოს“

მუსიკა ძველია და ლამაზი; იმდერება ისე, როგორათაც მდერიან ქართლში და კახეთში უფრო ძველისძველ სიმდერებს“ (არაყიშვილი, 1901:2). ჩამწერს ბოლომდე ვერ დავეთანხმები: სიმდერის ტერციაზე დამთავრება ქართული სოფლური მუსიკისთვის არაორგანულია; როგორც უკვე აღვნიშნე, უფრო „სუფრულებისთვის“ არის დამახასიათებელი დამაბოლოებელი ნაგებობაც.

მოზღვევლი ქართველების მუსიკალურ ფოლკლორს მხოლოდ გამოქვეყნებული ოთხი ნიმუშით ვიცნობთ. დიმიტრი არაყიშვილის არქივზე მუშაობისას, რომელიც კინოს, თეატრისა და მუსიკის მუზეუმში ინახება, ჩემთვის საინტერესო რაიმე სხვა მასალას ვერ მივაკვლიყ.

ახლა კი განვიხილოთ ყიზლარის ქართველებისგან ჩაწერილი ნიმუშები.

ერთხმიან „თეთრო ქალოს“ (სანოტო დანართი, №10), არაყიშვილის თქმით, ტექსტის გარდა, ქართული, არაფერი გააჩნია (Аракчиев, 1916:125).

სიმდერებს – „ავთანდილ გადინადირა“ (სანოტო დანართი, №11), „თუშო, ვანო, შავ ლეგო“ (სანოტო დანართი, №12), „სათამაშო“ (სანოტო დანართი, №13), „სუფრული“ (სანოტო დანართი, №14) და „ფერხული-მაყრული“ (სანოტო დანართი, №15) – არ ახასიათებს ქართული მრავალხმიანი მუსიკისთვის უჩვეულო მოვლენები. ერთადერთ კითხვას აჩენს სახელწოდება სიმდერისა „თუშო, ვანო, შავ ლეგო“, რომელშიც შავლეგთან ერთად თუშ ვანოსაც მიმართავენ. არაყიშვილი შავლეგოს გაყოფილად წერს (შავ ლეგო), რუსულ თარგმანშიც „Черный Лего“-დ იხსენიებს და შენიშვნაში განმარტავს, რომ ლეგო თუშეთში საკუთარი სახელია (იქვე:127).

„მელის სიმდერა“ (სანოტო დანართი, №16) ხასიათდება ცვალებადი მეტრით, ბანის საინტერესო ოსტინატური მიმოქცევით (I-II-VII-I). ადსანიშნავია, რომ „მელის სიმდერის“ სიტყვიერი ტექსტის ბოლო ნაწილი (იქვე:128), დასაწყისია ცნობილი ქართლ-კახური სუფრულისა „ბერიკაცი ვარ“.

„ალილოში“ (სანოტო დანართი, №17) არ გვხვდება მელიზმატიკა, მეტრი ცვალებადია, მაღალი ხმები მონაცვლეობს ბანის ფონზე, რასაც შემდგომ სამხმიანობა მოსდევს. კადანსებში კვინტოქტაკორდის ხშირი გამოყენება სიმდერას „ქართულობას“ ჰმატებს, თუმცა უჩვეულოა დაბოლოება მაურული სამხმოვანებით (იქვე:130).

მუსიკალურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჩვენს ხელთ არსებული ნიმუშების უმრავლესობაში მრავალხმიანობა გაბმული ბურდონით არის წარმოდგენილი. შენარჩუნებულია შესრულების ტრადიციული ორპირული ფორმა, კადანსები,

მელოდიის ტიპები და სხვ. მრავალხმიანი ნიმუშები ძირითადად ორხმიანია. მათი უმეტესობა სოლისტების მონაცემებისაზეა აგებული, რეალური სამხმიანობა მხოლოდ ყიზლარში ჩაწერილ „სუფრულსა“ (იქვე:134) და „ალილოში“ (იქვე:135) გვხვდება. არაყიშვილის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ზოგიერთ სიმღერაში ძირითად ტექსტს მოსდევს მისივე ვარიანტები. ნიმუშთა ნაწილში შეიმჩნევა ქართულისათვის უჩვეულო მოვლენები, რომლებიც რუსეთში მცხოვრებ ქართველთა მუსიკალურ აზროვნებაში მომხდარ ცვლილებებს ასახავს.

ენობრივი თვალსაზრისით ყიზლარის ქართველების მეტყველება (მოზღვეულთან ერთად) ქართლური დიალექტის ნაწილად განიხილება (გიგინეიშვილი, თოფურია და სხვ., 1961:166), თუმცა რამდენიმე ათეული წლის წინ მათი მშობლიური ენა მთლიანად რუსულმა ჩაანაცვლა.

ენის დავიწყებაზე ჯერ კიდევ გაზეთი „ივერია“ ალაპარაკდა (ხახანაშვილი, 1888:3), შემდგომ ამ საკითხს სტეფანე ჩხერიმელი შეეხო (ჩხერიმელი, 1936:270). ენის დავიწყების მიზეზად შერეული ქორწილები მიიჩნევა (Аракчиев, 1916:124, ჩხერიმელი, 1936:270). წინათ ქართველები ბევრი იყვნენ, მაგრამ ვინც კაზაკობა არ მიიღო, რუსეთის სხვადასხვა ქალაქში გაიფანტა (ჩხერიმელი, 1936:282) და ამრიგად ადგილზე დარჩენილი ქართული მოსახლეობა ეთნიკური უმცირესობა გახდა (იქვე:270).

თუ 1875 წლის გაზეთ „დროებაში“ უცნობი ავტორი ქართული ენის შენარჩუნების პრობლემას ვერ ხედავს და მხოლოდ წერა-კითხვის სწავლაზე საუბრობს, 1901 წლის გაზეთი „ცნობის ფურცელი“ უკვე წერს ახალგაზრდობაში ქართული ენის დავიწყების შესახებ.

არაყიშვილის დროს ქართული ენასა თუ კულტურას ჯერ კიდევ დიდი ადგილი ეკავა (მან სიმღერები შელკოვსკაიაში მართალია 1904 წელს, მაგრამ ხანდაზმულებისგან ჩაწერა - Аракчиев, 1916:125), შემდგომ პერიოდში კი მათი ხვედრითი წილი იმდენად შემცირდა, რომ ს. ჩხერიმელი აღნიშნავდა: „ეხლა დარჩომილა სამი-ოთხი ბერი კაცი - გუგურვი სერგო, იოვი პეტრე, ზედგენიძე ალექსი, ფხაკაძე დიმიტრი, რომლებმაც იციან ქართული სიმღერა, როგორც რიგია: დანარჩომბა თუ იციან, ნახევარიც არ იციან“ (ჩხერიმელი, 1936:275). როგორც არაყიშვილის ცნობებიდან ირკვევა, სიმღერების მივიწყების ბუნებრივ პროცესს თან ახლდა ხელოვნური ჩარგვებიც, მაგალითად, მილიციის ქმედებები (არაყიშვილი, 1901:3).

თავის მიერ ჩაწერილ ნიმუშებს არაყიშვილი კახურ მუსიკალურ ფოლკლორს აკუთვნებს (არაყიშვილი, 1901:3; არაყიშვილი, 1916:125). მაგრამ, როგორც ირკვევა, გადასახლებულთა უმეტესი ნაწილი ქართლიდან იყო. ცნობილია ისიც, რომ ისინი ქართლურ დიალექტზე მეტყველებდნენ (გიგინეიშვილი, თოფურია და სხვ., 1961:166). იგივე სურათი გვაძვს მუსიკაშიც, განსაკუთრებით, მრავალხმიან ნიმუშებში. მათ ქართლურობაზე ნათლად მეტყველებს მელიზმატიკის სიმცირე „ურმულში“ (არაყიშვილი, 1916:116), მისი არარსებობა „სუფრულში“ (იქვე:134), რეგულარული მეტრის დიდი როლი და მთქმელების მონაცვლეობის არქონა ამავე სიმღერაში (იქვე). საყურადღებოა, რომ მოზღოველების „ალილო“, რომლის მოდულაციური გეგმა ქართლური სუფრულებისა და მაყრულებისთვისაა დამახასიათებელი, გ. ჩხილავაძეს თავის კრებულში (ჩხილავაძე, 1960) ქართლის ნაკვეთში აქვს შეტანილი. აშკარაა, რომ მეცნიერს ასეთი აზრი ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ გაუჩნდა. არაყიშვილი თავის სტატიაში მხოლოდ ყიზლარის ქართველებზე საუბრობს, ჩხილავაძე კი ყიზლარის ქართველების ნამღერ „ალილოს“ საერთოდ არ ახსენებს, არადა ისიც ისეთივე ქართლურია, როგორიც მოზღოვური. აქედან გამომდინარე, ყიზლარისა და მოზღოვის ქართველების სიმღერები (ყოველ შემთხვევაში, მრავალხმიანი ნიმუშები მაინც) ქართლურად მიმაჩნია. საინტერესოა ისიც, რომ არაყიშვილს „ალილოს“ კახურობის დამადასტურებელ ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად ქართლში მისი არ არსებობა მიაჩნდა (არაყიშვილი, 1901:3; არაყიშვილი, 1916:125), დღეისათვის კი ჩაწერილია „ალილოს“ ქართლური ვარიანტიც (აუდიოდანართი, №133).

## 2.8 საინგილო (ჰერეთი)

კიდევ ერთი კუთხე, რომლის მუსიკალურ ფოლკლორზეც უნდა ვისაუბრო, ეს არის საინგილო (ჰერეთი). იგი ადმოსაგლეთ საქართველოს ნაწილს შეადგენს, დღეს აზერბაიჯანის შემადგენლობაშია. ჰერეთი ესაზღვრება როგორც კახეთს, ისე დაღესტანს, ჩეჩენეთსა და ისტორიულ ალბანეთს. დღევანდელი ჰერეთში შედის ბალაქნის (ბელაქანი), ზაქათლის (ჭარი), კახისა (კაკი) და შექის (ნუხი) რაიონები. ბელაქნის ერთ, ზაქათლის ორ და კახის ოთხ სოფელშიდა იციან ქართული, რამდენიმე სოფელში კი მშობლიური ენა მხოლოდ მოხუცებსდა შემოუნახავთ.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ინგილო ფილოლობ მართა ტარტარაშვილს (თარხნიშვილი), რომელიც 1967 წლიდან აგროვებს მშობლიური კუთხის ზეპირსიტყვიერებას. მან 2011 წლიდან ჯერ თავად ჩამაწერინა მის მიერვე

ჩაწერილი ნიმუშების ინტონაციური მხარე, რასაც 2011-2013 წლებში ექსპედიციები მოჰყვა როგორც თავად პერეთში, ისე დედოფლისწყაროს რნის სოფ. სამთაწყაროშიც. ვინაიდან ქალბატონი მართა ტექსტებს რამდენიმე პერულ სოფელში აფიქსირებდა, ამიტომაც მის მიერ შესრულებულ ნიმუშებს ჩაწერის ადგილი მითითებული არ აქვს. ქალბატონ მართას სახელთანაა დაკავშირებული თითქმის ყველა ექსპედიცია, რაც კი პერეთში ბოლო 45-50 წლის მანძილზე ჩატარებულა.

ფიქსირებული მასალა უმეტესად კახის რაიონს მიეკუთვნება, თუმცა მუსიკალური მასალა, ზაქათალა-ბელაქნის რაიონებშიც ჩავწერეთ.

კახის რნის რამდენიმე სოფლის გარდა დანარჩენი საინგილო მუსლიმანურია. პერების დიდი ნაწილი ენობრივად გალეკდა და გააზერბაიჯანელდა. ცნობილია, რომ XVI საუკუნიდან კახეთ-პერეთში ლეკების ჩამოსახლება იწყება, თუმცა საინგილოში ლეკები XVII საუკუნიდან, შავ აბასის მარბიელი ლაშქრობების შემდეგ აქტიურდებიან და ქართულ მოსახლეობას გადასახადს აკისრებენ. ხარჯის გამო შექმნილი გაუსაძლისი ცხოვრების წყალობით გადასახადებისგან თავისდაღწევის მიზნით პერელების გარკვეული ნაწილი გალეკებას XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე იწყებს (პაპუაშვილი, 1972:36-38; ისაევი და სხვ. 2001:7-8; 17-19; ჯაფარიძე, 1998). ამგვარად პერეთში, ჩამოსახლებულ ლეკებთან ერთად, გალეკებული ქართველებიც ცხოვრობენ. ქართველებად დარჩენილი მუსულმანი ინგილების დიდი ნაწილი კი გააზერბაიჯანელდა მეოცე საუკუნეში (ისაევი და სხვ. 2001:6, 10-11, 21-24). მე და ქალბატონმა მართამ გალეკებულ-გააზერბაიჯანელებული სოფლებიდან კახის ქრისტიანულ სოფლებში გათხოვილი ორიოდე ეთნოფორი ჩავწერეთ, აღმოჩნდა რომ ზოგიერთ საბავშვო ნიმუშს ისინიც პერულ დიალექტზე (და არა აზერბაიჯანულად) ასრულებდნენ. ჩემს ხელთ არსებული მასალიდან ენობრივად გათათრებულ სოფლებში ქართული მუსიკის ჯერ კიდევ არსებობაზე მეტყველებს როგორც ჩრდილოკავკასიურ, საინგილოს შემთხვევაში ლეკებ ანუ დადესტნურ, სიმებიან ტანბურზე შესრულებული ჰანგები. ისე ქერიმოვას მიერ 1986 წელს გიულლუგსა (ვარდიანი) და სარუბაშში მოპოვებული მასალა.

სამწუხაროდ, პერული სიმდერა დღეს მხოლოდ ერთხმიანია. ეს იმიტომ, რომ მეჩვიდმეტე საუკუნიდან მუდმივად შემოსევებმა პერეთს დიდი ზარალი მოუტანა. მოსახლეობას, ეთნოფორთა ცნობით, ხშირად უწევდა დამალვა ეზოში ჩამარხულ

დიდ ქვევრებში (ჩაგწერეთ მე და მართა ტარტარაშვილმა 2011-13 წწ.). ასეთ პირობებში მრავალხმიანობის შენარჩუნება ძნელი იქნებოდა.

ფიქსირებულ ნიმუშთა უმეტესობა კი წამდერება-წალილინება უფროა, ვიდრე სიმღერა – ტრადიციული გაგებით (ნანის და დატირების გარდა, ჩაწერილი ნიმუშების უმრავლესობა რამდენიმე წამიანია) და მათ ბავშვები ასრულებდნენ. ამჟამად კი, გლობალიზაციისა და ტექნიკური პროგრესის გამო, აქამდე შემორჩენილი ნიმუშებიც ქრება. ალბათ ამიტომაა კალანდიას ფილმში ბავშვების მიერ თქმული ჰანგებიც კი არაა ადგილობრივი. ჰერეთში დღეს პოპულარულია მალხაზ ნუროშვილის 1980-იან წლებში შექმნილი სიმღერები „უწინ იყო“, „არაწი“, „ინგილო ქალო ბადიშო“. ეს ნიმუშები 1980-იან წლებში შექმნა მალხაზ ნუროშვილმა. 2011 წელს ჩამოყალიბებული ანსამბლს „ჰერულას“ მიერ გაუდერებული „ავთანდილ გადინადირა“ და „ჰერული მრავალეამიერი“ კახური ტიპის ნიმუშებია.

მართალია, ჯერ მეოცე საუკუნეში მოდგაწეობდნენ ადგილობრივი მუსიკოსები გიორგი ტარტარაშვილი (მევიოლინე) და ნანა ჯანაშვილი (პიანისტი), მაგრამ მათ ადგილობრივი მუსიკა სავარაუდოდ არ ჩაუწერიათ.

თუკი დიმიტრი ჯანაშვილი (ჯანაშვილი, დ. 1867:4, №49), ადწერს ინგილოური სიმღერების შესრულების შემთხვევებს, შემდგომი პერიოდის ლიტერატურა სააკვნე ნანას გარდა სხვა ჰერული სიმღერის არსებობას გამორიცხავს (ხუციშვილი, 1916:4; ჯანაშვილი, გ. 1910:130; ედილი, 1947:82). მაშასადამე, ავტორების თქმით, ჰერეთში ხალხური მუსიკა აღარ არსებობს. უნდა ითქვას, ეთნოფორები დღესაც კი პატარა, ერთხმიან ნიმუშებს, სიმღერებს არც ეძახიან (ჩაგწერეთ მე და მ. ტარტარაშვილმა 2011-13 წწ.). მათთვის სიმღერა ან აზერბაიჯანული, ან საქართველოდან შემოტანილი ნიმუშებია. აღსანიშნავია, რომ ჰერეთში გალობა-სიმღერის მოსპობას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძეც აღნიშნავდა (ბუბულაშვილი, 2009:283-284). არადა კახის რაიონის სამრევლო სკოლებში ხალხურ სიმღერებთან ერთად გალობასაც რომ ასწავლიდნენ გაზეთ „ივერიის“ ნომრებითაც დასტურდება („ივერია“, 1890:2, 1891:3, 1901:2-3).

ი. უორდანია, ეხება რა 1987 წლის კომპლექსური ექსპედიციის მასალას, აღნიშნავს სოფ. ალიბეგლოში (ქათმისხევი) 20-30-იან წლებში მრავალხმიანი მღერის ტრადიციის შემორჩენის ფაქტს (უორდანია, 1988:56), თუმცა გაირკვა, რომ ამ ცნობის მიმწოდებელი სოლომონ ბარიხაშვილი (დაბადებული 1911 წელს) ძირითადად საბჭოთა დროს გავრცელებულ და საავტორო სიმღერებს მღეროდა.

მრავალხმიან სიმღერად მოაზრებული „სიყვარული ძნელია“ (აუდიოდანართი, №134) არ არის ჰერული, შესაძლოა მთქმელი ნიმუშის კასეტაზე ჩაწერის დროს, უკვე მომდევნო სიმღერაზე ფიქრობდა (აუდიოდანართი, №135), მაგრამ სოლომონისვე თქმით ეს სიმღერა ბანის გარეშე იყო. მისი დისტვილის თამარ გაჯიშვილის (გოჯიაშვილის) ცნობით, ბიძამისი ახალგაზრდობაში ხშირად წნორში დადიოდა (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2013 წ.). მართლაც, „სიყვარული ძნელიად“ ხსენებული ნიმუში დიდ სიახლოვეს ავლენს ქართულ-კახურ საშაიროებთან.

საინგილოში მრავალხმიანობის დაკარგვის ზუსტი პერიოდის დასახელება შეუძლებელია, თუმცა ჩვენამდე მოღწეული ცნობების საფუძველზე ვარაუდების გამოთქმა რეალურია. ინგილო პუბლიცისტების მოსე ჯანაშვილის და ბართლომე ხუციშვილის ცნობებსა და მათ ასაკზე დაყრდნობით ირკვევა, რომ საინგილოს ქართულენოვან სოფლებში მრავალხმიანობა არც 1860-70-იან წლებში იქნებოდა შემორჩენილი. მით უფრო, რომ კახის რ-ნის სოფ. ყორადნიდან გამოქცეული პერების მიერ 1931 წელს დაარსებულ სოფ. სამთაწყაროს სიმღერაც ასევე ერთხმიანია.

რადგანაც ნანისა და დატირების ნიმუშები პერეთში ყველაზე უფრო „მდერადია“. ამიტომაც ქანრებზე საუბარს მათი განხილვით დავიწყებ. პირველ რიგში საინტერესო ტერმინებს აღვნიშნავ, როგორიცაა: ბოლრიალ - ხმამაღლა ტირილი, ღრიალით ტირილი, „ვაის“ ძახილით ტირილი (როსტიაშვილი 1978:40). „ვაი-ჰარაი-ჰეი“ – სამგლოვიარო მოძახილი. „დატირება“ (შატირევად, ქუხილ – მაგრად ტირილი).

„მოთვლა“ (მოთლა) ან დათვლა (დათლა) პერეთში ტირილად მოიხსენიება. დატირებისას ჩამოთვლიდნენ მიცვალებულის დირსებებს. დატირებაში უმთავრესად ქალები მონაწილეობენ. რაც უფრო ახალგაზრდაა მიცვალებული, მოთქმა მით უფრო მძაფრია (Фонъ-Плотто, 1870:46). ტექსტს ერთი ამბობს, დანარჩენები კი ყოველი ფრაზის ბოლო „ვაე“-ზე უნისონურად შეუერთდებიან (აუდიოდანართი, №136-137). ამ მომენტს მ. ჯანაშვილი „ბანის მიცემას“ უწოდებს (ჯანაშვილი, მ. 2010:111). უშუალოდ გასვენების წინ 4-5 ძალიან ახლობელი მამაკაცი შემოვა და იმავე მელოდიით მოკლედ დაიტირებს (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011-13 წწ.). დატირების ეს ფორმა ხმით ტირილია (ჩხიკვაძე, 1960:XVI), იმ განსხვავებით, რომ პერეთში სოლისტი გუნდის შემოერთების დროსაც აგრძელებს მღერას. მიცვალებულის დატირება კვირისთავამდე გრძელდება. მუსლიმანურ სოფლებში მამაკაცები არ ტირიან, ქალები კი იმავე წესით გლოვობენ.

ქართულენოვან მუსლიმანურ სოფლებთან დაკავშირებით ორნაირი სახის ინფორმაცია გვაქვს. ერთი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ და მეორე – დატირება, რომელიც მთლიანად მუსლიმურ წესზეა გადაწყობილი და მხოლოდ ყურანის კითხვას გულისხმობს. ელისენელი გულნაზ დათუნაშვილის თქმით, „გლოვისას, თუ თათარი სტუმარია მოსული, მაშინ თათრულადაც უნდა დაიტირო“ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2013 წ.). თუმცა, აქ არ იგულისხმება, რომ მთელი წესი თათრულად უნდა შესრულდეს. ბელაქნის რ-ნის სოფ. ითითალაში მცხოვრები თალიკო თამაზაშვილის თქმით, ტირილი ქართულენოვანია, თუმცა კახში რომ იციან აყოლა, აქ ასე არააო (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012 წ.). ზოგიერთი ცნობით დატირებებს შორის შუალედებში დასვენების, გულის მოოხებისა და რელიგიური მიზნით, ყურანიდან აზერბაიჯანულად კითხულობენ ქადაგებას და მერე მთელი ხალხი აყვება სიტყვაზე „ლამ, ლამ, ილალაჰ“ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012-13 წწ.).

ინფორმაციის წინააღმდეგობა შესაძლოა პოლიტიკური ვითარებით აიხსნას: როდესაც დატირებას არაქართულენოვანი ხალხიც ესწრება, მაშინ თათრულად ტირიან ანდა მხოლოდ ყურანს კითხულობენ. როდესაც სახლში მასპინძლები მარტო დარჩებიან, ალბათ, მაშინ ტირიან წესისამებრ. პოლიტიკური მიზეზით თათრულად დატირების შემთხვევები ლიტერატურაშიცაა აღნიშნული (ბურჯაევი, ისაევი და სხვ., 2001:26).

განსხვავებულია დედოფლისწყაროს რ-ნის სოფ. სამთაწყაროს მცხოვრებთა გლოვის წესები. იქ, ისევე როგორც მუსლიმანურ სოფლებში, კაცებმა ტირილი არ იციან. რაც შეეხება ქალების ტირილს, ეთნოფორთა თქმით, გლოვის კოლექტიური წესი მოშლილია და დამწეულის დანარჩენი ქალები „ვაებისას“ არ უერთდებიან (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2013 წ.). რაც შეეხება სამთაწყაროელ გურამ სარდალაშვილის ცნობას, რამდენიმე ათეული წლის წინათ მიცვალებულთან ნაღარა-ზურნაზე დამკვრელების მოყვანის შესახებ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2013 წ.). თანასოფლელები არ ადასტურებენ.

მთხოვნელების ცნობებით, ადრე გლოვის დროს მოკრძალება იმდენად დიდი იყო, რომ არათუ ქორწილები არ ტარდებოდა, ბავშვები არ თამაშობდნენ. აღსანიშნავია „გლოვის გატეხის“ ჩვეულება. პერეთში ორმოცი დღის გასვლის შემდეგ მოიწვევდნენ დამკვრელებს, ანდა ახლობელს აცვავებდნენ/ამდერებდნენ (მეოცე საუკუნეში რთავდნენ რადიოს და შემდეგ ტელევიზორსაც). ეს „გლოვის

გატეხისა“ და ჩვეული წესით ცხოვრების გაგრძელების ნიშანი იყო (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2013 წ.).

„წმინდა ბებრევი“ (აუდიოდანართი, №138) სრულდებოდა კახში წმინდა ბებრევის სამაროვანზე (სასაფლაოზე). მისი ცნობით სამაროვანზე მონაზვნები არიან დაკრძალული და ძველად ხალხი (უმთავრესად ქალები) მიდიოდნენ, თითქოს დასატირებლად (ჩავწერე 2011 წ.). პანგი ანუ „წმინდა ბებრევი“ სავარაუდოდ, კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის წლებში მიივიწყეს. ვალია ტარტარაშვილის თქმით წმინდა ბებრევზე საყდარზე გასვლის მესამე დღეს გადიოდნენ.

ნანას პერეთში „დაღ-დაღ“ (აუდიოდანართი, №139-140) ან „ლაღ-ლაღ“ პქვია. დაღ იგივე დაიძინება. ნანაში ხშირად გვხვდება თურქულ-აზერბაიჯანული სიტყვა „ბალა“, რაც ქართულად შვილს ნიშნავს. ჯანაშვილი აღნიშნავს, რომ როდესაც ბავშვს „ლალუში“/„ლაოლუში“ (ჭოჭინაა) დააძინებენ, მაშინ ნიმუშს „ლაოლაღ“ ეწოდება (ჯანაშვილი, გ. 1910:85). სააკვნე სიმღერები „ლაღ-ლაღს“ სახელწოდებით გვხვდება აზერბაიჯანულ (Зеіналова., Mycalev, 1981:69) და ჩრდილოკავკასიურ (Гиппиус, 1980:175) სიმღერებშიც.

ფიქსირებულია ბავშვის გამოსაფხიზლებელი ნიმუშებიც (აუდიოდანართი, №141). იგი სრულდება მაშინ, როდესაც „ყმაწვილ მოთენთილ იღვიზებს და ტირგა უნდ, რომ არ იტირას და გამხნევდეს“. ნიმუში ჯერ ნელა იწყება, შემდეგ კი ჩქარდება. მთქმელების განმარტებით, ნელი ტემპით დაწყება იმიტომაა აუცილებელი, რომ ბავშვი არ დაფრთხეს და ტირილი არ დაიწყოს (1987 წლის მასალებიდან).

საინტერესოა ტერმინი „ლულუნი“. პერეთში იგი ბავშვის ხმასთანაა დაკავშირებული. იტყოდნენ „ჩონ ყმაწვილ რა ლამაზა ლულუნოვსა“ (1987 წლის მასალებიდან).

საბავშვო ფოლკლორს უნდა მივაკუთვნოთ ნიმუში „დიგის ბალა“ (დგას შვილი) (აუდიოდანართი, №142) როდესაც 6 თვის ბავშვს ფეხზე დგომას ასწავლიან, ახტუნავებენ და სპეციალურ სტროფებს წაუმდერებენ.

როდესაც შიშველი ბავშვი გარეთ გამოვიდოდა, უფროსები სიმღერით გაეხუმრებოდნენ „ტანტალიკო ზამთარ მოვდა, რა გიყო“ (აუდიოდანართი, №143) და ამით აიძულებდნენ, რომ ტანტალიკო ჩაეცვა.

ბავშვი რომ წაიქცევა და შუბლზე კოპი დააჯდება, „უკან კოპი, წინ კოპის“ (აუდიოდანართი, №144) მიუმდერებდნენ, გააცინებდნენ, რომ არ ეტირა. ამასობაში ბავშვს ის კოპი ავიწყდებოდა.

საინტერესოა ზაქარია ედილის ცნობა სამკურნალო რიტუალებთან დაკავშირებით: „ავადმყოფს რგებს ნელად ჩონგურის დაკვრა, ზედ წყნარადვე დამდერება. თუ ავადმყოფობა კარგად გაივლის და არავის დააზიანებს, მაშინ ზემოხსენებულ ხონჩას სანოვაგით ქუჩაში გასდგამენ და გამვლელ-გამომვლელს შესთავაზებენ“ (ედილი, 1947:90-91).

ჩონგურის დაკვრის ფაქტს ედილამდე გაცილებით ადრე მ. ჯანაშვილიც აღნიშნავდა (ჯანაშვილი 1910:126). დღევანდელ მთხოვობელებს ისიც კი არ ახსოვთ, ამ დროს დაკვრა იყო თუ არა, სიმღერის ფაქტს კი უარყოფენ. ერთი რამ ცხადია: ორივე ავტორი წერს, საინგილოში ქართული ხალხური მუსიკის გაქრობაზე და რადგანაც ჰერულ მუსიკალურ ყოფაში ქართულის მაგიერ ჩრდილოკავკასიური და სპარსულ-აზერბაიჯანული საკრავებია დამკვიდრებული, ბატონების რიტუალში, შესაძლოა, სპარსულ-აზერბაიჯანული მუსიკა ყოფილიყო. არც 1987 წლის და არც სხვა ექსპედიციების მასალებში დაფიქსირებულა ხმიერი და საკრავიერი ნიმუში. რაც შეეხება „ჩუნგურს“, იგი საზია და თუ რატომ, ამაზე მოგვიანებით.

მ. ტარტარაშვილმა გაიხსენა კახის რ-ნის სოფ. მარსანში მცხოვრები მოხუცის სუზან ხალასგან გაგონილი დალოცვა (აუდიოდანართი, №145), როდესაც პატარა მართას სიცხე ჰქონია სუზანი მაშინ შემოსულა და უთქვამს. შინაარსის მიხედვით გამოდის, რომ მაყვალივით გამრავლება უსურვა.

ქ-ნ მართა იგონებს: „მამაჩემი ბუხართან გვაცეკვებდა (აუდიოდანართი, №146) და მერე გაიხუმრებდნენ – მანეთიანს მოგცემოო. ჩვენ ცეკვისას ტაშს შემოვკრავდით და ვმდეროდით. ამას უფრო ზამთარში ვცეკვავდით. ზოგი ჩურჩეელას გვაძლევდა, ზოგი ფულს“. სამწუხაროდ, სხვა ეთნოფორებმა ასეთი ფაქტები ვერ დამიდასტურეს.

იგივე ქალბატონი იხსენებს: „მამაჩემი ყველას ჩაგვაბამდა მუშაობაში, პატარებსაც კი. პოდა, სიტყვებს „კოლექტივი“ და „კომსომოლი“ სულ შაყირით ამბობდა – აბა, კომსომოლელ, წავედით ვენახში სამუშაოდო (აუდიოდანართი, №147), თუ რომელიმე გავიბუტებოდით, თვითონვე ჩაგვრთავდა სიმღერა-მუშაობაში და მერე ბავშვებსაც გამოგვიმუშავდა ეს. სულ ასე ვეუბნებოდით ერთმანეთს, გამოვაჯავრებდით. თუ ერთს ეზარებოდა ან გაიბუტებოდა, აუცილებლად გამოვეპაეჭრებოდით, რომ წამოსულიყო. სამწუხაროდ, ვერც ეს ნიმუშები გაიხსენეს

სხვებმა. მაგრამ, ყველა ის ნიმუში, რომელსაც ქნ მართას მამა თავის შვილებს გახუმრებით შეუმდერებდა, ჩანს, ადრე სხვებმაც იცოდნენ. თუმცა თავიანთ შვილებს აღარ ეუბნებოდნენ.

ზოგიერთ სოფელში იცოდნენ მამლების წაჩხუბებაც „ზიზგი, ზიზგი, მამალო“ (სანოტო დანართი, №18). საინტერესოა, რომ პანგი ერთბერიანია. ნინო მახარაძეს მსგავსი ნიმუში (სანოტო დანართი, №19) ჩაწერილი აქვს ვარკეთილელი ბაგშვებისაგან და თავისი ბაგშვებიდანაც ახსოვს. თუკი ინგილოური ვარიანტი ბაგშვების მიერ მამლების წაჩხუბებისას სრულდება, თბილისში მას სპორტული თამაშისას მდერიან.

მრგვალ მორზე დადებდნენ ფიცარს, აიწონა-დაიწონას „ტიტლიინ ყოჩი/„ყიყლიინ ყოჩი“ ან „ყიყლიიყო მამალო“ (აუდიოდანართი, №148).

„გოდოლ-გოდორ სებელ-სებელ“ (აუდიოდანართი, №149) მ. ტარტარაშვილის აზრით ბარაქიანობას უკავშირდება. მისი ცნობით, „გაზაფხულზე მოსული ყარყატები წმინდა ფრინველებად არიან მიჩნეული და მათთვის შურდულის, თოვის სროლა არ შეიძლებოდა – წმინდა ადგილიდან მოდიანო. მათი მოსვლის დროს, სიმღერისას ხანდახან ტაშს შემოვკრავდით, ალბათ, პატარები რომ ვიყავით, სიხარულის გამო. გოდორი და საბელი ანუ სებელი ბარაქისთვის შეიკვრებოდა. ასე ხდებოდა ჭირნახულის მოგროვება და ყარყატებს სიმღერით ბარაქიანობას ევედრებოდნენ“. ეს ნიმუში დღესაც ახსოვთ, თუმცა უმეტესობას არა აქვს გააზრებული მისი ფუნქცია, თუმცა გადმოგვცემენ, რომ „როდესაც ვამბობდით „გოდორ“ – ყარყატები წრეს კრავდნენ, ჩამწკრივებულებზე ქვას ვამბრუნებდით, ადგილს ვუცვლიდით და დავიძახებდით „სებელ“ – მაშინ გრძლად მიდიოდნენ და ჩვენც მივყვებოდით“ (ჩავწერეთ მე და მ. ტარტარაშვილმა 2011-13 წლის).

„ჯოხებს დავდებდით და შორიდან ვესროდით ხაზიდან უნდა გასულიყო და ვინც წააგებდა, სანამ ჯოხს მოიტანდა, ერთ ბერაზე ყვიროდა „წიაკოო“ - 2013 წლს ჩემთან და მართა ტარტარაშვილთან საუბარში გაიხსენა ბერმა სფიმონ აბრამიშვილმა.

მ. ტარტარაშვილი იხსენებს, რომ შემოდგომაზე კაკლის ხეების ბერტყვის დამთავრებისას, ყვავები კენწეროებს ესეოდნენ, პოულობდნენ და კაკალს ძირს ჩამოაგდებდენ ჩვენ კი ეს გვიხაროდა და ვმდეროდითო (აუდიოდანართი, №150). ეს ნიმუში სხვებმა სრულყოფილად ვედარ გაიხსენეს.

„ლოფოვ“ (ლოპო, ლოფო) – ნორჩი კაკლის ხის ყლორტისაგან გამძვრალი ქერქია, რომლისგანაც ბაგშვები ვიჰტიტისა და ჭყლურთუნას აკეთებენ: იღებენ

კაკლის (იშვიათად, თუთის) ხის მოკლე და ნორჩ ყლორტებს, წინა ნაწილს ირგვლივ დანიო, 2-3 სმ-ის სიგრძეზე შემოუხაზავენ, დანის ტარს ურტყამენ ზედ, და თან იძახიან: „ლოფო-ლოფო გამოდი! ლოფო-ლოფო ამოდი!... ფურის რძეს ჩაგისხამ და სხვ.“. ამ სიტყვებით წამოამრობენ ქერქს, ანუ ლოფოს. ლოფოს მაშინაც ამრობენ, როცა რძიანას აგროვებენ კუვის გასაკეთებლად (ლამბაშიძე, 1988:286). საბედნიეროდ, ეს ნიმუში დღესაც ახსოვთ და ამას სწორედ ლოფოს გამოყვანისას, ანუ საბაგშვი ჩასაბერი სასტვენის, „ვიპტიტის“ გაზაფხულზე გამოთლის დროს, ნაფოტზე ხის ტყავის გაძრობისას მდეროდნენ (აუდიოდანართი, №151).

არსებობს ფრინველებისა და ცხოველების დაძლევის, მათზე გამარჯვების ნიმუშებიც. ყველაზე პოპულარულია ყვითელგულა თუთაბალიას დაძლევა. იგნისში, როცა თუთა და ბალი შემოდის, ეს ჩიტი მოფრინდება, ჩაუნისკარტებს მათ და ამის შემდეგ ბაგშვები ხმის წაბამით ეხვეწებიან თუთისა და ბლის მოცემას. კახის რაიონსა და სამთაწყაროში ამბობენ, „თუთაბალი მაიწიუ/მაიწიო“ (აუდიოდანართი, №152) ხოლო ზაქათალა-ბელაქანში კი „თუთაბალი მაიწივა“ (აუდიოდანართი, №153). სამთაწყაროში ამბობენ „თუთაბალი მაიწიუ დაღისტანში გოუწიუ“, რადგან, მათივე თქმით დაღისტანში თუთა უფრო გვიან მწიფდება (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011-13 წელი).

როდესაც თუთა და ბალი მოილევა იმავე ჰანგზე სრულდება „თუთაბალი მაილიუ“ (აუდიოდანართი, №154) ან „თუთაბალი მაილივა“. თუთაბალია, თავისი ჰანგითა და განმარტებით ზუსტად ახსოვს არაქართულენოვან მოსახლეობასაც (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012 წელი).

პოპულარულია გუგულის დაძლევაც (აუდიოდანართი, №155). გუგულს რომ პირველად დაინახავ უზმოზე არ უნდა იყო, ერთი ლუგმა მაინც უნდა გქონდეს ნაჭამი და ისე მიაძახო „კუკურ დაგვეჩება“ (ჯანაშვილი, გ. 1910:124-125). ეს თურმე იმიტომ კეთდება, რომ ბევრი არ იძინონ და ადრე ადგნენ (ლამბაშიძე, 1988:178). ზოგიერთი ეთნოფორის ცნობით, კუკუს თავად გუგული იძახდა და მის გაგონებაზე უნდა დაგეძახა „დაგვეჩება“, მერე კვლავ გუგული დაიძახებდა და ასე მეორდებოდა. ამ დაძახებაში გუგული ბრაზდებოდა და ხმას უფრო და უფრო მოუმატებდა. თუ პურნაჭამი არ ხარ და ხმას გაიგებ ან თმა გაქვს დასავარცხი და გუგულის ხმას გაიგებ, დაძლეული ხარ. გარდა ამისა გუგულის დანახვისას თუ ჩაცუცქული არ იყავი, „დაგვეჩება“ მიაძახებდი, ჩაცუცქის შემთხვევაში კი გუგული დაგჯაბნიდა (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2013 წელი და მე 2017 წელი).

იყო ჭიამაიას (აუდიოდანართი, №156) და ოფოფის დაძლევაც. მართას თქმით ჭიამაიას ხელის გულზე დაისვამდნენ, იგი მივიდოდა საჩვენებელ თითოან და იქედან ააფრენდნენ“. ოფოფის შემთხვევაში თუ პურნაჭამი არ ხარ და ხმას გაიგებ ან თმა გაქვს დასავარცხნი და ხმას გაიგებ ესე იგი დაგძლია. თუ პეპელას დაინახავდი და თეთრი ფერი გეცვა მაშინ პეპელა დაგძლევდა (ჩავწერე 2017 წ.). არსებობდა ასევე კვიცის (აუდიოდანართი, №157), ბუნების მოვლენებისა და ლეკის დაძლევაც. აღდგომის დღეს როდესაც ლეკს პირველად დაინახავდნენ ეტყოდნენ „ლეკო დაგხეხ“ (ედილი, 1947:89; ჯანაშვილი, მ. 1910:125). მერცხლის მოსვლის დროს პატარა ბავშვს ხელში რადაცას მისცემდნენ რომ მერცხალმა არ დაძლიოს, მერცხალმა ენა მოგიტანა ახლა ენას ამოიდგამო (ჩავწერე 2017 წ.).

საინგილო საკმაოდ ნესტიანია, ამიტომაც ამინდის სამართავი სიმდერებიდან უფრო გამოსადარებელი ნიმუშები სრულდებოდა. მათი ერთი ჯგუფი მზის ამოსვლის მოთხოვნა იყო (აუდიოდანართი, №158), ხოლო მეორე – „კოტიობას“ უკავშირდებოდა (აუდიოდანართი, №159). პერეთში კოტიობა უფრო მეტად გაზაფხულზე ტარდებოდა და გამოსადარებელ ფუნქციასაც შეიცავდა. ბიჭები (დაახლოებით 5-12-მდე) ჩამოივლიდნენ „კოტიტით“ (დედოფალით) ხელში და იმდერებდნენ, ძირითადად აზერბაიჯანულად. ტექსტის გადათარგმნა ისტორიული ვითარების გამოა სავარაუდო. უკანასკნელ სიტყვებს „კიპოს“ ყველანი ერთხმად მიაძახებენ ხოლმე (ედილი, 1947:123). მართას აღნიშვნით, ბიჭები ორდობებს ჩამოივლიდნენ, ქუდებს ჩამოიფხატავდნენ, ვაჟები ბერიკაობის მაგვარად შეიმოსებოდნენ. ყველა მონაწილე ჩქარ-ჩქარა, ხმამაღალი შეძახილებით ჭიშკართან შეჩერდებოდა. მასპინძელი ქალი ან კაცი გამოვიდოდა ძღვენითურთ, ჩვენთან კოტი ჰქვია ხვავს. „კი“-ს ამბობდნენ ისინი, „კო“-ს ამბობდა მასპინძელი, მაგრამ მასპინძლებს თუ ეზარებოდათ, ამ სიტყვას თვითონ რიტუალის მონაწილენი ამბობდნენ (აუდიოდანართი, №160). ილიკო ტარტარაშვილის თქმით მასპინძელი თუ კვერცხს გამოიტანდა თოჯინას გაუგორებდნენ, თუ არა და ქვას (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012 წ.). ინა ბეროშვილის ცნობით, სიმღერის დროს ტაშტზე უკრავდნენ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2013 წ.).

საქართველოში გავრცელებულია საისტორიო თემატიკის ამსახველი სიმღერების ის ტიპი, სადაც საუბარი კონკრეტულ პიროვნებასა და მის საგმირო ქმედებებზეა (მაგ. სიმღერები თამარ დედოფალზე, ერეკლე მეფეზე და ა. შ), პერეთში თითქმის არ გვხვდება. რაც შეეხება სიმღერას – „ჩონ თამარ მეფე“ (აუდიოდანართი, №161), მისი სიტყვიერი ტექსტი მართამ აღგილობრივი

მოსახლეობისგან აკრიფა, ხოლო მელოდია კი იქაური მუსიკის გავლენით სიმღერა „თოროს“ (აუდიოდანართი, №162) – მსგავსად თვითონვე შეთხზა. რაც შეეხება თამარ მეფისადმი მიძღვნილ მეორე ნიმუშს (აუდიოდანართი, №163), იგი აზერბაიჯანულ ენაზე სრულდებოდა. ედილი საუბრობს ქურმუხობაზე ფანდურით (სავარაუდოდ ტანბურით ან საზით) შესრულებულ აზერბაიჯანულ ლექსებზე, რომელიც პერეთის ძნელბედობის პერიოდს ასახავს (ედილი, 1947:88).

პერეთში შემორჩენილია ისეთი სიმღერები, სადაც თათრის – მტრის სახეა წარმოჩენილი (აუდიოდანართი, №164).

საინტერესოა შაირები, რომელიც სამშობლოს თემატიკას შეიცავს: „დაღესტანი ხრიოკია და გურჯისტანი ბაღნარიაო, მშვენიერს შორიდან რომ ეტრფი, განა გაძლება თვალიო“ (აუდიოდანართი, №165). მეორენაირი ნიმუშის შინაარსი ასეთია: „მთიდან ჩამოსულო დათვო, ბარში ლორად გადაიქეცი და ვეღარ ძლებიო“ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012 წ.). როდესაც შაჳ აბასმა პერეთი დაიმორჩილა, დაღესტნიდან ხალხი მოისყიდა, გაამუსლიმანა და პერეთის ადგილობრივ მოსახლეობაზე საბატონოდ ჩამოასახლა. დაღესტანი ხრიოკი იყო, ხოლო საქართველო (ამ შემთხვევაში პერეთი) კი ძალიან ნაყოფიერი (პაპიაშვილი, 2012:11). შაირები აზერბაიჯანულ ენაზე აზერბაიჯანულ-ირანული საზის ინგილოურად „ჩუნგურის“ (სალიტერატურო ენაზე ჩონგურის) თანხლებით სრულდებოდა და ქართველებსა და დაღესტნელებს (მათ შორის, გადაღესტნელებულ ქართველებს) შორის გაშაირებას წარმოადგენდა.

ქნ მართას ცნობით, უწინ ყოფილა სიმღერა ქოროდლიზე. ეს იყო გმირი, რომელიც ხალხს იცავდა, თუმცა სიმღერის ჩაწერა ვერ მოახერხა (ჩავწერე 2011 წ.). მისივე ცნობით, პერულ თქმულებებში გვხვდება გმირი თორდვა (თოროდა). ქორწილში პატარძლის გამოყვანის დროს მდეროდნენ „თოროდაო მოდის“ (აუდიოდანართი, №166), რომელიც ტარტარაშვილმა ჩაწერა. „ეს თოროდაო ვაჟკაცი, ძლიერი და ტანადი პიროვნება ყოფილა. თოროდაო მოდის, მალე გომოდაო“ (მოემზადე, გამოდი დარბაზიდან და შეეგებეო). სიმღერა გმირზე იყო, მაგრამ იგი ტიპური მაყრული – დედოფლის გამოსაყვანია და არა საისტორიო

საისტორიო თემატიკის ამსახველი უნდა ყოფილიყო სიმღერა სიმონ შალიკაშვილზე. იგი ზაქათლის გუბერნიის პროქართულად განწყობილი ხელმძღვანელი იყო. რომელიც 1863-64 წლებში ლეკების წაქეზებით მოკლეს. ეს ფაქტი ადგილობრივმა მოსახლეობამ იმდენად განიცადა, რომ ჭარელი ლეკი

ქალები (სავარაუდოდ გალეკებული ქართველები – გ. კ.) მ. ჯანაშვილის ცნობით, დღესაც ნაღვლიანად მღერიან (კინწურაშვილი, 2006:143).

როგორც უკვე აღინიშნა, თამარ მეფეზე სიმდერებს ლეპები (გალეკებული ქართველები) მღეროდნენ და ჰანგი აღმოსავლურ საზოგ ინგილოურად „ჩუნგურზე“ სრულდებოდა. შესაძლოა, ამ ნიმუშზეა საუბარი ფილოლოგ ნათელა როსტიაშვილის ლექსიკონში, სადაც დავით მეფესთან ერთად (როსტიაშვილი, 1978:66) თამარის ჰანგსაც ახსენებს (იქვე:9). ისტორიულ თემატიკაზე აგებულ რამდენიმე ნიმუშს ძირითადად ბავშვები მღერიან (უმთავრესად თათრის დანახვისას, ან ხმალაობისას). ეს გახდავთ „მამაზადლი თათარი“ და „თათარო, თათარო“. ტყისთაველი გიორგი ზეინალაშვილის თქმით, ამ ნიმუშების გავრცელება არაქართულენოვან ჰერებშიც დასტურდება (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012 წ.). საინტერესო ფაქტია, რომ ცნობილ „მგლისა და კრავის“ ჰერულ ვარიანტში მგელი – როგორც მტერი აზერბაიჯანულად მღეროდა: „მე ვარ თქვენი დედა, რძე მომაქვს, კარი გამიღეთ“ და პატარა ბეკეკოები კი ინგილოურად ეუბნებოდნენ „შენ ჩონ დედა არ ხარ“ (ჩავწერეთ მე და მ. ტარტარაშვილმა 2011-12 წწ.).

ზურნაზე სრულდებოდა თამარ მეფისა და დავით მეფისადმი მიძღვნილი ჰანგებიც (ჯავახიშვილი, 1992:330). თუმცა მათი მუსიკალური მხარე ჩემთვის უცნობია.

დიდმარხვის შემოსვლიდან ოცდამეოთხე დღეს კორკოტობა („კორკოტოვად“) იმართებოდა (როსტიაშვილი, 1978:114). „კორკოტოვად დღესა“ (აუდიოდანართი, №167). ამ დროს ბავშვები ეზოს საქანელაზე ქანაობდნენ, სახლში კი კორკოტი იხარშებოდა და მეზობლებსაც გაუტანდნენ. ქანაობდნენ მოზარდები, პატარები კი ქვევით იდგნენ და ტაშს უკრავდნენ და ტექსტში აქაც თათრებს ახსენებდნენ. დიდი კაკლის ხის ქვეშ დოლ-გარმონზე საცეკვაოს უკრავდნენ. ჯერ დიდები ქანაობდნენ (ვისაც გული ერჩოდა) შემდეგ კი – უმცროსები. ზენო სარდალაშვილი აღნიშნავს, კორკოტობა დიდი მარხვის შუა პერიოდში ოთხშაბათობით იცოდნენ. მიდიოდნენ და დიდ 5-6 სართულიანი სახლისხელა საქანელას ჩამოაბამდნენ. აქანავებდნენ და შეუვარებულის სახელის გაგების მიზნით, ფეხებში ურტყამდნენ. ძველი თაობის ხალხი გარმონითა და სიმდერებით დადიოდა (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011 წ.).

სერგო ჯანაშვილის თქმით მის ახალგაზრდობაში აღდგომა დღეს ბერები მღეროდნენ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012 წ.). მონათხობის მიხედვით, შესაძლოა, ეს საგალობელი ყოფილიყო. პოეტ ზურაბ პაპიაშვილსაც ახსოვს

მოხუცები, რომლებიც საგალობლებს (მაგ. აღდგომასა შენსა) გალობდნენ (მაგრიამ გაჯიშვილის გადაცემა „ფესვები“, 2013). ეს ცნობები ძალზე საინტერესოა და მომავალში კვლევა-ძიებას მოითხოვს. თუ რესპონდენტების ასაკს გავითვალისწინებთ საუბარი 1950-70-იან წლებზეა. საგალობლების მუსიკალურ მხარეზე საუბარი დღეს უკვე ძალზე მნელია, მაგრამ ეს ნიმუშები ჰქონია არსებული სამრევლო სკოლებიდან უნდა ყოფილიყო ნასწავლი.

თამარ შიოშვილის ცნობით, აღდგომა დღეს ხალხი ერთმანეთს დღესასწაულს „ჩუნგურის“ დაკვრით ულოცავდა (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011-12 წწ.). პეტრე მამულაშვილი ადასტურებს აღდგომაზე ბავშვების მიერ კარდაკარ ჩამოვლისა და მასპინძლებისგან კვერცხის მიცემის ტრადიციას (ჩაწერა კონსერვატორიის ექსპედიციამ 2014 წ.).

რელიგიური თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა აზერბაიჯანულ ენაზე შესრულებული „იქსო ქრისტეს ლოცვა“ (აუდიოდანართი, №168). ეს ნიმუში 1987 წლის ექსპედიციაში სოლომონ ბარისაშვილისგან იქნა ჩაწერილი. მასში ასახულია იქსოს მოდგაწეობა და სოლომონ ბარისაშვილის ცნობით, იგი თავისი დაღესტნები სავარაუდოდ, გალეჭებული ქართველი ყონადისგან (სტუმრისგან) გაუგონია.

ჰერეთისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გიორგობას, რომელსაც ისინი „ქურმუხობას“ ეძახიან. ჯერ კიდევ მ. ჯანაშვილის აღნიშვნით, ამ დღეობაზეც უკრავენ ნადარა-ზურნას და მღერიანო (ჯანაშვილი, მ. 1910:130-131). სამწუხაროდ, სიმღერების სახელწოდებები უცნობია, მაგრამ ჯანაშვილის მიხედვით (იგი უარყოფს საინგილოში ქართული სიმღერის არსებობას), უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სიმღერები სპარსულად ან აზერბაიჯანულად სრულდებოდა. ნადარა-ზურნის ანსამბლი იგი მთელ დღეობას და განსაკუთრებით ჭიდაობას მუსიკალურად აფორმებდა. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ზურნა თბილისშიც ჭიდაობის დროს გამოიყენებოდა (ნაცვლიშვილი, 1999:7-8).

ჰერეთში გვხვდებოდა საჭმლის გაკეთებისას, ვენახის გასხვლისას, ქსოვისას შესასრულებელი სიმღერები, მაგრამ მათი უმეტესობა – ყანაში გადაძახილის, მეურმის სიმღერისა და ოდოშის გარდა, შრომის უანრში ვერ გაერთიანდება. შინაარსით ისინი უფრო ლირიკული და სახუმაროა.

ყანაში, ნადში (საინგილოში, დასავლეთ საქართველოს მსგავსად, შრომის კოლექტიურ ფორმას „ნადი“ ეწოდებოდა) მუშაობისას, სადაც კაცებთან ერთად ქალებიც მონაწილეობდნენ, მუსიკა თითქმის არ იყო. მხოლოდ გადაძახილები

(აუდიოდანართი, №169) ჩავწერეთ. მუსიკა მხოლოდ მკის დროს ჟღერდა, ისიც ნაღარა-ზურნის მეშვეობით. ეს საკრავები შრომის რიტმს წარმართავდა. თანაც მკა მალე უნდა დამთავრებულიყო, რადგან შეიძლება უცაბედად მოსულ ცუდ ამინდს მოსავალი გაენადგურებინა. ნაღარა-ზურნა გათიბვის დროსაც უკრავდა. მთელ საქართველოში შრომის მაორგანიზებელი შრომის სპეციალური სიმღერები იყო, მაგრამ პერეთში განვითარებული მოვლენების გამო, სიმღერას სპარსული ნაღარა-ზურნა ჩაენაცვლა, ხოლო რწმენა კი მუსიკის თანხლებით შესრულებული სამუშაოს ნაყოფიერების შესახებ, უცვლელი დარჩა. ნაღარა-ზურნითა და დოლგარმონით მიმდინარეობდა თიბვაც. ქალებმა თხილის ტევრში იცოდნენ ცეკვა (შიპრობა), უკრავდნენ გარმონს და ლხინობდნენ (1987 იოსებ უორდანიას საექსპედიციო დღიური).

გულნაზ ყაჯრიშვილის თქმით, ყანაში ნაღარა-ზურნა უკრავდა. თხილის მოსავალიც ამ საკრავების ხმის ფონზე მიპქონდათ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012 წ.).

რაც შეეხება გადაძახილებს, მათი ფუნქცია საყოველთაოდაა ცნობილი და ამ მხრივ არც პერეთია გამონაკლისი, მხოლოდ ერთი სხვაობით: თუკი საქართველოს სხვა კუთხეებში გადაძახილები შრომის სიმღერების შუა ნაწილშია წარმოდგენილი და განაპირა ნაწილებში მღერიან, პერეთში სიმღერა თითქმის აღარ ჩანს, თუმცა კახის რ-ნის სოფ. ქათმისხევში ჩავწერეთ სიმღერა „ოპი, ყანა, ოპი“ (აუდიოდანართი, №170).

სიმღერა „ოდოშუან წოვდეთ“ (აუდიოდანართი, №171) ოდოშის (პურის მწვანე თავთავია) საკრეფად წასვლის დროს იმღერებოდა. ქ-ნ მართას თქმით „ოდოშს შეტრუსავენ გასათხოვარი გოგოები და პირველი მოსავალი ხელით უნდა მოკრიფონ. თავთავის ერთი კონით უნდა გააკეთონ ხელეული და ცეცხლზე შეტრუსონ დოლ-გარმონის მუსიკის თანხლებით“. ოდოშის შესახებ საუბარი დღევანდელ მოხუცებსაც შეუძლიათ. თუმცა ამბობენ, რომ მათ დროს კოლექტივიზაციის გამო ჯარიმის შიშით უკვე ინდივიდუალურად და თანაც ჩუმად მიდიოდნენ (იადონ ტარტარაშვილის ცნობით, საინგილოში კოლექტივიზაცია 1925-30 წლებში განხორციელდა). რაც შეეხება სიმღერას, იგი ქალბატონი მართას გარდა აღარავის ახსოვს, თუმცა ორიოდე ადამიანი ადასტურებს მის არსებობას. ოდოშის ჰანგიც სავარაუდოდ, კოლექტივიზაციამ შეიწირა.

„ოუ ჰა“ (აუდიოდანართი, №172) იყო მეკალოებისა და მეხრეების დიალოგი. ისევე, როგორც ოდოში, „ოუ ჰაც“ ქალბატონმა მართამ ჩაწერა და

შინაარსობრივად დაალაგა. როდესაც კალოობის პერიოდში მოხუცი კაცები ისხდნენ, მაშინ იხსენებდნენ ამას. „ჰოუ ჰა“ – არის შეძახილი ხარის ან ძროხის მიმართ, გაჩერდი, ნუ ტოკავო. თიბგასა და კალოს გალეჭვას რომ მორჩებოდნენ, სუფრა იშლებოდა, დოლ-გარმონი უკრავდა და იყო ლხინი. ეს ნიმუშები დღეს მივიწყებულია.

უორდანიას საექსპედიციო დღიურში მოხსენიებულია სიმღერა „ურმული“, მაგრამ იგი კასეტაზე ჩაწერილი არ არის და არც მართა ტარტარაშვილს ან სხვა მთხოობებს ახსოვთ. მ. ნუროშვილის თქმით, შესაძლოა, საესტრადო სიმღერაც იყოს (ჩავწერე 2011 წ.). სხვა შემთხვევაში ამ სიმღერას ი. უორდანია და მ. ტარტარაშვილი აუცილებლად ჩაწერდნენ.

ფილოლოგ ასრათ ომარაშვილის ცნობით, მოსავლის აღების დროს ქალები „კალინკას“ მდეროდნენ (ჩავწერე 2011 წ.), თუმცა ამგვარი ნიმუში არსად არ დასტურდება.

ვენახის შეყენებისას ანუ განასხლავი ვაზის ჭიგოზე მიბმის დროს მართას მამას ბავშვები სამუშაოდ მიჰყავდა. წასვლის წინ მართა და მისი და-მმები „ვენახ შაყელაის“ (აუდიოდანართი, №173) მდეროდნენ და ხტუნაობდნენ.

„აყინა, მაყინა“ ამ სიტყვებით იცეხვებოდა ბრინჯი, ნიგოზი, ვეტვი და ა. შ. მ. ტარტარაშვილის თქმით „ეს საცეხვს ეხება, მაგრამ ხუმრობაშია გადასული. „აყინაანთ კაციაო“ ეს ზედმეტსახელია ჩვენთან. როდესაც უფროსები ცეხვავდნენ, ჩვენ დავხტოდით და ვამბობდით ამას. სხვა დროსაც შეიძლებოდა თქმა, მაგრამ უფრო ცეხვის დროს ვასრულებდით“ (ჩავწერე 2011 წ.). ვარიანტები სხვებმაც გვიმდერეს, მაგალითად, ვერა ბერიკაშვილმა (აუდიოდანართი, №174). მისი თქმით, ბრინჯს რო ვნაყავდით, მაშინ ვმდეროდით“, ეს უფრო საცეკვაო ან სახუმაროა.

ქ-ნ მართას თქმით „როდესაც უფროსები სათოხარში მიდიოდნენ და ჩვენ გვტოვებდნენ, სიმღერით ამბობდნენ – „ეხლა ჩონ ტყეში მივდივართ“ (აუდიოდანართი, №175). ჩვენც ვუპასუხებდით. ასეთ ნიმუშებს მდეროდნენ შრომა-საქმიანობისას, ხეზე ასვლისას და სხვ., კიდევ როდესაც რაიმეს გეგმავდნენ (მაგ, პარკის დარჩევას, ნუხში წასვლას)“. ამ ნიმუშს სხვა ეთნოფორები ვერ იხსენებენ.

ჰერეთში ინტონირების მარტივი ტიპები ნადირობას და საჭმლის მომზადებასაც უკავშირდებოდა. როდესაც ძროხას ან ხარს დაკლავდნენ, ხორცს დაამუშავებდნენ და ბოლოს მისგან მხოლოდ ფაშვი რჩებოდა, ხორცის დაბინავებისას რძლები წაიმდერებდნენ „ფაშფუტარო სადღესაო ხარო“ (აუდიოდანართი, №176), ბაგშვები „ავიტაცებდით, ეზოში დავხტოდით, გვიხაროდა

და ვიმეორებდით“. სამწუხაროდ, ეს ნიმუშიც მ. ტარტარაშვილის გარდა, არავის ახსოვს.

ფიქსირებულია ქსოვის დროს შესასრულებელი პანგებიც (აუდიოდანართი, №177-178). განსაკუთრებით პოპულარულია „ქალმანი და წინდა“, რომლის შესრულება ქსოვის გარდა სხვა დროსაც არ იყო გამორიცხული. მას, ხშირად ბავშვები თამაშობის დროს იმდერებდნენ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011-13 წწ.). დიმიტრი პაპიაშვილის თქმით კი „კაცები პურ-მარილში იტყოდნენ“ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011, 2013 წწ.).

კახის რ-ნის სოფ. ქათმისხევში ცხოვრების სიღუხვირეზე გახუმრებით წაიმდერებენ (აუდიოდანართი, №179). სახუმარო თემატიკისაა გურამ ტარტარაშვილის მიერ შესრულებული სიმდერაც (აუდიოდანართი, №180), რომლის შესახებაც აღნიშნა: „ბავშვობაში და-ძმა რომ გავიდოდით, დას ასე ვატყუებდით „ძალლი მოკვდაო““.

პერეთში პოპულარული ყოფილა მამაკაცთა სტვენა. უსტვენდნენ არამარტო გოგოს მოწონების დროს, არამედ ბაღ-ვენახებში ჭიგოს გასხვლისა და შეშის დადების დროსაც. მართა ტარტარაშვილის აზრით, შრომის დროს სიმდერა უმეტესად სტვენამ ჩაანაცვლა.

ქალები ბოსტნის მარგვლისას ზუზუნებდნენ. „როგორ ლამაზა ზუზუნოვსა“ – ანუ დიდინებსო – იტყოდნენ. ზუზუნი უსიტყვოდ იმდერება, დარდიანია. როდესაც ქალი თავისთვის ზის ეზოში და მარტო, თავისი ბედის სიმბიმეს უსიტყვოდ ზუზუნებს, თან ქსოვს, ანდა ბოსტნის რომ მარგვლავს თავისთვის, მაშინაც ზუზუნებს. ნიმუში მხოლოდ ქალმა უნდა შეასრულოს, კაცებს რომ ეზუზუნათ, ეს დიდი სირცხვილი იყო. რაჭაში მოტირალი რო მიუჯდებოდა მიცვალებულს, ჯერ ქორქალით დაიწყებდა და ტირილში გადადიოდა (ლომსაძე, 2012:12). საინტერესოა, რომ, მიცვალებულებს საინგილოშიც ზუზუნით იხსენებდნენ (თუმცა უსიტყვოდ). ზუზუნთან ახლოს დგას ტერმინი ღუღუნი, რომელზეც ბავშვთან დაკავშირებით უკვე გვქონდა საუბარი. სამწუხაროდ, დღევანდელ მოხუცებს აღარც ეს ნიმუში ახსოვთ. ზუზუნის (აუდიოდანართი, №181) ერთადერთი ვარიანტი თამარ შიოშვილმა ჩაგვაწერინა. ეს ტერმინი ანალოგიური სემანტიკით მუსლიმან ჰერებშიც გვხვდება. შესაძლოა ინგილოურ „ზუზუნში“ ხმადაბალი მღერის მანერა იგულისხმებოდეს, რადგან საქართველოს სხვა კუთხეების „ზუზუნები“, ჰერულისგან განსხვავებით, სიტყვიერ ტექსტს მოიცავს.

რაც შეეხება ლირიკულ სიმღერებს, მართა ტარტარაშვილის მიერ დაფიქსირებულია:

„თორემზე“ (აუდიოდანართი, №182). სიმღერა სატრუიალოა. შესრულების საგანგებო დრო და ადგილი არ გააჩნია. თორემზე არის ქალის სახელი (როგორც ვთქვათ, პირიმზისა, პირიმთვარისა).. „თორემზე გოგონაა, რომელიც ორდობეში პირპირ უჭვრებს ვაჟს, ეს ქალური სიმღერაა. პატარა სტრიქონებად იყო და მე ავაკოწიწე“ - აღნიშნავს ქალბატონი მართა.

სიმღერას „ალაზნი პირპირ“ (აუდიოდანართი, №183) – გოგოები ბლის კრეფის და სავარაუდოდ ერთმანეთში გახუმრების დროს ასრულებდნენ.

„მაირა ობოლანთ ქალია“ (აუდიოდანართი, №184). მართა ტარტარაშვილის თქმით ჰერეთში მარიამ ობოლაძე ყოფილა ძალიან ლამაზი, გასათხოვარი, რომელსაც სხვა სოფლების ბიჭებიც ეტრუოდნენ. „ჩვენთან ასე იყო, ლამაზი გოგოს უბანში გაივლ-გამოივლიდნენ, ათვალიერებდნენ. ვიდაც მოსულა და ეს დარაჯობა რომ უნახავს, უთქვამს – მაირა ობოლანთ ქალია, გალე, ბიჭო, გალეო“ (მოუსვი, ბიჭო)“.

ამ სიმღერის წარმოშობას გულნაზ დათუნაშვილი ასე ხსნის: „დედაჩემის დეიდაშვილს უყვარდა ის მაირა და ეს იმღერა. მერე უთხრეს, გათხოვდაო და გაიარეო. მაირა ობოლანთ რძალია და შენ აღარ გეკუთვნისო“. ზურაბ აბულაშვილი ამბობს: ნაზირა აშუდ ჰუსეინას შვილია და როდესაც ეს ნაზირა გარდაიცვალა, ჰუსეინამ მაშინ იმღერაო“ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012 წ.). ნიმუშთან დაკავშირებული ეს ვერსიები საინტერესოა. მაგრამ ფაქტია, რომ ალიაბადის გარდა იგი კახის რაიონის სოფელ თასმალოშიც დადასტურდა (აუდიოდანართი, №185), რამაც შესაძლოა აშუდ ხუსეინას ავტორობა ეჭვეშ დაყენოს.

„ჟერგა-ჟერგა ქალევო“, „წიკნა-წიკნა ქალევო“ (აუდიოდანართი, №186) – ორდობეში როდესაც 13-15 წლის გოგო-ბიჭები თამაშობდნენ და ცელქობდნენ – როგორც კი უფროსებს დაინახავდნენ, მაშინვე მწკრივში ჩადგებოდნენ, უფროსები შეამჩნევდნენ, რა ამ პოზაში, გაეხუმრებოდნენ“. „ბიჭები და გოგოები ერთმანეთს მკლავებს რომ ჩასჭიდებდნენ ერთ მხარეს ბიჭები დადგებოდნენ, მეორეზე გოგოები და რომელიც ის იყო უნდა გაქცეულიყო უნდა ჩაეწყვიტა მკლავები ვისთან ვისაც უნდოდა ხელში ჩასჭიდებდა და დადგებოდა ვისთანაც უნდოდა“. ზოგჯერ ბიჭები და გოგოები ხელებჩაკიდებული გარბოდნენ და ისე მდეროდნენ. ჟერგა/ჯერგა მწკრივს, წიკნა კი ციცქას ნიშნავს.

ინგილოურ ფოლკლორში გვხვდება სიმღერით გამოთქმული გალექსილი ზღაპარი – „რძალ-დედამთილიანი“ (აუდიოდანართი, №187). მაზლის ცოლს რძლისა შურდა და დედამთილ-მამამთილსაც ასე განაწყობდა. ეს ახალგაზრდა რძალი ლამაზი ყოფილა. იგი ითხოვდა წყალს, მაგრამ არავინ მიაწოდა. ჯერ მამამთილს სთხოვდა (ბოიმთირი აზერბაიჯანული სიტყვაა და ძელს – დედაბოძს ნიშნავს. რძალი მამამთილს მას ადარებს), შემდეგ დედამთილს (იგი დედაბოძის საყრდენია), მაზლის ცოლს (გველი), მულს (ტაბაკის გული, რომელზეც ქორწილში ხილს, ძლვენს დაალაგებდნენ). მულს უყვარდა რძალი, მაგრამ შიშით ვერ გაბედა ეს გაეკეთებინა და ბოლოს სხვითათ შვილს, ანუ თავის მეუღლეს, მიმართავს; მეუღლე კი ჭურჭელსაც ვერ მოკიდებს ხელს, აიღებს გატეხილ ჯამს და იქ ჩაუსხამს წყალს. რძალი დალევს და გარდაიცვლება. ეს სიმღერა ძველი დროისაა და პატარძალმა სიკვდილის წინ იმდერა.

ადრე სირცხვილი იყო, რომ ვინმეს ცეკვა არ სცოდნოდა და ქორწილში ვერ ეცემდა. საცეკვაო მუსიკა ნაღარა-ზურნასა და დოლ-გარმონზე სრულდებოდა. როდესაც ვინმემ ცეკვა (შიპრობა) არ იცოდა, ასე მიუმღერებდნენ (აუდიოდანართი, №188).

ქორწილი, ძირითადად, შემოდგომასა და ზამთარში იცოდნენ. ამ დროისათვის მოსავლის საკითხი დღის წესრიგში აღარ იდგა. მართა ტარტარაშვილის თქმით: „უწინ მოხუცები პატარა და დიდ ქორწილს ერთმანეთისგან განასხვავებდნენ. დიდი ქორწილის გადახდას ყველა ცდილობდა. დიდ ქორწილში ნაღარა-ზურნა უკრავდა, რადგანაც ეს საკრავები დიდი ზეიმის გამომხატველია. პატარა ქორწილი ძირითადად მაშინ იმართებოდა, როდესაც საჩქარო იყო, ან ოჯახის ხელმოკლეობის გამო და მაშინაც, თუკი ერთ-ერთი მეწყვილე ქვრივი იყო. ამ დროს კი დოლ-გარმონი ჟღერდა (ჩავწერე 2011 წ.). ს. აბრამიშვილმა ასეთი გამოთქმაც გაიხსენა: „რა, დოლ-გარმონით და ნაღარა-ჩაღარათი უნდა დაგპატიჟო, ისე არ მოხვალო?“ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2013 წ.).

საქორწილო სიმღერას უმეტესად პატარძლის გამოყვანის დროს იტყოდნენ და ძალიან მოკლე იყო (აუდიოდანართი, №189). ამ მელოდიას ნაღარა-ზურნაც უკრავს. ზოგი ეთნოფორის თქმით, ეს ნიმუში ქორწილში კი არ ითქმება, არამედ ბავშვები გამბობდითო თამაშობის დროს. ზოგის ცნობით კი – უფროსები ეტყვიან ბავშვებს, „მივდივართ ქორწილშიო“ და წაიმღერებენ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012-13 წწ.).

პატარძლის გამოყვანისას მეზურნეები უკრავენ სათანადო ჰანგს დედა ქალ წაიყონეს – ააგირეს, მამა შულს მოუყონეს – გაახარეს. თოფს ისროდნენ და ეს პატარძლის გამოყვანის ნიშანი იყო (ჯანაშვილი, ა. 1991:14; ედილი, 1947:103). პატარძლის გამოყვანის სიმღერა ქორწილის მეორე დღეს (მას პატარა ქორწილს უწოდებენ) სრულდებოდა (იქვე:11-14). მთქმელების სიტყვით, ამ მელოდიებს ზურნაც უკრავდა, მაგრამ ახლდა თუ არა საკრავი პატარძლის გამოყვანის სასიმღერო ნიმუშს, ამაზე ინფორმატორები ხშირ შემთხვევაში დადგებითად გვპასუხობენ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012-13 წლის). მხედველობაში მიიღება ის, რომ სიმღერა ძალზე მოკლეა, მაგრამ ვერ ითვალისწინებენ რომ ხშირ შემთხვევაში საკრავის, განსაკუთრებით ზურნის თანხლება წარმოუდგენელია, რადგან ზოგიერთი საკრავი სიმღერას აუცილებლად გადაფარავს. გარდა ამისა, დამკვრელიც ბევრი არ იყო. ვასილ შიოშვილი იგონებდა, რომ მის ბავშვობაში (1930-იანი წლები) კაქში მხოლოდ ორ კაცს ჰქონდა გარმონი, ხოლო „ჩუნგური“ კი – ხუთს (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012 წ.).

საქორწილო სიმღერის სახელწოდება ძირითადად ორგვარია: „ტიტიტი (ტიტი) პატარზალ“ ან „ტილილილილი“. სათაური სიტყვიერი ტექსტის საწყისი მარცვლებიდან გამომდინარეობს. ზოგი ეთნოფორის თქმით, ამ სიმღერას მაყრიონი მაშინ იმდერებს, როდესაც პატარძალი გამოსვლას დააგვიანებს. მაყრიონი მაგიდასთან დაჯდებოდა და ნეფე გამოიყვანდა პატარძალს (ჩავწერეთ მე და ტარტარაშივლმა 2012-13 წ.). სიტყვა „ტიტის“ ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ტარტარაშვილს ასეთი აზრი აქვს – გამოსვლისას პატარძალმა ტატით უნდა გაიაროს ჩავწერე 2012 წ.).

ვალია ტარტარაშვილისგან ცნობის მიხედვით, „პატარძალის მოყვანის დროს, მაშესალის ჩამოგდების მიზნით კარებს კეტავდნენ. ჰოდა, მახარობდები შეგვატყობინებდნენ პატარძლის მოსვლას და ეგ ვარიანტი დედახემისგან გამიგიაო“ (აუდიოდანართი, №190).

ქალბატონ მართას მიერ ჩაწერილი სიმღერა „დილავ ადექ“ (აუდიოდანართი, №191) მისი ვარაუდით, ქორწილის დილას სრულდებოდა.

ინტერესმოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ ყველა საქორწინო ჰანგი კახის რაიონშია ფიქსირებული, ზაქათალა-ბელაქანში ამგვარი ნიმუში, როგორც ჩანს, დაკარგულია.

სამწუხაროდ, უკვე 35-40 წელია, რაც ქორწილებში შემორჩენილი ტარდიციული ზემოთ ხსენებული ნიმუშები აღარ სრულდება და მათ ადგილს

(ისევე, როგორც ძველი რეპერტუარის სხვა ნიმუშების ადგილს) თანამედროვე რეპერტუარი იკავებს. ნაღარა-ზურნასა და „ჩუნგურზე“ დამკვრელი ქართულენოვანი ჰერების უმეტესობა, გარდაცვლილია.

რაც შეეხება შემსრულებელთა რაოდენობას, „ქორწილში მდეროდა ერთი ან ორი კაცი, რომლებიც მასპინძლის მიერ სპეციალურად იყვნენ მოწვევულნი. სხვებს სიმღერის უფლება არ ჰქონდათ, თუ საამისოდ მასპინძლის ნებართვას არ მიიღებდნენ. თუ ამ წესს ვინმე დაარღვევდა, მაშინ მასპინძელი მას ტუქსავდა და უკრძალავდა მდერას, თუ იგი კიდევ დაარღვევდა ამ წესს, მაშინ მასპინძელი მას ქორწილიდან აძევებდა“....ქალების სიმღერა საინგილოში საერთოდ არ იყო მიღებული. თუმცა ზოგმა გოგონამ კარგი სიმღერები იცოდა, მაგრამ საჯაროდ მღერის უფლება არ ჰქონდა“ (ჯანაშვილი, ა. 1991:26-27).

ცეკვას ჰერეთში „შიპრობა“ ჰქვია. რაც შეეხება ფერხულს, ცალკე ტერმინი ან მისი ამსახველი მასალა არ არსებობს. პატარძალს რომ მოიყვანდნენ, წინ დამკვრელები მოდიოდნენ და ცეკვა-ცეკვით მოჰყავდათ, თუ დიდი მანძილი არ იყო. „მოელი ქორწილი სულ ნაღარა-ზურნის ან დოლ-გარმონის ფონზე მიმდინარეობდა. დამე შინ რომ შეგროვდებოდნენ და პატარძალს მოიყვანდნენ, მაშინ უკვე „ჩუნგურით“ განაგრძობდნენ და აშუდური ჟღერდა“ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011-12 წწ.). ქორწილის დამთავრებისათვის უკრავდნენ გეთას. „როცა ქორწილი დამთავრდება და ხალხში შინ წასვლას დაიწყებს, ან როცა პატარძალი გამოჰყავთ გარეთ, იტყვიან: გეთად დოუკარით, ხალხი წავდეს დაა“ (როსტიაშვილი, 1978:54).

მაყარს ჰერულად „ჰენგას“ უწოდებენ. გამონათქვამიც არის „ჰენგი“ (ანუ მუდამი) არ გაგივაო. მუდამი იგივე ჰანგია. „მაყარი ჩვენთან ახლად შემოსული სიტყვაა“ – აღნიშნავს მართა ტარტარაშვილი.

1999 წლის დეკემბერში ვიდეოკასეტაზე ოჯახის წევრებმა გადაიღეს სპარტაკ ბაჩალიაშვილის ქორწილი, სადაც სადღეგრძელოების შემდეგ ძალზე ხშირად ისმის სიმღერით გამბული ხმოვანი „ა“ (ერთ ბგერაზე). ამგვარ შესრულებას ჯერ კიდევ დიმიტრი ჯანაშვილი აღნიშნავს (ჯანაშვილი, დ. 1867:4, №49).

„აყარ-მაყარს“ (აუდიოდანართი, №192) მართა ტარტარაშვილის თქმით, ბავშვები აიწონა-დაიწონაზე მდეროდნენ. ტექსტიდან ჩანს, რომ აყარი სხვენია. ქორწილის დამთავრების დამეს ნეფუ-პატარძალს საძინებლად აყარზე გაუშვებდნენ. მართას ვარაუდით, სიმღერა თავდაპირველად დაკავშირებული უნდა ყოფილიყო საქორწილო რიტუალთან.

„გუთხე-კუთხე, ჭერი“ (აუდიოდანართი, №193) ქალბატონ მართას იასონ თაგოშვილისა და გორგი ჩხაიძისგან (ერთმანეთის მეგობარი მასწავლებლები) გაუგია. დალოცვის ტექსტში ასახულია მასპინძელსა და ოჯახთან დამშვიდობება.

ჭერეთში გვხვდება შემდეგი საკრავები: გარმონი, საზი, ნაღარა, ზურნა და ტანბური. არჩილ ჯანაშვილი საკრავებიდან ბალაბანს (სალამურს), სტვირსა და დაირასაც ახსენებს. გარმონებს იგი დიდ და პატარა გარმონებად აჯგუფებს. პატარა გარმონს „ბუზიკანს“ ეძახის, ხოლო ნაღარას კი დოლს (ჯანაშვილი, ა. 1991:11, 17, 26-27). ბალაბანი, სტვირი და დაირა ინგილოურ ქორწილებსა და თავყრილობებში გავრცელებული არ ყოფილა. საინტერესოა, რომ ბავშის ენაზე ქორწილს „დუმდუმ“ ჰქვია. სმენითი ასოციაციით ეს მარცვლები ნაღარის დარტყმის ხმისათვის მიუმსგავსებიათ.

თუკი ნაღარა-ზურნაზე და ჩონგურზე დამკვრელები კაცები იყვნენ, გარმონს ძირითადად ქალები უკრავდნენ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011-12 წწ.). მართას ცნობით, ქორწილის დამთავრების შემდეგ, მეზობელი ან ბიძაშვილი საკლავს დაკლავდა და დაპატიჟებდა ნაღარა-ზურნაზე დამკვრელებს. ცალკე გადაიხდიდა პატარა ქორწილს, ნეფე-პატარარძალს მიიწვევდა სუფრაზე და ქორწილივით რამდენიმე დასაკრავს ეზოში შეასრულებინებდა (ჩავწერე 2011 წ.).

ბერი სვიმონ აბრამიშვილის ცნობით, ქორწილი ორად იყო გაყოფილი: პატარძალთან ქალები მდეროდნენ და დოლ-გარმონი იყო, კაცებთან კი – ნაღარა-ზურნა (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012-13 წწ.).

„დაქორწინებისა და ჯვრისწერიდან ორი-სამი თვის შემოდგომ სიმამრი სიძეს დაუძახებს და მეუღლითურთ სახლში მოიპატიჟებს. სიძემ თუ იცის ჩუნგური, აკვრევინებენ, თუ სიმღერა იცის – ამღერებენ. ლხინის დროს უსათუოდ მოიწვევენ კარგ მეჩონგურეს და კარგ მომდერალს, ამ დღიდან ქალისთვის, მამისა და სიძისთვის სიმამრის კარი მუდამ ღიაა“ (ჯანაშვილი, მ. 1910:108).

აღსანიშნავია, რომ სიტყვა „დაკვრა“ ჭერულად „დანაკარ“-ია, რომელსაც სხვა – საკრავის, დამკვრელის და ჩარტყმული ადგილის მნიშვნელობითაც ხმარობენ (როსტიაშვილი, 1978:69).

სანამ გარმონის რეპერტუარზე ვისაუბრებდე, ორიოდე სიტყვით უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოკავკასიაში საუკუნეების მანძილზე ძლიერი იყო ქართული ულემენტი, როგორც ვოკალურ და საკრავიურ მუსიკაში (მაისურაძე, 2015:244-245, 260-261; შილაკაძე, 2007:244, 265), ისე მატერიალურ კულტურასა და ეკონომიკაშიც (ბოცვაძე, 1968; შავხელიშვილი, 1980).

ჩრდილოკავკასიელებზე წერს ასევე ედიშერ გარაფანიძეც. მისი აღნიშვნით „კავკასიელი მთიელების უმეტეს ნაწილს მრავალხმიანი ხალხური სიმღერები აქვს. მრავალნი (მეტადრე – ჩვენი უახლოესი მეზობლები) ქართულ ყაიდაზე აწყობენ ამ სიმღერებს, ორხმიანებს ასამხმიანებენ, აკორდებს ჩვენებურად მართავენ და მშვენიერი შედეგიც გამოსდით“ (გარაფანიძე, ე. 2007:194). ქართული და ჩრდილოკავკასიური მუსიკალური ნიმუშების მსგავსებაზე ეთნომუსიკოლოგები ნატალია ზუმბაძე და ქეთევან მათიაშვილიც მიუთითებენ (ზუმბაძე, მათიაშვილი, 2012:133-154). მათ გელაშვილი საკითხს ასე ცალსახად არ აყენებს და თავს იკავებს კონკრეტული დასკვნებისგან (გელაშვილი, 1997).

გარმონზე შესრულებულ დასაკრავებში, რომელთა ნაწილს („ლეზგინკა“, „სარბაშული“) ინგილოები ჩრდილოკავკასიურ დასაკრავებად მოიხსენიებენ, აშკარაა ქართული ხალხური მუსიკის კვალი (აუდიოდანართი, №194). გარმონზე შესრულებულ ზოგიერთ დასაკრავში კი („თიფლიზა“, „თარაქამა“) სპარსულაზერბაიჯანული მუსიკის გავლენა აშკარაა (აუდიოდანართი, №195). ამავე დროს ტრადიციული ინსტრუმენტული მუსიკის ოდესდაც არსებობის ფაქტიც აშკარაა, მით უმეტეს უნდა ყოფილიყო ფანდური (ამაზე ოდნავ ქვევით), მაგრამ ქართული მუსიკის შესახებ დღეს, სამწუხაროდ, არაფერია ცნობილი.

გარმონი ძირითადად ყაზანიდან შემოდიოდა (სურათი, №10) ძალიან ძველ გარმონებს უკან ჩვეულებრივი დილაკების ნაცვლად რკინის კოვზის მაგვარი რამდენიმე დილაკი ჰქონდა (სურათი, №11). კლავიშების ფორმა უმეტესად მართკუთხა იყო (იქვე). შავი ფერისა და რკინის კოვზისნაირი გარმონი კაპელ თამარ ყულოშვილის დედასაც ჰქონია (სამწუხაროდ, ინსტრუმენტი აღარ არსებობს).

გარმონს მეორენაირად „ბუზიკანსაც“ ეძახდნენ. თუ გარმონის კლავიში გაფუჭდებოდა, ხელოსანი მას ქინძისთავით ასწორებდა (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012 წ.). ვ. შიოშვილის ცნობით, გარმონის კლავიშებს „თითები“, ხოლო დილაკებს კი „ზგუკი“ ეწოდებოდა (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012 წ.). აღსანიშნავია, რომ ჯავახიშვილი გარმონს არ ახსენებს. ეს საკრავი არც მოსე და დიმიტრი ჯანაშვილებთან არ გვხვდება, შესაბამისად, ჯავახიშვილის ექსპედიციის დროს (1935 წელი), გარმონი ნაკლებად უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

რაც შეეხება დოლ-გარმონიან ანსამბლს, აქ ერთი გარმონი და ერთი დოლი მონაწილეობდა. სხვა საკრავების ანსამბლები ჰერეთში არ არსებობდა.

საინგილოში გავრცელებულ ნაღარა-ზურნაზე სპარსულ-აზერბაიჯანული მუსიკა უდერდა (აუდიოდანართი, №196), ამას აზერბაიჯანულთან (ვიდეოდანართი, №22-24) შედარებაც ადასტურებს, თუმცა სრულდებოდა ზოგადქართული მელოდიებიც (აუდიოდანართი, №197). როგორც ჩანს ზურნაზე აუდერებულ ახლადშემოსულ ჰანგებში (ჯავახიშვილი, 1992:329-330) მკვლევარს ქართული ნიმუშები უნდა ეგულისხმა.

ჯავახიშვილის აღწერის მიხედვით, „მეზურნე დაწყებისას ჯერ „ნაღმა“-ს („ნაღმავ“) უკრავს (ნელი დაკვრაა, გამართვა-გაჩაღება), შემდეგ „ჩევურმას“ („ჩევურმავ“ თურქულია, ნიშნავს მობრუნებას, ერთიდგან მეორეზე გადასვლას) და მერედა იწყება „ზიმე დაკრავ“ (მძიმე დაკრავ)“ (ჯავახიშვილი, 1992:330). მისი მიხედვით ზურნაზე იკვრება როგორც საშიპრეველი“ (სათამაშო, საცეკვაო), ისე სხვადასხვა ჰანგებიც. მაგ. „არსენა“, „დავით მეფე“, „თამარი“, „ირაჟყააზი“, „ზალ გამნაყონს“ (პატარძლის გამოსაყვანს), „ტაშ ალთი“, „სამარყანდი“, „მექლუმი“ და სხვა (იქვე, 1992:329-330).

ზურნას ჰერები „ყავალსაც“ უწოდებენ, ნაღარას – „ნაღრას“ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011-13 წლ.). ნაღარას სინონიმად ლიტერატურაში „დაფდაფი“ გამოიყენება. ნაღარა-ზურნის ანსამბლი ოთხი კაცისგან შედგება (სურათი, №12). ორი მეზურნეა, მათგან ერთი ბანის, ანუ დემის დამჭერი და ორი მენაღარე. დიდ ნაღარას ერთი ჯოხი აქვს, პატარას კი ორი (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011-13 წლ.). ჯავახიშვილი დიდს „ქოსს“ ანუ „ბამს“ უწოდებს (ჯავახიშვილი, 1992:329). ჯავახიშვილი ნაღარის ჯოხს „ჩიკს“ უწოდებს (იქვე), თუმცა „ჩიკთან“ ერთად მე და ქმა მართამ ჩავწერეთ ტერმინები „ჩალიკი“, „ჩიკორი“. ზოგიერთი მთხოობელი ჩიკორს პატარა დოლსაც უწოდებს. აქ პატარა ნაღარა უნდა იგულისხმებოდეს, რადგან ინგილოების თქმით განსხვავება მხოლოდ დაკვრის ხერხშია, რადგან „ნაღარაზე ჯოხით, ხოლო დოლზე კი ხელებით უკრავენ“. მათი აზრით, ერთიდაიგივე საკრავი შეიძლება ნაღარაც იყოს და დოლიც (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011-12 წლ.). ვ. შიომვილის ბავშობაში (1930-იანი წლები) კერამიკის დოლებიც ჰქონიათ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012 წლ.).

ნაღარა-ზურნის ანსამბლი ეს ანსამბლი ყველაზე ხშირად ქორწილში გამოყენებოდა. იგი გვხდვებოდა ნიშნობაზე, პატარძლის სახლიდან გამოყვანისა და სიძის სახლში წასვლისას, დედამთილის მიერ სიძე-პატარძლის მიგებებისას, ჭურის ახდისას, საქორწინო სუფრაზე და ა. შ. საინტერესოა, რომ კაცების ცეკვის დროს ქალები მღერიან და პირიქით (Фон्ह-Плотто, 1870:32). ნაღარა-ზურნა როგორც ზეგით

აღვნიშნე იგი ასევე გვხვდებოდა ყანაში, ქურმუხობაზე და სხვა დღესასწაულებზე (მაგალითად ჯარიდან შვილის ჩამოსვლისას). მეზურნეს „ყავალჩი“, ხოლო მენადარეს კი „ნადრაჩი“ ეწოდება. ამ ანსამბლს პირველად დიუმა აღწერს (დიუმა, 1964:247, 248). იგი ორი ზურნის მონაცელეობაზე საუბრობს (იქვე:248), ედილთან კი ორის მაგივრად ერთი ზურნა იგულისხმება (ედილი, 1947:86). პლოტტოსთან ხშირად ნაღარა-ზურნის ნაცელად ხშირად მხოლოდ ზურნაა მოხსენიებული. დიუმა ორი ზურნის მონაცელეობას შემდეგნაირად ხსნის: „მემუსიკები რიგრიგობით უკრავენ ზურნას, რადგანაც იგი საშინლად დღის დამკვრელს. მხოლოდ ქართულ მკერდს შეუძლია ასე დაუდალავად უბეროს თავის ნაციონალურ ინესტრუმენტში. აქ ჩვენ საქმე გვქონდა თათრულ მკერდებთან და თუმცა ისინიც გამძლე არიან, მაინც იძულებული იყვნენ, მონაცელეობით ებერათ“ (დიუმა, 1964:248). დღეს არაქართულენოვანი ინგილოებიცა და აზერბაიჯანელებიც ერთდროულად ორ ზურნაზე და ორ ნაღარაზე უკრავენ.

ჯავახიშვილის მოპოვებული საექსპედიციო მასალის მიხედვით ირკვევა, რომ „ზურნის მილს („ლულას“) და ხშირათ თვით „ენასაც“ ყიდულობენ ქ. ნუხში. ენას აცმული აქვს ზედ „მილიჩაი“ (პატარა თხელი ბორბალია „ვარშავის“ ხისა ან ძვლის), რომ მილში დრმად არ შევიდეს“ (ჯავახიშვილი, 1992:329).

იმავეს აღწერით „„ყავალჩივი“(ს) ზურნას ზევით აქვს შვიდი ნაჩვრეტი, რომელთაგან ზევითგან სამზე „შუას, ანუ შუა კმას“ უკრავენ, ქვევით, მეშვიდემდე ოთხზე კი – ბანგს“ (ბანი) და ქვევით – ერთი ნაჩვრეტი, რომელსაც „ზილ“-ს ეძახიან და „ზილ“-ი ხმის მისაღებათ ზედ მიბჯენილ ცერ თითს სწევენ ხოლმე დაკვრისას საჭირო დროს“ (იქვე).

„დემ დანაჭერ ზურნაითი (ასაყოლებელი, ბანის მომცემი) დიდ მეზურნეის შუად დაკრაში შუად თითევს პწევენ, ბანგ დაკრაში ბითუმ ანუ (ალესრუ) – თითებს აწყობენ“. დიდ მეზურნეს ზურნაზე მარაგათ უკიდია ხოლმე ხუთი „მილიჩაი“ და ენები, „დემ დანაჭერს“ კი – ორი-სამი“ (იქვე).

ზურნა ჭერმის ხისგან კეთდება. ხეს ზამთარში ჭრიან, დეკემბერ-იანვარში წყალი რომ გამშრალია მაშინ და მიაქვთ ნუხში ოსტატთან. საკრავების ოსტატებმა მე და ქ-ნ მართას გვითხრეს, რომ „იანვარში მასალა უნდა გააკეთო, თორემ საკრავის სახეს როდის მისცემ – არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია მასალა ზამთარში მოიჭრას. სამნაირი ზურნაა: პირველი – პატარა, მეორე – საშუალო და მესამე კი დიდი. დიდს – დაბალი რეგისტრი გააჩნია, პატარას – მაღალი, ხოლო საშუალო ზომისას კი საშუალო. ზურნა შექიში (ნუხში) კეთდებოდა. შესამკობელ

ძეწკვს პატრონი აკეთებდა. დაბოლოება – გაფართოებული ნაწილი ვერცხლისა იყო“ (ჩავწერეთ 2011-13 წლი). ზოგი მთხოვობელი ზურნას, კლარნეტსაც ეძახის, სავარაუდოდ, მისი აგებულებისა და ტემპის მსგავსების გამო.

ზურნის ხმა მჭახეა. ბავშვი ტირილით უფროსებს თავს რომ მოაბეზრებს, ანდა ვინმეს გააჯავრებს, ქალბატონი მართას ეტყვიან – „ზურნაა შენ“ (ჩავწერეთ 2011 წლი).

ნადარა, რომელსაც ინგილოები ნაღრავს უწოდებენ, ლიტერატურაში ამ სახელწოდების გარდა, დოლის (დიუმა, 1964:247, 248), ბარაბნის (Фонь-Плотто, 1870:39), დაფისა (ჯანაშვილი, დ. 1867:4 №49; ედილი, 1947:86) და ბუბენის (Фонь-Плотто, 1870:22) სახელით არის ცნობილი.

ნადარის კასრი გარგარის, თუთის, ჭერამის, კაკლის, არყის ან წიფლის ხისგან მზადდება. ზევიდან და ქვევიდან გადაკრული ტყავი თხისაა. დიდ ნაღარას, ტყავის სიმაგრისათვის 4-5 წლის მამალი თხის ტყავს გადააკრავდნენ, პატარასას კი ორი წლის დედალი თხის ტყავს (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011-13 წლი). „გადასაკვრელად გაფხეკილი ტყავის ნაპირებს ახვევენ დიდ რკინის ჰალყაზე და მასზე აცმული პატარა რკინის ჰალყებით თოკის საშუალებით სჭიმავენ ორივ მხარეზე გადაფარებულ ტყავს“ (დამბაშიძე, 1988:603). გადასაკვრელათ გაფხეკილ ტყავის ნაპირებს ახვევენ „დიდ კინი ჰალყაზე“ და მასზე აცმული პატარა რკინის „ჰალყებით“ „ქენდირ“-ის (თოკის) საშვალებით სჭიმავენ ორივ მხარეზე გადაფარებულ ტყავს“ (ჯავახიშვილი, 1992:329). დამბაშიძის განმარტებით „ჰალყად“ – რგოლი, წრე, ყულფი, კილო ყური, ნასკია, რისამე გასაყრელად (დამბაშიძე, 1988:603).

ნადარა ნებისმიერ სეზონზე გაკეთდება. საკრავის მოსაჭიმ თოკებს კონკრეტული სახელი არ ჰქონდა. ადრე დვედით კრავდნენ. „საკრავს ხელოსანი აკეთებდა და ფულს ვუხდიდითო“ – გვითხრა დიმიტრი პაპიაშვილმა. მისივე ცნობით ნაღარის დასარტამი ჯოხები ახალი მუხის ტოტებით კეთდება (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011, 2013 წლი).

ნაღარა-ზურნა, ისევე როგორც „ჩუნგური“, ჰერეთის ქართულენოვან სოფლებში 40 წელია ადარ გამოიყენება. დღეს ნაღარა-ზურნა (რომელზეც არაქართულენოვანი ჰერები უკრავენ), მხოლოდ ქურმუხობაზე უდერს.

ჰერეთში ეთნოფორები საზს „ჩუნგურს“, ზოგჯერ ტანბურს (ტანბურზე ოდნავ ქვევით) უწოდებენ სიმთა რაოდენობა „ჩუნგურზე“, რომლის სალიტერატურო სახელიც ჩონგურია, ოთხიდან ექვსამდე მერყეობს. საკრავი თუთის ხისგან კეთდება. მასზე დამკვრელი ვ. შიოშვილი აღნიშნავს: „თუთის ხეს ნაჭერ-ნაჭერ

კოლიდით და წებოთი ვაწებებდით“. (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012 წ.). სიმები ცხვრის ნაწლავებიდანაა (სურათი, №13). ტყისთაველ მერაბ კუზიბაძაშვილის ოჯახში შენახულ „ჩუნგურს“ „გიტარის მაგვარი სიმები“ პქონდა, რომელიც მამამისს ნუხში უყიდია (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012 წ.). 6. როსტიაშვილი თავის „ინგილოურ ლექსიკონში“ აღწერს „ჩუნგურის“ ნაწილებს: „თუთის ხის ფირფიტებს მიაწებებენ და აკეთებენ „ჩუნგური ქელა“-ს. „ჩუნგური ტარ“-ს კი კაკლის ხისგან გამოსთლიან. ჩონგურის ნაწილებია: ჩუნგური ქელლავ - ჩონგურის „თავი“, ფართო, მრგვალი მხარე. ჩუნგური ტარ – ჩონგურის გრძელი და ვიწრო ნაწილი, რაზედაც სიმებია გაჭიმული და ბენდევ-ია დამაგრებული“ (როსტიაშვილი, 1978:225). „ბენდ – ჩონგურის ხიდები ლარით გაკეთებული, ასეთი ჩონგურს 12 აქვს“ (როსტიაშვილი, 1978:37). ფილოლოგ როგნედა დამბაშიძის განმარტება შემდეგნაირია: „ჩონგურის, გიტარის, მანდოლინისა და სხვა ამგვარ საკრავთა ტარზე (საცა სიმებია გაბმული) შიგ და შიგ განივად დაყოლებული, დანაყოფების შემქმნელი ზოლები, ცხვრის ნაწლავისაგან გაკეთებული. ჩუნგური ბენდევს ქირიშათ (ლარისაგან) აქეთევენ, ქირიშას ყოჩი (მამალი ცხვარი, ვერძი) ნაწლიერით აქეთევენ“ (დამბაშიძე, 1988:60). „ვირ – ჩონგურის სიმების მაღლა დასაყენებელი ვაცია“ (როსტიაშვილი, 1978:91).

ჯავახიშვილის აღწერის მიხედვით დასაკრავების სახელებია „ურფაი“, „თახნიშ“, „ყაბფიაი“, „აშიდ დონი“, „მაჟამმად თაღი“, „წინტაური“, „კუპკუ“ (გუგული), „მოკლე კატო“ და ა. შ. (ჯავახიშვილი, 1992:328). ამ საკრავის რეპერტუარი სამწუხაროდ ჩაწერილი არ არის, მაგრამ დასაკრავების უმეტესობა რომ აზერბაიჯანული იქნებოდა, ამას, საკრავზე არსებული სიმების რაოდენობის გარდა დასაკრავების სათაურებიც მიუთითებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სათაურები „კუპკუ“ და „მოკლე კატო“ შესაძლოა ისინი ქართული ან ნაწილობრივ ქართული დასაკრავები ყოფილიყო. სხვათაშორის, მანანა გაჯიშვილი ჩუნგურზე მთიულურ-კახური ტიპის საშაიროების დაკვრის ფაქტს აღნიშნავს (ჩავწერე 2017 წ.).

ინსტრუმენტულ მუსიკაზე, მათ შორის ჩუნგურად წოდებულ საზზეც, პირველ ცნობას დ. ჯანაშვილი გვაწვდის, იგი აღწერს სიმღერის თათრულად შესრულების ფაქტებს და რეპერტუარში ახსენებს „ქორ-ოდლუს და სხვა იმპროვიზატორების სიმღერას“ (ჯანაშვილი, დ. 1867:3-4. №49). ეს კი საკრავის არაქართულობაზე მიუთითებს. დიმიტრი ჯანაშვილის მამის მეჩუნგურეობა (კინწურაშვილი, 2006:360)

მაფიქრებინებს, რომ იგი, ნადარა-ზურნასთან ერთად, შევე 1840-იან წლებში გავრცელებული უნდა ყოფილიყო.

პერების მიერ 4-6-სიმიანი „ჩუნგურის“ რეპერტუარი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ საკრავის ტექნიკურ შესაძლებლობებზე წარმოდგენას აზერბაიჯანული ჩანაწერები გვიქმნის. ვფიქრობ, ამ მასალაზე დაყრდნობა გამართლებულია, რადგანაც ისტორიული პირობების გამო „ჩუნგურზე“ სპარსულ-აზერბაიჯანულისგან დიდად განსხვავებული მუსიკის აუდირება ძნელი იქნებოდა (აზერბაიჯანული საზი ვიდეოდანართი, №25-26). პერებში გავრცელებული „ჩუნგური“ მუცლით (მომრგვალებული ფორმითა და შეწებებული ნაწილებით) ქართულ ჩონგურს უახლოვდება, ხოლო დანაყოფების არსებობით კი – ფანდურს. აქ უცილებელია გავიხსენოთ, რომ ზოგან (მაგალითად, კახეთში) ჩონგურად ფანდურს მოიხსენიებენ (ჯავახიშვილი, 1938:157; შილაკაძე, 1970:48). როგორც ჩანს, პერებში ადრე ფანდური ყოფილა, რომელსაც დროთა განმავლობაში თათრული ჩანაცვლებია და სახელწოდება კი – ფუნქციათა მსგავსების გამო – იგივე დარჩენილა. ჩონგური პირველად ნახსენები აქვს მ. ჯანაშვილს. მისი ცნობით ჩონგური ოთხ-ხუთსიმიანი საკრავია (ჯანაშვილი, მ. 1910:130). მართალია, საკრავები ნახევრად დაშლილ მდგომარეობაში დაგვხვდა, მაგრამ ტემბრის ფიქსირება მოხერხდა (აუდიოდანართი, №198). ვასილ შიოშვილის ჩონგურის სიმების მასალა აშკარად უფრო ძველია.

2011-13 წლებში ჩაწერილი ინგილო ეთნოფორები ხუთ-ექვს სიმიან საზს იგონებდნენ (ჩემი და მართა ტარტარაშვილის მიერ ერთობლივად ნანახი ყველა საზი ხუთსიმიანია), თუმცა სიმების ნებისმიერი რაოდენობის მიუხედავად ყველა სიმის თანაბარზომიანობაზე გადაჭრით მიუთითებენ.

ჯავახიშვილი ვრცლად გადმოგვცემს „ჩუნგურის“ დამზადებისა და აწყობის წესს, მაგრამ ვინაიდან ტექსტის ეს მონაკვეთი პერულ კილოზეა აღწერილი, ციტატა ლიტერატურულად გაშიფრა ინგილო ფილოლოგმა შორენა თამაზაშვილმა: „ჩუნგურს უბამენ სიმებს და სამ ხმაზე: ორ სიმს ბანზე აყენებენ, ერთს, – ჟირზე, ერთსაც წვრილ ხმაზე. ზოგჯერ უფრო მეტ სიმსაც უყენებენ, მაგრამ ისევ სამ ხმაზე აყენებენ. ჩუნგურის სარქველზე სიმების ამოსაყუდებელ ვირს აყენებენ. ახლად აწყობილ ჩუნგურის ტარზე სიმების დაყენების შემდეგ დაკვრის საშუალებით ეძებენ დასახვევ, შესაკვრელ ადგილებს. დაკვრის დროს საჭირო ხმებისთვის ტარზე მონახულ ადგილზე ახვევენ ვერძის წვრილი ნაწლავებით გაკეთებულ ლარს, ჩუნგურის ტარის წვერიდან მესამე, მეხუთე, მეშვიდე, მეცხრე და მეთორმეტე ხიდებს „ოდალს“ ეძახიან, ხოლო დანარჩენებს – ჰარამიებს.

ჩუნგურს უკრავენ ბლის ქერქით გაპეტებული მედიატორით“ (ჯავახიშვილი, 1992:328). ჩვენ მიერ 2011-13 წლებში ფიქსირებულ ეთნოფორთა თქმით, სიმები იყო როგორც ცხვრის ნაწლავის, ისე მაგთულის. ეთნოფორთა თუ ჩვენ მიერ ნანახი საკრავების მიხედვით სიმები იყო თეთრი, შავი და მოწითალო ფერის.

ჯავახიშვილის მიერ მოპოვებული საექსპედიციო მასალის მიხედვით „საინგილოში გაგრცელებულ საკრავთაგან უმეტეს ნაწილს თვითონვე ადგილობრივ აკეთებდნენ. ზოგიერთ საკრავს, მაგალითად, „ჩუნგურს“ მარტო მცოდნე პირები, ამის ხელოსნები აკეთებდნენ“ (ჯავახიშვილი, 1992:328).

მისივე აღწერით ჩუნგურის/ჩონგურის ანუ საზის დამზადება შემდეგნაირად ხდებოდა: „თუთის ხისგან ჭრიან პატარ-პატარა ფიცრებს, შემდეგ თხლად ფხეკენ და თლიან. ჩონგურის ტარს ცალკე აკეთებენ კაკლის ხით, სქელ თავზე ირგვლივ ცოტა უქაწრავენ და წვეროს ხვრებენ ოთხი-ხუთი სიმის დასამაგრებელ „ვირები“-ს ჩასაყრელად. ჩათლილ ფირფიტებს ცეცხლზე ათბობენ და მაშისებრი რკინებით დუნავენ, შემდეგ ტარის თავის გარშემო ჭდეზე წებოს საშუალებით აკრავენ ფირფიტების ერთ ბოლოს, მეორე ბოლოს კი საამისოდ გამოჭრილ რქის ან პატარა ძვალში უყრიან. ასე გადაბმულ ფირფიტებს შორის დარჩენილ დრიჭობსაც წებოთი ამოავსებენ, ბოლოს ზევიდან აკრავენ თავის ყალიბზე გამოჭრილ ფირფიტას, სარქველს, რომელსაც გაცხელებული წვრილი რკინით უკავებენ რამოდენიმე ნახვრებს, რათა დაკვრის დროს სასიამოვნო ხმა მიიღონ (იქვე).

ტერმინი „ჩონგური“ და მისი ვარიანტები, ასევე, გვხვდება როგორც ჩრდილოეთ კავკასიელებთან ისე აზერბაიჯანელებთან. მაგალითად აზერბაიჯანში „ჩოდურის“ (Çögür) სახელწოდებით საზი უნდა იყოს წარმოდგენილი.

ჰერეთსა და აზერბაიჯანის სხვა რეგიონებში დამზადებული საზები ერთმანეთისაგან გარეგნულადაც განსხვავდებიან. თუკი აზერბაიჯანში გავრცელებულ ოთხ-ხუთსიმიან საზის მოქლონები ერთ მხარეზე აქვს, საინგილოში გავრცელებულ საკრავს, ქართული საკრავების მსგავსად – ორივეზე (სურათი, №14-15). რაც შეეხება ცხრასიმიან საზის (რომელსაც მოქლონები ორივე მხარეს აქვს განლაგებული), მასზე ჰერეთში არ გვსმენია. აზერბაიჯანელი მესაზის, თინა მეითოვის ცნობით (ჩაგწერე 2014 წ.), ეს უკანასკნელი საზის მოდერნიზაციის შედეგია და ძველი საზები ხუთსიმიანი იყოო.

თუკი ჰერეთ „ჩუნგურზე“ აუდერებულ დასაკრავებზე სათანადო მასალის უქონლობის გამო მხოლოდ დაუსაბუთებელი ვარაუდების გამოთქმაა შესაძლებელი, სამაგიეროდ ინტერნეტ-რესურსების წყალობით გვაქვს სიმებიან

ტანბურზე შესრულებული ნიმუშები. ერთ-ერთი ტელევიზიის მიერ ბელაქნის ო-ნის სოფ. ითითალას ინგილოებზე მომზადებულ სიუკეტში „Традиции народа Ингилои“ (ვიდეოდანართი, №27) ტანბური ორსიმიანი საკრავია. თუმცა ინტერნეტში მოძიებული სხვა მასალების მიხედვით იგი სამსიმიანიცაა. რაც შეეხება ხსენებულ სიუკეტს მასში მრავალი უზუსტობაა (მაგ. ინგილოების აზერბაიჯანელებად გამოცხადება). როდესაც ზაქარია ედილი აღწერს ფანდურზე თათრული ლექსების მდერას (ედილი, 1947:86), მას, მხედველობაში უნდა ჰქონოდა ან საზი ან ტანბური (შესაძლოა, ორივეც). ამგვარადვე უნდა ფიქრობდეს არჩილ ჯანაშვილიც (ჯანაშვილი, ა. 1991:11). პლოტტო კი მას ბალალაიკად იხსენიებს (Фонъ-Плотто, 1870:29). არსებული ცნობების მიხედვით ტანბურზე ქორწილსა და საზეიმო თავყრილობებზე უკრავენ. განმეორებით აღვნიშნავ, რომ ტანბურზე ან „ჩუნგურზე“ (შესაძლოა ორივეზეც) ქურმუხობისას სრულდება საინგილოს ძნელბედობის შინაარსის ამსახველი აზერბაიჯანული ლექსები (ედილი, 1947:88).

ჰერეთში ფანდური რომ გავრცელებული იქნებოდა, საზოან ერთად, ტანბურის არსებობაც მაფიქრებინებს. მართალია ჰერები ტანბურსაც ზოგჯერ „ჩუნგურად“ მოიხსენიებენ, მაგრამ ინტერნეტ-რესურსებში მოპოვებული მასალის მიხედვით, ორ-სამსიმიანი ტანბური ცალკე საკრავად უნდა განვიხილოთ, რადგანაც იგი ყველაზე ახლოს დგას ფანდურთან როგორც აღნაგობით, ისე დაკვრის ხერხითა და მრავალხმიანობით. ინტერნეტ-რესურსებში ძებნისას აღმოჩნდა, რომ ზაქათალა-ბელაქნის აზერბაიჯანულენოვან სოფლებში ტანბურზე შესრულებული ჰანგები თურმე ქართულ ან ზოგადად ჩრდილოკავკასიურ მრავალხმიანობას მიეკუთვნებოდა (ვიდეოდანართი, №28-32).

ტანბური გავრცელებულია დაღესტანშიც „Куядა“-სა და „тамур“/„Хабиб“-ის სახელწოდებით (ვიდეოდანართი, №33-34). შილაკაძე აღნიშნავს რა ჩრდილოეთკავკასიაში ფანდურის ტიპის ინსტრუმენტების ტრადიციის არარსებობაზე, ჩრდილოკავკასიელებთან ამგვარი ინსტრუმენტების საქართველოდან გავრცელებაზე საუბრობს (შილაკაძე, 2007:244, 265). ტანბური ფანდურისნაირია. იგი აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებულ ფანდურს, არამარტო დასაკრავებით, არამედ გარეგნობითაც საკმაოდ ჰგავს.

ცხადია, ქართულ და ჩრდილოკავკასიურ ინსტრუმენტულ მრავალხმიანობას შორის საკმაოდ დიდი მსგავსებაა, მაგრამ, ვინაიდან ბელაქანსა და ზაქათალაში გალეკებული ქართველებისგან შემდგარი მოსახლეობაა ნაგულისხმევი, ვფიქრობ, რომ მათი დასაკრავები, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ქართულია

(ინგილოური). ტანბური ახლოს დგას ქართულ ორსიმიან ფანდურთან. „ჩუნგურის“ სახელწოდება, ისევე როგორც ტანბურის მსგავსება, მავარაუდებინებს ჰერეთში ქართული ფანდურის არსებობას.

ჯავახიშვილის თქმით, „ლეკებში და მათი გავლენით ალიაბათში მიღებულია აგრეთვე „ტამპურ“-იც, რომელიც წარმოადგენს ჩომჩასავით ამოდარულ, ზედ საქველდაკრულ შედარებით პატარა ჩონგურს, ზედ უბიათ ორი „ხადათი“ სიმების მაგიერ და უკრავენ ორ ხმაზე“ (ჯავახიშვილი, 1992:329). მართალია ზაქათალაბელაქანში ძირითადად გალეკებული (შემდგომ გააზერბაიჯანელებული) ქართველები ცხოვრობენ, მაგრამ ტანბურის სიახლოვე ფანდურთან აშკარაა, მით უფრო, რომ მასზე შესრულებული ჰანგები ქართული ან ჩრდილოეთ კავკასიური (ჩემი აზრით, უფრო ქართული) ორხმიანობაა.

ბერი სვიმონის თქმით, სიმებიან საკრავს ჩადარა ერქვა. საკრავის მასალად შინდი, თხილი ან შეტრუსული ვაზი გამოიყენებოდა, სიმების მასალად – აბრეშუმი. ზოგი ორ და სამ სიმსაც უკეთებდა (სხვა ცნობით, ოთხსიმიანიც ყოფილა და ცაცხვითაც კეთდებოდა) (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011-13 წლ.). საკრავის ფორმასა და დამზადებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები დასაზუსტებელია. შესაძლოა, აქ „ჩადანა“ იგულისხმებოდეს.

არსებობს საკრავი „ჩადანა“, „რომელიც გავრცელებულია ლეკებში (და ლეკები) ეძახიან „ქამანჩა“-ს, აკეთებენ გოგრით, ორშიმოს მსგავსად. კოტოშს ამოთხრიან, ზედ დააკრავენ ძროხის ფაშვის კანს. თარის მაგივრად უყრიან ხეს და აბამენ სიმებს. უკრავენ ცხენის ძუით მოხრილ ხეზე გაკეთებული „სმინკით“ (იქვე:328-329) (ციტატის გალიტერატურულებული ვერსია ეპუთვნის ფილოლოგ შორენა თამაზაშვილს).

„დჟრაგს“ (სტვირს) ან ლერწამით აკეთებენ (მილში შიგ უგდებენ ხის ენას), ან მზა, გაკეთებულ „ხის დჟრაგს“ ყიდულობენ. ამასვე ეძახიან „სარამულ“-საც. როგორც „დჟრაგს“, ისე „სიფსის“ აქვთ რვა-რვა ნაჩვრეტი: 7-7 ზევით, თითო ქვევით. ხის „დჟრაგის“ მსგავს ჩალისენიან საკრავს „დჟდჟქ“-ს ეძახიან (იქვე:229). შესაძლოა აქ დუდუკი იგულისხმებოდეს. ედილის თქმით ქურმუხობაზე ზურნა გრიალებს, დუდუკი კვნესის (ედილი, 1947:88). დუდუკს ზოგი სხვა მოხრობელიც იცნობს, მაგრამ – ჰერეთში გავრცელებული არ ყოფილა.

ქალბატონი მართა, ბუკის მსგავს საკრავსაც იგონებს. მისი ცნობით, როდესაც აქლემების ქარავანს მარილი მოჰქონდა, სასიგნალოდ ამ საკრავზე ჩაბერავდნენო (ჩავწერე 2011 წ.).

ცხადია, პერული საკრავიერი მუსიკის დაკნინება-დაკარგვის თარიღის ზუსტი დადგენა შეუძლებელია, თუმცა ფაქტია, რომ ადგილობრივ დასაკრავებზე არაფერია ნათქვამი არც XIX-XX საუკუნეების მიჯნის ინგილო მოღვაწეების მ. ჯანაშვილის და ბ. ხუციშვილის ცნობებსა და არც ი. ჯავახიშვილის ნაშრომებში, პერეთი ერთადერთი კუთხეა, სადაც სიმღერაზე და საკრავებზე შესრულებული რეპერტუარის მუსიკალურ მხარეზე ჯავახიშვილი არაფერს ამბობს, თუმცა დასაკრავები ქართული ხასიათის არ უნდა ყოფილიყო. ამას ნიმუშთა სახელწოდებების გარდა მაფიქრებინებს მონოგრაფიაში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ პერეთის საერთოდ არმოხსენიების ფაქტიც.

პერული მუსიკისა და საკრავების შესახებ პირველ ცნობას დ. ჯანაშვილი გვაწვდის: „სხვა დაჩაგრულ ხალხებს თავის ტანჯვაზე ბევრი სამწუხარო სიმღერები შეუდგენიათ, და აქვთ ესენი ინგილოებსაც? ინგილოებში ამგვარი სიმღერები არ არის. ამისათვის რომ მათ ისინი შიშისა გამო ვერ შეუდგენიათ. მაგრამ ჩონგურზე ძრიელ დიდათ და სამწუხაროდ გამოუხატავთ თავისი ტანჯვა და მწუხარება“ (ჯანაშვილი, დ. 1867:3, №48). ქორწილში ბიჭის და გოგოს მხარეს სუფრებია გაშლილი ერთერთს უჭირავს ხელში ჩონგური, უკრავს საშინელი ეშხით (ენერგიით) და ზედ დაძახის ქორ-ოდლუს და სხვა იმპროვიზატორების სიმღერას. ამასობაში ერთი მეორეს შაებმის და ბოლოს ერთ-ერთი აჯობებს. ჯობნება იმაში მდგომარეობს, რომ ესენი მოწინააღმდეგე აშუდების სიმღერას ეუბნებიან ერთმანეთს თათრულს ენაზე, რომელიც მათ გაგონით აქვთ დასწავლული. და მაშინ თუ ქოროდლის უჯობებია თავის სიმღერაში მოჯიბრე მერიხნუმასათვის, ეხლაც ის აჯობებს. ხალხი ყურს უგდებს, ამისა გამო მომღერალი როდესაც გაათავებს, მაშინ დაიძახებს: „გამგონი ღმერთმან აცოცხლოს“, ახლა ისინი შემოსძახებენ: „ჰი.... ი. გაუმარჯო....ო....ოს.“ ზოგიერთი უფრო ნიჭიერი ინგილოურს ენაზედაც მღერის. სასიამოვნოა სმენა, როდესაც ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან, სხედან და ქვევიან“ (იქვე). „დაფა-ზურნა საღამომდე იკვრის“ (იქვე:4). აქ ნახსენები ნიმუში, შესრულების ადგილისა და ფუნქციის მიხედვით შაირი უნდა იყოს.

პერეთში მრავლადაა საბავშვო საკრავი (ძირითადად, ჩასაბერები) და მათ უმეტესად მოზარდები აკეთებდნენ:

„სიცსივ (სიმსიმ, ტვირილა) – ყავარით (ლურწამივითაა) კეთდება. მას ზოგი გოგრის ღეროთი, პურის ლერწმით, ან კაკლის ხისგანაც აკეთებდა. სალამურის მაგვარია, ოდონდ მასზე უფრო ნაზსა და წვრილ ხმას გამოსცემს. გაცხელებული

შამფურით აკეთებდნენ დრუს და 6-7 ნასვრებს (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011-13 წლ.). ნათელა როსტიაშვილის აღწერის მიხედვითაც, ეს საკრავი ნეკა თითის სიმსხო მილისაგანაა გაკეთებული, შიგ ჩალის ენა აქვს ჩადებული, 7 ხვრელი ზევით, 7-იც ქვევით აქვს (როსტიაშვილი, 1978:172). „სიფსიი“ უმეტესად გაზაფხულსა და შემოდგომაზე კეთდება. ამით თავს სამწყემსურშიც ირთობდნენ. არის როგორც ერთმაგი, ასევე ორმაგი ანუ წყვილი (ერთმანეთზე გადახვეული) სახით, რომელსაც ყოშა სიფსის უწოდებენ (დამბაშიძე, 1988:409). ორმაგი სიფსი „ყოშა (წყვილი) სიფსის“ სახელითაა ივანე ჯავახიშვილთანაც მოცემული (ჯავახიშვილი, 1992:329). საკრავი (როგორც ერთმაგი ისე ორმაგი) გასართობად კეთდება და „შესდგება ნეკი თითის სისქე დაჩვრეტილი ლერწამის მილისა და ჩალის „ენისგან“ (იქვე:329). ბალახით ან თოკით შეერთებული მილებით ორმაგი „სიფსიი“ შესაძლოა, მეგრულ ლარჯემსა და გურულ სოინარს შევადაროთ, თუმცა, ჩანაწერების უქონლობის გამო მათ რეპერტუარსა და მუსიკალურ მხარეზე ვერ ვიმსჯელებ.

ბერი სვიმონის ცნობით, ტვირილა დუდუკივით იყო ოდონდ სამი თვალი ჰქონდა და გაზაფხულზე წყლის ხეში ჩადგომის დროს მზადდებოდა (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012-13 წლ.).

საინტერესოა სიტყვა „სიფსი“, „სიმსიმ“-ის ეტიმოლოგია. მ. ტარტარაშვილის თქმით, იგი (ისევე, როგორც ვიტიტი) სტვენით მიღებული ბგერებიდან უნდა მოდიოდეს (ჩავწერე 2011 წ.). სერგო ზეინალაშვილის თქმით, „დუდუკიც იგივე მასალით კეთდებოდა და ანალოგიური ფუნქცია ჰქონდა, განსხვავება მხოლოდ ზომებში იყო“ (ჩავწერეთ მე და მ. ტარტარაშვილმა 2012 წ.). დუდუკი ჰერეთში გავრცელებული არ ყოფილა.

„ვიტიტიც“ (ვიპტიტი, სვიტინა) საბავშო საკრავია (აუდიოდანართი, №199). თვლები არ გააჩნია, მაგრამ ქვევით დაწევისას, დაღმავალი მიმართულებით რამდენიმე ბგერის აღებაც შეიძლება (ვიდეოდანართი, №35). იგი გაზაფხულზე კეთდება. როდესაც ხეში წყალი დგება, კანი ადვილად მოსაძრობია. მასალად თუთის, თხილის, ლეღვის ან ტყუილი კაკლის ხე გამოიყენება. ტოტს თავს შემოაჭრიდნენ და ცოტათი გათლიდნენ, რომ ჰაერს ემოძრავა. შემდეგ კანის გამოძრობის მიზნით დაუწყებენ ზემოდან დანის ტარით დარტყმას (ლოფო-ლოფო გამოდის სწორედ ამ დროს მდერიან). „ლოფოს რო გადატეხავდი წვეთები ჩამოდიოდა, ეგ იყო რზიანა. გრძელ კალათის წკირს ვიღებდით და იმ წკირით უკრევდით და მერე გამოდიოდა კევი. ზოგჯერ ადრე შედედების მიზნით ერთ

წვეთს ჩავაგდებდით და პევი მალე ამოდიოდა“ გადმოგვცემდნენ მთხობელები. საკრავის დამზადების დასრულებისას გამოძრობილ კანს ისევ ზევიდან წამოაცვამენ. ფოტოზე ჩვენთვის სპეციალურად დამზადებული „გიტიტი“ (სურათი, №16) აღვბეჭდე. ზაქათლის ონის სოფ. ვერხვიანში დაბადებულ იადიგარ აღამამედოვას ცნობით მას „ტუტე“-ს ეძახიან. ვერხვიანში ქართული სკოლა 1927 წელს დახურეს და დღეს უკვე მშობლიურ ენაზე ვეღარ მეტყველებენ, ამგვარად სავსებით შესაძლებელია „ტუტე“ ვიტიტის აზერბაიჯანული სახელი იყოს. tytek აზერბაიჯანში მსტვენავ ფლეიტას ჰქვია, რომელიც სალამურის მსგავსია, მაგრამ მისი დიაპაზონი დუოდეციმას აღწევს (Вертков, 1953:81, ტაბ.: 376-378). ცხადია, რომ მთხობლის მიერ დასახელებულ „ტუტეში“ ნამდვილად ვიტიტი იგულისხმება და არა ვერტკოვთან მოხსენიებული საკრავი.

რუსლან ახმედოვი (რამაზიშვილი) კიდევ ერთ საკრავს იხსენებს, მას „ბოროზანი“ ჰქვია და კაკლისგან კეთდება. კანს გამოაცლიდნენ, მილივით ავევდენ და ჩაჲყვირებდნენ „ბუუ“-ს. იგი ერთ ბგერას გამოსცემდა (ჩავწერე 2012 წ.). გერა მამულაშვილი ჩვენთან საუბარში მსგავს საკრავს „ბორადანად“ იხსენიებს. იგი ჩვეულებრივი მწვანე ხახვის ფოჩისგან (დეროსგან) მზადდებოდა და დიდ ხმას გამოსცემდა. კონსტრუქცია ძალიან მარტივი ჰქონდა. უბრალოდ ცოტა უფრო ჯანსაღი ფოჩის გამოჭრა უნდოდა. ესეც გაზაფხულზე კეთდებოდა. „ბოროზანი“ და „ბორადანი“ ერთი და იგივე საკრავი უნდა იყოს, რაზეც თვით საკრავის კონსტრუქცია მიგვანიშნებს (ჩავწერე 2012 წ.).

ცნობილია, რომ მთელი ჰერეთი აზერბაიჯანს უკავია, ჩვენ მხარეს არის მხოლოდ სოფელი სამთაწყარო, რომელიც შეიქმნა 1931 წელს. გამუდმებულ რბევა-თარეშს ვერ გაუძლო კახის ონის სოფ. ყორადნის მოსახლეობის ქრისტიანულმა ნაწილმა, გამოიქცა და საქართველოში, თავდაპირველად ყვარლის ონის სოფ. ზინობიანში ალბანელებთან დასახლდნენ, თუმცა მათთან კონფლიქტის გამო აიყარნენ და ზაქათლის ონის სოფ. მუდანლოს მოსაზღვრედ დააარსეს სოფ. სამთაწყარო. იგი დედოფლისწყაროს ოში 1938 წლიდან შევიდა, მანამდე კი სიდნაღს ეკუთვნოდა. ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, სამთაწყაროს გარდა, ჰერები სხვა ადგილებშიც (ძირითადად თბილისში, რუსთავსა და კახეთის რეგიონში) ცხოვრობენ, თუმცა საქართველოში ერთადერთი კომპაქტური დასახლება, ბოლო წლებამდე მხოლოდ სამთაწყაროში იყო. 1980 წლიდან დიდი რაოდენობით ჩამოსახლდნენ აჭარლები, იქამდე კი სამთაწყაროში მხოლოდ ჰერები ცხოვრობდნენ. ინგილოებს დღეს ცალკე უბანი უჭირავთ, თუმცა უბანი

ეკონომიკური პრობლემების გამო ბოლო წლებში თითქმის მთლიანად დაიცალა. მოსახლეობა საცხოვრებლად და სამუშაოდ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გაიფანტა.

სამთაწყაროელი პერები, როგორც ადრე აღვნიშნე, გაღმა საინგილოს მსგავსად ერთ ხმაზე მდერიან (აუდიოდანართი, №200). ექსპედიციებმა აჩვენა, რომ სამთაწყაროელთა მუსიკალური ფოლკლორი, გიდრე პერეთში დარჩენილებთან შედარებით, კიდევ უფრო დარიბია.

რაც შეეხება პერეთში დარჩენილ და სამთაწყაროში გადმოსახლებულ ინგილოთა მუსიკალური ფოლკლორის მსგავსება-განსხვავების საკითხს: სამთაწყაროს მუსიკალურ ფოლკლორში მიმდინარე ცვლილებებზე ჯერ კიდევ სამაგისტრო დიპლომში ვწერდი, მაგრამ შემდგომმა ექსპედიციებმა მეტის თქმის შესაძლებლობა მომცა.

როგორც ირკვევა, სამთაწყაროში დასახლების შემდეგ პერთა სიმღერა გარკვეულწილად შეიცვალა, თუმცა, ასევე, სახეზეა ზოგი ნიმუშის იდენტურობაც: კერძოდ, ცხოველებსა და ფრინველებთან დაკავშირებული ნიმუშები (სანოტო დანართი, №20) ორივეგან ერთნაირად სრულდება უცნაურია სამთაწყაროელთა სიმღერის დეგრადაცია. იგი გამოიხატება შემდეგში: სასიმღერო პანგებში უმეტესად დაკარგულია საყრდენი ტონის შეგრძნება (აუდიოდანართი, №201-202; სანოტო დანართი, №21). ზოგჯერ დაბოლოება ნორმალურად ჟღერს, მაგრამ არალოგიკურია დასაწყისი (აუდიოდანართი, №203). შეინიშნება ტრადიციული პერული ტექსტების სხვა (მაგალითად, ქალაქურ) მელოდიაზე შესრულების ფაქტებიც (აუდიოდანართი, №204). გვხვდება თავიდან ბოლომდე ლოგიკურად მეღერი ნიმუშიც (აუდიოდანართი, №205), მაგრამ ეს არც ისე ხშირია. გვქონია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე პირს შეუსრულებია პერული სასიმღერო ნიმუშების ნაწილი ტრადიციულად, ნაწილი კი დეგრადირებულად. ასევე შეინიშნება ამა თუ იმ სიმღერის (ძირითადად, სახუმაროს) დავიწყების ტენდენციაც.

სამთაწყარო ზაქათლის რაიონს ესაზღვრება, ამიტომ შეიძლება ვიკითხოთ – ხომ არ არის კახისა და სამთაწყაროს სიმღერების ერთიმეორისაგან დაშორება ზაქათლის რაიონთან სამთაწყაროს სიახლოვის შედეგი? ვფიქრობ არა, რადგან ზაქათლის ინგილოურ სიმღერებში არ შეიმჩნევა სამთაწყაროში თავჩენილი ცვლილებები. აღსანიშნავია, რომ სამთაწყაროში პერეთიდან გათხოვილი ქალების უდიდესი უმრავლესობა სწორედ კახის რაიონიდანაა. ინტერესმოკლებული არც ის ფაქტია, რომ პერეთის მხრიდან სამთაწყაროს მოსაზღვრე ზაქათლის რ-ნის სოფ.

მუდანლოში ქართველები არ ცხოვრობენ. აღსანიშნავია პერული სიმღერა „ალაზნი პირპირ“, რომელიც გავრცელებულია ზაქათლის ონის სოფ. ელისენსა და მოსულში (განმეორებით იხილე აუდიოდანართი, №183), სამთაწყაროში არ იციან. არადა სამივე სოფელი მდინარე ალაზანზე მდებარეობს. ამ სიმღერის სამთაწყაროში არცოდნის ფაქტი უნდა აიხსნას სოფ. ყორადანის (საიდანაც სამთაწყაროში წამოვიდნენ), მდებარეობით, რომელიც ალაზანს საკმაოდ მოშორებულია.

1980 წლიდან სამთაწყაროში ჩასახლება დაიწყეს ეკომიგრანტმა აჭარლებმა, რომლებიც დღეს სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 3/4-ს შეადგენენ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2013 წ.). იქნებ, სამთაწყაროელებზე გავლენა სწორედ მათ მოახდინეს? ვფიქრობ, ასე არ არის, რადგან: 1) მე და ქნ მართას ჩაწერილი გვყავს იმ ასაკის შემსრულებლები, რომლებსაც აჭარლების ჩასახლების დროს 30-40 წელს უკვე გადაცილებული იყვნენ; 2) მეოცე საუკუნის 40-იანი წლებისთვის, როდესაც სამთაწყაროელების მეტყველებამ გავლენა განიცადა, აჭარლები იქ არ ცხოვრობდნენ.

იქნებ, თავად კახის ონის სოფ. ყორადანის სიმღერა იყო დეგრადირებული? მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის უცნობია ამ სოფლის მუსიკალური მასალები (თუკი ასეთი საერთოდ არსებობს), ვფიქრობ – არა: 1) ვინაიდან ინგილოური სოფლების მოსახლეობაში სამთაწყაროულის მსგავსი პროცესები არ გვხვდება, მას თავის დროზე ადგილი არც ყორადანში ექნებოდა და 2) სამთაწყაროში 40-იან წლებში რამდენიმე კომლი კახის ონის სოფ. ქათმისხევიდანაც ქათმისხევიდან გადასახლდა. მართალია, ისინი „სამთაწყაროულად“ მდერიან, მაგრამ თავად ქათმისხევში მცხოვრებთა სიმღერაში ამგვარი რამ არ შეინიშნება.

ახლა გასარკვევია, განიცადა თუ არა სამთაწყარომ ზოგადქართული კულტურის გავლენა? ფილოლოგი გრიგოლ იმნაიშვილი ჯერ კიდევ 1940-იან წლებში ჩაწერილი ნიმუშების შესახებ აღნიშნავდა: „სამთაწყაროელებს უკვე მალევე დატყობიათ ქართულის, კერძოდ, ქედელთა მეტყველების გავლენა მათთან მჭიდრო და ყოველდღიური ურთიერთობის გამო“ (იმნაიშვილი, 1966:12). მაშასადამე, 1931 წელს დაარსებული სამთაწყაროს მკვიდრთა მეტყველებას გავლენა მალევე განუცდია. სამთაწყაროელ მოხუცებს ინგილოური ჰანგებიც უმეტესად სხვანაირად (არასწორად) ახსოვთ. შეიმჩნევა თუ არა თუნდაც ქედელების გავლენა სამთაწყაროულ მუსიკაზეც? როდის დაარსდა და ვინ ცხოვრობენ ამ სოფლებში?

ზემო და ქვემო ქედთან ერთად ასევე საინტერესოა არხილოსკალოც, რომელიც სამთაწყაროს უშუალოდ ესაზღვრება.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ შეკრებილი მასალებიდან ირკვევა, რომ ხევსურები (ზემო ქედი, არხილოსკალო), მთიულები (ზემო ქედი, არხილოსკალო) და ფშავლები (ქვემო ქედი) ცხოვრობენ. მათ გვერდზე სახლობდნენ ბერძნები (ქვემო ქედში) და რუსები (არხილოსკალოში), რომლებიც 1990-იანი წლებიდან თავ-თავიანთ სამშობლოს მიაშურეს. ზემო ქედი, ქვემო ქედი და არხილოსკალო 1890-1900-იან წლებში დაარსდა.

როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა გავლენა სამთაწყაროელთა მეტყველებაში მართლაც იგრძნობა, რასაც ვერ ვიტყვით მუსიკაზე. უცნობი პირის (2012), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრისა (2013, 2014) და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ექსპედიციებით (2014), ასევე მაყვალა წიკლაურის მასალით (1992), ირკვევა, რომ ზემო ქედში, ქვემო ქედსა და არხილოსკალოში გაბატონებულია ძირითადად ფსევდოხალხური სიმღერები, თუმცა ძველი, ტრადიციული ნიმუშების ჩაწერა დღემდე შესაძლებელია. შემორჩენილია მთის რეგიონებისთვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი მუსიკალური ნიშან-თვისება. გასაკვირი არის ის, რომ გამრავალხმიანების კონტექსტშიც კი სამთაწყაროს მუსიკაზე გავლენა არ მოუხდენია ქედებისა და არხილოს მუსიკას და ერთხმიანი დარჩენილა. რამდენად რეალურია სამთაწყაროს მუსიკაზე საბათლოელმა სომხებისა (დედოფლისწყაროს რაიონი) და მუდანლოელი მონდოლების (ზაქათლის რაიონი) გავლენა, დანამდვილებით თქმა არ შემიძლია.

სამთაწყაროში რამდენიმე ოჯახი ჰერეთიდან 1980-იანი წლებიდანაც ჩამოსახლებულან, თუმცა მათ შორის ხნიერები არ არიან და მათში ფრინველთა დაძლევის რამდენიმე ჰანგის გარდა, ვერც ვერაფერი დავაფიქსირე.

## 2.9 ფერეიდანი

შაჲ აბას პირველმა არაერთხელ ააოხრა ქართლ-კახეთი, მაგრამ ყველაზე მასშტაბური 1616 წლის ლაშქრობა იყო. აღმოსავლეთ საქართველოდან (უმეტესად თიანეთიდან, კახეთიდან და ჰერეთიდან) ტყვეები ირანში წაასხეს. უმეტესობა ფერეიდანში დასახლებულა. ალბათ ამიტომაცაა, რომ ძირითადად ფერეიდნელებმა შეინარჩუნეს ქართული ენა. ფერეიდნელთა ცენტრი ქალაქი მარტყოფია (ოფიციალურად ფერეიდუნშაჲი).

სამწუხაროდ, ირანში მცხოვრებ ქართველებთან დღემდე არ ჩატარებულა ეთნომუსიკოლოგიური ექსპედიცია. მე ფერეიდნელები ტელეფონით, სოციალური ქსელითა და თბილისში პირდაპირ შეხვედრებისას 2011-12 წლებში ჩავწერე. არსებული ინფორმაციით, ფერეიდნული სიმღერები ერთხმიანი და უანრულად მწირია.

ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმზე თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას სტუმრად ეწვია ორი ფერეიდნელი ახალგაზრდა. მათი თქმით, ფერეიდანში აღარც მრავალხმიანი სიმღერაა შემორჩენილი და აღარც მოხუცები მდერიან. მომღერლები თვითონ თხზავენ სიმღერების ტექსტებს, რომელთაც ფერეიდნელ ქართველებში გავრცელებულ პოპულარულ ჰანგებს უსადაგებენ (წურწუმია, 2004:72).

ფერეიდნელებთან ჩემმა ურთიერთობამ კიდევ უფრო გაამჟარა კონსერვატორიაში გაუდერებული ინფორმაცია. ჩემი ინფორმატორები მხოლოდ მარტყოფიდან და ჩუდრულიდან კი არიან. სამწუხაროდ ძველად ჩაწერილი ტექსტები უმეტესობას სიმღერის კი არა, ლექსის სახითაც კი არ სმენიათ. რაც შეეხება ძველ ფერეიდნულ ტექსტებზე აგებულ რამდენიმე სასიმღერო ნიმუშს, რომლის ჩაწერაც შევძლი, შემსრულებელთა თქმით, ისინი წინაპრებისაგან ნასწავლი არაა, მათი შეობზულია (აუდიოდანართი, №206-207).

ნიმუშების მუსიკალური მხარე რომ ავტორისეულია, შემსრულებელთა „აღიარების“ გარდა სასიმღერო ტექსტების კონტამინაციის შემთხვევებითაც დასტურდება (შარაშენიძე, 1969:50). ერთი და იგივე სტროფები სრულიად განსხვავებულ უანრებში გვხვდება: ასე მაგალითად, ცნობილი სასიმღერო ლექსის „გადიან, გამოდიან ყოვები – მე შენ შეგეყორვები, გადიან, გამოდიან ჩიტები – მე შენ შეგეჭიდები“-ის ვარიანტები გამოყენებულია როგორც დასაძინებელ „ნანაში“ (ცაგარეიშვილი, 1981:24), ისე კარაქის შედღვებისას (იქვე:16) და ა. შ. ტექსტების კონტამინაცია და ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა უანრში გამოყენების ფაქტები გვარწმუნებს, რომ ფერეიდანში არა მარტო მუსიკა, არამედ სპეციალისტების აზრით ზეპირსიტყვიერება (მათ შორის პოეზია) მძიმე მდგომარეობაშია.

მართალია, ჭიჭინაძე 1871 წელს ფერეიდანიდან საქართველოში გადმოსულ ათამ ონიკაშვილის ცნობებზე დაყრდნობით აღნიშნავს: „ქართული სიმღერები იქ დღემდე ახსოვთ და მღერიან მათ თავთავის დროსა და თავის შესაფერად“..., ძველებულად მღერიან და ქორწილიც ძველებური აქვთ“ (ჭიჭინაძე, 1895:18, 26, 32),

მაგრამ 1907 წელს გამოცემულ წიგნში ავტორი თვითონვე წერს, რომ „ფერეიდნელ მამაკაცებს ქალაქებში ცხოვრების გამო უჭირთ ქართულად საუბარი და თუ ვინმებ კარგად იცის ენა, ეს ქალები არიან, რომლებიც „იავნანით“ ზრდიან ბავშვებს“....ნანას თქმა ადრე ლექსადაც იცოდენ, მაგრამ სადღეისოდ იქ გალექსილი ნანების თქმა სუსტად იციან. უფრო სიტყვების გამბით მოუთხრობენ პატარა ფერეიდანელ ქართველებს“ (ჭიჭინაძე, 1907:77). შესაძლოა, მისი მოსაზრების ამგვარი ცვლილება გამოიწვია ლადო აღნიაშვილის მიერ 1896 წელს გამოცემულმა წიგნმა „სპარსეთი და იქაური ქართველები“ სადაც ვკითხულობთ, „ათამ ონიკაშვილს იმდენად სურდა აქაური და იქაური ქართველების დაახლოება, რომ ზოგი რამ გადაულამაზებია კიდეც“. აქ საქმე სოფლების დასახელებას ეხება (აღნიაშვილი, 1896:190-191), მაგრამ შესაძლოა, ონიკაშვილის მიერ ნახსენები სიმდერებიც არ შეესაბამებოდა რეალობას.

ფერეიდანში 1927 წელს იმოგზაურეს ამბაკო და სარა ჭელიძეებმა. ამბაკოს აზრით „ენის გარდა, როგორც სხვა ყველაფერი, ისე სიმდერა და ცეკვაც წმინდად ირანული იციან, რაშიაც ქართულის ნასახიც არ შერჩენიათ“ (ჭელიძე, ა. 2011:166). მისი მეუღლე და თანამგზავრი – სარა ჭელიძე იგონებს: „გოგონებმა იმდერეს უსიტყვოდ მუსულმანურ კილოზე, იცვეკეს ისე, როგორც ირანელი ქალები ცეკვავენ“ (ჭელიძე, ს. 1958:89). მუსლიმანურ კილოში რომ ნამდვილად მუსიკა იგულისხმება, იქედანაც ჩანს, რომ როდესაც ავტორი ერთ-ერთი თავისი მასპინძლის გარდაცვალებისა და დატირების სცენას აღწერს, იქ მუსლიმურ კილოს აღარ ახსენებს (იქვე:91).

1943 წელს ფერეიდანში ფილმის გადასაღებად ჩავიდა ი. კანდელაკი. სამწუხაროდ, ფილმში მუსიკალური ნიმუშები ჩაწერილი არ არის, ხოლო ცნობებს ამ მოგზაურობის შესახებ თავად რეჟისორი სხვადასხვა უურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა. მისი ნაამბობის მიხედვით ფერეიდნელებმა ქართული სიმდერა მართალია დაკარგეს, მაგრამ „იავნანა“ დღემდე ჟღერს (კანდელაკი, 1958:12; ანონიმი, 1963:4). ეს ნიმუში ჩაწერილი არაა. ნანებიდან ხელთ მხოლოდ ეთნოგრაფინა ინა ინარიძის მიერ ფიქსირებული დეკლამაციური ნიმუში (აუდიოდანართი, №208) მომეპოვება.

უკვე მრავალი ათწლეულია, რაც საცხოვრებელი პირობების გამო ფერეიდნელები დროებით თუ სამუდამოდ ქალაქებში მიდიან. მიგრაციისას ხალხს სხვადასხვა ქვეყნების (უფრო მეტად ირანულ) მუსიკასთან აქვს შეხება. ქართველთა კარჩაკუტილობის რდვევის დაწყებაზე ჯერ კიდევ ჭელიძე მიანიშნებდა

(ჭელიძე, ა.2011:161). ამას უნდა დაემატოს შერეული ქორწილები და ის, რომ საზოგადოდ, ფერეიდანში სომხები და ებრაელები ქართველებზე მეტნი არიან (იქვე:2011:10). გამორიცხული არ არის ფერეიდანზე ზოგადქართული გავლენაც. სიმღერების სწავლების ეს საპასუხისმგებლო მისია კი ამბაკო და სარა ჭელიძეებმა იკისრეს (ჭელიძე, ს. 1958:95). როგორც ცნობილია, ფერეიდნელებს ქართული სიმღერები პირველად მათ ასწავლეს (იქვე:95). ეს საქმე შემდეგ კანდელაკს გაუგრძელებია. როგორც ცნობილი რეჟისორი აღნიშნავს, ფერეიდნელებს ორი სიმღერა “სულიკო” და “იზარდე, მწვანე ჯეჯილო” შეასწავლა. სხვა ნივთებთან ერთად, ჩაუტანა ქართული ხალხური სიმღერის 200 ფირფიტა (ანონიმი, 1963:9-11). ამჟამად ქართულ სიმღერას ფერეიდანში ბევრი ეუფლება.

ჩემ მიერ ჩაწერილი ზოგიერთი ეთნოფორი ქართულად დატირების შემთხვევებსაც კი უარყოფს. „კუბოს წინ მოთქმით მიუძღვის სასულიერო პირი.... საზოგადოდ მიცვალებულს ქუჩაში არ მისტირიან.... გასვენების შემდეგ მოიწვევენ ყორანის დაქირავებულ წამკითხველებს. ყორანის კითხვა გრძელდება სამი დღე“ (ჭელიძე, ა. 2011:159). მაგრამ ფაქტია, რომ გარდაცვალების დროს ჭირისუფლები სახლს დაალაგებენ, მოაწესრიგებენ მიცვალებულს და მერე შეატყობინებენ ხალხს. „ერთი გამუა, იტირეფს კარჩი და ხალდი გაიგეფს, რო ერთი ვინმე იმ სახჩი მაკდარა. და წავლენ და ერთ თაბუთს მაიტანენ. თაბუთი ერთი ჯოხია, რო პარსულად თაბუთს დაიძახიან“ (თოდუა, 1975:34). დატირება ზოგიერთი ეთნოფორის თქმით, სპარსულად, ზოგის ცნობით კი, ქართულ ენაზე სრულდება და მხოლოდ ქალები ტირიან (ჩავწერე 2012 წ.).

რაც შეეხება შრომასთან დაკავშირებულ ნიმუშებს, ეთნოფორთა თქმით, არც სიმღერები და არც დასაკრავები არ დასტურდება (ჩავწერე 2012 წ.). ვარაუდობენ, რომ ფერეიდნული ოროველას ავტორი ახალგაზრდა მხატვარი არსენ ონიკაშვილია (ბართაია, 2009:156).

„ფერეიდანში სადღვებელი და კარაქის დღვების ხალხური წესი დღემდე შემოუნახავთ. კარაქის მისაღებად ხმარობენ „სადღობელას“ – „ტალახის“ იყო (ე. ი. თიხის) ან „ნეპრას“ (ჯოხისა, ე. ი. ხის). . . ნეპრას „საბელით“ ჩამოჰკიდევენ სახლის აივანზე ჭერში, აქეთ-იქიდან დაუდგება ოთხი ან ორი ადამიანი და დაიწყებს „ნეპრას ცემას“ და შაირობას (ცაგარეიშვილი, 1981:16; შარაშენიძე, 1969:22-23).

საქორწილო სიმღერის ტექსტი, რომელიც სრულდებოდა ნეფე-პატარძლის სახლში მოსვლის შემდეგ ახალგაზრდა ქალების მიერ მოცემული აქვს ეთნოგრაფ გიორგი გოცირიძეს (გოცირიძე, 1987:103). მდეროდნენ პატარძლის გამომშვიდობებისას, პატარძლის მოყვანისას და ახალ ოჯახში შეყვანის დროსაც, მაგრამ დღეს ფერეიდნელები ასეთ ტექსტებს და საერთოდ, ქორწილში ქართულად მდერის ფაქტებს ვერ იხსენებენ. დიდი ადგილი უკავია ინსტრუმენტულ მუსიკას. საკრავები და მასზე შესასრულებელი ნიმუშები, სავარაუდოდ, სპარსულია. გავრცელებულია სტირი (სტვირი), ნაღარა, საზი, დოლი, თარი, ჭიანური და სხვა (ჭელიძე, ა. 2011:155; შარაშენიძე, 1969:34-35; შარაშენიძე, 1979:177; ცაგარეიშვილი, 1981:24-25; თოდუა, 1975:51, 82). ჭიანურში იგულისხმება თუ არა ქამანჩა, ეს უცნობია. ეთნოგრაფ ინა ინარიძეს სიმღერა ქამანჩის თანხლებითაც (ვიდეოდანართი, №36) აქვს ჩაწერილი.

ლიტერატურაში დაფიქსირებულია ხანგძლივი წვიმის დროს შესასრულებელი სიმღერა (შარაშენიძე, 1969:47; თოდუა, 1975:52). სამწუხაროდ, ბევრს ეს ტექსტიც აღარ ახსოვს, ანდა თავისივე შეთხულ მელოდიაზე მდერის. ზოგი კი ნიმუშის არსებობას უარყოფს (ჩავწერ 2012 წ.). მათი თქმით, ირანში ხანგძლივი წვიმა არ იცის. აღსანიშნავია, რომ ამაზე ჯერ კიდევ აღნიაშვილი წერდა (აღნიაშვილი, 1896:239).

საისტორიო თემატიკაზე აგებული ძველი ნიმუშებიც გამქრალი ჩანს, თუმცა, აქტუალურია პატრიოტულ თემაზე ბოლო ხანებში შექმნილი სიმღერები (აუდიოდანართი, №209-210).

რაც შეეხება საბავშვო საკრავების დამზადებას, მარტყოფელი ალიკა ანიკაშვილის თქმით, მას ბავშვობაში ცხვრის ტყავისგან დოლს უკეთებდნენ (ჩავწერ 2012 წ.).

ფერეიდანში ხალხური მუსიკის გაქრობის მიზეზად ირანელი ეთნოლოგი ბაბაკ რეზვანი რელიგიურ ფაქტორთან ერთად არისტოკრატიულ ფაქტორსაც ასახელებს, ფერეიდნელებს გამრთობი და დამკვრელი მასხარებად მიაჩნიათ და ქორწილში ბახტიარელ ან სომებს მუსიკოსებს იწვევენ Rezvani, 2008:603-604). მისივე აზრით ფერეიდნელთა განსხვავებით მაზანდარანის ქართველები (ირანის კასპიისპირეთში), რომელთა წინაპრებიც ასევე ქრისტიანები იყვნენ, ტრადიციულად ცნობილნი არიან ფოლკლორული მუსიკის შესრულების უნარით (იქვე:604). დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ფერეიდნელი ქართველები უკრავენ და ძალიანაც უყვართ ირანული კლასიკური მუსიკა და ისინი ასევე უსმენენ ხალხურ

მუსიკასაც. მაზანდარანის ქართველების კულტურაზე იხილეთ „მუსიკი GDS-ზე“ (ვიდეოდანართი, №37-38). რაც შეეხება ფერეიდნელებში ფოლკლორის გაქრობისადმი რეზვანის, ისევე, როგორც ჭელიძის რადიკალურ აზრს, გამორიცხულია, ფერეიდნელებს არ ახსოვდეთ აკვნის ნანები და თუნდაც 2-3 ბგერიანი სხვა პანგები, რომელსაც მუსიკად არც თვლიან. ამრიგად ფერეიდნელებთან, ისევე როგორც ჩემ მიერ მოვლილ და ჯერ კიდევ მოუვლელ სხვა ადგილებში, საგანგებო მუსიკოლოგიური ექსპედიციები აუცილებლად უნდა ჩატარდეს.

### თავი III

## სასიმღერო მრავალხმიანობის დაკარგვის მიზეზები და ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ძირითადი ნიშან-თვისებები

ნაშრომის ამ თავში კომპლექსურად განვიხილავ იმ ნიშან-თვისებებს, რომლებიც საერთო ან მეტ-ნაკლებად საერთოა ტაოური, შავშური, ლაზური, კლარჯული თუ ინგილოური ხალხური სიმღერებისთვის.

შავშურის, ტაოელების, ლაზურისა და ჰერების სიმღერები უკვე გაერთხმიანებულია. ერთხმიანია კლარჯული სიმღერების ნაწილიც. თითქმის გაერთხმიანებულია ინეგოლის რ-ნის სოფ. ჰაირიესა და თუფეხიყონალის აჭარლების ხალხური სიმღერები.

სანამ ვოკალურ მრავალხმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადავიდოდე, საჭიროა პასუხი გაეცეს კითხვას – არის თუ არა შენარჩუნებული ერთხმიან სიმღერებში ქართული ტიპის მელოდიკა და რა ადგილი უჭირავს მას.

### 3.1 ჩვენებურების ერთხმიანი ხალხური სიმღერის მელოდიკის ქართულობის საკითხისათვის

ჩვენებურების ერთხმიან სიმღერებში გგხვდება როგორც ქართული სოფლური სიმღერისთვის ჩვეული (სანოტო დანართი, №22), ისე მისთვის ნაკლებად დამახასიათებელი გადიდებულსეკუნდიანი (სანოტო დანართი, №23) და დასავლურ-ქალაქური (სანოტო დანართი, №24) მელოდიები. ამ უკანასკნელთა ხვედრითი წილი არც ისე მცირეა, თუმცა წამყვანი ადგილი ქართულ მელოდიკას უჭირავს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები ხშირად მელოდიით ერთმანეთს ჰგავს. ამავე ფაქტზე მეტყველებს ზოგიერთი ლაზური და ჰერული ნიმუშის მსგავსება საქართველოს კუთხეების სიმღერებთან (სანოტო დანართი, №25). ლაზურ და საქართველოს სხვა კუთხეების მელოდიებს შორის მსგავსებას ჯერ კიდევ ე. გარაყანიძე აღნიშნავდა (გარაყანიძე, ე. 2011:91; სანოტო დანართი, №26). მისი დასკვნით, „მცირედიაპაზონიან მელოდიებს შორის, სადაც შესაძლებელი შეუდლების ნაკლები კომბინაცია არსებობს, ხომ შეიძლება ამგვარი მსგავსება არსებობდეს არა მარტო სხვადასხვა დიალექტებს, არამედ სხვადასხვა ერის სიმღერებს შორისაც. მაგრამ სხვა ერების სიმღერების მელოდიებთან შედარება გვარწმუნებს, რომ ქართულ დიალექტებში მსგავსი მელოდიები მხოლოდ მათი

ზოგადქართულობით შეიძლება აიხსნას“ (იქვე:97). ამ დასკვნის მიხედვით, საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების მელოდიების მსგავსება ჩვენი ქვეყნის კუთხეების მელოდიებთან სწორედ მათ ქართულობაზე მიუთითებს. ამიტომაცაა, რომ მრავალი ერთხმიანი სიმღერის გამრავალხმიანებისას მათი მელოდიური ხაზის ცვლილება საერთოდ არ არის საჭირო. ამისი ნათელი მაგალითია 1960-70-იან წლებში გამრავალხმიანებული ლაზური სიმღერები.

### **3.2 ვოკალური მრავალხმიანობის ძველად არსებობის დამადასტურებელი არგუმენტები და ხმათა შემორჩენილი სახელები**

თუკი საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების სიმღერაში მრავალხმიანობა დაკარგულია, რა ფაქტები მეტყველებს ვოკალური მრავალხმიანობის ოდესლაც არსებობაზე?

მიჩნეულია, რომ ვოკალური მრავალხმიანობა სტაბილურობით გამოირჩევა და მაშინაც კი, როდესაც იცვლება ენა, რელიგია, სოციალური ცხოვრების წესი, მრავალხმიანობა მაინც რჩება, როგორც მუსიკალური ტრადიციის ყველაზე უფრო მყარი გენეტიკური კოდი (ჟორდანია, 2016:90, 130). თუმცა ისიც აღიარებულია, რომ მსოფლიოში მრავალხმიანობა თანდათან იკარგება (იქვე:114-115, 130). ზოგიერთ რეგიონში ცნობილია მრავალხმიანობის დაკარგვის მიზეზი, ესაა ძირითადად, ბუნებრივი კატასტროფა (მაგალითად მიწისძვრა), ომები, რელიგიური ფაქტორი და მთავრობის კულტურული პოლიტიკა (იქვე:114).

თანამედროვე ეთნომუსიკოლოგები თვლიან, რომ მრავალხმიანობა ერთხმიანობის შინაგანი განვითარების შედეგი კი არ არის, არამედ თავიდანვე უძველესი ფორმაა, რომელიც მსოფლიოს ყველა ხალხისთვის იყო დამახასიათებელი და შემდგომ დიდ ნაწილში უკვე დაიკარგა (იქვე:27, 119). პეტეროფონია კი არის არა მრავალხმიანობის გამჩენი, არამედ მისი დამაკინებელი ფორმა (იქვე). ჟორდანიას აღნიშვნით, თუკი მრავალხმიანობა ერთხმიანობის შემდგომი მოვლენაა, მაშინ გამრავალხმიანების პროცესი ბოლო საუკუნეებშიც უნდა მიმდინარეობდეს და, უფრო მეტიც, მრავალხმიანობის გაჩენის შემთხვევები უფრო მრავალრიცხოვანი უნდა იყოს, ვიდრე დაკარგვის (იქვე:116), მაგრამ ავტორი იქვე აღწერს საბჭოთა კავშირის დროს სახელმწიფოს მიერ შუა აზიისა და ციმბირის ხალხთა ერთხმიანი მუსიკის გამრავალხმიანების მცდელობებს, რაც საბოლოოდ კრახით დასრულებულა (იქვე:117-118). აქვე აღნიშნავს, საუკუნეების მანძილზე საქართველოსა და სომხეთის მეზობლობას, კონტაქტს, როგორც

პოლიტიკურ ისე კულტურულ დონეზე, თუმცა სომხეთის მუსიკა დღემდე ერთხმიანია (იქვე:117). „საბჭოთა კავშირის დროს“ ციმბირისა და შუა აზიის მსგავსად ლაზური და მესხური სიმღერებიც გამრავალხმიანდა, მაგრამ ადგილობრივმა მოსახლეობამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს ნიმუშები არათუ უკუაგდო, არამედ უფრო დიდი ხვედრითი წილი მიანიჭა. ეს მოვლენა მესხებისა და ჭანების სასიმღერო ფოკლკლორში მრავალხმიანობის ოდესლაც არსებობაზე მეტყველებს, მით უფრო, რომ მწირად, მაგრამ მაინც გვაქვს მესხურსა და ლაზური ხალხური სიმღერების მრავალხმიანობის დამადასტურებელი როგორც ზეპირი (ჭანეთში), ისე მუსიკალური მასალა (მესხეთში).

ამასთანავე, როგორც ეთნომუსიკოლოგები იოსებ ქორდანია და ქეთევან ნიკოლაძე აღნიშნავენ, ყველგან, სადაც არსებობს მრავალხმიანი ჩასაბერი საკრავი, სიმღერაც აუცილებლად მრავალხმიანია. ასეთ კულტურულებში ჩასაბერი საკრავებისა და ვოკალური მრავალხმიანობის ფორმებიც კი ემთხვევა ერთმანეთს (იქვე:124; ნიკოლაძე, 2003:416). ქეთევანს მოაქვს მუსიკისმცოდნებების ვერტკოვისა და ტინურისტის დაკვირვებები, რომლებიც ამტკიცებენ მრავალხმიანი ჩასაბერი საკრავების ქვეყნებში ვოკალური მრავალხმიანობის არსებობასაც (ნიკოლაძე, 2003:415-416). ორმაგი ჩასაბერი საკრავები არის ასევე მონოდიურ კულტურულებშიც, თუმცა ორივე მილი მსგავსი სიგრძისაა, ასევე იდენტური რაოდენობისა და განლაგების ნასვრებები აქვს, და შესაბამისად, უნისონში ჟღერს (იქვე:416). ამასთანავე არსებობს ისეთი სპეციფიკური კონსტრუქციის თიხის ორმაგი საკრავიც, რომელშიც ორივე მილს მსგავსი ნასვრებები აქვს, მაგრამ ერთი მილი გაღუნულია, რის გამოც სეკუნდურ ორხმიანობას ვიღებთ (ჟორდანია, 2016:125).

გავიმეორებ, დღვევანდელ გუდასტვირს ლაზეთშიც, ტაოსა და შავშეთშიც 5/5 თვალი აქვს ამოჭრილი და ასევე ორივე მილი ერთი სიგრძისაა, მაგრამ მათზე ორხმიანი ჰანგები ჟღერს და თანაც ახლო წარსულში ამ კუთხეების გუდასტვირის თვალთა რაოდენობა თანაბარი არ იყო.

ქართული ხალხური მუსიკის მრავალხმიანობაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლი ხევსურეთსა და თუშეთს. ხევსურეთში ერთხმიანი სიმღერებია სავრცელებული. ასევე ერთხმიანია თუშური ძველი ფორმაციის სიმღერების დიდი ნაწილიც. ქართველი ეთნომუსიკოლოგებისთვის ცნობილია ჟორდანიას მოსაზრება ხევსურეთში მრავალხმიანი აზროვნების დეგრადირების შესახებ. იგი ეწინააღმდეგება იქამდე დამკვიდრებულ აზრს, რომლის მიხედვითაც ხევსურული სიმღერა ქართული სიმღერის უძველეს ფორმად მოიაზრებოდა (ასლანიშვილი,

1956:26). ბატონ იოსებთან პირად საუბარში გაირკვა, რომ მრავალხმიანი აზროვნების დეგრადაციის შესახებ აზრი 80-იან წლებში გასჩენია. პირველად ეს მოსაზრება, წერილობითი სახით ქორდანიამ მოგვცა მისსავე მოხსენებაში „ხალხური სიმღერის ფენომენი ისტორიულ-ევოლუციურ პერსპექტივაში“ სადაც აღნიშნავს, რომ „ხევსურული პოეზია სვანურისაგან სრულიად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. აქ გვხვდება ძალიან განვითრებული პოეზია და ამავე დროს ძალიან მარტივი მუსიკალური ენა. ეს, ჩემი აზრით, კიდევ ერთხელ მიგვითოთებს იმაზე, რომ ხევსურეთში მოხდა მუსიკალური ტრადიციის თანდათანობითი დაკარგვა. მუსიკისა და ტექსტის ასაფიეროს მიერ ნახსენებ "ჭიდილში" (ეს ჭიდილიც თავისთავად უფრო გვიანდელი მოვლენაა, როცა უკვე პოეზია არის ჩამოყალიბებული), ხევსურეთში ტექსტმა მოიპოვა სრული გამარჯვება“. მართალია, აქ მრავალხმიანობის ტრადიციის დეგრადაცია არსად არ არის აღნიშნული, მაგრამ სასიმღერო ტრადიციის თანდათან დაკარგვაში ესეც რომ იგულისხმებოდა, პატივცემულმა მეცნიერმა პირად საუბარში დამიდასტურა.

ჩემ კითხვაზე, თუ რა არგუმენტები ჰქონდა ო. ქორდანიას ამ თეორიის წამოსაყენებლად, მან დაასახელა შემდეგი: 1) რაც უფრო ძველია მრავალხმიანი ტრადიცია, მით უფრო მეტია მასში გლოსოლალიების (შინაარსდაკარგული სიტყვების) რაოდენობა - ხევსურეთში, სვანეთისგან განსხვავებით ფაქტობრივად არ ვხვდებით გლოსოლალიებს; 2) რაც უფრო ძველია მრავალხმიანი ტრადიცია, მით უფრო მეტია იქ ფერხულების რაოდენობა - ხევსურეთში თითქმის არ შემორჩა ფერხულები, ანდა რაც არის, ისიც დაკარგვის პირასაა. სვანეთში უამრავი ფერხულებია; 3) ქალთა შემოქმედებაში ხშირად უფრო ძველი ფენებია შემორჩენილი. ამ მხრივ, ხევსურეთი ერთადერთი კუთხეა, სადაც მუსიკალური ინტონირების დონე ქალებში უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებში (ეს ასლანიშვილის აზრი იყო). (4) ხევსურები, ახლანდელ საცხოვრებელ ტერიტორიაზე ფხოვიდან 2-3 საუკუნის წინ მოვიდნენ, ანუ ისინი სრულად იზოლირებულ მოებში ადრე არ ცხოვრობდნენ, მათ რეგიონში ადრე იყო ჩრდილოკავკასიური ენები (ეს ჩანს ტოპონიმიკიდან). (5) ხევსურული პოეზია ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულია საქართველოში, რაც არქაულობაზე არ მიუთითებს. არქაულია სვანური პოეზია, სადაც რითმა ჯერ არ არის ჩამოყალიბებული.

რაც შეეხება თუშეთს, ქორდანიას აზრით, აშკარაა ჩრდილოკავკასიელების ზეგავლენა და ამ მხრივ სიტუაცია ხევსურეთთან შედარებით უფრო რთულია. ქ. ბაიაშვილს მიაჩნია, რომ გავლენა კონკრეტულად გაინახებს უკავშირდება.

მოხსენებაში „არქაულობა და თუშ-ფშავ-ხევსურული სახევისბრო სიმღერები“ მკვლევარი ძველი ფორმაციის თუშურ სიმღერებში მრავალხმიანობის დაკარგვის ფაქტს აღნიშნავს. სტატიაში „თუშეთი“ ბაიაშვილი წერს: „ი. უორდანიასა და ზ. კიკნაძის თეორიის მიხედვით, აქ შესაძლოა საქმე გვქონდეს მრავალხმიანობის ტრადიციის განლევასთან, რაც გამოწვეულია სოციალური აუცილებლობით, საკრავიერი მუსიკის მეტი ხვედრითი წილით“. იმავეს აღნიშნავს ნაწყლი მაისურაძეც: „გარმონის აკომპანემენტი გარკვეულწილად უნდა ჩანაცვლებოდა ორხმიან სიმღერებში ბანის მთქმელის ფუნქციას“ (მაისურაძე, 2015:28); „ყველა ზემოთ ხსენებული ერთხმიანი სიმღერა საკრავის თანხლებით სრულდება (თუმცა ჩაწერილია საკრავის თანხლების გარეშე). თუშ რესპონდენტთა (მთხოვბელთა) გადმოცემით, თუ ხელთ საკრავი არა აქვთ, სიმღერას ბანის თანხლებით ასრულებენ“ (იქვე:26).

თუშებს შირაქის ველზე ყოვნისას კონტაქტი აქვთ აზერბაიჯანელებთან და თუშების უმეტესობამ იცის აზერბაიჯანული ენა (ასლანიშვილი, 1956:108). ასლანიშვილის აზრით, თუშეთის ერთხმიანი სიმღერები ურთიერთობაშია აზერბაიჯანის ასევე ერთხმიან სიმღერასთან (იქვე). ზოგი მეცნიერი (ბაიაშვილი, უორდანია) თუშეთის ძველი ფორმაციის სიმღერების ერთხმიანობას ჩრდილოკავკასიურ გავლენას უკავშირებენ, ასლანიშვილი კი – აზერბაიჯანულს. ზურაბ კიკნაძე ჩემთან პირად საუბარში ხევსურეთისა და თუშეთის შემთხვევას ერთიან მოვლენად მიიჩნევს. მთავარი ის არის, რომ თუშური ძველი ფორმაციის სიმღერებიც მრავალხმიანი უნდა ყოფილიყო.

დისერტაციაში თუშეთსა და ხევსურეთთან დაკავშირებულ საკითხებს იმიტომ შევხევ, რომ თუგი აქ მოხმობილი თეორიები ზუსტია, მაშინ საქართველოს ყველა კუთხისთვის, მათ შორის დღეს მოწყვეტილი მხარეებისთვისაც მრავალხმიანობა უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

დაისმის კითხვა: ზემოხსენებული ფაქტორების გარდა კიდევ რა გვაფიქრებინებს საქართველოს უკლებლივ ყველა კუთხის სიმღერის მრავალხმიანობას? – ესაა ფარული მრავალხმიანობა და ხმების შემორჩენილი სახელები.

ფარულ მრავალხმიანობას მიეძღვნა 6. ზუმბაძის სტატია - „ქართული სიმღერის მრავალხმიანობა და მისი დამატებითი არგუმენტები“. შევეცდები, დასახელებული სტატიის საფუძველზე განვიხილო ჩემთვის საინტერესო კუთხეების მუსიკა.

მუსიკალური პარამეტრების მიხედვით 6. ზუმბაძე მრავალხმიანობის გამოვლენის ფორმებს შემდეგნაირად აჯგუფებს:

I. უთანხლებო სოლო მღერა; II. კოლექტიური (დიალოგური და უნისონური) მღერა; III. საკრავით თანხლებული სოლო მღერა და IV. ერთხმიან საკრავზე სიმღერის დაკვრა (ზუმბაძე, 2010:355).

უთანხლებო სოლო მღერა ცალფა და კოლექტიურ შესრულებას გულისხმობს. სოლო სიმღერებში ფარული მრავალხმიანობის მოთხოვნილება ახსნილია სიმღერის სოციალური ფუნქციით. კოლექტიური მღერის შემთხვევები წარმოგვიდგება როგორც დიალოგური (იგი მელოდიურ ასპექტში წარმოდგენილი ორხმიანობაა), ისე უნისონური ფორმით. უნისონური სიმღერის შემთხვევაში ფარული მრავალხმიანობა აიხსნება მრავალხმიანი ტრადიციის დაკარგვით (იქვე, 355-356). საკრავის თანხლებით შესრულებულ სოლო მღერაზე მოგვიანებით შევჩერდები, რაც შეეხება ერთხმიან საკრავზე სიმღერის დაკვრას აქ ლაზურ პილილზე შესრულებული ჰანგები იგულისხმება (იქვე:357-358).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოწყვეტილ კუთხეებში ფარული მრავალხმიანობა საქმაოდ ხშირია. იგი ვლინდება როგორც დაბალი მეშვიდე საფეხურის გაფლერებასა და ხშირ შემთხვევაში, აქცენტირებაში (აუდიოდანართი, №211; სანოტო დანართი, №27-28). თუმცა, ფარული მრავალხმიანობა ასევე ვლინდება, როდესაც საქმე გვაქვს აღმავალ ნახტომთან (აუდიოდანართი, №212; სანოტო დანართი, №29-30). აქ მთქმელი ერთდროულად თითქოს ორ ხმას მღერის. ფარული მრავალხმიანობის შეგრძნება განსაკუთრებით ძლიერია მაშინ, როდესაც ეს ორივე კომპონენტი ერთად მოქმედებს. უფრო მეტიც, გადიდებულსეგუნდებიან მელოდიებშიც კი გვხვდება ფარული მრავალხმიანობის ნიშნები (სანოტო დანართი, №31). როგორც ჩანს, მრავალხმიანობისადმი მისწრაფება იმდენად ძლიერი იყო, რომ გადიდებულმა სეკუნდებიან მელოდიებშიც აისახა.

ფარული მრავალხმიანობა ვლინდება როგორც მუსიკალური, ისე ვერბალური პარამეტრებითაც. ამ უკანასკნელში იგულისხმება მრავალხმიანობის აშკარა, ან სავარაუდო ამსახველი ზეპირი ცნობები.

ზუმბაძესთან ადწერილია შემთხვევები, როდესაც ინფორმატორები მარტო ყოფნის გამო მრავალხმიანი სიმღერის შესრულებაზე უარს აცხადებენ (ზუმბაძე, 2010:358). საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების მკვიდრებისგან ამგვარი რამ, თუ არ ჩავთვლი რამდენიმე კლარჯ ეთნოფორს (ისიც „სოლე რუმიანავანას“ მდერის

დროს) – არ მქონია. ალბათ იმიტომ, რომ სიმღერა დღეს სოლოდ შესრულდება თუ არა, ეთნოფორების თვალში მაინც სრულყოფილად ითვლება.

ჩემ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით კლარჯეთში დარჩენილია სიტყვა „მუბანება“/„მიბანება“/„შუბანება“ (ჩავწერე 2015 წ.) ტაოში „ხმის შაწყობა“ (ჩავწერე 2014 წ.), შავშეთში „შუბანება“ (ჩავწერე 2014 წ.).

ჰერეთში ხმათა სალაპარაკო, სასიმღერო და საკრავთა რეგისტრის ამსახველი ტერმინებიცაა შემონახული. „წიპლაანკ“ კმაღა – ზედა ხმა; „შუალა კმაღა“, „იგრევ კმაღა“, „კაი კმაღა“ – შუა ხმა; „ბერ კმაღა“, ბამ – ბანი (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011-12 წწ.). სავარაუდოდ, დაბალ ხმას უნდა აღნიშნავდეს სიტყვა „ბანგიც“ (როსტიაშვილი, 1978:33). ამ ტერმინებს იყენებენ როგორც სალაპარაკო, ისე სასიმღერო და სავარაუდოა საკრავის რეგისტრის მნიშვნელობითაც.

გარდა ამისა, ჰერეთში არსებობს კიდევ „კივანა ხმაც“. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სავარაუდოდ, „წიპლაანკ“ ხმის კიდევ უფრო ზევით აწევასთან. აღსანიშნავია, რომ „კივანა ხმა“ საინგილოში არ მოსწონთ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012 წ.).

თუკი აქ დასახელებული კუთხეებიდან ვოკალური მრავალხმიანობა მხოლოდ კლარჯეთის ნაწილშია ფიქსირებული, და დანარჩენი ტერმინები მრავალხმიანობის ოდესდაც არსებობაზე მიუთითებს, ფიქსირებულია მრავალხმიანი საკრავების ხმათა სახელებიც:

კლარჯმა ემრულა ქესქინქურთმა აკორდეონის ხმების სახელწოდებები შემდეგნაირად ჩამაწერინა: დაბალი „წმინდა ხმაა“, მაღალი კი „მსხვილი ხმა“. უცნაურია, რომ დაბალს ეწოდება „წმინდა“, მაღალს კი „მსხვილი“ (ჩავწერე 2016 წ.).

ლაზური ქამანჩის დაბალ სიმს ეწოდება ზილ (ზილ), შუას – საგირ (უნდა ეწეროს „საღირ“, რადგანაც თურქულად ასეა მითითებული – გ. კ. (sağır)), მაღალს კი – ბამ თელი (ბამ ტელი) (Saygun,1937:17; ციტირებულია, აკატი, 2015:364). „უმსხვილეს სიმს, ზილის გარდა, უწოდებდნენ ასევე საგირ (როგორც უკვე აღვნიშნე, უნდა ეწეროს „საღირ“ – გ. კ.) სიმს“ (Şenel, 1994:180 ციტირებულია, აკატი, 2015:365).

უცნაურია, რომ ქვედა სიმს ეწოდება ზილი, ზედას კი – ბამი (ანუ ბანი). ქართულ მუსიკაში ბამი (ბანი) ყველაზე დაბალ ხმას ჰქვია, ზილი კი გვხვდება ჩონგურის ყველაზე მაღალი სიმის სახელწოდებად.

ტერმინების მრავალფეროვნება გვხვდება საინგილოში; კერძოდ, ოოდესაც ორი ზურნა უკრავს, ერთი „ლილის“ ანუ მელოდიას აქდერებს, მეორე კი „დემს“ („ზუის,, ბანს) იჭერს. სიტყვა „ზუი“ დათანხმებასაც ნიშნავს.

მრავალხმიანობასთან დაკავშირებული ტერმინები საკრავიერ მუსიკაშიც გვხვდება. „ზურნად სამ ჭმაზე უკრონ: შუა ჭმავ, ბანგი და ზილ ბანგ“ (როსტიაშვილი, 1978:33). აქ ორი ვარიანტი იკვეთება: 1) სამი ზურნა უკრავს; 2) საკრავია სამნაირი. მენაღარე იორდან ოქროჯანაშვილის ცნობით ზურნა ზომის მიხედვით სამნაირია: პირველი – პატარა, მეორე – საშუალო და მესამე კი – დიდი. „რომელიც დიდია იმას „ბერ ჭმავ“ აქვს, პატარას – წიპლაანკ ჭმავ, საშუალოს კი იგრევ ჭმავ (ჩაგრერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011 წ.). იმავე წელს ქურმუხობაზე საშუალება მქონდა ფოტოზე აღმებეჭდა ერთდროულად ორი ზურნის დაკვრის შემთხვევა. მართლაც, წარმოდგენილ საკრავთაგან ერთი დიდია, მეორე კი – შედარებით პატარა.

სამ ხმაზე „ჩუნგურთან“ დაკავშირებითაც საუბრობენ: „ბამ, ზილ და წიპლა“ (როსტიაშვილი, 1978:233). „ჩუნგურს“ უბამენ „სიმებს“ და სამ ხმაზე: ორ სიმს „ბამ“-ზე (ბანი) აყენებენ, ერთს „ზილ“-ზე (ჟირი) და ერთსაც უფრო „წიპლაკ ჭმაზე“ (ნიშნავს წვრილ ხმას, სხირპანს. ამ ხმის სახელი არ იციან). ხშირად „ჩუნგურს“ უფრო მეტი რაოდენობითაც უბამენ სიმებს, მაგრამ ისევ სამ ხმაზე აყენებენ“ (ჯავახიშვილი, 1992:328). აქედან ჩანს რომ ზოგიერთი სიმი უნისონში იყო აწყობილი.

### 3.3 სიმღერის გაერთხმიანების შესაძლო მიზეზები

გოლდი პაირიეს ყოფაცხოვრების მაგალითზე, წერდა: სიმღერების დაკარგვის მიზეზი შესაძლოა იყოს „ახალგაზრდების გათურქება, ძველი სიმბოლოებისა და ტრადიციების დაუფასებლობა; მასმედიის გავლენა, თურქული სტილის ხალხური და პოპულარული მუსიკის მოზღვავება რადიოარხებსა და ფირფიტებზე. ბოლოს, ახალგაზრდობის მიერ სოფლების მასობრივად დატოვებისა და თურქეთისა და სხვა ქვეყნების დიდ ურბანულ ცენტრებში გადასვლის გამო, ადგილებზე ადარ არის ტრადიციის გამგრძელებელთა საჭირო რაოდენობა“ (Gold, 1972:3). ამრიგად დაიკარგა სიმღერების დიდი ნაწილი და რაც დღემდე შემორჩა, გაერთხმიანებულია.

რა არის ჩვენებურთა მუსიკალურ ფოლკლორში მრავალხმიანობის დაკარგვის მთავარი მიზეზი? ომები? მაგრამ ბევრმა რეგიონმა ამ ომების მიუხედავად დღემდე

შეინარჩუნა მონოეთნიკურობა და ნაწილობრივ ქართული ენაც. ამგვარად ვერც ეთნიკური აჭრელება იქნებოდა საყოველთაო მიზეზი მრავალხმიანობის დასაკარგავად. მართალია, მესხეთში ჯერ თურქებისა და თარაქამების, შემდეგ კი სომხების ჩასახლებით ეთნიკური ბალანსი შეიცვალა, რამაც სავალალო გავლენა მართლაც იქონია მრავალხმიანობის შენარჩუნებაზე, მაგრამ, რამდენად შეიძლება მესხეთის მაგალითი გაგრცელდეს სხვა კუთხეებზეც? ფალავასა და სხვათა ავტორობით მომზადებულ მონოგრაფიებს – „შავშეთსა“ და „კლარჯეთს“ თუ დავეყრდნობით, ვნახავთ, რომ ისტორიულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი კ. წ. თურქულენოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილი დღემდე ქართველები არიან. ლაზეთში მცხოვრები ხემშინები კი, რომლებიც ლაზურ მუსიკას უკრავენ, ან მუსლიმანი სომხები არიან, ანდა გასომხებული ჭანები. შესაბამისად, მესხეთის გარდა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიის დანარჩენ ნაწილში მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური აჭრელება თვალსაჩინო არ ყოფილა.

რა როლი შეასრულა მრავალხმიანობის დაკარგვაში დასახლებული პუნქტების ურბანიზაციაში? შესაძლოა კლარჯული სიმღერების ბოლომდე გაერთხმიანება მართლაც ურბანიზაციის შედეგი იყოს. ამავე მოვლენას შეიძლება დავაბრალოთ ინეგოლის რ-ნის სოფ. ჰაირიესა თუ თუფეხჩიყონადშიც მრავალხმიანობის დაკნინება, მაგრამ, ამავე დროს, ურბანიზაციისგან შორს დგას შავშური და ტაოური სოფლები, საიდანაც ხალხმა მიგრაცია დიდი ქალაქებისკენ მხოლოდ ბოლო 20-30 წლის განმავლობაში დაიწყო.

მრავალხმიანობა თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე უკეთ შემონახულია ყველაზე უფრო იზოლირებულ და ძნელადმისადგომ ადგილებში, ტყიან მასივებსა და კუნძულებში (ჟორდანია, 2016:70-71, 130), თუმცა ეს ფაქტორი ჩვენებურების ხალხურ მუსიკაზე ვერ იმუშავებს. ამ ლოგიკით გასაკვირია მრავალხმიანი სიმღერების (თუნდაც დეგრადირებული სახით) შემორჩენა კლარჯეთში, მაშინ როდესაც ტაოსა და შავშეთის მექართულე სოფლების დიდი ნაწილი უფრო მაღალ მთებში მდებარეობს. შესაბამისად, ძნელად მისადგომი ადგილებია, მაგრამ სიმღერები ერთხმიანია.

რადიოსა და ტელევიზიის შესვლამ ხომ არ განაპირობა მრავალხმიანობის დაკარგვა? ისტორიული საქართველოს დიდ ტერიტორიაზე დენი მხოლოდ 30-40 წლის წინ, ტელევიზია 20-30 წლის წინ შევიდა. მოხუცი თაობის გადმოცემით კი, მათ ბავშვობაში რადიოც არ ყოფილა. ასე რომ, მრავალხმიანობის გაქრობას ვერც

ამას დავაბრალებთ, მით უფრო მესხეთში 1880-1910-იან წლებში არ იყო არც დენი, არც რადიო და, შესაბამისად – არც ტელევიზორი.

აქეთ უნდა ვუპასუხო ერთ კითხვას, სახელდობრ, თურქული მუსიკის რომელმა შტომ მოახდინა ჩვენებურებზე უველაზე დიდი გავლენა? ხალხურმა, საესტრადომ თუ სასულიერომ? ტაოში, შავშეთსა თუ კლარჯეთში დდემდე შემორჩენილი ქართულენოვანი სოფლები ერთმანეთის მოსაზღვრეა. თურქულენოვან სოფლებშიც კი შემორჩენილია ქართული ტოპონიმიკა, რაც ნიშნავს იმას, რომ საქმე გვაქვს არა თურქებთან, არამედ თურქულენოვან ქართველებთან. ვინაიდან ქართველების გვერდზე საკუთრივ თურქები თუ სხვა ეროვნების მოსახლეობა ნაკლებადაა საგულვებელი, ამიტომაც მათი ხალხური მუსიკის გავლენას ჩვენებურებზე მასშტაბური ხასიათი ვერ ექნებოდა. ჩემთვის ხელმისაწვდომ კომპაქტურ დისკებსა თუ ინტერნეტრესურსებში თურქული ტრადიციული მუსიკა, უმთავრესად, საზითაა წარმოდგენილი. ამ ინსტრუმენტმა კი, ზურნასთან ერთად, ჩვენებურების, ყოველ შემთხვევაში, ქართულენოვანი სოფლების მუსიკალურ ფოლკლორში, ფეხი ვერ მოიკიდა. ნაკლებია საესტრადო მუსიკის გავლენის ალბათობაც, ვინაიდან რადიო-ტელევიზია უმთავრესად ბოლო 50-60 წლის მანძილზეა დამკვიდრებული. თურქულ საკომპოზიტორო მუსიკას არც ვეხები, ვინაიდან საქართველოს ისტორიულ მხარეებში (ოპერისა და ზოგადად თეატრების არარსებობაზე რომ არაფერი ვთქვა) მუსიკალური განათლება დდემდე დაბალია. სასულიეროზე კი ოდნავ ქვევით.

შეიძლება, სასიმღერო მრავალხმიანობის დაკარგვა მუსლიმანური რელიგიის გავლენის შედეგი იყოს? ცხადია, რადგანაც მეოქვესმეტე საუკუნეში დაიწყო ჩვენებურების ძალდატანებითი გამუსლიმანება, იხსნებოდა მედრესეები, მღვდლებს ხოჯები ჩაენაცვლნენ და, ამგვარად, გავლენის ყველაზე მეტი მექანიზმი მუსლიმურ სასულიერო მუსიკას უნდა ჰქონდა.

ისლამი დიდ როლს თამაშობდა ჩვენებურების ყოვა-ცხოვრებაში. ლაზეთის მაგალითზე თურქულ საგანმანათლებლო სისტემაზე ინფორმაციას გვაწვდის ჭანტურიას წიგნი „ლაზების (ჭანების) წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების ისტორიისათვის“. ირკვევა, რომ 1860-იან წლებამდე ოსმალეთის იმპერიაში განათლების ერთადეურთი წყარო მეჩეთი და მასთან არსებული სკოლა მედრესე იყო. ყურანი არაბულ ენაზე ისწავლებოდა და მას რამდენიმე წელიწადი სწავლობდნენ. ყურანის გარდა ისწავლებოდა შარიათი და სხვადასხვა რამ (ჭანტურია, 2006:140-141, 150). წიგნში ლაზეთზეა საუბარი, თუმცა მთელი საგანმანათლებლო სისტემა თავისუფლად შეიძლება სრულიად თურქეთზე

გავრცელდეს. თურქულ სასულიერო თუ 1860-იანი წლებიდან გახსნილ საერო სკოლებში მშობლიურ ენაზე საუბარი სასტიკად აკრძალული იყო არამარტო ოსმალეთის იმპერიის დროს, არამედ თურქეთშიც.

ფაქტია, რომ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების მუსიკალურმა ფოლკლორმა ისლამური მუსიკისგან დიდი გავლენა განიცადა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა ისლამი ძალდატანებით და თანდათანობით მიიღეს. ლაზი უმით ოსნამაღაოდლუ, ასევე ლაზ ნიზამეტტინ ალქუმრუზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ როდესაც ჭანების გამუსლიმანება ოსმალებმა ძალდატანებითა და სისხლისდვრით ვერ შეძლეს, ეკონომიკურ ხერხებს მიმართეს, თუმცა გამუსლიმანება მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში დასრულდა (ოსმანაღაოდლუ, 2014:10-11). აჭარაც მეცხრამეტე საუკუნეში საბოლოოდ გამუსლიმანდა, თუმცა ფაქტია, რომ თურქეთმა აჭარასა და ყველაზე უფრო გვიან მაჭახელაში მოიკიდა ფეხი (ჭიჭინაძე, 1915:12, 20, 29-30), ალბათ ამიტომაცაა, რომ აჭარელ მუჭაჯირთა სიმღერები ჯერ კიდევ 50 წლის წინ მრავალხმიანი იყო და მაჭახელური კულტურა დღემდე მრავალხმიანია. საინტერესოა, როგორდა დარჩა კლარჯეთი (კონკრეტულად მურდულის ხეობა, მისგან წასული მუჭაჯირების ჩათვლით) „მრავალხმიან კუნძულად“? მით უფრო, რომ კლარჯეთი მაღალმთიანი არ არის.

გამორიცხული არ არის ეროვნული იდენტობის კრიზისის ფაქტორიც. შავში, ტაოელი და ზოგიერთი კლარჯი ქართველის აზრით, მათი წინაპრები ხუთი საუკუნის წინად ბათუმიდან დასახლდნენ. ბევრი მათგანი ქრისტიან ქართველებს რუსებს უწოდებს და სარფსგადმა რუსეთი ჰგონია. ლაზების დიდ ნაწილი კი ქართველობას არც აღიარებს. იმასაც ფიქრობენ, რომ „თამარა“ (თამარ მეფე – გ. პ.) „ჰეზრეთმა ალიმ“ გაამუსლიმანა (ჩოხარაძე, 2015:108-109). თუკი ხმიერ მრავალხმიანობას, ქართული ცნობიერების ერთ-ერთ ქვაკუთხედად განვიხილავთ, მაშინ მისი ცნობიერების დარღვევაც სიმდერის გაერთხმიანების ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული მუსიკალური კულტურის დეგრადირების მთავარი წყარო მუსულმანური რელიგიის გავრცელება უნდა ყოფილიყო, თურქეთის ქართველების მაგალითზე მაინც დანამდვილებით როგორია მრავალხმიანობის დაკარგვის მხოლოდ ერთი ან რამდენიმე საყოველთაო მიზეზის ცალსახად გამოვლენა. მით უფრო ძნელია დავასახელო კლარჯეთში ორხმიანი სიმდერების დღემდე მოღწევის მიზეზი.

ჰერეთის ამბავი ცალკეა გამოსაყოფი. როგორც ჩანს ხშირი შემოსევების გამო, ჩვენებურთაგან უველაზე მეტა დეს კუთხე დაზარალდა. ალბათ, იმიტომაცაა, რომ საინგილოში, ძირითადად, საბავშვო და ბაგშვთა მიერ სათქმელი ნიმუშებიდაა შემორჩენილი. ამგვარად მთავარი გავლენა არა სასულიერო, არამედ საერო (სპარსულ-აზერბაიჯანულ) მუსიკას უნდა მოეხდინა, ვინაიდან, ჰერეთში ქართული საკრავებიც გაქრა და მისი ადგილი ჩრდილოეთ კავკასიონიდან და სპარსეთ-აზერბაიჯანიდან გავრცელებულმა ინსტრუმენტებმა დაიკავა.

### 3.4 სიმღერის გაერთხმიანების გზა

როგორც პირველ თავში აღვნიშნე, კლარჯული სიმღერა ერთ და ორხმიანია. ორხმიანი სეკუნდური სიმღერები (აუდიოდანართი, №213; სანოტო დანართი, №32) დამახასიათებელია როგორც კლარჯეთში დარჩენილთა ისე კლარჯეთიდან 1870-1910-იან წლებში მუჭაჯირად წასულთა ხალხური სიმღერებისთვის. ამ ნიმუშებს საერთო აღარ აქვს ქართულ მრავალხმიანობასთან. დაისმის კითხვა: კლარჯული ორხმიანი სიმღერები არის თუ არა ქართული სიმღერის გაერთხმიანების გზა? რომ არ გვხვდება საქართველოს რომელიმე კუთხეში ისეთი მრავალხმიანი სიმღერები, რომელიც, კლარჯულის მსგავსად, უცხო იყოს ქართული ხალხური მუსიკალური მრავალხმიანობისთვის? ამ მიზნით გავეცანი მაღრაძის მიერ 1960-იან წლებში ჩაწერილი მესხურ სიმღერებს და ვნახე, რომ ქართული მუსიკისთვის ტრადიციული ბანის (ბურდონი I-VII-I) გარდა წარმოდგენილი იყო კვარტებისა და კვინტების პარალელიზმი, თანაც ქართული მუსიკისთვის მეტად უჩვეულო ხმათასგლით (აუდიოდანართი, №214; სანოტო დანართი, №33). აქვე დაგსძენ იმასაც, რომ ხმების ინტერვალური დამოკიდებულება სამხმიან სიმღერებშიც უჩვეულო იყო (აუდიოდანართი, №215). მესხეთში მრავალხმიანი სიმღერის უკანასკნელი შესრულების თარიღები არ სცილდება XIX-XX საუკუნეების მიჯნას (მაღრაძე, 1987). მიუხედავად ამისა, ჩაწერილ სიმღერებში ხმათა შეხამება თითქმის ყოველთვის სრულიად გააზრებული (და არა შემთხვევით! – გ.პ.) სახითაა წარმოდგენილი. ნიმუშთა ნაწილი მთლიანად ჯდება ქართული ხალხური მუსიკის ჩარჩოებში და წარმოდგენილი ბურდონული ბანით (აუდიოდანართი, №216), მაგრამ მეორე ნაწილში შეიმჩნევა ქართული მუსიკისთვის უცხო მოვლენები (აუდიოდანართი, №217). შეიძლებოდა გვევიქრა, რომ რომელიმე მოხუცს ბანი სწორად არ ახსოვდა და ამიტომ მდეროდა კვინტით ან კვარტით დაბლა? მაგრამ

უნდა აღვნიშნო, რომ მაღრაძეს მხოლოდ ერთი მობანე არ ჩაუწერია, ამგვარად რაიმე სახის შემთხვევითობა, გამორიცხულია.

მესხური, ქართული მუსიკისთვის არადამახასიათებელი მრავალხმიანი სიმღერები, კლარჯულ სიმღერებთან (აუდიოდანართი, №218) ერთად, მხოლოდ ქართული მრავალხმიანობის დაკარგვის შედეგია, თუ, ამავე დროს სიმღერების გაერთხმიანების გზაც? როდესაც უურნალ მუსიკაში გამოვაქვეყნე წერილი „თემა განსჯისათვის“ იქ ორივე ვერსიას ვუშვებდი, მაგრამ ახლა, მასალის დამატებით გააზრებისას, ვფიქრობ, რომ სინამდვილეში საქმე გვაქვს სიმღერის გაერთხმიანების გზასთან. ეს რომ მხოლოდ ქართული მრავალხმიანობის დაკარგვის შედეგი ყოფილიყო (და არა გაერთხმიანების გზაც), მაშინ იგი მესხურ ყოფას დღემდე შემორჩებოდა, ყოველ შემთხვევაში, მაღრაძეს ამგვარი ნიმუშების ფიქსირება არ გაუჭირდებოდა, ვინაიდან ისინი მთელ მესხეთში იქნებოდა შემორჩენილი. მაგრამ ვაქტია, მესხური სიმღერა გაერთხმიანდა.

ცალკეა ადსანიშნავი ცნობილი მესხური „მრავალუამიერი“ („ოთხი წყარო დის“), რომელიც ვალერიან მაღრაძის ჩანაწერებში უნისონურად ან ტერციებით იმღერება. ტერციებით მდერის შემთხვევაში იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქმე უნდა გვქონდეს საქმე უნდა გვქონდეს ქალაქურ სიმღერასთან (სანოტო დანართი, №34).

საინტერესოა, რას ამბობს მესხურ არატრადიციულ მრავალხმიან ნიმუშებზე, თავად ვ. მაღრაძე? მისი აზრით, შესრულების სიზუსტეში მთქმელებს არ უნდა დავემდუროთ, მათ ხომ ისე იმდერეს, როგორც გაახსენდათო (მაღრაძე, 1976:100 და 1987:83-84) ანუ იგი მაინც უზუსტობაზე მიუთითებს, ჩემი აზრით კი, მიუხედავად ბანის ძნელად გახსენებისა, სრულიად გააზრებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. უფრო მეტიც, მესხური არატრადიციული ნიმუშები, კლარჯულ ორხმიან (სეკუნდურ) სიმღერებთან ერთად, უნდა განვიხილოთ როგორც ქართული მრავალხმიანი სიმღერის გაერთხმიანების გზა.

ეთნომუსიკოლოგების ნაწილმა მირჩია, უურადღება საგალობლებისთვის მიმექცია. მართლაც სეკუნდა, პარალელური სეკუნდები და კვარტები არ არის უცხო ქართული საგალობლების ზედა ხმებისთვის (როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ სკოლებში), თუმცა მათი მოძრაობა, კლარჯული სიმღერებისგან განსხვავებით, მთელი ნაწარმოების მანძილზე არ უღერს და მაღლებები განიტვირთება კონსონირებულ ინტერვალებში (სანოტო დანართი, №35), შესაბამისად საგალობელი ქართული მრავალხმიანობის განუყოფელი ნაწილია.

სეკუნდებისა და გვარტების პარალელიზმი, თუნდაც ძველად დამახასიათებელი რომ ყოფილიყო ქართული მუსიკისთვის, ის სხვა კუთხეების (მაგალითად სვანეთის) მუსიკალურ ფოლკლორში მაინც გამოჩნდებოდა.

ქართული მრავალხმიანი სიმღერის გაერთხმიანების გზაზე მეტყველებს ძველ აუდიოკასეტებზე ფიქსირებული და ჩემ მიერ მოპოვებული ნიმუშების შედარებაც. თუკი 30-40 წლის წინ ჩაწერილ სიმღერებში სეკუნდების პარალელიზმი ტოტალურია, ჩემ მიერ ფიქსირებული ნიმუშების უდიდესი ნაწილი უნისონურია, სეკუნდური სიმღერები კი საკმაოდ მცირე. 2016 წელს ბორჩხის რ-ნის სოფ. არხვაში გამიჭირდა სეკუნდური სიმღერის (აუდიოდანართი, №219) ჩაწერა, რადგან, ძირითადად, უნისონში მდეროდნენ. მის მოსაზღვრე სოფ. ტრაპენში კი მხოლოდ უნისონური (აუდიოდანართი, №220) შესრულება დაგაფიქსირე, თავად ტრაპენელი ალი ბოლქვაძის მიერ ძველ აუდიოკასეტაზე 1980 წელს ფიქსირებული სიმღერები კი სეკუნდურად (აუდიოდანართი, №221) ედერდა. 2015 წელს ბორჩხის რ-ნის სოფ. თხილაზორში ჩემ მიერ ჩაწერილი „სოილე რუმიანადანა“, მართალია, ერთხმიანი იყო, მაგრამ იმავე სოფელში, თხილაზორელი სულეიმან ოზოურქის მიერ 2013 წელს ჩაწერილი იგივე ნიმუში სეკუნდურია. თ. შიომვილმა მურდულის რ-ნის სოფ. ოზმალში 2007 წელს ჩაწერა „სოილე რუმიანადანას“ ფრაგმენტი ფიქრიე ბუენის (ქალიშვილობის გვარი ოიუთლი – გ. კ.) (დაბ. 1940 წ.) და ხაჯე შეიხოდლისგან (დაბ. 1932 წ.), რომლებიც სეკუნდებში ინგონირებდნენ (აუდიოდანართი, №222). როდესაც 2015 წელს ვესტუმრე ამ სოფელს, ქალბატონი ჰაჯე უკვე 2 წლის გარდაიცვლილი იყო და ფიქრიას კი პარტიორობას უწევდა ფატმა ორპანი (დაბ. 1965). ფატმა სეკუნდების ნაცვლად, ფიქრიეს უნისონში (აუდიოდანართი, №223) აჟყვა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სიმღერები ყოფაში, სულ ცოტა, 30-35 წელია, რაც აღარ სრულდება, როგორც ჩანს, ჩვენებურების ნაწილი შინაურ თავსრილობებზე მათ მაინც ასრულებს, წინააღდევ შემთხვევაში სიმღერების გახსენება, და სუფთად „მობანება“ (როგორც უნისონში ისე სეკუნდებში) უფრო ძნელი იქნებოდა.

ჩხიკვაძეს ქართული ხალხური სიმღერის პირველ ტომში მოჰყავს ცნობა მესხური ორხმიანი ბურდონული სიმღერების, უმთავრესად სუფრულების არსებობის შესახებ (ჩხიკვაძე, 1960:XXII). რაც შეეხება სიმღერების ჩაწერას, გალერიან მაღრაძემ ბურდონული მრავალხმიანობა მხოლოდ საფერხულო ნიმუშებში დააფიქსირა, სუფრულებში კი მხოლოდ ხმათა პარალელიზმი გვხვდებოდა. საინტერესო პარალელია ლაზურ მუსიკალურ ფოლკლორთან.

ვგულისხმობ ყასიმ ბეჭანიძის მიერ 1900-1910-იან წლებში მოსმენილ ბურდონულ და ჩხიკვაძისა და მამისაშვილის მიერ 1951 წელს მოსმენილ პარალელურ მრავალხმიანობას. სამწუხაროდ ხელთ არ გვაქვს ისეთი ნიმუშები, სადაც ერთდროულად იყოს მოცემული როგორც ქართულ ტრადიციული (ამ შემთხვევაში ბურდონული) მრავალხმიანობა, ისე გაერთხმიანების გზა, ანუ 1951 წელს მოსმენილი ჭანური სიმღერებიც მესხურსა და კლარჯულთან (აუდიოდანართი, №224), მათ შორის 1870-1910-იანი წლების მუჭაჭირთა შთამომავლების მიერ ნამდერ სეკუნდურ (აუდიოდანართი, №225) სიმღერებთან ერთად, ვიმეორებ, გაერთხმიანების გზაზე დამდგარ ნიმუშებად უნდა ჩავთვალოთ.

კლარჯული სიმღერებისთვის სეკუნდური პარალელიზმი დამახასიათებელი უკვე 1910-იანი წლებში ყოფილა. მიუხედავად ასეთი ძველი პერიოდისა კლარჯული სიმღერის გაერთხმიანების გზას მხარს უნდა უჭერდეს ორი დამატებითი გარემოება: 1) კლარჯული სიმღერებისგან განსხვავებით სააკორდეონე დასაკრავებისთვის სეკუნდების პარალელისმი უცხოასეკუნდური მრავალხმიანობა, ამავე დროს კი აკორდზე გვხვდება „ქართული მრავალხმიანობა“ (დაწვრილებით იხილე 2.1 და 3.6 ქვეთავები); 2) ჩემამდე და ჩემ მიერ ფიქსირებული მასალის შეჯერების მიხედვით<sup>16</sup> 1910-იან წლებში ლაზური, მესხური და შავშური მრავალხმიანი სიმღერები არსებობის უკანასკნელ წლებს ითვლიდნენ.

კლარჯების სიმღერების მსგავსი ორიოდე ნიმუში ხევსურეთშიც იძებნება (აუდიოდანართი, №226-227; სანოტო დანართი, №36), მაგრამ, იქ საქმე გვაქვს ხმების უფრო შემთხვევით შეხამებასთან, კლარჯულში კი ხმები პარალელური სეკუნდებით თითქმის ყოველთვის ორგანიზებულად მოძრაობს. ხმების ქართულისთვის უჩვეულო შეხამებებით გამოირჩევა ასევე ორი თუშური სიმღერა (სანოტო დანართი, №37-38), რაც ხმების არასწორად შერჩეულ სიმაღლეების ბრალი უნდა იყოს. სამწუხაროდ, მათი ხმოვანი ჩანაწერები არ მოგვეპოვება.

ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაწერილ ერთ სიმღერაში უნისონი ხშირ შემთხვევაში სუფთად უდერს, თუმცა იშვიათად მაინც ადგილი აქვს მისგან გადახრას (სეკუნდები, კვარტაც კი – აუდიოდანართი, №228). საინტერესოა, ეს მხოლოდ შემსრულებლებში ხმების უნისონში სუსტი კოორდინაციის ბრალია, თუ მთქმელებს სურთ მრავალხმად შეასრულონ ესა თუ ის ნიმუში, მაგრამ ვერ გამოსდით? გამოსარიცხი არ არის მრავალხმიანობის „შექმნის“ მცდელობაც,

<sup>16</sup> ვგულისხმობ იმ ხანდაზმულ ეთნოფორებს, რომლებსაც თავიანთ მხარეში ბავშვობაშიც კი არ გაუგიათ მრავალხმიანი სიმღერა.

რადგან ეს სიმღერები 40-50 წლის წინ მრავალხმიანი, თანაც ჭეშმარიტად ქართული სახით სრულდებოდა. ნიმუშების გაერთხმიანების პროცესზე საუბრისას ამგვარ მაგალითებზე დაკვირვება ნამდვილად დირს, მიუხედავად იმისა, რომ ჰაირიეს შემთხვევაში არ გვხვდება თუნდაც სეკუნდების ისეთი ორგანიზებული მოძრაობა, როგორიც კლარჯულ მუსიკალურ ფოლკლორშია.

უნდა გავიხსენო ლაზ ინფორმატორთა მიერ მოწოდებული ის ცნობები, სადაც სიმღერის ბანი არა ბურდონული, არამედ თავისუფალი ყოფილა. რა ტიპის მრავალხმიან ნიმუშებს გულისხმობდა პელიმიში ან მამისაშვილი? 1951 წელს მამისაშვილისა და ჩეიკვაძის მიერ მოსმენილ ლაზურ სიმღერებს კვინტებისა და კვარტების პარალელიზმი ახასიათებდა და ამის გამო გ. ჩეიკვაძემ ჭანებს მრავალხმიანობა „დაუწუნა“ (გავიხსენოთ, რომ ლაზურ ქამანჩას დღემდე კვარტების პარალელიზმი ახასიათებს). თუ პარალელს გავავლებთ მაღრაძის მიერ ფიქსირებულ მესხურ სიმღერებთან 1951 წელს მოსმენილი ლაზური სიმღერებიც გაერთხმიანების გზაზე მყოფ ნიმუშებად უნდა ჩავთვალოთ, მით უფრო რომ ფილმ Arhavi Belgeseli-ში მოცემულია პარალელური კვარტებისა და კვინტების ჩანაწერიც (განმეორებით იხილე ვიდეოდანართი, №10). აღსანიშნავია, იმავე ფილმში ფიქსირებული „სოილე რუმიანაიანა“. ეს საშაირო სიმღერა, რომელიც დამახასიათებელია კლარჯული მუსიკალური ფოლკლორისთვის, შესაძლოა, ჭანურ მუსიკაშიც გვხვდებოდეს, ყოველ შემთხვევაში, ამ ნიმუშში მოელი სიმღერის მანძილზე „უსუფთაო უნისონი“ ჟღერს (ვიდეოდანართი, №39).

კლარჯულ ორხმიან სიმღერებს პარალელები ეძებნება სხვადასხვა ქვეყნის მუსიკალურ ფოლკლორში. მაგალითად, ბალკანეთის მთებში, ავდანეთის მთებში (ნურისტანი), ტიბეტში, ბალტიისპირეთში (ეთნომუსიკოლოგების პირველი შთაბეჭდილება კლარჯული სიმღერების სწორედ ამ ქვეყნების მუსიკალურ ნიმუშებთან ასოციაცია იყო), მაგრამ ისტორიულად ამ მხარეების ერთმანეთთან დაუკავშირებლობის გამო, ამ თემაზე მსჯელობას არ განვავრცობ. აღვნიშნავ, რომ მუსიკალური თვალსაზრისით ამ პარალელებს (ანკემიტონური კილოები, მოდულაცია დიდი სეკუნდით ზევით და ქვევით, ქართული „ლაზარესა“ და ბულგარული „ლაზარუგანეს“ მსგავსება, სიტყვა „ლილე“, ანკემიტონური კილოები, სოლისტი დამწევები და ჯგუფური ბანი, ინტონაციური მსგავსებები და ა. შ.) დიპლომი მიუძღვნა ეთნომუსიკოლოგმა ნინო ციციშვილმა. იგი თავის ნაშრომში „ქართულ-ბალკანური /სამხრეთ სლავური/ მუსიკალურ-ეთნოგენეტიკური პარალელები“, საინტერესო მუსიკალურ და ეთნოგრაფიულ პარალელებს ავლენს.

მას მოაქვს ნიმუშები უმეტესად ბალკანური ბურდონული მრავალხმიანობისა, სადაც ხშირად დომინირებს სეკუნდა (და არა სეკუნდების პარალელიზმი), მაგრამ, ამგვარ ნიმუშებთან ერთად ციციშვილს ასევე მოტანილი აქვს პაზარჯიშკონისტიმანის (ციციშვილი, 1988:40-43), სერბეთის (იქვე:56) ბოსნია-ჰერცეგოვინისა (იქვე:68-69) და მაკედონიის (იქვე:77, 81, 83) სიმღერებიდან ისეთებიც, რომლებიც სეკუნდური პარალელიზმით ხასიათდება. ეს ნიმუშები, ისევე როგორც ლიტვური „სუტარტინები“ (აუდიოდანართი, №229), მუსიკალურად ახლოა კლარჯულ მრავალხმიანობასთან<sup>17</sup>, რომელსაც ეთნომუსიკოლოგი არ იცნობდა და უურადღებასაც ვერ გაამახვილებდა.

ჩემ მიერ მოპოვებული კლარჯული მასალების შესწავლის შედეგად პარალელები კლარჯულ, ლიტვურ და ალბანურ სეკუნდურ სიმღერებს შორის აშკარაა. მათი შედარებითი კვლევა სამომავლო საქმედ მიმაჩნია, თუმცა აღვნიშნავ, რომ მურდულის ხეობის მეზობლად დღემდე მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ.

კლარჯული მუსიკალური ფოლკლორი ზოგადქართულის ორგანული ნაწილია. ამაზე მეტყველებს: 1) კლარჯულ, მათ შორის მურდულურ, ერთხმიან სიმღერებში ქართული მელოდიკა და ფარული მრავალხმიანობის სიხშირე; 2) კლარჯულ სააკორდეონე მუსიკაში „ქართული მრავალხმიანობის“ კვალის არსებობა.

ქართულ-ბალკანურ (კერძოდ, ბულგარულ) ეთნოგრაფიულ პარალელებზე მუშაობდა ეთნოგრაფი ნელი ბრეგაძე, რომელმაც ორი ქართულენოვანი სტატია გამოაქვეყნა. როგორც ცნობილია, ბულგარული ხალხური სიმღერისთვის ერთხმიანობაა დამახასიათებელი. დღეს არსებული მრავალხმიანი სიმღერების დიდი ნაწილი სინამდვილეში ბულგარული კომპოზიტორების (განსაკუთრებით, ფილლიკ კუტევის) მიერ არის დამუშავებული (ჟორდანია, 2016:49).

<sup>17</sup> კლარჯულის მსგავსი ნიმუშები, ჩვენ ხელო არსებული მასალის მიხედვით, არ მოიპოვება არც ბასკურ და არც კორსიკულ ხალხურ სიმღერებში.

### 3.5 ჩვენებურების ხალხური სასიმღერო მრავალხმიანობის დაკარგვის სავარაუდო დრო და ზოგან მრავალხმიანობის შემორჩენის სავარაუდო მიზეზები

მიუხედავად XV-XVI საუკუნეებში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების მიუხედავად, ჩვენებურების დიდი ნაწილი ქართული მუსიკალური იდენტობის ძირითად ნიშანს, მრავალხმიანობას სამი საუკუნის მანძილზე ინარჩუნებდა. ჩვენამდე მოღწეული ცნობებიდან ჩანს, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მრავალხმიანი სიმღერები უფროს თაობაში მაინც ჯერ კიდევ ისმოდა ლაზეთსა და შავშეთში.

და მაინც როდის ქრება მრავალხმიანი სიმღერები? მასზე სავარაუდო პასუხის გაცემამდე კიდევ ერთხელ უნდა შევწერდე XIX-XX საუკუნეების ცნობებზე.

შავშური და ლაზური სიმღერების ამსახველ ცნობებზე აღარ შევჩერდები, რადგანაც ნათელია, რომ 1870-1910-იან წლებში მრავალხმიანი ნიმუშები ჯერ კიდევ ჟღერდა. კლარჯულ მუსიკაზე კი არაერთგვაროვანი ცნობები გვხვდება და თითოეულ მათგანს აქ განვიხილავ. მხედველობაში მაქვს ი. ჯაიანის ერთი და ზ. ჭიჭინაძის რამდენიმე ცნობა:

მურღულში ერთ ხოჯას ყანაში ნადი პქონია, „მუშებს თავიანთის ქართული ხმებით დაუწყვიათ „ყანურის“ მღერა, ამ სიმღერაში ხოჯაც აჲყოლია. ამაზე ხალხი ძლიერ გაკვირვებულა და ერთს უთქვამს, ხოჯა! აკი თქვენ ამბობდით, რომ გურჯულის მღერა ცოდვა არისო? თქვენც კარგად იმღერეთ ჩვენთანო!? – ყანაში მუშაობის დროს არა უშავს-რა ქართულს, მიტომ რომ ჩვენები თათრულს ასე ვერ აწყობენო, – მიუგო ხოჯამ. ეს ხოჯა მეტად ფანატიკოსია თურმე, სტამბულში გაზრდილი, ტომით ქართველი, მოძულე ქართველთა, მუშებმა სოქვეს: – ასე ყოფილაო, როცა მაგათვის ვმუშაობთ, მაშინ თუ ვიმღერეთ, ცოდვა არა ყოფილაო და როცა ჩვენთვის, მაშინ კი დიდი ცოდვა არისო“ (ჭიჭინაძე, 1913:203-204).

მუსლიმანური დოგმების ირონიულ შეფასებას რომ თავი დავანებო, საყურადღებოა ფრაზა – „ჩვენები თათრულს ასე ვერ აწყობენ“. რატომ? ქართული პანგი იყო სპეციფიკური? თუ ადგილობრივებმა მაშინ თურქული ენა კარგად არ იცოდნენ? ლაბაძის დისერტაციაში დასახელებულმა საკმაოდ ხანდაზმულმა ორმა მთქმელმა თურქული სუსტად იცოდა (ლაბაძე, 2013:238), თუმცა თურქულენოვანი დესთანები უპევ გავრცელებული იყო. მთავარი აქ პანგის სპეციფიკურობა რომ უნდა ყოფილიყო, ჯერ კიდევ მონოგრაფია „კლარჯეთის“ ავტორების მიერ იქნა

შენიშნული (ფაფავა, შიომვილი, და სხვ. 2016:195). როგორც ძველ აუდიოკასეტებზე, ისე ჩემ მიერ ფიქსირებულ ჰაგებზიც, თავისუფლად ქლერს როგორც ქართული, ისე თურქული სიტყვიერი ტექსტებიც, არ არის იშვიათი მათი მონაცემლეობაც. მხედველობაში მაქვს როგორც ერთხმიანი, ისე ორხმიანი (სეპუნდური) სიმღერები. თუკი ჩვენებურები უწინ „თათრულს ასე ვერ აწყობდნენ“, იმხანად ქართული ხალხური მუსიკის კანონზომიერებების კარგად შენახვაზე მეტყველებს, მით უმეტეს, რომ კლარჯულ დასაკრავებზი არ გვხვდება სეპუნდურის პარალელიზმი, ამავე დროს, შემორჩენილია ქართული ხალხური მუსიკისთვის დამახასიათებელი მარტივი კადანსი.

საყურადღებოა მუშების მიერ გამოთქმული უკმაყოფილებაც. ამ ცნობიდანაც ჩანს, რომ რელიგიური ფაქტორი ერთ-ერთი იყო ჩვენებურების სიმღერაში მრავალხმიანობის დაკარგვისა. ხაზგასასმელია ისიც, რომ კლარჯული სიმღერების ჩვენთვის ცნობილი აღრეული ჩანაწერები 1970-იანი წლებით თარიღდება, 1870-1910-იან წლებში გადასახლებული მუჭაჯირების სიმღერებიც ასევე სეპუნდურია, მაშინ ჭიჭინაძის წიგნში დაბეჭდილი ცნობა რეალურად 1880-90-იან წლებს უნდა ასახავდეს, ვინაიდან მუჭაჯირობის დასრულებისას (1910-იანი წლების ბოლო) სეპუნდური მღერა უკვე ფრიად გავრცელებული უნდა ყოფილიყო.

საინტერესოა ჭიჭინაძის სხვა ციტატებიც, რომლებიც ქართული მრავალხმიანი სიმღერების არსებობას უფრო ამყარებს: ეყრდნობა რა ადგილობრივთა ცნობებს დევეს სქელში (დევსქელში) მესხების გადმოსახლების და ნამდვილი დევსქელელების ოსმალეთში გადასახლების შესახებ (ჭიჭინაძე, 1913:142) ასკვნის, რომ დევსქელელებმა „სიმღერებიც ძველებური იციან, ხანდისხან ოსმალურსაც აყოლებენ, როცა ერთი კაცი მგზავრად მიდის ხოლმე და მღერას დაიწყებს, თორებ ყანასა და საერთო ყრილობებზე-კი მხოლოდ ქართულის სოფლურის ხმებით მღერიან“ (იქვე:142-143). სხვა ადგილას აღნიშნავს გარკვეულ სხვაობას აჭარულ, კლარჯულ და შავშურ სიმღერებს შორის, როდესაც წერს: „აჭარაში უფრო კარგად მღერიან, ვიდრე მაჲმადიან ქართველთ სხვა მხარეებში. ყველგან იციან ქართული შეწყობილი ხმები და ყველგან მღერიან ქართულად, მაგრამ უფრო უკეთესად აჭარაში მღერიან“ (იქვე:81). რაც მთავარია, ციტირებული ცნობები უარყოფს ჭიჭინაძისვე გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „მურღულში სრულიად ამოვარდნილა ქართული ჩვეულებანი და ქართული სიმღერებიც-კი გამქრალა“ (იქვე:203). აქვე უნდა აღვნიშნო, რომ დევსქელის სიმღერები არანაირ სხვაობას არ ავლენს ბაგინის, ან ებრიკა-ადაგულის კლარჯულ სიმღერებთან,

ამგვარად დევსქელში მესხების მასობრივი გადმოსახლებისა და მთელი ძველი დევსქელების ოსმალეთში მუპაჯირად წასკლის ამბავი გადაჭარბებულად მიმაჩნია.

დ. ჯაიანი, რომელიც 1893-95 წლებში ბორჩხეაში ყოფილა, 1895 წელს აღნიშნავს: „ამათში, როგორც დრო და უამი მიდის, ისე ჰქონება თურმე ძველთაგან დარჩენილი ცეკვა-სიმღერა, აქ ვერსად გაიგონებთ იმისთანა სიმღერას, რომელიც ცოტათი მაინც ჰგვანდეს ჩვენებურს“ (ჯაიანი, 1991:101). როგორც ჩანს ბორჩხეის დიდ ნაწილში, იმხანად უკვე დაკარგული იყო ქართული მრავალხმიანი სიმღერა, თუმცა შენიშვნა „ცოტათი მიგვანების“ შესახებ გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ფარული მრავალხმიანობა საკმაოდ ხშირია.

ჭიჭინაძისა და ჯაიანის ზოგჯერ წინააღმდეგობრივი ციტატების შეჯერების შედეგად ირკვევა, რომ 1880-90-იან წლების კლარჯეთის ზოგიერთ სოფელში მაინც, „ქართული ტიპის მრავალხმიანობა“ ჯერ კიდევ ჟღერდა. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს ხოჯას ფრაზა „თათრულს ისე ვერ აწყობენ“ და ჭიჭინაძის დაკვირვება, რომ „ყველგან იციან ქართული შეწყობილი ხმები“, მიუხედავად იმისა, რომ ამ ფრაზაში პრიორიტეტს აჭარულ სიმღერას ანიჭებს. ამგვარად, საფიქრებელია, რომ კლარჯული და შავშური მრავალხმიანი სიმღერების დეგრადაციის პროცესი 1880-იან წლებში უკვე დაწყებული ყოფილიყო.

1922 წელს გონიერის რ-ნის სოფ. ქოჩბაირში (მეორე ცნობით ექმი დერეში) დაიბადა ახმედ ოზქან მელაშვილი (ჩოხარაძე, 2016:66; ფალავა, 2016:142). მისი წინაპრები ბორჩხეის რ-ნის სოფ. არხვადან იყვნენ. მელაშვილის მამა თევფიქი ხელოსანი იყო, მაგრამ ქართული სიმღერის ისეთი მოტრფიალე, რომ ბრიგადაშიც კარგი ქართული სიმღერის მცოდნე ახალგაზრდებს იღებდა და შეგირდებს უმაღ მინარეთის გამრუდებას აპატიებდა, ვიდრე სიმღერის ცუდად თქმას (კალანდია, 2010:10). ეს ცნობა შესაძლოა გადაჭარბებული ყოფილიყო, რადგან:

1) 1990-იან წლებში კოჩბაირში მისულ მუსტაფა უზუნს აკორდეონზე შესრულებული ცეკვებიდან „დუხორომი“ და „აფხაზური“ ახსოვს, სიმღერებიდან კი ერთხმიანი „ჯილველო“. ახმედს მუსტაფასთან, რომელიც მრავალხმიანობა-ერთხმიანობაში კარგად ერგვება, გონენში მრავალხმიანი სიმღერის არსებობის შესახებ არაფერი უთქვამს. მუსტაფა კი 1972-80 წლებში მელაშვილთან საკმაოდ დახლოებული და უერნალ ჩვენებურების ერთ-ერთი შემქმნელი იყო;

2) 1965 წელს ჯაბადარმა და მელაშვილმა, ჰაირიეს გარდა, სხვა რამდენიმე სოფელი მოიარეს (ჯაბადარი, 2012:118). ვფიქრობ, მრავალხმიანი ნიმუშების

არსებობის შემთხვევაში, ახმედი ილიას საკუთარ სოფელშიც მიიწვევდა. ინტერესმოქლებული არც ისაა, რომ მელაშვილის წიგნ „Gürcüstan“-შიც და ბაბინებზეც პაირიეს მხოლოდ მრავალხმიანი სიმღერა-დასაკრავებია მოცემული. როგორც ჩანს, ჯაბადარისა და მელაშვილის ინტერესში პაირიესა და სხვა სოფლებში ერთხმიანი სიმღერა-დასაკრავების ფიქსირება არ შედიოდა.

ახმედს დიდი ურთიერთობა ჰქონდა არამარტო ევროპაში, არამედ საქართველოში მცხოვრებ ქართველებთან, თუმცა თურქეთის ხელისუფლება ახმედს იმხანად სდევნიდა (დაწვრილებით იხ. კალანდია, 2010).

რაც შეეხება ჭიჭინაძის, ჩხილაძისა და სხვათა მიერ მოპოვებულ ცნობებს, მათ საფუძველზე ვვარაუდობ, რომ მრავალხმიანი სიმღერების მომსწრე ლაზი და შავში ეთნოფორების უმრავლესობა 1980-90-იან წლებში უნდა გარდაცვლილიყო, თუმცა მრავალხმიანი ნიმუშების ჩაწერის მცირე ალბათობა რომ არსებობს, ამას ბაწაშის 1979 წლების ჩანაწერებზე მის მიერვე მოწოდებული ცნობაც ადასტურებს. არც ისაა გამორიცხული, რომ 90-იანი წლების მასალაში იყოს მრავალხმიანი თითო-ოროლა ნიმუშიც. არც ისაა გამორიცხული, რომ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე და მუჭაჯირებში ჯერ კიდევ ახსოვდეთ ქართული ტიპის მრავალხმიანი სიმღერები<sup>18</sup>.

ქობულეთსა და აჭარაში მრავალხმიანი, და თან მაღალმხატვრული, სიმღერების შენარჩუნება ამ ადგილებში ოსმალეთის ყველაზე გვიან გამაგრებით უნდა აიხსნას (ჭიჭინაძე, 1915:12, 20, 29-30). მოპოვებული ნიმუშების მიხედვით ფაცაში მცხოვრებ ქობულეთელთა სიმღერები ერთხმიანია. საკრავებიდან კი საზია წამყვანი (ამის საუკეთესო მაგალითები, ბედის ირონიით, სწორედ რომ საზია თანხლებით შესრულებული „ნადურებია“). სასიმღერო მრავალხმიანობა ჯერ კიდევ შემორჩენილია მაჭახელას თურქულ ნაწილსა და მუჭაჯირი აჭარლების სოფლების ნაწილში, თუმცა მათი დაკნინების პროცესი დღეს უკვე აშკარაა.

რაც შეეხება ჰერეთს, მეცხრამეტე საუკუნეშიც ვითარება უკვე საკმაოდ მძიმე იყო. თუ ჯანაშვილის და ხუციშვილის შეფასებებს დავუყრდნობით ჰერეთის ნაწილში (და, დიდი ალბათობით, მთელ ჰერეთში) 1860-70-იანი წლებისთვის მრავალხმიანი სიმღერები უკვე აღარ არსებობდა.

ქალაქური მუსიკის აღმოსავლური შტოს გავლენას განიცდის და ზოგადქართული მუსიკის ნორმებიდან დაშორებულია როსებაშვილის მიერ 1964-65

<sup>18</sup> აქ არ ვგულისხმობ თურქეთში მცხოვრებ აჭარლებს.

წლებში ქართლში გუდასტვირზე ფიქსირებული დასაკრავების (აუდიოდანართი, №230) გარკვეული ნაწილი. გავლენა იგრძნობა როგორც თავად დასაკრავებში, ისე სახელწოდებებშიც („საზანდრული“, „ბალდადური“, „ბაიათი“).

მესხურ მუსიკასთან დაკავშირებით უნდა გავიმეორო ორიოდე რამ: 1) მესხურმა სიმღერამ მრავალხმიანობა დაკარგა მაშინ, როდესაც 60-70 წელი იყო გასული მესხეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებიდან (თუმცა, შესაძლებელია გაერთხმიანების პროცესი ოსმალეთის დროს დაწყებულიყო); 2) გუდასტვირზე თურქეთში ფიქსირებული დასაკრავები, ქართულობას დღემდე ინარჩუნებენ, მესხურ დასაკრავები ქართულს სრულებით აღარ ჰგავს (აუდიოდანართი, №231). ამ კონტექსტში მესხური დასაკრავების არაქართულობა, ალბათ, კუთხის ეთნიკური სიჭრელითა და ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის აღმოსავლური შტოს გავლენით უნდა აიხსნას.

მესხური ხალხური მუსიკის მკვლევარი ბაია შუშუნაძე თავის მოხსენებაში „მესხური ხალხური სიმღერა – მრავალხმიანობიდან ერთხმიანობამდე“ სამართლიანად აღნიშნავს, რომ „მესხური მრავალხმიანობის გაქრობაში თურქულთან ერთად სომხურმა ფაქტორმაც უდიდესი წვლილი შეიტანა“. სომხურმა იმიტომ, რომ 1828-29 წლებში ერზრუმიდან მრავალი სომეხი ჩამოასახლეს (სომხებთან ერთად შედარებით ნაკლებად ცხოვრობდნენ თურქები და თარაქამები). უცხოტომელების ჩამოსახლება ოსმალეთის იმპერიამ დაიწყო და „დააგვირგვინა“ მეფის რუსეთმა. სომხურ ფაქტორზე მშველიძის 1933 წელს ექსპედიციაში „თულუმზე“ (მესხები მას „გუდასტვირს“, „ჭიმუნსა“ და „ტიკზარსაც“ უწოდებენ (მაღრაძე, 1981:121)) დამკვრელად, ქართველ ვანო ფანჯავიძესთან ერთად, სომეხი არტამ ხეჩოვანის დაფიქსირებაც მეტყველებს (ხმები წარსულიდან დისკი 6). ასლანიშვილისა და მაღრაძის გარდა მესხური თულუმი დაფიქსირებული აქვს მ. ჩიქოვანსაც.

საინტერესოა, რომ სიმღერის გაერთხმიანება გუდასტვირის თვლების ოდენობაზეც აისახა. ჯერ კიდევ 40-50 წლის წინ შავშური „ჭიბონისა“ და ტაოური „ტიკის“ თვლების რაოდენობა 1/5 ან 3/5 იყო და არა 5/5. პონტოური „ცაბოუნას“ შედარება ლაზურ „გუდასთან“ გვიჩვენებს, რომ ძველი ლაზურ გუდასტვირებშიც თვალთა რაოდენობა ასევე 1/5 ან 3/5 იყო და არა 5/5. თვლების ტოლი რაოდენობა როგორც მეორე პარაგრაფში არაერთგზის აღვნიშნე, ხელს უწყობს ჰანგის გაერთხმიანებას, ვინაიდან ამგვარ გუდასტვირზე ორხმიანობის დომინირება ტექნიკურად ძალიან ძნელდა. 2017 წელს იგივე მითხვა ეთნომუსიკოლოგმა და

მეჭიბონებ ლეგან ვეშაპიძემ. საინტერესოა შავშათის რაიონის სოფ. დასამობში გაგონილი 4/5-იანი ჭიბონი (ჩავწერ 2014 წ.). იგი შუალედური უნდა იყოს 3/5 და 5/5-იან გუდასტვირებს შორის.

### **3.6 მრავალხმიანი საკრავიერი მუსიკის „ქართულობის“ საკითხი**

დაგუბრუნდები 6. ზუმბაძის სტატიას, სადაც ცალკეა გამოყოფილი საკრავის თანხლებით სოლო მღერა (ზუმბაძე, 2010:354). საკრავს შემბანებლის ფუნქცია აქვს, იგი სიმღერის პოტენციური მრავალხმიანობის ხორცების, მისი გამრავალხმიანების საშუალებაა (იქვე:356). ამის მიუხედავად, აღნიშნავს ავტორი, ნამდერში არსებული მრავალხმიანობის ნიშნებით ცხადდება, რომ შემსრულებელს მხოლოდ საკრავის ბანი არ აკმაყოფილებს (იქვე:356-357).

ჩვენებურების მუსიკალურ ფოლკლორში საკრავის მელოდია მომდერალთან უნისონსა თუ ოქტავაში ჟღერს, მაგრამ ბანის პარტია საკრავშია დარჩენილი. საინტერესოა, რომ ლაზური სიმღერის ქამანჩით თანხლების შემთხვევაში ბანი წარმოგვიდგება კვარტით ქვევით (აუდიოდანართი, №232), იგი ამ მხრივ შეიძლება შევუდაროთ არატრადიციულ მესეურ მრავალხმიან სიმღერებს (კვარტული და კვინტური შეხამებებით (აუდიოდანართი, №233) და ვნახოთ, რომ ქამანჩის პარტიაში (როგორც სიმღერით, ისე უსიმღეროდ) საქმე შესაძლოა გვქონდეს მრავალხმიანი სიმღერის გაერთხმიანების პროცესის საკრავზე გადმოტანასთან. ძველ კლარჯულ ჩანაწერებში ქართული მუსიკისთვის დამახასიათებელი მოძრაობა უფრო შესამჩნევია. ამ შემთხვევაში გამოიყენება მარტივი კადანსი (I-VII-I) (აუდიოდანართი, №234). კლარჯულთან შედარებით, ქართული მრავალხმიანობა კიდევ უფრო ნაკლებად ვლინდება შავშურ „სააკორდეონზე“ დასაკრავებში (აუდიოდანართი, №235).

გამოვავლინე საკრავიერი მუსიკის სამი ტიპი: 1) ქართული, 2) ნაწილობრივ ქართული და 3) არაქართული. ნაწილობრივ ქართულ მუსიკაში ვგულისხმობ ქართულ მელოდიას, არაქართული თანხლებით. ქართული ტიპის მუსიკა სრულდება გუდასტვირზე (მესხეთის გარდა), ტანბურსა და ზოგჯერ გარმონზე, ნაწილობრივ ქართული მუსიკა – ქამანჩაზე: აკორდეონსა და გარმონზე. არაქართული კი ნადარა-ზურნასა და გარმონ-აკორდეონზე, ასევე მესხეთში გავრცელებულ გუდასტვირზე.

რა არის იმის მიზეზი, რომ საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების მუსიკალურ ფოლკლორში არსებული საკრავებიდან „ყველაზე ქართულად“

მხოლოდ გუდასტვირი და ტანბური ჟღერს? ალბათ ის, რომ საგუთრივ ქართული ინსტრუმენტარიუმიდან გუდასტვირი ერთადერთია, რომელიც ჩვენებურებშია წარმოდგენილი. ტანბური კი ჩრდილოკავკასიელების საკრავია, პერეთში მასზე უმთავრესად გალეკებულ-გაზერბაიჯანელებული ქართველები უკრავენ. რაც შეეხება აკორდეონს, ორგანული არ არის ქართული სოფლური ყოფისთვის და ძირითადად ბოლო ნახევარ საუკუნეშია დამკვირდებული. იგი დღევანდელი საქართველოს კუთხეებიდან უმთავრესად აჭარაში გვხვდება და აღსანიშნავია, რომ მისი დასაკრავების ნაწილიც ასევე ვერ თავსდება ქართული ხალხური მრავალხმიანი მუსიკისთვის დამახასიათებელ ჩარჩოებში (აუდიოდანართი, №236). იგივე შეიძლება ითქვას პაირიებში ვერ კიდევ 1960-იან წლებში ფიქსირებულ ნიმუშებზეც.

აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ნადარა-ზურნის ანსამბლის გარდა, სხვა ანსამბლები ჩვენებურების მუსიკალური ყოფისთვის დამახასიათებელი არ არის.

### 3.7 სხვა მუსიკალური ნიშან-თვისებები

საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების მუსიკალურ ფოლკლორში გვხვდება ქართულ მუსიკაში გაგრცელებული მრავალხმიანობის ყველა ტიპი. მხედველობაში ვიღებ რა ჩვენებურებში ვოკალური მრავალხმიანი ნიმუშების სიმწირეს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ცნება „მრავალხმიანობაში“ ვაერთიანებ ვოკალურ და საკრავიერ მრავალხმიანობას.

ჩვენებურებთან მრავალხმიანობის ბურდონული და კომპლექსური სახეობებია წამყვანი. ბურდონი (უმთავრესად პედალური) დამახასიათებელია ყიზლარ-მოზდოკის სასიმღერო ფოლკლორისთვის, ტანბურზე შესრულებული ინგილოური და გუდასტვირზე შესრულებული ლაზური, შავშური და ტაოური ნიმუშებისთვის<sup>19</sup>. ბურდონი ხშირ შემთხვევაში მოიცავს ბანის I და VII საფეხურებს. ქამანჩაზე შესრულებული ჭანური, კლარჯული და ნაწილობრივ აჭარული სიმღერებისათვის კოპლექსური მრავალხმიანობაა დამახასიათებელი. ქამანჩის პარტია ბანში მოიცავს I, VII, VI, V და ზოგჯერ IV საფეხურებს, კლარჯულ სეკუნდურ სიმღერებში კი მაღალ V, IV, III, II, I, VII და VI საფეხურებს, რაც უჩვეულოა ქართული მუსიკისთვის. კომპლექსურთან ერთად კონტრასტული ტიპი გვხვდება აჭარლების

<sup>19</sup> ამ უგანასკნელში ერთხმიანობის დომინირების გამო ბურდონი ფრაგმენტულია.

სიმღერებში, რომელთა ბანი მოიცავს III, II, I, VII, VI, V და IV, იშვიათად მაღალ IV საფეხურებს.

გვხვდება უმეტესად დაღმავალი და ტალღოვანი მიმართულების მქონე მელოდიები, ხშირია საწყისი ბგერიდან (კილოს პირველი ან მეშვიდე საფეხური) კვარტული ან კვინტური აღმავალი ნახტომი, რაც ფარულ მრავალხმიანობას ქმნის, მაგრამ, უცხო არ არის აღმავალი მდორე მოძრაობაც. ჩვენებურების სიმღერების დიაპაზონი ძირითადად სექსტა-სექსტიმაა, თუმცა ინგილოური მუსიკის მელოდია უფრო ვიწროა, იგი კვარტა-სექსტის ფარგლებშია, ვინაიდან ჰერეთში უმეტესად ბაგშვთა მიერ სათქმელი ნიმუშებია შემორჩენილი. საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების მელოდიების მცირედიაპაზონიანობაც შეიძლება მრავალხმიანობის გადმონაშთად მოგვეჩენოს, მაგრამ მუსულმანური მუსიკაც ასევე მცირედიაპაზონით (აუდიოდანართი, №237) ხასიათდება.

სიმღერები სრულდება როგორც ერთპირულად, ისე ორპირულად (ანტიფონურად და რესპონსორულად). ყიზლარისა და მოზდოკის ქართველებთან ვხვდებით ხმების მონაცემებას გაბმული ბანის ფონზე.

სხვადასხვა კუთხის მუსიკალურ ნიმუშებს შორის მელოდიური მსგავსება, რომელიც 3.1 პარაგრაფში განვიხილა, ერთია, ხოლო „მოარული მელოდიები“ (თამაზ გაბისონიას ტერმინი) – მეორე. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმგვარ მელოდიას, რომელზედაც რამდენიმე სიმღერა იმდერება, მათ შორის, ჟანრულად განსხვავებულიც. „მოარული მელოდიები“ დამახსიათებელია ლაზური, შავშური, ტაოური და ნაწილობრივ, კლარჯული (დესთანი) ხალხური სიმღერებისთვის, რაც მათი ინტონაციური სიდარიბით შესაძლოა აიხსნას. ამ ფონზე გასაკვირად შეიძლება მოგვეჩენოს ჰერეთში „მოარული მელოდიების“ გაუვრცელებლობა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, ვინაიდან საინგილოში ძირითადად საბავშვო და ბაგშვთა მიერ სათქმელი ნიმუშებიდაა შემორჩენილი.

ჩვენებურებისთვის დამახსიათებელი არ არის მდერის მძაფრი მანერა. მუსულმანური კულტურისგან განსხვავებით, ნაკლებია ცხვირში მდერის შემთხვევა. მელიზმები ხშირია, თუმცა არა იმ დოზით, როგორც მუსულმანურ ლოცვებში (აუდიოდანართი, №238).

ლაზურ, ტაოურ, შავშურ, კლარჯულ და ინგილოურ მუსიკალური ფოლკლორისათვის მოდულაცია თითქმის არ გვხვდება. შესაძლოა მოდულაციის არქონა ვოკალური მრავალხმიანობის დაკნინებასა და დაკარგვას გამოეწვია.

სიმღერის ყოველი ფრაზის ბოლოს საყრდენი ტონის რიტმული დანაწევრება, საქართველოს სხვა კუთხეებისგან (თუშურის გარდა) განსხვავებით, ჭანური და ტაოური მუსიკის სტილური მახასიათებელია (აუდიოდანართი, №239; სანოტო დანართი, №39). ამასთანავე, ლაზებისა და კლარჯებისთვის დამახასიათებელია რიტმული ხაზგასმა არა ბოლო, არამედ მის წინ აღებულ ბგერებზე (აუდიოდანართი, №240; სანოტო დანართი, №40).

ჩვენებურების მუსიკაში სახეზეა როგორც თრწილადი, სამწილადი და ხუთწილადი, ასევე შერეული მეტრი.

ჩქარი ტემპი საცეკვაო ნიმუშებისთვისაა დამახასიათებელი, ნელი კი სავარაუდოდ აკვნის ნაწებისთვის (სავარაუდოდ, რადგან აკვნის ნანა ბაგჟვის დაძინების პროცესში არ ჩამიწერია). ნიმუშთა უმეტესობა ზომიერ ტემპში სრულდება.

ჰერეთის, ლაზეთის, შავშეთის, ტაოსა და კლარჯეთის ფოლკლორი გლოსოლალიების სიჭარბით არ გამოირჩევა.

### 3.8 ჟანრები

ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორი ჟანრულადაც მწირია: ნაკლებადად საკულტო სიმღერები (კლარჯული „ილბაში“ და შავშური „ნაზარი“), თუმცა არსებობს „გურჯული ვაიზი“ (აუდიოდანართი, №241). მას ხოჯები ქართულენოვან სოფლებში ღვთისმსახურებისთვის იყენებდნენ.

მნელი დასაფიქსირებელია მუსიკალური ინტონაციის მქონე სამკურნალო შელოცვა. ნატირლების ფიქსირება განსაკუთრებით ტაოსა და შავშეთში გამიჭირდა, ვინაიდან ეთნოფორთა უმეტესობა მის არსებობას უარყოფდა. ამჟამად ვფიქრობ, დატირების არსებობის უარყოფით, ეთნოფორებს ტირილისგან თავის არიდება სურდათ, რაც ფსიქოლოგიურად დასაშვებია (მით უფრო, მუსლიმურ გარემოში). ტირილით ქალები ტირიან, თუმცა შავშეთსა და ტაოში უფრო პოპულარული, როგორც ჩანს, მიცვალებულისთვის ყურანის კითხვაა.

ჩვენებურები პატივს სცემენ თამარ მეფეს, მაგრამ მასზე ბევრი არაფერი იციან – ზოგმა ისიც კი, თუ ვინ იყო ან, რეალური პიროვნება იყო თუ არა; თუმცა, შავშეთში მასზე მაინც მოხერხდა სიმღერის ჩაწერა, ხოლო ტაოში კი გუდასტვირზე (ტიკზე) თამარ მეფის სადიდებელი ჰანგი დაფიქსირდა.

სარფსა და ჰერეთში საბჭოთა თემატიკის ამსახველი ორიოდე ნიმუში მოგევთვება. ასეთია „ჩქინ ლაზეფე“ (სანოტო დანართი, №41), ინგილოური

„დამპიტარო“ (აუდიოდანართი, №242). სარფის სკოლის მასწავლებელი ა. თანდილავა 1950 წელს გაზეთ „სახალხო განათლების“ ფურცლებზე სტალინისა და ბერიასადმი მიძღვნილი ლაზური სიმღერების არსებობაზე წერდა (თანდილავა ა, 1950:3). სტალინისადმი მიძღვნილ ნიმუშში, შესაძლოა, ჰელიმიშის სიმღერა „ჯან სტალინ“ (აუდიოდანართი, №243) იგულისხმებოდეს. ამავე ავტორისაა სიმღერა „პარტია კომუნისტური“.

ძირითადად გავრცელებულია ლირიკული სიმღერები, ნანები (თუმცა ქართულენოვანი ნაის ფიქსირება დღეს იოლი ნამდვილად აღარ არის) და პატარძლის გამოსაყვანი სიმღერები. შრომის სიმღერებით შედარებით მდიდარია ჭანეთი, ხოლო ტაოში მხოლოდ ტყიდან ხის მორების გადმოსატანი „ელესა“ გვხვდება. ლაზეთში, ტაოში, კლარჯეთსა და პერეთში შრომის კოლექტიურ ფორმას „ნადი“ ჰქვია, მაგრამ იქაური ნადური სიმღერებისთვის უცხოა არა მარტო მრავალხმიანობა, არამედ ტემპის აჩქარება, მოდულაცია და ა. შ. თუმცა შერჩენილი აქვს შრომის კოლექტიური სიმღერებისთვის დამახასიათებელი მოტორული რიტმი (აუდიოდანართი, №244-245).

საქართველოს მოწყვეტილ ყველა კუთხეშია გავრცელებული ცხოველისა თუ ფრინველის დაძახებისა და გაგდების ხმები (აუდიოდანართი, №246).

რუხაძე სადისერტაციო ნაშრომში განიხილავს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა საქორწინო სიმღერებს. იგი მაყრულებს მეტრის მიხედვით აჯგუფებს ოთხწილად, სამწილად და თავისუფალი მეტრის მქონე მაყრულებად. აქედან ყველაზე ხშირი ოთხწილადი მაყრულებია (რუხაძე, 2013:49), თავისუფალმეტრიანი მაყრულების არსებობას, რომელიც უმთავრესად ქართლშია ფიქსირებული, სუფრულებობან მათი სიახლოვით ხსნის (იქვე:71) და ამის განსამტკიცებლად მოჰყავს ი. უორდანიას პიპოთეზაც „გრძელი კახური მრავალუამიერისა“ და ქართლ-კახური „მაყრული“ სიმღერების წარმოშობის საერთო ძირების შესახებ“ (უორდანია, 1981:50 ციტირებულია რუხაძე, 2013:72). საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩენილ კუთხეებში უმეტესწილად ცვალებადი ზომაა გავრცელებული (მათ შორის მაყრულებშიც). ამ მხრივ რუხაძის მიერ დასახელებულ თავისუფალი ზომის მქონე ქართლურ მაყრულებობან ზერელუ მსგავსება აშკარაა, თუმცა ჩვენებურების მაყრულში თავისუფალი ზომის გაბატონება თურქული მუსიკალური კულტურის გავლენით უნდა აიხსნას.

ჩვენებურებში ქართული ტრადიციული საქორწინო ნიმუშებიდან ფიქსირებულია პატარძლის კერიასთან შემოსატარებელი (აჭარულ-კლარჯულ-

შავშური „გელინოები“, ლაზური „ჭუბა ნუსა“) და მგზავრული მაყრულები (აჭარულ-შავშური „დოდოფალი მოყავან“, ლაზური სიმღერა გუდასტვირის თანხლებით). საქორწინო სუფრაზე გვხვდება საქორწინო-სუფრული ნიმუშები. ეს უკანასკნელი ლაზეთში, შავშეთსა და კლარჯეთშია გავრცელებული და დღევანდელი საქართველოს კუთხეებიდან მხოლოდ აჭარაში გვხვდება.

რამდენად ქართული მოვლენაა სურსათ-სანოვაგის მოსათხოვი საქორწინო-სუფრული სიმღერები? საუბარია რიტუალზე და არა ამ ნიმუშების ინტონაციურ მხარეზე, რომელთა ქართულობაც უჭვს არ იწვევს. ეს სიმღერები ფიქსირებულია მხოლოდ იმ კუთხეებში, რომლებიც იმყოფებოდნენ (უმეტესობა დღემდე იმყოფება) მუსლიმანური რელიგიის გავლენის ქვეშ. საქართველოს სხვა კუთხეებში კი ასეთი ნიმუშები ფიქსირებული არ არის. უფრო მეტიც, ასეთი ნიმუში თავად მესხეთშიც კი არ ფიქსირდება, აქედან გამომდინარე, ეს რიტუალი ჩვენებურებში უფრო გვიან უნდა იყოს შემოსული. რაც შეეხება მის თანმდევ სიმღერას, შესაძლოა იგი ძველი სუფრული სიმღერების ტრანსფორმაცია იყოს. ტაოსა და ჰერეთში სუფრული სიმღერები გამოვლენილი არ არის.

საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების საქორწინო რიტუალში დიდია ინსტრუმენტების როლი. რუხაძე სტატიაში „საქორწინო მუსიკა და ტრადიციები საქართველოს საზღვრებს გარეთ (ფერეიდანში, საინგილოში, შავშეთ-იმერევსა და ლაზეთში) მცხოვრებ ქართველებში მიმოიხილავს საქორწინო რიტუალს, აღნიშავს საკრავიერი მუსიკის დომინირების ფაქტს და საბოლოოდ დაასკვნის, რომ „მდერას საკრავი მაშინ ენაცვლება, როცა სიმღერის ტრადიცია სუსტდება ან მთლიანად მოიშლება“ (რუხაძე, 2010:55). დავამატებ, ეს მხოლოდ საქორწინო მუსიკაში არ ხდება.

ყურადღება უნდა შევაჩერო კლარჯული დესთანის წარმომავლობაზე. იგი კლარჯეთში ლაზეთიდან უნდა ყოფილიყო გავრცელებული, ვინაიდან: 1) კლარჯული დესთანები, განსაკუთრებით, ძველ ჩანაწერებში, თავისი შესრულების ხასიათით, ნელი ტემპითა და ხშირად მელოდიითაც ლაზურის ტყუპისცალია; 2) ყველა კლარჯს, ჭანისგან განსხვავებით, არ შეუძლია დესთანის მღერა; 3) ტაოსა და შავშეთში დესთანი არ გვხვდება, 4) კლარჯულ სოფლებში ჭანებიც ცხოვრობენ. ამ ფაქტზე განსაკუთრებით უნდა შევჩერდე.

კლარჯეთის ზოგიერთ სოფელში (მურდულის რაიონის სოფლები: ბაშქო, გეული, ბორჩხის რაიონის: – არხვა, ტრაპეზი, დამფარლი) რამდენიმე ლაზური ოჯახიც ცხოვრობს. ისინი რამდენიმე ათეული წლის წინ დასახლდნენ და

ზოგიერთ სოფელში (მაგალითად ბაშქოში) ცალკე უბანიც კი უჭირავთ. მიუხედავად, ამისა ყველა კლარჯულ სოფელში მოსახლეობის უმრავლესობას კლარჯები შეადგენენ. მ. ლაბაძის თქმით: „ლაზები და ლიგანელები მეტ-ნაკლებად თანაბრად მეტყველებენ ლაზურადაც და ლიგანურადაც, როგორც ზემო, ისე ქვემო მურღულის მკიდრ მოსახლეობას ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვს ერთმანეთთანაც და მეზობელი ჩხალისა თუ ორჭის ხეობებში მცხოვრებ ლაზებთანაც“ (ლაბაძე, 2013:9). „გარდა ამისა, ხეობის ზემო ნაწილის სოფლებში ბევრი არიან ათინა-ართაშენის თემებიდან გადმოსული ლაზები, რომლებიც ძირითადად მხოლოდ მშობლიურ ლაზურ კილოზე (ათინურ-ართაშენულზე) და თურქულად მეტყველებენ, ანდა სუსტად იციან ლიგანურიც“ (იქვე). რაც შეეხება ორჭის ხეობას, დღეს ის არჰავის რაიონში შედის. მას „ზემო მურღულისაგან ყოფს ქვახერხილ-ჯეჭუკას (თურქ. Acıgöl) მცირე ქედი, რომელზეც ასევე, მურღულისა და არჰავის ილჩების ადმინისტრაციული საზღვარიც გადის“ (იქვე). ლაზურის გავლენა სამეურნეო ნაგებობებშიც იგრძნობა“ (იქვე:13).

მნიშვნელოვანია ლაბაძის სადისერტაციო ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოცემული აბზაციც „თავად ის ფაქტი, რომ მურღულის ხეობაში მცხოვრებმა ავტოქთონმა ქართველებმა - ლაზებმა და ლიგანელებმა მეტ-ნაკლებად თანაბრად იციან ერთმანეთის კილოკავები, არაიშვიათად კი გადართულადაც მეტყველებენ ლაზურ-ლიგანურად, იმის მიმანიშნებელია, რომ ისინი იმთავითვე კარგად აცნობიერებდნენ და აცნობიერებენ საკუთარ ეთნიკურ ერთიანობას და ამით ახერხებენ თავისთავადობის შენარჩუნებას“ (იქვე:218-219) და ეს მაშინ, როდესაც ლაბაძის მიერ ჩაწერილი მთქმელების ასაკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (იქვე:238), 1910-1920-იან წლებში დაბადებულებმა, თურქული ენა სუსტად იცოდნენ და მეტყველებდნენ როგორც ლიგანურ (ანუ კლარჯულ), ისე ლაზურ კილოზე. ლაზების ნაწილი მურღულის ხეობაში მეცხრამეტ-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე (იქვე:23), ხოლო ნაწილი კი უფრო მოგვიანებით დასახლდა.

დესთანი იციან მუპაჯირმა კლარჯებმაც (აუდიოდანართი, №247). მათ შორის იმ სოფლებშიც, სადაც დღეს ლაზები არ ცხოვრობენ. ვინაიდან ლაზების მიგრაცია კლარჯეთში XIX საუკუნიდან დაიწყო, მუპაჯირობის დროს (1910-იანი წლები) მურღულის ხეობაში ლაზები უკვე ცხოვრობდნენ.

ჭანური სიმღერა 2015 წელს ჩავწერე მურღულის რ-ნის სოფ. ბაშქოში მცხოვრები კლარჯებისგან (აუდიოდანართი, №248). აქვე ყურადღებაა მისაქცევი, რომ ზოგიერთი ჭანი კლარჯულ სოფელში ლაზურ ქამანჩასა და გუდასტვირზეც

კი უკრავდა, შესაბამისად, სრულიად ლოგიკურად ჟღერს კლარჯული დესთანების ლაზური წარმოშობის შესაძლებლობა, მით უფრო რომ კლარჯული დესთანების დიდი ნაწილი (აუდიოდანართი, №249, 251, 253) შესრულების ხასიათითა თუ მელოდიით განსხვავდება დანარჩენი კლარჯული სიმღერებისგან და ლაზურ დესთანებს (აუდიოდანართი, №250, 252, 254), უახლოვდება. მართალია, მსგავსი მელოდიები საქართველოს სხვადასხვა კუთხის მუსიკალურ ფოლკლორშიც გვხვდება, ამგვარი დამთხვევები ერთ უანრში, მარტო ზოგადქართულობით არ უნდა აიხსნას. ამრიგად დესთანი კლარჯეთში, ლაზეთიდან გავრცელებულად მესახება.

### **3.9 ძირითადი განსხვავებები ქალებისა და მამაკაცების მუსიკალურ ფოლკლორს შორის**

მართალია, ქალის კონსერვატიული ყოფა ჩვენებურებშიც იჩენს თავს, მაგრამ, ძირითადად რელიგიურ ჭრილში. რაც შეეხება მუსიკალურ ფოლკლორს, ჩვენებურებში შემორჩენილი ქალთა და მამაკაცთა სიმღერების მუსიკალური მახასიათებლები ერთმანეთისგან ნაკლებად განსხვავდება (აკვის ნანებისა და ტირილების გამოკლებით), რადგან მათი უმეტესობა სრულდება როგორც მამაკაცების, ისე ქალების მიერ და შესაბამისად აღარ წარმოადგენს ერთის ან მეორის კუთვნილებას.

საკრავებზე მამაკაცები უკრავენ, მაგრამ საკრავის თანხლებით შესრულებულ ცეკვებსა და სიმღერებში ქალებიც მონაწილეობენ.

### **3.10 დიალექტები**

ქართულ მუსიკაში დიალექტთა დიფერენციაციისთვის საზოგადოდ ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრი ვოკალური მრავალხმიანობაა, მაგრამ, ვინაიდან, საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების ხალხურ მუსიკაში ხმიერი მრავალხმიანობა ნაკლებადაა წარმოდგენილი, დიალექტებად განსაზღვრის საკითხში ძირითადი როლი საკრავიერ მრავალხმიანობას დავაკისრე, რადგან საქართველოს მოწყვეტილ კუთხეებში არსებული განსხვავებები ყველაზე უკეთ სწორედ აქ ვლინდება.

ლაზეთში გავრცელებულია გუდასტვირი და ქამანჩა, ასევე, დამახასიათებელია სევდიანი ლირიკული სიმღერებიც – დესთანები; შავშეთში გავრცელებულია გუდასტვირი და აკორდეონი. არაქართულენოვან სოფლებში, გუდასტვირთან ერთად, გავრცელებულია დაულ-ზურნაც, რომელსაც ქართულ

მრავალხმიანობასთან არაფერი აქვს საერთო; **ტაოში** საკრავებიდან ქართულენოვან სოფლებში გუდასტვირი, თურქულენოვანში კი დაულ-ზურნა გვხვდება. გუდასტვირი ერთადერთი საკრავია, რომელმაც ქართული მრავალხმიანობა დღემდე შეინარჩუნა, ქამანჩისთვის კი კვარტების პარალელიზმია დამახასიათებელი. თუკი ქამანჩასა და გუდასტვირს ორხმიანობა ახასიათებს, აკორდეონზე სამზე მეტხმიანობა გვხვდება (ხმათა რაოდენობის ზუსტი დადგენა, საკრავის აკორდული ფაქტურისა და ხმათა არასტაბილური რაოდენობის გამო, საკმაოდ რთულია), თუმცა, აკორდეონზე შესრულებული მრავალხმიანობა ქამანჩის მსგავსად, ვერ ჩაითვლება ქართული მრავალხმიანი მუსიკის ორგანულ ნაწილად. ზემოთდასახელებული საკრავების გავრცელების არეალი და მასზე შესრულებული ჰანგების მრავალხმიანობის განსხვავებული ტიპები უზრუნველყოფს სამივე კუთხის (ლაზეთი, ტაო, შავშეთი) ცალ-ცალკე დიალექტად გამოყოფას.

**კლარჯული** მუსიკალური ფოლკლორისთვის აკორდეონია დამახასიათებელი, მაგრამ მის ცალკე დიალექტად გამოყოფას უზრუნველყოფს არა საკრავიერი არამედ ვოკალური მუსიკა, ვინაიდან ფიქსირებულია, ერთხმიანობა ერთად, ორხმიანი სიმღერებიც. კლარჯული ვერ გაერთიანდება ვერც მესხურთან, რადგან ამ უკანასკნელში სიმღერის გაერთხმიანების გზასთან ერთად ფიქსირებულია ქართული ტრადიციული სასიმღერო მრავალხმიანობაც.

**საინგილოს**, რომელსაც თურქეთის ფარგლებში მოქცეულ კუთხეებთან ისტორიული სიახლოვეც კი არ ჰქონია, ისიც ცალკე დიალექტია. ამას რამდენიმე ფაქტორით ვამყარებ: 1) ვოკალური მრავალხმიანობის დაკარგვა, 2) არსებული მასალის დიდი ნაწილის წართქმითი, დეკლამაციური სახე, 3) ერთხმიანობა, 4) ჰერეთში არაქართული საკრავებისა და საკრავიერი მუსიკის გაბატონება.

ენათმეცნიერებაში ინგილოური დიალექტი იყოფა კაკურ (კახის რაიონი) და ალიაბადურ (ზაქათალა-ბელაქნის რაიონები) კილოკავებად (დამბაშიძე, 1947; იმნაიშვილი, 1966). მართალია, მუსიკაში არა გვაქვს კილოკავების გამოყოფის საფუძველი, თუცა გარკვეული ანარეკლი აქაც იგრძნობა: კახში ზედა ხმას „წილაანკს“, ხოლო ზაქათალა-ბელაქნის რაიონებში კი „წიწლაანკს“ უწოდებენ. განსხვავებულია თუთაბალიის მიბამვაც, თუკი კახში იმღერებენ „თუთაბალი მაიწიუ“, ზაქათალა-ბელაქნში უღერს „თუთაბალი მაიწივა“ ან „ჩიტო, ჩიტო“. ზოგიერთი ნიმუში, რაც კახში სრულდება („აჭერ-მაჭერ“, „ტიტი პატარზალ“) ზაქათალა-ბელაქნში არ ჩანს. ერთი შეხედვითაც უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელის მუსიკალური ფოლკლორი კიდევ უფრო დარიბია, ვიდრე კახის

რაიონისა. ამავე დროს მცირეოდენი უმნიშვნელო სხვაობის მიუხედავად, ვფიქრობ, ჰერული მუსიკალური ფოლკლორის კილოკავებად დაყოფის საფუძველი არ არსებობს.

ამრიგად, გვაქვს **ლაზური**, **შავშური**, **ტაოური**, **კლარჯული** და **ინგილოური** მუსიკალური დიალექტები.

ტაოსა და კლარჯეთის შესახებ ადრე არაფერი იყო ცნობილი, მაგრამ ქართულ მუსიკალურ დიალექტოლოგიაში დანარჩენ კუთხეებს რა ადგილი ეკავა?

გარაფანიძე ჯერ კიდევ 1987 წელს ინეგოლის რ-ნის სოფ. ჰაირიეს მუსიკალურ ფოლკლორს შავშურად განიხილავს (გარაფანიძე, ქ. 1987:93), არადა ჰაირიელები, როგორც შემდეგ გამოირკვა, მაჭახლელები იყვნენ, ხოლო პიტერ გოლდს კი ისინი ისტორიულ შავშელებად ჰყავდა მოხსენიებული (Gold, 1972:1). ვფიქრობ, ქართველი მეცნიერი უნდა დაებნია ტერმინს „ისტორიული შავშეთი“, თან ამას ერთვოდა ჩვენებურებზე საფუძვლიანი გამოკვლევების იმხანად არარსებობაც. თუმცა, არსებობდა მოსაზრება ჰაირიეს სიმღერების აჭარულობის შესახებ (მსხალაძე, 1988:32-33; ხუსუნაიშვილი, 1983:34), როგორც ჩანს, საკმარისი არგუმენტაციის იმხანად არარსებობამ ეთნომუსიკოლოგიური აზრი გარაფანიძის სასარგებლოდ გადახარა (ამ თემის შესახებ ვრცლად იხილეთ კრავეიშვილი, 2013:41-45).

2014 წლის ჩემმა ექსპედიციამ დაადასტურა აჭარულ და შავშურ მუსიკალურ ფოლკლორს შორის არსებული ფუნდამენტური განსხვავებები. უფრო მეტიც, ჩვენ ხელთაა 2015 წელს ინეგოლის რ-ნის სოფ. ჰაირიეში ეთნომუსიკოლოგების - ნინო რაზმაძის, ბაია უშუნაძისა და აბდულაჟ აკატის მიერ ჩაწერილი სიმღერები, რომლებიც ამავე მოსაზრებას ამტკიცებენ.

მხოლოდ დღევანდელი სურათითაც რომ შევუდაროთ ჰაირიესა და შავშეთის მუსიკალურ ფოლკლორი ერთმანეთს, აჭარული და შავშური მუსიკა მაინც ცალკეა დიალექტებად წარმოგვიდგება, თუმცა, შესაძლოა, რამდენიმე საუკუნის წინ ეს მართლაც ერთიანი მუსიკალური დიალექტი ყოფილიყო. სპეციალური ლიტერატურიდან (რომლიდანაც გამოვყოფ ფალავას, შიომვილისა და სხვათა ავტორობით 2011 წელს მომზადებულ წიგნს „შავშეთი“) ცნობილია, რომ შავშური მეტყველება, რიტუალები და სამეურნეო ნაგებობები აჭარულთან (განსაკუთრებით, მთის აჭარულთან) საკმაოდ ახლოს დგას. ამას ემატება გეოგრაფიული ფაქტორიც, კერძოდ, აჭარა და შავშეთი ერთი ქადის ორ მხარეს მდებარეობს. გარაფანიძე სიმღერის განვითარების პროცესში გეოგრაფიულ ფაქტორს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილავს. რაც შეეხება მუსიკას, სამწუხაროდ,

შავშურმა სიმღერამ მრავალხმიანობა ვერ შემოინახა, მაგრამ აჭარულთან პარალელებისთვის უსათუოდ აღსანიშნავია გუდასტვირის არსებობა, რომელსაც შავშები „ჭიბონს“ ან „ჭიბოს“ უწოდებენ (აჭარაშიც ხომ „ჭიბონია“ – გ. კ.). რაც შეეხება თვლების რაოდენობას, შავშურს ერთ მხარეს ხუთი თვალი ჰქონდა, მეორე მხარეს კი რაოდენობა მერყეობდა ერთიდან სამამდე (აჭარულშიც ხომ მხარეს ხუთი თვალია და მეორე მხარეს კი - სამი). ამდენ მსგავსებასთან (დიალექტური გეტველება, რიტუალები, სამეურნეო ნაგებობანი, „ჭიბონი“) ერთად, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შავშურ სიმღერებში აშკარაა ფარული მრავალხმიანობა, ისტორიულად აჭარული და შავშური მუსიკა მართლაც შეიძლება ყოფილიყო ერთიანი დიალექტი, მაგრამ ვინაიდან დღეს შავშური მუსიკა ერთხმიანია და მისი მელოდია აჭარულთან შედარებით საგრძნობლად გამარტივებული, ამიტომ შავშურისა და აჭარული მუსიკის ერთ დიალექტად განხილვა, ვფიქრობთ, შეუძლებელია.

აჭარაცა და შავშეთიც „ჭოროხის აუზის ქვეყნებს“ მიეკუთვნებიან. პირად საუბარში ბათუმელ მეცნიერებს (მ. ფადავა, მ. ჩოხარაძე, ნ. მგელაძე), არაერთხელ უთქვამთ ჭოროხის აუზის ქვეყნების კულტურის მონოლითურობის შესახებ. აქ მოიაზრება აჭარა, შავშეთი, ტაო, სპერი, ოლთისი და ისპირი, თუმცა, ზოგჯერ ლაზეთის ნაწილიც შეჰვავთ. ისპირში, ოლთისსა და სპერში ქართული ენა შემორჩენილი არ არის, დანარჩენ მხარეებში კი მრავალი საინტერესო დამთხვევაა, მაგალითად რიტუალებსა და სამეურნეო ნაგებობებში (ქესქინ, 2015:166). დისერტაციაში ჭოროხის ქვეყნების თემის განხილვა მუსიკალური კუთხითაა საინტერესო: კერძოდ „ჯილველო“ გავრცელებულია როგორც აჭარაში, ისე ლაზეთში, ტაოსა და კლარჯეთში, „გელინო“ კი – აჭარაში, შავშეთსა და კლარჯეთში. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კუთხეების დიდი ნაწილი, სადაც გუდასტვირია გავრცელებული, სწორედ ჭოროხისა და მის მიდამოებზე მოდის (აჭარა, ლაზეთი, შავშეთი, ტაო). არ უნდა დაგვავიწყდეს ცეკვა ხორუმიც, რომელიც ამ ტერიტორიაზეა გავრცელებული.

ინგილოური მუსიკა ცალკე დიალექტად, ჯერ კიდევ მუსიკოლოგმა ვაჟა გვახარიამ გამოყო და აღნიშნა, რომ ჰერულ მუსიკას აზერბაიჯანული მუსიკის კვალი ატყვია (გვახარია, 1962:4), თუმცა რა მასალაზე დაყრდნობით გააკეთა ეს დასკვნა მეცნიერმა, უცნობია. გარაყანიდე აღნიშნავს: „სამწუხაროდ, მასალის უქონლობის გამო, ჩვენ საშუალება არა გვაქვს ვიმსჯელოთ ინგილოური და ფერეიდნული სასიმღერო შემოქმედების შესახებ“-ო (გარაყანიდე, ქ. 2011:56). ბატონი

ედიშერის დისერტაციის დაცვის დროს (1990 წ.), გვახარია ჯერ კიდევ ცოცხალი იქმ.

ეთნომუსიკოლოგი ნინო კალანდაძე-მახარაძე კვინტური წყაროდან ტონიკისაკენ თანდათანობითი დაშვების, დაცურებების, ხმის ვიბრირების, მინორული კილოს ცვალებადი II საფეხურისა და თავისებური ცხვირისმიერი საშემსრულებლო მანერას ქართველებისა და აზერბაიჯანელების შემოქმედებითი ტრადიციების შერწყმად აფასებს და ჰერულს ცალკე დიალექტად მიიჩნევს (მახარაძე, 2009:107-108). მახარაძეს ინგილოური ნანის მხოლოდ ორი ნიმუში პქონდა, მაგრამ როგორც უკვე შემდგომმა მოპოვებულმა მასალებმა დაამტკიცა, ჰერული მუსიკა ნამდვილად ცალკე სამუსიკო დიალექტად უნდა იყოს წარმოდგენილი.

ლაზურ დიალექტზე აღარ შევჩერდები, რადგან სრულადაა გასაზიარებელი ჩხიკვაძისა და გარაფანიძის მოსაზრებები მის ცალკე დიალექტად გამოყოფის თაობაზე (ჩხიკვაძე, 1960:XIV; გარაფანიძე, გ. 2011:92), მე დავუმატებ საკრავიერი მუსიკის საკითხს.

ვ. გვახარია კი აღნიშნავს შემდეგს: „მეგრული სვანურთან დგას ახლოს, ჭანური, აჭარულ-გურულთან, სვანური კი, დასავლური კილოების ყველაზე უფრო არქაულ სახეობას გვიჩვენებს” (გვახარია 1962:4). პატივცემულ მუსიკოლოგს ამ საკითხში ვერ დავეთანხმები. აჭარულ, გურულ და სვანურ მუსიკას რომ თავი დავანებოთ, ლაზური თავისი მუსიკალური პარამეტრებით ვერ უახლოვდება ვერც აჭარულს, ვერც გურულს და ვერ სხვა ქართულ სამუსიკო დიალექტებს იმდენად, რომ რაიმე სახის ერთიანობაზე იყოს საუბარი.

წინასწარი დაკვირვებით ნიმუშების სიმწირისა და არაქართული ინსტრუმენტული მუსიკის გამო ფერეიდნული მუსიკა შესაძლოა ინგილოურთან გაერთიანდეს, თუმცა ამ საკითხს ჯერჯერობით დიად დავტოვებ და თუ რამდენად მართებული იქნება ფერეიდნულის ჰერულ მუსიკალურ დიალექტთან გაერთიანება, ამას მხოლოდ ირანში ექსპედიციის ჩატარების შემდეგ გაირკვევა.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ კულტურათა შორის დიალოგმა ჩვენებურების მუსიკალური კულტურა მთლიანად მაინც ვერ შეცვალა: მაგალითად, თურქული მუსიკა დღესაც საგრძნობლად განსხვავდება ჩვენებურების მუსიკისაგან – ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ქართველებმა უმეტესად შეინარჩუნეს ქართული მელოდიკა და ქართული მრავალხმიანობის ნიმუშები გუდასტვირზე; ამავე დროს,

თავისი მუსიკალური კულტურის ნაწილად არ მიიღეს საზი; სწორედ ასევე აზერბაიჯანული მუდამი ვერ დამკვიდრდა ინგილოთა მუსიკალურ პრაქტიკაში.

## დასკვნა

1. ჩატარებულმა მუშაობამ ცხადყო, რომ აქამდე არსებულ არაეთნომუსიკოლოგიურ თუ ეთნომუსიკოლოგიურ ლიტერატურაში, საქართველოს მოწყვეტილი ამა თუ იმ კუთხის მუსიკალური ფოლკლორი, მეტ-ნაკლები სისრულითაც კი არ იყო გაშუქებული. გვხვდებოდა ფაქტოლოგიური უზუსტობებიც. ეს ყველაფერი, ეთნომუსიკოლოგების შემთხვევაში, ექსპედიციის ჩატარების შეზღუდული შესაძლებლობებით (ისიც უმეტესად სარფში) და არამუსიკოსების შემთხვევაში, მათი კომპეტენციის ნაკლებობით იყო გამოწვეული;
2. საქართველოს მოწყვეტილი კუთხეებისა თუ საქართველოდან გადასახლებული ქართველობა დღესდღეობით თვითმყოფადობის კრიზისს განიცდის. ხალხურ მუსიკაში ამის თვალსაჩინო ფაქტი სასიმღერო მრავალხმიანობის დაკარგვა. ლაზური, შავშური, ტაოური და ინგილოური სასიმღერო მრავალხმიანობა უკვე გაქრა, დღეს კი ჩვენ თვალშინ იკარგება კლარჯული და აჭარული მრავალხმიანობაც.
3. მრავალხმიანი სიმღერების გაერთხმიანების გზა მესხეთისა და ჭანეთის მაგალითზე ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ბურდონული ბანი – კვარტებისა და კვინტების პარალელიზმი – ერთხმიანობა. მნელი სათქმელია, ახასიათებდა თუ არა კლარჯულ მუსიკას სეკუნდების პარალელიზმადე ბურდონული ბანი, თუმცა მისთვის სეკუნდებში მდერა რომ ძველად დამახასიათებელი ვერ იქნებოდა, ეს რამდენიმე გარემოებით მყარდება:
  - ზოგადქართული მუსიკალური ენისთვის სეკუნდებში, კვარტებსა და კვინტებში მდერა დამახასიათებელი არ არის;
  - კლარჯული და მესხური სიმღერებისგან განსხვავებით, ქართულ საეკლესიო საგალობლებში კვარტების, კვინტებისა და სეკუნდების პარალელიზმი ხანგძლივი არ არის და კონსონირებულ ინტერვალებში მაღე განიტვირთება;
  - კლარჯეთში ის რაც ჯერ კიდევ 30-40 წლის წინ ორხმიანი იყო, დღეს არც თუ ისე იშვიათად, უნისონში სრულდება;
  - აკორდეონზე შესრულებული კლარჯული დასაკრავებისთვის არაა დამახასიათებელი სეკუნდების პარალელიზმი, ამავე დროს, კი გვხვდება ქართული მუსიკისთვის დამახასიათებელი კადანსები.
4. მურდულში მცხოვრებთა და ამ ხეობიდან 1870-1910-იან წლებში მუჭაჯირად წასულ კლარჯთა სიმღერების დიდი ნაწილი, მათ შორის ორხმიანი სეკუნდური

ნიმუშებიც, იდენტურია. ამ დროს კი მუჭაჯირთა დიდ ნაწილს მამაპაპისელი საცხოვრებელი არ უნახავს.

5. ჩემ ხელთ არსებული ვერბალური და მუსიკალური მასალების მიხედვით ირკვევა, რომ მესხეთსა და ლაზეთში გვხვდებოდა როგორც ქართული ტრადიციული (ბურდონული), ისე კვარტებისა და კვინტებისგან შემდგარი მრავალხმიანი ნიმუშებიც, რაც მათი გაერთხმიანებით დასრულდა. იგივე ბედი ეწია კლარჯულ სეპუნდურ ნიმუშებსაც, უბრალოდ, რადგანაც კლარჯეთში მრავალხმიანობა უფრო გვიან დაიკარგა, სიმღერების ორხმაზე შესრულება დღემდება შესაძლებელი.

6. ვინაიდან კლარჯეთში, ლაზეთსა და შავშეთში 1910-იან წლებში მრავალხმიან სიმღერებს ჯერ კიდევ მღეროდნენ (შემდგომ წლებზე ცნობები არ მოგვეპოვება) მრავალხმიანი ლაზური და შავშური სიმღერების შესრულების მომსწრე ეთნოფორების უმრავლესობა 1980-90-იან წლებში უნდა გარდაცვლილიყო. საინგილოში (ქართულენოვან სოფლებში მაინც) კი, ხუციშვილისა და ჯანაშვილის ცნობებზე დაყრდნობით, მრავალხმიანი სიმღერები 1860-70-იან წლებში უკვე ადარ სრულდებოდა.

7. მრავალხმიანობის დაკარგვა, სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა კონკრეტულმა ფაქტორმა (ომი, მოსახლეობის ეთნიკური აჭრელება, ურბანიზაცია, გამუსლიმანება და ა. შ.) ან მათმა ერთობლიობამ გამოიწვია, თუმცა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ისლამიზაცია უნდა ყოფილიყო.

8. ჩვენებურების ხალხურ მუსიკაზე ყველაზე მეტად გავლენა მუსლიმურ სასულიერო მუსიკას (და არა თურქულ ხალხურს ან პოფესიულს) უნდა მოეხდინა, ვინაიდან:

- ქართულენოვანი სოფლების გარშემო ძირითადად თურქულენოვანი ქართველები (და არა თურქები) ცხოვრობენ, რის გამოც სხვა ქვეყნის ხალხური მუსიკა ქართულზე გავლენას უკვე მოახდენდა;
- საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზეც და მუჭაჯირთა რაიონებშიც, მუსიკალური განათლება დღემდე საკმაოდ დაბალია, შესაბამისად, თურქული პოფესიული მუსიკის გავლენაც გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს;
- ელექტროენერგია და რადიო ჩვენებურების სოფლებში 40-60 წლის წინ შევიდა, ეს მაშინ, როდესაც ბევრგან სიმღერები უკვე ერთ ხმაზე სრულდებოდა. მესხეთში 1910-20-იან წლებშიც კი, როდესაც მრავალხმიანობა საბოლოოდ დაიკარგა, არც რადიო იყო, არც ელექტროენერგია და მით უფრო, არც ტელევიზია;

- ჩვენებურების გამუსლიმანება საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. მუსულმანობა და თურქეთის სახელმწიფო იდეოლოგია ერთნაირად თრგუნავდა ქართველობას. თუმცა, აჭარლებმა მრავალხმიანობა შეინარჩუნეს, რაც უნდა აიხსნას მათ ტერიტორიაზე თურქეთის (ოსმალეთის) პოზიციების საგმაოდ გვიან გაძლიერებით;
  - ინგილოურ მუსიკალურ ფოლკლორზე მთავარი გავლენა სპარსულ-აზერბაიჯანულ საერო მუსიკას უნდა მოეხდინა, ვინაიდან, ჰერეთში ქართული საკრავებიც აღარად და მისი ადგილი ჩრდილოეთ კავკასიონიდან და სპარსეთ-აზერბაიჯანიდან გავრცელებულმა ინსტრუმენტებმა დაიკავა.
  - საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა მუსიკალურ კულტურაში უველაზე მეტად თურქული, უმეტესად სასულიერო მუსიკალური კულტურის გავლენა იგრძნობა, რაც გამოიხატება როგორც სიმღერების გაერთხმიანებაში, ისე არაქართულ მელიზმატურ მღერასა და დაკვრაში; აგრეთვა არაქართულ საკრავიერ მრავალხმიანობაში;
9. ჩვენებურების ერთხმიან სიმღერებში გვხვდება როგორც ქართული სოფლური სიმღერისთვის ჩვეული, ისე მისთვის ნაკლებად დამახასიათებელი გადიდებულსეუნდიანი და დასავლურ-ქალაქური მელოდიები. ამ უკანასკნელთა ხვედრითი წილი არც ისე მცირეა, თუმცა წამყვანი ადგილი ქართულ მელოდიკას უჭირავს.
10. საქართველოს მოწყვეტილი ყოველი კუთხის მრავალხმიანი სიმღერის ოდესდაც არსებობაში გვარწმუნებს ორი ძირითადი ფაქტორი:
- ფარული მრავალხმიანობა;
  - საკრავიერი მუსიკაში შემორჩენილი „ქართული“ მრავალხმიანობა;
  - ხმების რეგისტრების აღმნიშვნელი ადგილობრივი სახელწოდებები.
11. ფარული მრავალხმიანობა ვლინდება ორი ძირითადი კომპონენტით:
- კილოს დაბალი მეშვიდე საფეხურის აუდირებით (ეს უველაზე გავრცელებული ხერხია);
  - კილოს საყრდენი ტონიდან, ან დაბალი მეშვიდე საფეხურიდან აღმავალი ნახტომი კვარტის კვინტის ან, იშვიათად, სექსტის ფარგლებში, ამ დროს იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთქმელი თითქოს მღერის ორ ხმას მონაცემლებით.
12. XVIII-XIX საუკუნეებში რუსეთში ჩასახლებული ქართლელებისა და თურქეთში მუპაჯირად წასული აჭარლების ფოლკლორი, ჩვენი მრავალხმიანობის

საუკუნოვანი ტრადიციების კიდევ ერთი დადასტურებაა. აქ საქმე გვაქვს სულ ცოტა მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის მრავალხმიანობის ფიქსირებულ ნიმუშებთან;

13. საინგილოში ვოკალური მრავალხმიანობა 1860-70-ანი წლებიდან უკვე დაკარგული უნდა ყოფილიყო, ვინაიდან იმდროინდელ ადგილობრივ ისტორიკოსებს მიაჩნდათ, რომ პერეთში ქართული მუსიკა, აკვის ნანის გარდა, გამქრალია;

14. მრავალხმიანობა ძირითადად ინსტრუმენტულმა მუსიკამ შემოინახა. ქართული მრავალხმიანობა ყველაზე სრულყოფილად გუდასტვირზე, ნაწილობრივ კი - აკორდეონზეც ჟღერს. ფაქტია, საკრავიერი მუსიკა ამ მხრივ ბევრად უფრო გამძლე გამოდგა. თუკი ქართულ საკრავიერ მრავალხმიანობას, სიმღერის ანარეკლად წარმოვიდგენთ, მაშინ მრავალხმიანობა საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ სიმღერაში უნდა არსებულიყო;

15. მართალია, ვოკალურისგან განსხვავებით, ინსტრუმენტული პანგები არ გაერთხმიანებულა, მაგრამ ქართულ მრავალხმიანობას საგრძნობლად დაშორდა, რადგან:

- გუდასტვირზე თვლების რაოდენობა გათანაბრდა, რამაც ერთხმიანობის ხვედრითი წილის გაზრდა გამოიწვია;
- ჩვენებურების ინსტრუმენტულ მუსიკაში დამკვიდრდა ქართულისთვის უცხო ბანი;

16. ეროვნული ინსტრუმენტარიუმიდან ჩვენებურებში არსებულმა ერთადერთმა საკრავმა გუდასტვირმა ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, რადგან:

- თუკი ძველი ლაზური, ტაოური და შავშური გუდატვირების თვლების რაოდენობა 1/5 ან 3/5 იყო, დღეს 5/5-ზეა. შავშეთის რ-ნის სოფ. დასამობში, როგორც ჩანს, 4/5-იანი გუდასტვირიც არსებობდა, რომელიც 3/5-იანსა და 5/5-იან გუდასტვირებს შორის გარდამავალ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ;
- ბოლო 20-30 წლის განმავლობაში ტაოსა და შავშეთის ქართულენოვან სოფელში გუდასტვირის გაქრობა და მათი ლაზური გუდასტვირით ჩანაცვლება მოსახლეობის უმეტესობის საცხოვრებლად დიდ ქალაქებში გადასვლით უნდა აიხსნას. სამწუხაროდ, შავშეთისა და ტაოს ქართულენოვანი (და ალბათ არამარტო ქართულენოვანი) სოფლების უმეტესობა ზამთრობით მთლიანად ან სანახევროდაა დაცლილი;

17. გუდასტვირის დედნებზე არსებული თვლების თანაბარი რაოდენობა ჰანგის გაერთხმიანებას ხელს უწყობს, რადგან ორივე სტვირის ბგერათრიგი ანალოგიურია, შესაბამისად, ორხმიანობის გაბმული ქლერადობის მისაღწევად დამკვრელს დიდი ფიზიკური ძალა და ნებისყოფა სჭირდება, რაც საკმაოდ ძნელია. აქედან გამომდინარე, ასეთ საკრავზე ყოველ დასაკრავში ორხმიანობა მართალია ქლერს, მაგრამ ერთხმიანობა დომინირებს;

18. ქართული საკრავებიდან კლარჯეთში გუდასტვირი უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რადგანაც:

- თურქეთის ფარგლებში მოქცეულ სხვა კუთხეებში ქართული საკრავებიდან მხოლოდ გუდასტვირი გვხვდება;
- ართვინის რ-ნის კლარჯულ სოფ. ქართლაში გუდასტვირი იყო გავრცელებული (თან 3/5 თვლიანი). შესაძლოა, მის მიმდებარე თურქულენოვან სოფლებშიც ანალოგიური ვითარება იყოს, ვინაიდან ქართლას გარდა, კლარჯეთის სხვა ქართულენოვან სოფლებში გუდასტვირი ან არ ახსოვთ, ანდა ლაზ დამკვრელებს იხსენიებენ;
- აკორდეონი XIX საუკუნიდან გავრცელდა, მანამდე კლარჯეთი მრავალხმიანი ინსტრუმენტის გარეშე ვერ იქნებოდა.

19. პერეთში კი ქართული საკრავებიდან ფანდური უნდა ყოფილიყო, ვინაიდან:

- ინგილოები საზს „ჩუნგურს“ უწოდებენ. აღმოსავლეთ საქართველოში კი გლეხების ნაწილი ჩონგურად ფანდურს იხსენიებს;
- აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში (გარდა სამცხე-ჯავახეთისა) გავრცელებულია ფანდური;

• ზაქათალა-ბელაქნის არაქართულენოვან სოფლებში გავრცელებულია ორ-სამხმიანი ტანბური, რომელიც დაკვრის ხერხითა და გარეგნობით ახლოსაა ფანდურთან, ხოლო მასზე შესრულებული ნიმუშები კი ქართული და, ნაწილობრივ, ჩრდილოკავკასიური მრავალხმიანობის ორგანული ნაწილია;

20. მესხურ გუდასტვირზე აუდერებული არაქართული ჰანგები მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელითა და ქალაქური მუსიკის აღმოსავლური შტოს გავლენით აიხსნება;

21. მესხური მუსიკალური ფოლკლორის დეგრადაცია, თურქულთან ერთად, სომხური ფაქტორითაც უნდა აიხსნას, ვინაიდან 1828-29 წლებში ერზრუმიდან დიდი რაოდენობით ლტოლვილი სომეხი ჩამოსახლდა (ამ დროს ავტოქთონ

ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ თურქები და თარაქამები), რამაც ეთნიკური ბალანსი მნიშვნელოვნად შეცვალა. ეს მუსიკალურად გამოიხატა:

- 1900-10-იან წლებში მრავალხმიანობის საბოლოოდ გაქრობაში, ვინაიდან იმ დროისათვის მესხეთის დედასამშობლოში დაბრუნებიდან 70-80 წელზე მეტი წელი იყო გასული;

- მესხური გუდასტვირის არაქართულობაში მაშინ, როდესაც ამავე საკრავზე შესრულებულ ლაზურ, ტაოურ თუ შავშურ დასაკრავებული შენარჩუნებულია არამარტო ქართული მელოდია, არამედ ქართული ორხმიანობაც;

22. სარფში გავრცელებული ერთხმიანი ჩასაბერი „პილილი“ ძირძველი ხალხური ინსტრუმენტი არ უნდა იყოს, რადგან:

- ეს საკრავი არ გვხვდება გაღმა ლაზეთში, როცა დაფიქსირებულია ერთხმიან კავალთან ერთად მრავალხმიანი ინსტრუმენტებიც;
  - პილილის ბოლოგაფართოებული სახეობა, რომელიც ილიას წმინდა ლაზური ეგონა, სინამდვილეში ზურნა ყოფილა;
  - ბ-ნბა ილიამ ბაბუამისის, ოსმან აბდულისისგან პილილი, ისევე როგორც კავალი, საქონლის მწყემსევის დროს ისწავლა. ჭანეთში, თურქეთის შემოსევის შემდეგ, საქონლის მწყემსებად და მასთან დაკავშირებული საკრავების დამკვრელებად უფრო მეტად ხემშინები გვევლინებიან;
  - პილილის ოდესლაც შესაძლო არსებობის, შემდგომ გაქრობისა და ოსმან აბდულიშის მიერ მისი აღორძინების ვარაუდი საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან თუნდაც გუდასტვირზე ერთხმიანობის ხვედრითი წილის გაზრდის პირობებში, არალოგიკურია ერთხმიანი საკრავის დაკარგვა;
  - სწორი პილილი გუდასტვირის ერთ დედანს წარმოადგენს, ხოლო ბოლოგაფართოებული კი ზურნისგან უნდა იყოს წარმოებული;
  - ოსმანი ხისა და რკინის დამუშავების იშვიათი მოხელე ყოფილა, შესაბამისად, პილილის გამოგონებაც შეეძლო, თუმცა სარფელებს ის, როგორც საკრავების დამამზადებელი, არ ახსოვთ;
  - საკრავზე გადატანილ სასიმდერო მელოდიებს „აღმოსავლური“ მუსიკის გავლენა უფრო ეტყობათ, ვიდრე – თავად სიმღერას;
23. ჭანურ მუსიკაში გავრცელებული ხემიანი ქამანჩა ქართული ინსტრუმენტი არ უნდა იყოს, რადგან:

- ეს საკრავი საქართველოს არცერთ სხვა (მათ შორის მოწყვეტილ) კუთხეში არ ფიქსირდება;
  - არ არის გამოვლენილი ინსტრუმენტის ლაზური სახელწოდება. უფრო მეტიც, ნაწილების სახელების უმეტესობა თურქულია;
  - მასზე აქდერებულ ნიმუშებს კვარტების დაღმავალი პარალელიზმი ახასიათებს, რის გამოც ქართულ მუსიკალურ ენას საგრძნობლად შორდება;
24. ჰერული ნიმუშების უმეტესობა დეკლამაციურია, რაც ბავშვთა და საბავშვო მუსიკალური ნიმუშების დიდი ხვედრითი წილით უნდა აიხსნას ჰერული მუსიკის დიაპაზონი ვიწროა (უმთავრესად კვარტა-სექსტის ფარგლებში);
25. გამოვკვეთე საკრავიერი მუსიკის სამი ტიპი: 1) ქართული (გუდასტვირი, ტანბური, გარმონი), 2) ნაწილობრივ ქართული, ანუ არაქართული თანხლებით (ქამანჩა, აკორდეონი) და 3) არაქართული, კონკრეტულად აზიური და ევროპული მუსიკა (გარმონი, ნალარა-ზურნა);

საქართველოს მოწყვეტილი ზოგიერთი კუთხის მუსიკალურ ფოლკლორში – ლაზურში, ტაოურში, შავშურში – გავრცელებულია ე.წ. „მოარული მელოდიები“. მსგავსი რამ კლარჯულში შედარებით ნაკლებად გვხვდება (ძირითადად, დესთანებში) და საერთოდ არ არის დამახსასიათებელი ჰერულისათვის, რაც ამ კუთხეში უმთავრესად საბავშვო და ბავშვთა მიერ სათქმელი ნიმუშების შემორჩენით შეიძლება აიხსნას;

26. ნაკლებად გვხვდება საკულტო სიმღერები. „ილბაში“ მთელი თავისი რიტუალით „ალილოს“ მოდიფიცირებული ვარიანტია;
27. სუფრული სიმღერებიდან გვხვდება მხოლოდ სურსათ-სანოვაგის მოსათხოვი ნიმუში. აღსანიშნავია რომ ამგვარი სიმღერები საქართველოს მხოლოდ „მუსლიმანურ“ კუთხეებში ფიქსირდება, რაც რიტუალის არაქართულობას მაფიქრებინებს, თუმცა ნიმუშების ინტონაციური მხარე ქართულია. მესხეთში სადაც ფიქსირებულია სუფრის გახსნის, მსგლელობისა და დახურვის სიმღერები, ამგვარი ნიმუში არ მოიპოვება, სავარაუდოდ იმიტომ, რომ მესხეთი თურქებისგან ყველაზე ადრე განთავისუფლდა. აქედან გამომდინარე, სურსათ-სანოვაგის მოსათხოვი სიმღერები ძველი ქართული სუფრულების მოდიფიკაციას უნდა წარმოადგენდეს. ტაოსა და ჰერეთში კი უანრული და ვარიანტული განსაკუთრებული სიდარიბის გამო სუფრული სიმღერები საერთოდ აღარ გვხვდება;

28. კლარჯეთში გავრცელებული სევდიანი ლირიკული სიმღერები (დესთანი), ლაზური წარმომავლობის უნდა იყოს შემდეგ მიზეზთა გამო:

- კლარჯული დესთანები, გასაკუთრებით ძველ ჩანაწერებში, თავისი შესრულების ხასიათით, ხელი ტემპითა და ხშირად მელოდიითაც ლაზური დესთანის ტყუპისცალია;
- ყველა კლარჯს, ლაზისგან განსხვავებით, არ შეუძლია დესთანის სიმღერა;
- ტაოსა და შავშეთში დესთანი არ გვხვდება;
- კლარჯულ სოფლებში, მეცხრამეტე საუკუნიდან, ლაზებიც ცხოვრობენ და, შესაბამისად, მოსახლეობამ მეტ-ნაკლებად თანაბრად იცის როგორც ლაზური, ისე კლარჯული სამეტყველო კილო;

29. სურსათ-სანოვაგის მოსათხოვი სიმღერებიდან აჭარული ვარიანტი („ევრიდა მასპინძელსა“) ერთადერთია, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე სრულდება. ვინაიდან აჭარულმა მუსიკამ თურქული ზეწოლის მიუხედავად მრავალხმიანობა დღემდე შეინარჩუნა (მათ შორის მრავალხმიანია ხსენებული ნიმუშიც), შესაძლოა, სიმღერების თურქულ ენაზე შესრულება, მათ გაერთხმიანებასთან პირდაპირ კავშირში იყოს, რადგანაც ქართული ბანის მქონე სიმღერების თურქულ ენაზე შესრულება, მნელი წარმოსადგენია;

30. „ჭოროხის აუზის ქვეყნების“ (აჭარა, შავშეთი, ტაო, კლარჯეთი, ლაზეთის ნაწილი) კულტურული ერთიანობის შესახებ ფილოლოგთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები უაღრესად მნიშვნელოვანია, მით უფრო, რომ „ჯილველოს“, „გელინოს“ ვარიანტები იდენტურია. გუდასტვირიც უმეტესად ამ არეალშია გავრცელებული;

31. საქართველოს მოწყვეტილი თითოეული კუთხის მუსიკალური ფოლკლორი ცალ-ცალკე დიალექტებად წარმოგვიდგება. დიალექტად მთავარი მსაზღვრელი მრავალხმიანი საკრავიერი მუსიკაა, რადგან კუთხეებს შორის მთავარი მუსიკალური განსხვავებანი ამ სფეროში ვლინდება. საქართველოს მოწყვეტილი ყოველი კუთხის მუსიკალური ფოლკლორი ცალკე დიალექტური ერთეულია. მიზეზები შემდეგია:

- ლაზეთი – სევდიანი ლირიკული სიმღერების სიჭარბისა და ქართულ გუდასტვირთან ერთად ქამანჩის არსებობის გამო. ქამანჩაზე აუდერებულ ნიმუშებს კი კვარტების პარალელიზმი ახასიათებთ, რაც უცხოა ქართული მუსიკისთვის;

- შავშეთი – გუდასტვირთან ერთად აკორდეონის არსებობის გამო. „მუზიკაზე“ შესრულებული ნიმუშები ქამანჩის მსგავსად ქართული მრავალხმიანი მუსიკის ორგანულ ნაწილად ვეღარ აღიქმება, თუმცა მისგან განსხვავებით აკორდეონზე დასაკრავები ორზე მეტხმიანია. შავშეთის არაქართულენოვან სოფლებში გუდასტვირთან ერთად დაულ-ზურნაცაა გავრცელებული, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს ქართულ მრავალხმიანობასთან;
  - ტაო – სიმღერების უანრული სიმწირისა და ქართულენოვან სოფლებში მხოლოდ გუდასტვირის გავრცელების გამო. არაქართულენოვანში კი გუდასტვირთან ერთად გვხვდება დაულ-ზურნა;
  - ჰერეთი – საბავშვო ნიმუშების დომინირებისა და ქართული საკრავების არარსებობის გამო. ინსტრუმენტული მუსიკა წარმოდგენილია სპარსულ-აზერბაიჯანული და ქართულ-ჩრდილოკავკასიური მრავალხმიანობით;
  - კლარჯეთი – მრავალხმიანი სიმღერების არსებობის გამო;
32. კლარჯული და მესხური მუსიკა ერთ დიალექტად ვერ წარმოგვიდგება ორი ძირითადი მიზეზის გამო:
- მესხურ მუსიკაში გაერთხმიანების გზაზე დამდგარ ნიმუშებთან ერთად ფიქსირებულია ტრადიციული ქართული მრავალხმიანი ნიმუშებიც;
  - მესხურ ინსტრუმენტულ მუსიკაში ქართული მრავალხმიანობა სრულიად გამქრალია;
33. კულტურათაშორის ინტენსიურმა კონტაქტებმა ჩვენებურების მუსიკალური კულტურა ბოლომდე მაინც ვერ შეცვალა. მართალია, დამკვიდრდა ქართულისთვის უცხო საკრავები, გაქრა ვოკალური მრავალხმიანობა და ა. შ. მაგრამ მომხვდურის ყველა ელემენტის შეთვისება მაინც ვერ მოხერხდა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშვილი (კუზიბაბაშვილი), გ. (2009). *ქართული ენის ინგილოური დიალექტი.* თბილისი: მერიდიანი.
2. აბაშიძე ნ., კომახიძე თ. (შემდგ.). (2008). *სამუხლიმანო საქართველო.* ბათუმი: აჭარა.
3. აბაშიშვილი, ნ. (2015). ფურქონა (გაზაფხული). წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. (მ. ჩუხუა, რედ.). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 560-566.
4. ავალიშვილი, ზ. (1929). *საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. მოგონებანი, ნარკვევები.* პარიზი 1924 წ. თარგმანი შალვა ელიავას წინასიტყვაობით. ტყილისი: ზარია ვოსტოკა.
5. აკატი, ა. (2015). თურქეთის აღმოსავლეთ შავიზდვისპირეთის ინსტრუმენტული მრავალხმიანი ფოლკლორული მუსიკა. კრებულში: ტრადიციული მრავალხმიანობის ძეშვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმი. (რ. წურწუმია, ი. უორდანია, რედ.). თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. 363-376.
6. აკატი, ა. (2017). თულუმი – შავი ზღვის აღმოსავლეთ რეგიონის ფოლკლორული ინსტრუმენტი – დაკვირვება და შეფასება. ბუკლებში: გიორგი გარაუანიძის სახელობის ფოლკლორული და სახულიერო მუსიკის ბათუმის XII საერთაშორისო ფესტივალი. სამეცნიერო კონფერენცია. (ხ. მანაგაძე, რედ.). ბათუმი: ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. 44-45.
7. ანდრიაძე, გ. (2012). *უცნობი ისტორიული საქართველო.* თბილისი: პალიტრა L.
8. ალექსივა, ი. (2015). ლაზურის სამწერლობო და აკადემიური წარსული. წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. (მ. ჩუხუა, რედ.). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 428-432.
9. არაყიშვილი, დ. (1909). *ქართული ეროვნული ორხმოვანი სიძლეები.* მოსკოვი: ავტორის გამოცემა.
10. არაყიშვილი, დ. (1901). ორიოდე სიტყვა მოზღვოების შესახებ. გაზეობის ცნობის ფურცელი, 23 ოქტომბერი, 2-3.
11. ასათიანი ვ., კომახიძე თ. (2003). ჩვენებურებით. ისტორია – კულტურა. ბათუმი: აჭარა.
12. ასათიანი, ი. (1974). ჭანური (ლაზური) ტექსტები. თბილისი: მეცნიერება.
13. ასიეშვილი, ბ. (რედ.). (2008). მართ თარხნიშვილი. თბილისი: ფავორიტი.

14. ასლანიშვილი, შ. (1954). ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ. I ტომი. თბილისი: ხელოვნება.
15. ასლანიშვილი, შ. (1956). ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ. II ტომი. თბილისი: საქართველოს მთავარი პოლიგრაფიული გამომცემლობა.
16. ასლანიშვილი, შ. (1950). ქართლ-კახეთის ხალხური საგუნდო სიმღერების პარმონია. თბილისი: ზარია ვასტოკა.
17. ასლანიშვილი, შ. (1970). ქართლ-კახეთის ხალხური საგუნდო სიმღერების პარმონია. თბილისი: განათლება.
18. ასლანიშვილი-ბაგრელი, ს. (2008). წერილები თხმალოს საქართველოზე. თბილისი: არტანუჯი.
19. აქსამაზი, ა. ი. (2015). გარდაცვალება. წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. (შ. ჩუხუა, რედ.). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 531-532.
20. აღნიაშვილი, ლ. (1896). ხაარსეთი და იქაური ქართველები (ზო ზავრის წერილები). ტფილისი: სტამბა ქართ. წიგ. გამ. ამ-ბისა.
21. ახალაია, ნ. (2015). ლაზურის სადამწერლობო პრაქტიკა. წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. (შ. ჩუხუა, რედ.). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 193-196.
22. ახობაძე, ვ. (1961). ქართული აჭარული ხალხური სიმღერები. ბათუმი: სახელმწიფო გამომცემლობა.
23. ბარამიძე, მ. (2012). ზემოქლარჯულისა და კირნათ-მარადიდის მკვიდრთა მეტყველების ურთიერთმიმართებისათვის (ლექსიკა – I). კრებულში: II საერთაშორისო კონფერენცია ტაო კლარჯეთი. (შ. კუდავა, რედ.). გამომცემლობა მითითებული არ არის. 155-157.
24. ბართაია, ნ. (2009). ქართული საყვავილე ირანული კარდებისათვის. ირანული ჩანახატები. თბილისი: უნივერსალი.
25. ბაქრაძე, დ. (1987). არქეოლოგიული მოვ ზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ). ბათუმი: საბჭოთა აჭარა.
26. ბაქრაძე, მ. (შემდგ.). (1978). ქართული ხალხური სიმღერების კრებული: კახეთი. თბილისი: ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი.
27. ბაქრაძე, რ. (1971). საბჭოთა სარფი. ბათუმი: საბჭოთა აჭარა.
28. ბატონიშვილი, ვ. (1991). აღწერა სამეცნიერო საქართველოსა. ორ წიგნად. თბილისი: გამომცემლობა მითითებული არ არის.

29. ბაწაში, წ. (1988). *კონტრელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში*. თბილისი: მეცნიერება.
30. ბაწაში, წ. (2015). ლაზთა ეთნოგენეზისისა და ისტორიისათვის. წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. (მ. ჩუხუა, რედ.). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 27-51.
31. ბაწაში, წ. (2015ა). ლაზეთში მცხოვრები პემზინები. წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. (მ. ჩუხუა, რედ.). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 55-75.
32. ბეგიჯანოვი, ა. (1955). დიძიტრი არაყიშვილი: ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი: ხელოვნება.
33. ბერიძე, ქ. (2009). ნიგალი. ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
34. ბოკუჩავა, გ. (2017). ინგილოთა კოფისა და კულტურის საკითხები. თბილისი: მერიდიანი.
35. ბჟიშვიანი პ. გ. (2015). პონტოს ისტორია. წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. (მ. ჩუხუა, რედ.). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 171-180.
36. ბრეგაძე, ნ. (2005). ზოგიერთი ბულგარული ტრადიციული წეს-ჩვეულების შედარებითი შესწავლისათვის. ქურნალი ისტორიულ-კონგრავიული ძიებანი, №VII, 115-146.
37. ბრეგაძე, ნ. (1991). ქართულ-ბულგარული ეთნოგრაფიული პარალელები: კუმები. ქურნალი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, კონგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №I, 145-159.
38. ბოცვაძე, თ. (1968). საქართველო-დაღუბეტნის ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი: მეცნიერება.
39. ბუბულაშვილი, ქ. (2009). საინგილოს ქრისტიანი მოსახლეობა XX საუკუნის 20-40-იან წლებში. ქურნალი ახალი და უახლესი ისტორიის მასალები, №2 (6), 270-286.
40. ბურჯაევი (ასისთავიშვილი) თ., ისაევი (დათუნაშვილი) ს. ალიბეგოვი (მოურავიშვილი) ბ. (2001). ინგილოდ წოდებულ ქართველთა ტრაგედია. თბილისი: გამომცემლობა მითითებული არ არის.

41. ბურჯაევი (ასისთავიშვილი) თ., ისაევი (დათუნაშვილი) ს. ალიბეგოვი (მოურავიშვილი) ბ. (2013). *ინგილოდ წოდებულ ქართველთა ტრაგედია.* თბილისი: გამომცემლობა მითითებული არ არის.
42. ბუჭაკლიშვილი, ი. (2015). *ლაზური კულტურის შესახებ.* წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. (მ. ჩუხუა, რედ.). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 513-515.
43. ბუჭაკლიშვილი, ი. (2015ა). *ლაზური საბავშვო სიტყვიერი თამაშობები.* წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. (მ. ჩუხუა, რედ.). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 599-604.
44. ბუჭაკლიშვილი, ი. (2015ბ). *ლაზური ხალხური ცეკვები – პორონები.* წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 523-531.
45. ბუჭაკლიშვილი, ი. (2015გ). *მამითადის (ნადის) კულტურა ლაზებში.* წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. (მ. ჩუხუა, რედ.). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 607-611.
46. ბუჭაკლიშვილი, ი. (2015დ). *ქორწილი ლაზურ ფოლკლორში და მასთან დაკავშრებული რიტუალები.* წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. (მ. ჩუხუა, რედ.). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 588-598.
47. გაბისონია, გ. (1974). *საგუნდო ხელოვნების მოამაგენი.* ბათუმი: საბჭოთა აჭარა.
48. გაბისონია თ., მესხი თ. (2005). *ქართული ხალხური ძუსიკალური შემოქმედება.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი.
49. გაბისონია, თ. (2010). *ქართული ხალხური საკრავიერი მრავალხმიანობის ფორმები.* ქართულ და ინგლისურ ენებზე. კრებულში: ტრადიციული მრავალხმიანობის მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმი. (რ. წურწუმია, ი. ქორდანია, რედ.). თბილისი: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი. 409-424.
50. გამხარაშვილი, გ. (1960). *საინგილო (მოკლე მიმოხილვა).* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

51. გარაფანიძე, გ. (2008). *ქართული ეთნომუსიკის თეატრი* და მისი ხაწყისები. თბილისი: პეტრი.
52. გარაფანიძე, გ. (1987). ზოგიერთი ქართული მუსიკალური დიალექტის დადგენისათვის. ჟურნალი საბჭოთა ხელოვნება, №6, 91-96.
53. გარაფანიძე გ. (1988). პასუხი პატივცემულ ოპონენტს. ჟურნალი საბჭოთა ხელოვნება, №12, 37-42.
54. გარაფანიძე, გ. (2007). *რჩეული წერილები*. თბილისი: საქართველოს მუსიკალური საზოგადოება.
55. გარაფანიძე, გ. (2011). *ქართული მუსიკალური დიალექტები* და მათი ურთიერთმიმართება. თბილისი: საქართველოს მაცნე.
56. გელაშვილი, გ. (1997). ქართული და ჩრდილო კავკასიური მუსიკალური ურთიერთობანი. სადიპლომო ნაშრომი ხელნაწერის უფლებით. ხელმძღვანელი გ. დ. ჭოხონელიძე. გ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კოსერვატორია. ხალხური შემოქმედების კათედრა. ინახება ქმნა არქივში დ-45.
57. გიგინეიშვილი ი., თოფურია გ., ქავთარაძე ი. (რედ.). (1961). *ქართული დიალექტოლოგია, I*. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
58. გიუნაშვილი, კ. (2003). *ვერეზიდნელის თროველა*. თბილისი: ხალხური ხელოვნების დაცვისა და აღორძინების ცენტრი, მედია პოლდინგი „ჯორჯიან თაიმსი“.
59. გობრონიძე, ნ. (შემდგ.). (1978). ქართული ხალხური სიმღერების კრებული: *ქართლი*. თბილისი: ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი.
60. გოცირიძე, გ. (1987). *ქორწინება ვერეზიდნელ ქართველებში*. თბილისი: მეცნიერება.
61. გვახარია გ., ტაბადუა ი. (1983). *ბახვური ხალხური სიმღერები*. თბილისი: მეცნიერება.
62. გვახარია, გ. (1962). *ქართული მუსიკალურ ხისტემათა განვითარება*. თბილისი: ხელოვნება.
63. გუჯეჯიანი რ., თოფხიშვილი რ., შოშიტაშვილი ნ., ფუტკარაძე ტ., ჭეიშვილი გ., და სხვ. (2008). ეთნოგრაფიული ზედა მაჭახელი. ჟურნალი *ქართველური ძეგლიდრება XII*. ქუთაისი: ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 73-87.
64. გუჯეჯიანი, რ. (2017). *ისტორიის რეპრეზენტაციის ეთნოლოგიური ასპექტები*. თბილისი: სტამბულის ქართული ხელოვნების სახლი.

65. გუჯვარიანი, რ. (2015). ქართული ხალხური დღესასწაულები ართვინის რეგიონის (თურქეთის რესპუბლიკა) ეთნიკურ ქართველთა შორის (ძველით ახალი წელი, შუამთობა, მარიობა). ინგლისური რეზიუმეთი. კრებულში: ტრადიციული რელიგიური სისტემა და თანამედროვეობა. ირაკლი სურგულაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მითი, კულტი, რიტუალი მოხსენებათა კრებული. (6. მინდაძე, ქ. ხუციშვილი, რედ.). თბილისი: უნივერსალი. 93-110.
66. დიუმა, ა. (1964). კავკასია. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება.
67. დაუშვილი რ., კალანდაძე გ. და სხვ. (შემდგ.). (2012). ქართველები უცხოეთში. წიგნი I. თბილისი: საქართველოს მაცნე.
68. დენიზჯი, ო. (2015). შავი ზღვის რეგიონის მუსიკის ცვალებადობა და პოპულარობა თურქეთში – კავკასიურ მუსიკალურ კულტურებთან რეგიონალური ინტერაციებით, სოციალური და ბაზარზე ორიენტირებული იდენტურობის დისკურსები“. თბილისის ხახლმწიფო კონსერვატორიის მეცნიერებების სამუშაოს მიზანით ხელი მოიხდის კონფერენცია-კონკურსის ბუჭლები. თბილისი: გამომცემლობა მითითებული არ არის. 28.
69. დიუმეზილი, ქ. (2009). ლაზური ზღაპრები და გადმოცემები. თბილისი: მერიდიანი.
70. დუმბაძე, გ. (1953). აღმოსავლეთ კახეთის (ხაინგილობა) ისტორიიდან XIX ს. რევორმაზებული პერიოდი. თბილისი: საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა და სტამბა.
71. ედილი, ზ. (1947). ხაინგილო. თბილისი: საბჭოთა მწერალი.
72. ერქვანიძე, გ. (2008). ქართული ხაგალებით გალობა. წმ. იოანე თქმოპირის წირვა გელათისა და შემოქმედის სკოლები V ტომი. თბილისი: სრულიად საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი.
73. ერქვანიძე გ., ბიძინაშვილი გ. (2014). შემდგენლები. ქართული ხაგალებით გალობა. აღმოსავლეთის სკოლა (კარბელაანთ კილო) VII ტომი. თორმებ ხაუფლო და უძრავ დღესასწაულთა, დიდი მარხვისა და ზატიკის ხაგალობლები. გადმოცემული ძმები კარბელაშვილების მიერ. თბილისი: სრულიად საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი.
74. ერქომაიშვილი, ა. (2009). ანსამბლი რუსთავი ორმოცი წლისაა. თბილისი: საქართველოს მაცნე.
75. ერქომაიშვილი, ა. (2005). ქართული ხალხური მუსიკა. გურია. არტეგ ერქომაიშვილი. თბილისი: ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი.

76. ერქომაიშვილი, ა. (1980). *ქართული ხალხური სიმღერები (გურული)*. თბილისი: ხელოვნება.
77. ერქომაიშვილი ა., როდონაია გ., და სხვ. (რედ.). (2005). *შეცისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერა. მეგრული სიმღერები. თანდართული კომპაქტდისკებით*. თბილისი: საქართველოს მაცნე.
78. ესიტაშვილი, ი. (1978). ხალხური მუსიკის მოამაგვ: გრიგოლ ჩხილები. გაზეთი ოქტომბრის გზით, ხელვაჩაური, 7 სექტემბერი, 4.
79. ვანილიში მ., თანდილავა ა. (1964). *ლაზეთი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
80. ვეიდენბაუმი, ე. (2005). *ძათუმილან ართვინაძე : (მგ ზაგრის ჩანაწერები)*. თბილისი: არტანუჯი.
81. ვეშაპიძე, ლ. (შემდგ.). (2006). *გურული ხალხური სიმღერები. თანდართული კომპაქტდისკით*. თბილისი: გამომცემლობა მითითებული არ არის.
82. ვეშაპიძე ლ., კოტრიკაძე ს. (შემდგენ). (2016). *აჭარული ხალხური სიმღერები*. თბილისი: იდეალ გლობალი.
83. ზუმბაძე, ნ. (1997). *ხავედრებელი და ხადიდებელი სიმღერები ქართველ ქალთა საწესენებელებო ფოლკლორში: უახრული სპეციფიკა და მრავალხმიანობა*. დისერტაცია. ხელ. ი. ჟორდანია. ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.
84. ზუმბაძე, ნ. (2010). *ქართული სიმღერის მრავალხმიანობა და მისი დამატებითი არგუმენტები. ქართულ და ინგლისურ ენებზე. კრებულში: ტრადიციული მრავალხმიანობის მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმი*. (რ. წურწუმია, ი. ჟორდანია, რედ.). თბილისი: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი. 354-370.
85. ზუმბაძე ნ., მათიაშვილი ქ. (2012). კავკასიელ ხალხთა მრავალხმიანობა და მისი მიმართება ქართულთან (აუდიოალბომის – კავკასიელ ხალხთა მუსიკა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფონოარქივიდან – მიხედვით). ქართულ და ინგლისურ ენებზე. კრებულში: ტრადიციული მრავალხმიანობის მეცნიერებისა და მომსახურების საერთაშორისო სიმპოზიუმი. (რ. წურწუმია, ი. ჟორდანია, რედ.). თბილისი: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი. 133-154.

86. თაგბერიძე, ი. (1973). აჭარული ხალხური სიმღერები. კრებული I. ხელნაწერი ინახება ქემოლ არქივში.
87. თანდილავა, ა. (2013). ლაზური ლუქსიკონი (ლაზური ნენაფუნა). თბილისი: საარი.
88. თანდილავა, ა. (1950). სარფელი მასწავლებლის ჩანაწერები. გაზეთი სახალხო განათლება, 20 სექტემბერი, 3.
89. თანდილავა, ზ. (1972). ლაზური ხალხური პოეზია. ბათუმი: საბჭოთა აჭარა.
90. თაყაიშვილი, ე. (1991). ემიგრანტული ნაშრომები. ტ.1 თბილისი: მეცნიერება
91. თოდეა, მ. (1975). ქართულ-საარსული უტიკლები. ტომი II. თბილისი: მეცნიერება.
92. თოფჩიშვილი, რ. (2017). ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთი საქართველო და ქართველები თურქეთში. თბილისი: უნივერსალი.
93. იაშვილი, მ. (1975). ქართული მრავალხმიანობის საკითხისათვის. თბილისი: განათლება.
94. იმნაიშვილი, გ. (1966). ქართული ენის ინგილოური დიალექტიკის თავისებურებანი. თბილისი: მეცნიერება.
95. იპოლიტოვი-ივანოვი, მ. (ჩამწ.). (1899). ქართული გალობა ქართლ-კახური კილოთი (ლიტურლია). თბილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
96. კაპანაძე, ო. (2014). ქართული ხაფურხულო სიმღერები: მუხიალური ენის თავისებურებები. სადოქტორო დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ხელნაწერის უფლებით. ხელ. ნატალია ზუმბაძე. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. ელექტრონული სახით ინახება კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში №900039000080.
97. კარბელოვი (კარბელაშვილი), გ. (1898). ქართლ-კახური გალობა კარბელაანთ კილოთი. ციხესარი. თბილისი: გამოცემლობა მითითებული არ არის.
98. კარბელაშვილი, პ. (1898). ქართული საერთ და სახულიერო კილოები / ისტორიული მიმოხილვა მღვდელ პოლივექტოს კარბელაშვილისა. ტფილისი: ხელაძის სტამბა.
99. კალანდია, გ. (2010). აჯგედ მელაშვილი: ჩვენებურთა ბელადი (როცა უკვდავება სიცოცხლეზე ძირვასია). თბილისი: შპს „სეზანი“.
100. კალანდია, თ. (2007). 2000 ლაზური სიტყვა : სალექსიკონო მასალა. თბილისი: გამომცემლობა მითითებული არ არის.

101. კალანდაძე ნ., კვიჭინაძე გ. (2011). ტრადიციული მუსიკა ქართულ-აფხაზურ  
დიალოგ ში. თბილისი: ტრიასი.
102. კალანდაძა, თ. (2008). ლაზური ხალხური ტექსტები. თბილისი: არტანუჯი.
103. კანდელაკი, ი. (1961). ფერეიდნელი ქართველები. გაზეთი მედიცინის მუშაკი,  
№30 (167), 14.
104. კარგარეთელი, ი. (1899). ქართული სახალხო სიმღერები. ტფილისი:  
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა.
105. კარგარეთელი, ი. (1909). ქართული ხალხური სიმღერები. თბილისი: ელექტრო-  
მბეჭდავი „მმობისა“.
106. კარტოზია, გ. (1972). ლაზური ტექსტები I ტომი. თბილისი: მეცნიერება.
107. კარტოზია, გ. (1993). ლაზური ტექსტები II ტომი. თბილისი: მეცნიერება.
108. კარტოზია, გ. (2008). მეგრული და ლაზური ტექსტები. თბილისი: ნეკერი.
109. კვიჭინაძე გ., პატარიძე უ. (2004). გორგო საღუქაძე. ქართული ხალხური  
სიმღერის ოხტატები. გურია III. თბილისი: საქართველოს მაცნე.
110. კომახიძე, თ. (1999). აჭარის ჯულტურის იხტორია. ბათუმი: აჭარა.
111. კომახიძე, თ. (2003). ხელვაჩაურის (ძათუმის) რაიონი. წ.2. ბათუმი: აჭარა.
112. კომახიძე, ლ. (2016). საქართველოს ჯულტურის იხტორის საკითხები:  
ნარკვევები მუსიკალური ხელოვნების განვითარების შესახებ (რეგროსპექტივა გ-19  
საუკუნის დასასრულიდან). თბილისი: გამომცემლობა მითითებული არ არის.
113. კრავეიშვილი, გ. (2015). თემა განსჯისათვის. ჟურნალი მუსიკა, №4, 65-66.
114. კრავეიშვილი, გ. (2014). ლაზური და ინგილოური სასიმღერო  
მრავალხმიანობის საკითხისათვის. ჟურნალი მუსიკა, №2, 70-73.
115. კრავეიშვილი, გ. (2011). ლაზური ხალხური მუსიკის ეთნოგრაფიული და  
მუსიკალურ-თეორიული ასპექტები. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო  
კონსერვატორია. საბაკალავრო ნაშრომი ხელნაწერის უფლებით. ხელ. თამაზ  
გაბისონია. ინახება ქმშლ არქივში. დიპლომი ასევე ინახება ბათუმის ხელოვნების  
სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტზე.
116. კრავეიშვილი, გ. (2013). საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა მუსიკალური  
ფოლკლორის შესწავლისათვის. სამაგისტრო ნაშრომი ხელნაწერის უფლებით.  
ხელ. ნინო მახარაძე. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის  
ფაკულტეტი. დიპლომი ასევე ინახება ქმშლ არქივში.
117. კინწურაშვილი, პ. (რედ.). (2006). მოხე ჯანაშვილი (ეამი ძიებისა და განხჯისა).  
თბილისი: საარი.

118. კირთაძე, თ. (2013). ფერეიდნული წეს-ჩვეულებები. კრებულში: სტუდენტური გენერაცია ირანში. (ე. ასტახიშვილი, ლ. ეზუგბაია, გ. კაციტაძე, რედ.). თბილისი: თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის გამომცემლობა. 72-82.
119. კოკელაძე, გ. (1936). ჭანური სიმღერები. (გენერაციმენტული ფონეტიკის ლაბორატორიდან). სანოტო რვეული ხელნაწერის უფლებით. ინახება საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში №1370.
120. კორომილა, მ. (2008). სტატიების კრებული ბერძნები შავ ზღვაზე. (ს. შამანიძი, მ. ქამუშაძე, რედ.). თბილისი: პროგრამა „ლოგოსი“.
121. კუხიანიძე, დ. (რედ.). (2009). კულტურათა დიალოგი და დიასპორა. სტატიების კრებული ქართულ და ინგლისურ ენებზე. თბილისი: გამომცემლობა მითოთებული არ არის.
122. ლაბაძე, მ. (2013). მურდულის ხეობაში მცხოვრებ ავტოქონ ქართველთა - ლაზთა და ლიგანელთა - მეტყველების თავისებურებანი (ხამეტყველო კოდთა შერევის ხაკითხები). სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის (აკადემიური) დოქტორის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ხელნაწერის უფლებით. ხელ. ტარიელ ვუტკარაძე. ქუთაისი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი.
123. ლომსაძე, თ. (2012). მთის რაჭის ორიგინალური და ზოგადობაჭული რეპერტუარი. საბაკალავრო ნაშრომი ხელნაწერის უფლებით. ხელ. თ. გაბისონია. ინახება ქემშლ არქივში.
124. ლორთქიფანიძე, თ. (2008). ბერძნები კოლხეთში. მ. კორომილას წიგნიდან ბერძნები შავ ზღვაზე. თბილისი: პროგრამა „ლოგოსი“. 288-305.
125. ლორთქიფანიძე, ქ. (2015). ლაზური დესთანი, მანი, ათმა. წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. (მ. ჩუხუა, რედ.). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 581-584.
126. მაისურაძე, ნ. (2015). ქართული ტრადიციული მუსიკა და ეროვნული ცნობიერება. ქართული და ჩრდილოკავკასიური მუსიკალური ენების ურთიერთმიმართება და მათი ერთობის პრობლემა. თბილისი: ემ-პი-ჯი.
127. მამულაშვილი, მ. (1939). პროფესორი იოსებ ყიფშიძე-ჭანური ტექსტები. გაზეთი ახალგაზრდა კომუნისტი, 15 ივნისი, 4.
